კვირის პალიტრა

გზა

N42(175) 16/X.-22/X.2003.

ფასი 60 თ.

1168
2003

ინცესტი... ანუ როდის არის ქორწინება ყველაზე სამიში

„მე და ზაქრის უშვილობა ღვთის წყალობად მიგვაჩნია...“

მოგზაურის დღიურები: ამერიკული კასტა – ტრაილერის მძღოლები

სასიძო: მინისტრ დავით კირვალიძეს ბლუ მანდილოსნები ნუ გამოეხმაურებიან

როგორ აახლა კახი კავსაძემ ნუგზარ ჯუღელს ქალი...

...1924 წელს ბოლშევიკურმა მთავრობამ
ამ ორი დიდებული გვარის წარმომადგენლების
დაპატიმრების ბრძანება გასცა...
„მოღალატეები“ ბორის მაზრის გზას გაუყენეს,
მაგრამ ბადრაგს ქორწილში ეჩქარებოდა და...

კვირის პალიტრა
ფეხი
№42 (175)
16 – 22 ოქტომბერი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ლატარია – არჩევნები, უჩინმაჩინი – ცესკო და მოჩვენება – ამომრჩეველი 3
აინონა-დაინონა
„პარლამენტში უმეტესობა საგრიალოდ მიდის და არა სამუშაოდ“ 4
ერთი კითხვა 5
საპატარძლო
„...ინტერვიუ რომ წავიკითხე, თავი ვერ შევიკავე“ 7
სასიძო
სიტყვაკვირი და თვალმეტყველი მინისტრი ყოფაში წესრიგისა და სუფრასთან შემწვარი კარტოფილის მოყვარული ყოფილა 8
მარჩიელი
„ამის შესახებ საქართველოში დიდხანს ილაპარაკებენ...“ 10
ლინგვისტი
რატომ გადაწყვიტა სტალინის ქალიშვილმა ქართული ენის შესწავლა 12
კრიმინალი
● 18 წლის ბიჭი 27 ლარისთვის გაწირეს 14
● ყაჩაღები მგზესუმგზირით მოვაჭრეს დაესხნენ თავს 15
● ადვოკატ ქალს თაღლითობისთვის ასამართლებენ 16
მამაკაცური ოინები
რას ერჩოდნენ ნუგზარ ჯუღელს პოლონელი გეი, იტალიელი ტრანსსექსუალი და კახი კავსაძე? 17
ოჯახი
„ბელურების გადაფრენით“ დაწყებული სიყვარული 20
თემა
თუ ბიძაშვილი შეგიყვარდა... 23
ანტიდეპრესანტი
ინფორმა[illegible]ულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 24
იდუმალების სამყაროში
ბეჭდით შეკრული ბედი 27
გზავნილები
„მეშინია, ერთ მშვენიერ დღეს ყველა არ მოვახრჩო“ 28
გემოვნება
პატარა „სახელმწიფო“ სადაც მიღება გვიან იწყება 30

თუ ბიძაშვილი შეგიყვარდა...



იშვიათად, მაგრამ ჩვენშიც შეხვდებით ისეთ ოჯახებს, სადაც ცოლი და ქმარი ერთი გვარისანი არიან. შესაძლოა, ეს დამთხვევა იყოს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ნათესავები ქორწინდებიან, რაც უდიდესი ცოდვაა და უამრავ ბიოლოგიურ მანკიერებასაც წარმოშობს.

23

სიტყვაკვირი და თვალმეტყველი მინისტრი შემწვარი კარტოფილის მოყვარული ყოფილა

– მთლად ბლუ ქალი რა მოსაწონია?! მაგრამ უკიდურესობა არაფერში ვარგა. მე ისეთი სამსახური მაქვს, რომ ხშირად მიწევს ქალებისგან ისეთი საუბრის მოსმენა, რომელსაც მთლად ტიკტიკს ვერ ვუწოდებთ... ისე, საინტერესო სიჩუმე ძალიან კარგია...

8

ყაჩაღები მგზესუმგზირით მოვაჭრეს დაესხნენ თავს

დაახლოებით 10 საათისთვის, ავტოინსპექციის საგუშაგოსთან გაჩერდნენ. გამოელაპარაკნენ ადგილობრივ ნოდარ იასეშვილს, რომელმაც მათ „სარფიანი“ წინადადება – კერძოდ, ერთ-ერთ მეზობელზე ყაჩაღური თავდასხმა შესთავაზა.

15

რას ერჩოდნენ ნუგზარ ჯუღელს პოლონელი გეი, იტალიელი ტრანსსექსუალი და კახი კავსაძე?



რობიკო სტურუასთან ვიქეიფეთ მე, კახი კავსაძემ, გოგი ქავთარაძემ და გოგი ხარაბაძემ. დილის ოთხი საათია დაწყებული, შინ ვბრუნდები. ზემელზე ჩამოვდივარ და ვხედავ, ქალი დგას მარტო. მივუახლოვდი და... ისეთი პირი აქვს, მე რომ მომწონს, მაგრამ კარგად ნასვამი ვარ...

17

ქალი საჭესთან
როგორ გადაურჩნენ „ემის“ გოგონები მანქანაში ჩაცხრილვას... 32

ტაძარი
არსებობს თუ არა „ფუძის ანგელოზი“? 34

ფესვები
ალექსი-მესხიშვილები, დაცარიელებული საგვარეულო სახლი და ბორდოსფერი სავარძლები, რომელშიც ილია და აკაკი მსხდარან 35

ფავორიტები
დონ დიეგოს ახალი სკანდალი 38

რომანი
რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

ვარსკვლავი
ალანის მორისეტი – ალტერნატიული როკმუსიკის ლიდერი 46

ჭრელი მსოფლიო 48

ავტო
პრაქტიკული ამერიკელები და ელეგანტური იტალიელები 49

მოგზაურის დღიურები
რითი სჯობს ამერიკულ გზებს ქართული ტრასები... 50

სპორტული მოზაიკა 53

საკითხავი ქალებისთვის 54

შოუბიზნესი 55, 62

ტესტი
ერთგული მკითხველი 55

ჯანმრთელობა
იქნებ ჩიები გყავთ? 57
სიცოცხლის გახანგრძლივების 12 საფეხური 57
სხვადასხვა 58

ჰოროსკოპი
კვირის (20-26 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

ტესტი
გაქვთ თუ არა სხვაზე გეგავლენის უნარი 63

კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება „გამომცემლობა „კოლორში“

პატარა „სახელმწიფო“, სადაც მიღება გვიან იწყება

ვახუშტის ჰკითხეს – მზეომ თქვენგან რა მიიღო საჩუქრადო? რა მიიღო და ლტოლვილის წიგნაკიო, – უპასუხა. ვახუშტი ჩემზე ამბობს ხოლმე – მთელი ჩემი ცხოვრება ფშავ-ხევსურეთს გადავაყოლე და მზეო ჰუმანიტარული დახმარების სახით მთიდან გამომიგზავნესო.

30

საკითხავი ქალებისათვის როგორ მოვიქცეთ მაღაზიაში თუ...

ნუ გაებმებით გამყიდველების მახეში. განაწყენებულ გამყიდველს კი მშვიდად აუხსენით, რომ უბრალოდ ათვალიერებთ სიახლეებს და თუ შეკითხვები გაგიჩნდებათ, აუცილებლად დაუძახებთ მას. არ გააჩაღოთ დისკუსია. ნურავის აუხსნით, რატომ არ მოგწონთ საქონელი. აღნიშნეთ მხოლოდ ფაქტი...

54

რითი სჯობს ამერიკულ გზებს ქართული ტრასები...



აი, ტრაილერის მძღოლებს რაც შეეხებათ, ისინი, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარ კასტას წარმოადგენენ. ერთმანეთს ცნობენ, თითქოს რაღაც საერთო მანერებიც აქვთ. მე ჩავთვალე, რომ რადგან ტრაილერის მძღოლი ვიყავი, შემეძლო მათ თანასწორად მეგრძნო თავი. მაგრამ მოვტყუვდი.

50

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

– ექვსი თვე რა ამბავია? – დაიბნა ბაღრი.

– ის ამბავი, ბატონო ბაღრი, რომ ჯერ მხოლოდ სამი თვის ფეხმძიმე ვარ... ფეხმძიმობის დროს კი, ვინმესთან დაწოლაზე კი არა, სიტყვა „კაცის“ ხსენებაზეც კი რწყევა მეწყება...

42

ლატარია – არჩევნები, უჩინმაჩინი – ცესკო და მოჩვენება – ამომრჩეველი

ზოგი ჭირი მარგებელიაო – სხვას რომ არ დაესწრო, მე ვიტყოდი საქართველოს მოსახლეობის დღევანდელ ყოფაზე: გაჭირვებულმა ცხოვრებამ ხალხს ისეთი უნიკალური, ცხოველური თვისებები განუვითარა, როგორიცაა აქლემის შიმშილამტანიანობა, პინგვინის ყინვაგამძლეობა, ბუს მხედველობა, ძაღლის ყნოსვა და კუს კარჩაკეტილობა. ასე რომ, თითოეულ ტიპურ ქართველს თამამად შეიძლება უწოდო „ადამიანი-ზოოპარკი“.

მით უმეტეს შეუძლებელია ამ კარჩაკეტილი „ზოოპარკის“ სახლიდან გამოყვანა და საარჩევნო უბანში მიყვანა, თუ რაიმე სარგებელს არ დაჰპირდი. სწორედ ამიტომ შეიმუშავა ცესკომ საარჩევნოდ ლატარიის პრინციპი: ბიულეტენზე აღნიშნულია სხვადასხვა პარტიისა და ბლოკის სახელწოდებები. ამათგან ზოგი მომგებიანია, ზოგიც – წამგებიანი, მაგრამ ამომრჩეველი ვერ არჩევს, რომელი რომელია და ბრმად უწევს ერთ-ერთი მათგანის შემოხაზვა. ლატარიის შედეგები კი ახლო მომავალში გახდება ცნობილი და თუ მის წყალწაღებულ ყოფას რაიმე ეშველა, ე.ი. ლატარიაში მოიგო, თუ არა და, **Без выигрыша** ბიულეტენი შეხვედრია და ეგ არის...

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ამ ლატარია-არჩევნებზე მოგების შანსი იმდენად დიდია, რომ მიცვალებულებიც კი გამორბიან ხმის მისაცემად საიქიოდან, რომ ღირსეულმა გაიმარჯვოს, დავწყდით შიმშილით, საკურთხსაც ვეღარავინ გვიკეთებსო!..

განუზომელია ქართველი კაცის შესაძლებლობები! ეჰ, პატრონი არ გვყავს, თორემ ვინ მიგდია დევიდ კოპერფილდი, რაღაც ერთი „პლაცკარტი“ ვაგონი გააქრო!... აუ, რა მომხდარა?! ვაგონი კი არა, მთელი 6-სადარბაზოიანი, 9-სართულიანი კორპუსი გააქრეს ჩვენთან, უბანში საარჩევნო კომისიის წევრებმა და 250 ამომრჩეველი გაუჩინარდა საარჩევნო სიებიდან. სადღაც თურმე, მთელი მიკრორაიონიც გაუქრიათ... აი, „ფოკუს-მოკუსიც“ ამას ჰქვია!..

კორპუსებისა და მოსახლეობის გაუჩინარება კიდევ არაფერია, მაგრამ მკვდრის გაცოცხლებაც თუ შეეძლოთ, ნამდვილად არ ვიცოდი! იმ დღესაც, საარჩევნო უბანს ვეწვიე და გულმოდგინედ შევუდექი ამომრჩეველთა სიის კითხვას: ვერც ჩემი თავი ვიპოვე, ვერც ჩემი ოჯახის წევრები და ვერც ნაცნობ-მეზობლები. სამაგიეროდ, ისეთი რამ აღმოვაჩინე, რომ სახლში მივარდნილს სიხარულისაგან კინაღამ დეზდემონასავით შემომეხრჩო ხელში გამზრდელი ბებია: ქალი, რომელსაც 30 წელია, ტანზე შავი არ გაუხდია გარდაცვლილი მეუღლის გამო, თურმე სულ ტყუილად დასტიროდა ბაბუაჩემის გადიდებულ სურათს... რა მკვდარი, რის მიცვალებული? – კაცი კერკეტი კაკალივითაა და თავშიც ამაყად უდგას „ბ“ ასოზე დაწყებული გვარის ამომრჩეველთა სიას.

მოკლედ, ამ ლატარია-არჩევნებში ბებიაჩემმა უკვე მოიგო მთავარი პრიზი – ბაბუაჩემი. ახლა ქალი მოუთმენლად ელის 2 ნოემბრის დადგომას, რომ უთენია მივიდეს უბანში და მიუხედავად იმისა, რომ სიაში, ჩემი არ იყოს, ისიც არ წერია და არც ხმას მიაცემინებს ვინმე, დაელოდოს, როგორ შემოაგელვებს ეზოში ბაბუაჩემი თეთრ ცხენს, როგორც ეს ქორწილში გაუკეთებია.

მეც, რა თქმა უნდა, უსაზღვროდ გახარებული ვარ, მაგრამ ერთი ჭია მაინც მიღრღნის გულს: ვიცი, ბაბუაჩემი არაა ერთადერთი კაცი, ვინც „საიქიოდან მოსულა ხმის მისაცემად“ და როგორც ამბობენ, კიდევაა 600 ათასი „მკვდარი სული“ საარჩევნო სიებში ჩაწერილი, მაგრამ მე და ჩემნაირები რომ ცოცხლები ვართ, რატომ არ ვწერივართ სიაში?! იქნებ გვგონია, რომ ცოცხლები ვართ და სინამდვილეში მხოლოდ მოჩვენებებად დავქრით აქეთ-იქით?!. როგორც ჩანს, მოჩვენებითმა დამოუკიდებლობამ, მოჩვენებითმა კეთილდღეობამ და მოჩვენებითმა ყველაფერმა ჩვენც მოჩვენებად გვაქცია.

ასეა თუ ისე, დიდი პოლიტიკა დიდი პოლიტიკოსების საქმეა. მე კი უბრალო პროვოკატორი ვარ და ჩემს საქმეს მივხედავ. ერთი კი დღესავით ნათელია, რომ საქართველოს, რომლის ამომრჩეველთა დიდ ნაწილს „მკვდარი სულები“ წარმოადგენენ, ახალარჩეული მთავრობაც ისეთივე ეყოლება და მომავალი 4 წლის მანძილზე ქვეყანას მიცვალებული პარლამენტი აგვიშენებს, საკურთხსა და სანთელ-საკმეველს კი, არ მოვაკლებთ. ხსოვნა იყოს!..

P.S. ორი მეგობრის დიალოგი:

– გუშინწინ ვიღაც მთვრალმა სიგარეტი მთხოვა. არა მაქვს-მეთქი... ისე მეჩხუბა, რომ ნერვიულობისაგან 20 წლის სიცოცხლე მომაკლდა...

– მართლა?!

– გუშინ სადარბაზოში დამხვდნენ ვიღაცები, ფული მოგვეციო... მივეცი, რაც მქონდა, მაგრამ იმდენი ვინერვიულე, 15 წლის სიცოცხლე კიდევ მომაკლდა.

– ეს რა მოგსვლია!..

– დამრჩა ახლა სულ 5 წლის სიცოცხლე, მაგრამ ხვალ არჩევნებზე ვარ წასასვლელი და ვიცი, იქაც მომიწევს ნერვიულობა...

– მერე?

– მერე, ა, შენ მოსაწვევი და იქით შაბათს ქელეხში ხარ დაპატიჟებული...

პროვოკატორი

ლელა ჭანკოტაძე

„პარლამენტში უმეტესობა საგრიალოდ მიდის და არა სამუშაოდ“

არჩევნები კარს მოგვადგა. საინტერესოა, რა ნიშნით ირჩევს ელექტორატი მაჟორიტარ დეპუტატებს. იცის კი ყველამ ვინ არის მისი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი? რა გააკეთეს თავიანთი ამომრჩევლისთვის ძველმა მაჟორიტარებმა? რას მოითხოვს ხალხი ახალი კანდიდატებისგან? ამ კითხვებზე ცნობილი ადამიანები და სხვადასხვა რაიონის ამომრჩევლები გვიპასუხებენ.

გივი ბერიკაშვილი, *მსახიობი:*

— არ ვიცი, ვინ არიან საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი კანდიდატები. ამას არც აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან საარჩევნო ბიულეტენში მათი გვარები იქნება ჩამოწერილი და მეც ერთ-ერთ მათგანს შემოვხაზავ. არჩევანს იმის მიხედვით გავაკეთებ, თუ რომელი კანდიდატი იქნება უფრო ავტორიტეტული და პატიოსანი. მაჟორიტარისგან იმდენ რამეს მოვითხოვ, რომ ერთი კვირაც არ მეყოფა ჩამოსათვლელად. ამ მოთხოვნებიდან ყველა პირველხარისხოვანია და ვერც ერთ მათგანს ვერ გამოვარჩევ.

ნანული სარავიშვილი, *მსახიობი:*

— არჩევნებში, რა თქმა უნდა, მივიღებ მონაწილეობას, რადგან ეს ჩემი კონსტიტუციური უფლებაა და უნდა გამოვიყენო. მე მთაწმინდაზე ვცხოვრობ. თითქმის ყველა უბანში მოვიდა გაზი, მთაწმინდაზე კი — არა. ე.ი. ძველმა დეპუტატმა ვერაფერი გვიშველა. ამიტომ, ახალ დეპუტატს პირველ რიგში, სოციალური პრობლემების გადაჭრას მოვთხოვ. ამ პრობლემებს მხოლოდ პატიოსანი ადამიანი გადაჭრის. თუ მაჟორიტარ კანდიდატებს შორის ასეთი პიროვნება მოხვდება, ის ჩემს ხმას მიიღებს.

ლალი ტოტიკაშვილი, *მოდელი:*

— არა მაქვს გადაწყვეტილი, არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ თუ არა. დარწმუნებული რომ ვიყო, ჩემს ხმას რაიმე მნიშვნელობა ექნება, საარჩევნო ურნასთან პირველი მივალ. მაჟორიტარ კანდიდატებს შორის გამართული ბრძოლაც ყალბი მგონია. ისეთ ადამიანს რომ ვიცნობდე, ვინც ჩემს უბანს ყოფით პრობლემებს მოუწესრიგებს და ცხოვრებას გაულამაზებს, ხმას აუცილებლად მივცემდი. მაგრამ არის კი ვინმე ასეთი, მაჟორიტარ კანდიდატებს შორის?

თამთა გოგუაძე, *მომღერალი:*

— ყველაფერი მაინტერესებს, რაც იმ უბანს შეეხება, რომელშიც მე ვცხოვრობ. ცხადია, ისიც ვიცი, ვინ არიან მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები. ერთ-ერთი მათგანი ჩემი მეგობარი დათო ხუჯაძეა. თუმცა, ხმას ვის მივცემ, ჯერ-ჯერობით საიდუმლოა. მაჟორიტარი დეპუტატისგან გზების შეკეთების, ელექტროენერგიისა და გაზის დეფიციტის გადაჭრას ვითხოვ და საერთოდაც, ვაკელების ინტერესების დაცვას.

ლიზა ბაგრატიონი, *მომღერალი:*

— საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ. უკვე ვიცი, ვინც არიან ჩემი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატები, თუმცა, წინასწარ არა მაქვს გადაწყვეტილი, ხმას რომელს მივცემ. არც კი ვიცი, რა მოვთხოვო მათ, რადგან დარწმუნებული ვარ, ერთი კაცი ვაკის პრობლემებს ნამდვილად ვერ გადაჭრის. ამიტომ, მთავარია, ხმა ისეთ ადამიანს მივცე, ვის გამოც მერე არ შემრცხვება.

ლილიკო ნემსაძე, *კომპოზიტორი:*

— არ ვიცი, ვინ არიან მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები ჩემს რაიონში. ალბათ, იმიტომ, რომ არ მაინტერესებს. პოლიტიკური პარტიების ლიდერებს ვიცნობ, ზოგიერთი მათგანის მიმართ სიმპათიაც მაქვს. თუმცა, აზრზე არა ვარ, რა უნდა შეცვალოს პარტიის ლიდერმა ან მაჟორიტარმა დეპუტატმა ჩემს ცხოვრებაში.

ირაკლი მელაძე, *თსუ-ის სტუდენტი:*

— სამწუხაროდ, მაჟორიტარი დეპუტატების არცთუ ისე მცირე ნაწილი საპარლამენტო ცხოვრებაში საერთოდ არ მონაწილეობს. უმეტესობას ის რაიონი, რომელმაც აირჩია, მხოლოდ არჩევნების წინ ახსენდება. არადა, 85 მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენს. წინა მოწვევის პარლამენტში 85-ჯერ რომ დამდგარიყო დღის წესრიგში ცალკეული რაიონის მოწესრიგებისა და აღორძინების საკითხი, მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდებოდა. ჩემი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ვაჟა ლორთქიფანიძე იყო. ვერ ვიტყვი, მოსახლეობას არ დაეხმარა-მეთქი, მაგრამ იმის 1% გააკეთა, რაც შეეძლო.

სოფო გორდაძე, *ტელერადიომაუწყებლობის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი:*

— არ ვიცი, ვინ არის ჩემი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, თუმცა საარჩევნო „სპექტაკლში“ მონაწილეობას მაინც ვაპირებ. ხმას იმას მივცემ, ვისაც ფული აქვს და მხოლოდ სახელი სჭირდება. ასეთი ადამიანი ალბათ, ჩემს ქუჩას (დოლიძის ქუჩას) მოაასფალტებს. მინდა, დოლიძეზე უფრო მეტი გასართობი ობიექტი იყოს. ლამაზი ახალგაზრდული სკვერი გაკეთდეს, ღამის კლუბი აშენდეს, რომელიც აქაურ მცხოვრებლებს უფასოდ უმასპინძლებს. ერთი სიტყვით, ხმას იმას მივცემ, ვინც ახალგაზრდების პრობლემების გადაჭრას უპირველეს მიზნად დაისახავს.

მაია პაპუაშვილი, *ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი:*

— მე და ჩემს მეგობრებს დათო ხუჯაძე ძალიან გვიყვარს. მინდა, რომ გაიმარჯვოს და დეპუტატი გახდეს. ეს ოცნება თუ ამიხდება, პარლამენტის სხდომე-

ბის ტრანსლაციას ყოველთვის ვუყურებ, რომ მისი ცქერით დავტკბე. საარჩევნო ბიულეტენს აუცილებლად დავაწერ: „მიყვარხარ, დათო“. ის პარლამენტში ყველაზე მომხიბვლელი და მიმზიდველი მამაკაცი იქნება, რომელიც საქართველოს პარლამენტს დათო ხუჯაძესავით პოპულარულს გახდის. დათო რომ არა, ლევან გაჩეჩილაძეს მივცემდი ხმას.

ძეთევან ბერიძე, *დიასახლისი (ნაძალადევის რაიონი):*

— ყველა რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს ვიცნობ, რადგან საინფორმაციო გადაცემებს ყოველთვის ვუყურებ. ჩემთვის გაუგებარია, რატომ მიდიან პატიოსანი სახელის მქონე ადამიანები პოლიტიკაში. მე ნაძალადევის რაიონში ვცხოვრობს. ჩვენს რაიონში გამარჯვებისთვის იბრძვის გოდერძი ჩოხელი, რომელიც პარლამენტარობას იმ მიზნით აპირებს, რომ კინოს მიხედოს. ვინ მიხედავს დანგრეულ სახლებში შეყუჟულ ადამიანებს, უპენსიოდ დარჩენილ მოხუცებს და დაზიანებულ გზებს?!

გიორგი თავაძე, *რუსთავი, 55 წლის, პროფესორი:*

— ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატი წინა მოწვევის პარლამენტში როლანდ მგალობლიშვილი იყო. მან პარლამენტში დასვა რამდენიმე საკითხი რუსთავის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ მაჟორიტარი დეპუტატის მიერ საკითხის დასმას აზრი არა აქვს, თუ იგი დადებითად არ გადაწყდება. მაჟორიტარი დეპუტატის ფუნქცია ქალაქის ცენტრალურ ბიუჯეტთან ურთიერთობაში გამოიხატება. მისი მოვალეობაა რეგიონებისა და ქალაქებისათვის სოციალური ტრანსფერების გამოყოფის საკითხის მოგვარება.

ნელი დავითაშვილი, *30 წლის, ისტორიკოსი, თელავის რაიონი:*

— თელავის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გივი ბეციაშვილი იყო. არაფერი გაუკეთებია. სამაგიეროდ, პარლამენტის სხდომების ტრანსლაციის დროს ხშირად ვხედავდით, როგორ თვლემდა, ზოგჯერ კი პარლამენტის დერეფანში ამაყად დასეირნობდა.

ვალერი ფხაკაძე, *45 წლის, ეკონომისტი, მთაწმინდის რაიონი:*

— ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატი არჩილ გოგელია იყო. არაფერი გაუკეთებია. შეიძლება არც გახსენებია, ჩვენ რომ ავირჩიეთ. იქნებ არც გაემტყუნებოდეს. პარლამენტში უმეტესობა ხომ საგრიალოდ მიდის და არა სამუშაოდ. ■

„გოდერძი ჩოხელი პოლიტიკისთვის არ მემეტება“

— იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ახალი მემარჯვენეები“ და „ლეიბორისტები“ ცდილობენ, მაჟორიტარობის მაძიებელი ორი ჩოხელი ერთ რაიონში დაუპირისპირონ ერთმანეთს. ჩოხელები კი მობოდიშების ნიშნად, ერთმანეთს ხატებით ხელში სტუმრობთ. რა გადაწყვიტეთ, დაუთმობთ ერთიმეორეს ხმებს თუ ცალ-ცალკე იბრძოლებთ გამარჯვებისთვის?

ზვიად ჩოხელი, *„ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელი, ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი:*

— ბატონ გოდერძის დიდ პატივს ვცემ. ჩვენი პაპები ბიძაშვილები იყვნენ, თუმცა, პირადად მას, აქამდე არ ვიცნობდი. ახლა ორივე განვიცდით, ასეთ მდგომარეობაში რომ აღმოვჩნდით. არჩევნების დროს აპრობირებული მეთოდია, ერთი გვარის მქონე ორი კანდიდატით ამომრჩეველთა დაბნევა. შექმნილი გაუგებრობა, რა თქმა უნდა, სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატის წისქვილზე დაასხამს წყალს. ამიტომ მინდა ვთხოვო შალვა ნათელაშვილს (მე მას საკრებულოს არჩევნების დროს ვედექი გვერდში და კარგად მიცნობს), რადგან „ახლებიც“ და „ლეიბორისტებიც“ ოპოზიციური პარტიები არიან, უნდა შეთანხმდნენ, ბატონმა შალვამ რეალურად უნდა შეაფასოს, ვის მეტი შესაძლებლობა აქვს და ნაძალადევის რაიონში რომელ კანდიდატს შეუძლია სახელისუფლებო ბლოკის წარმომადგენელზე მეტი ხმა მოიპოვოს. სიმართლე გითხრათ, გოდერძი ჩოხელი პოლიტიკისთვის არ მემეტება. ჩემს კანდიდატურას ვერ მოვხსნი, რადგან 7 თვის განმავლობაში ვაწარმოებდი წინასაარჩევნო კამპანიას, გვერდით მიდგას უამრავი მხარდამჭერი, რომელმაც არჩევნების წინ გარკვეული მუშაობა გასწია, ამიტომ მათ ვერ დავაღალატებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველაფერი, რასაც ადამიანი აკეთებს, ზნეობას უნდა ემყარებოდეს, მათ შორის პოლიტიკაც და ვეცდები, ბოლომდე ამ პრინციპის ერთგული დავრჩე. ■

„აგენტურის საკითხზე 90-კაციანი დანაყოფი მუშაობს“

— ბოლო დროს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ბევრი მინიშნება გაკეთდა იმის შესახებ, რომ საქართველოში რუსეთის აგენტურა მუშაობს. როგორია ამასთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია?

ვალერი ხაბურძანია, *უშიშროების მინისტრი:*

— მართლაც არსებობენ ცალკეული პირები, რომლებიც კონკრეტულ მოტივაციას ქმნიან იმისათვის, რომ დავეჭვდეთ — ისინი საქართველოს წინააღმდეგ მუშაობენ. აგენტურა ძველი საბჭოთა მამებით, აღარ არსებობს. ის პირები, ვინც სახელმწიფოს წინააღმდეგ მუშაობენ, დიპლომატიურ სახელს არიან ხოლმე ამოფარებულები. ეს არც ახლაა გამორიცხული. ამ ხალხზე მუშაობა რთულია. უნდა წარმოიდგინო, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით რა ძალები მუშაობენ შენს წინააღმდეგ და შენ რა რესურსები გაქვს მათ გასაუვნებლად. აგენტურის საკითხზე, დღეს დაახლოებით 90-კაციანი დანაყოფი მუშაობს და მათ ძალიან მწირი რესურსები აქვთ. ■

„ვინც ყველაზე მეტი ირბინა დასავლეთში, მას ყველაზე დაბალი რეიტინგი აქვს“

— არჩევნების წინ პოლიტიკური პარტიის ლიდერების გახშირებული ვოიაჟები აშშ-ში, გასაგებია, რომ დასავლეთის სიმპათიის მოპოვებას ისახავს მიზნად. როგორ ფიქრობთ, რომელი პარტია მიაღწევს მიზანს?

მიხეილ სააკაშვილი, *„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი:*

— ვინც ყველაზე მეტი ირბინა დასავლეთში, მას ყველაზე დაბალი

რეიტინგი აქვს. დასავლეთში სიარული არაფერს ნიშნავს. ესაა ტურიზმი და მეტი არაფერი. ჩვენი ქვეყნის ბედი საქართველოში წყდება. მე შემიძლია გითხრათ ის, თუ ვის არ დაუჭერს დასავლეთი მხარს: აქტიურად პოპულისტურ, აქტიურად ნეობოლშევიკურ, აქტიურად ანტიდასავლურ ძალებს. თუმცა, საქართველოს მიმართ დასავლეთს ამ ეტაპზე ისეთი ინტერესი არა აქვს, რომ მან თავისი პრინციპები თავზე მოგვახვიოს. საქართველოში დიდი ტერორისტული ორგანიზაცია რომ იყოს, რომელიც თეთრი სახლის აფეთქებას დააპირებს, ამ შემთხვევაში მართლა დაინტერესდებოდნენ ჩვენი საშინაო პოლიტიკით, ახლა კი, ისინი მკაცრად იცავენ საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს. ამიტომ არის, რომ ამერიკელების ვიზიტები მხოლოდ მეგობრულ ხასიათს ატარებს. თუმცა, როგორც ირკვევა, ზოგჯერ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ჩვენი მთავრობა ცოტა ჭკუაზე მოვიდეს. ■

„ხელისუფლების ორივე შტო უნდა შეიცვალოს“

— ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებთ აშშ-ის დელეგაციის ვიზიტს საქართველოში, მათი სტუმრობის შემდეგ რა დასკვნას გააკეთებთ, როგორც პოლიტოლოგი?

რამაზ კლიმიაშვილი, *პოლიტოლოგი:*

— ვფიქრობ, ეს ვიზიტი არა მარტო კვირის მოვლენაა, არამედ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპის დასაწყისია. ამ ვიზიტით დადასტურდა, რომ ცივილიზებული მსოფლიო ქართულ საზოგადოებას ჯერ კიდევ ენდობა. ხელისუფლების ორივე შტო უნდა შეიცვალოს და ეს სრულიად ბუნებრივი რამ არის, — ასეთია აშშ-ის დელეგაციის განაჩენი. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ხელისუფლების შეცვლას აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, თუ ქვეყნის სათავეში განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და პრინციპების მატარებელი ხალხი მოვა. ოპოზიცია ამ არჩევნებზე გამოცდას გაივლის. ისინი დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ამ მოვლენას, რომელზეც ქვეყნის ბედია დამოკიდებული. აშშ-ის დელეგაციის ვიზიტის შემდეგ დასკვნა ასეთია: საქართველოს პრეზიდენტი აღარ უნდა იყოს ედუარდ შევარდნაძე. მიმაჩნია, რომ ამაზე კარგი დასკვნა არ არსებობს. იმიტომ, რომ ეს არის პირდაპირი მინიშნება იმაზე, თუ საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, განვითარების რა კურსი უნდა აირჩიოს. ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებაში საერთოდ უნდა შეიცვალოს თაობა, თაობის შეცვლასთან ერთად, დასავლეთი შევარდნაძეს ქვეყნის პოლიტიკური კურსის შეცვლას სთავაზობს. ჩვენს პრეზიდენტზე ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დამოკიდებული. მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ არჩევნები მართლა ობიექტურად ჩატარდეს, მაგრამ ეს ვიზიტი ჯერ დასრულებული არ იყო, სარიშვილმა ისეთი განცხადება გააკეთა, რომ ჩემთვის ნათელია, პრეზიდენტმა არჩევნებთან დაკავშირებით აღებული ვალდებულება უკვე დაარღვია. ■

„ყველანი კომპასდაკარგულებივით გამოვიყურებით“

— ბატონო ვახტანგ, როგორც გავიგეთ, სხვა მომღერლების მსგავსად, თქვენც მოხიბლულხართ „აღორძინებით“. პარლამენტარობას თქვენც ხომ არ აპირებთ?

ვახტანგ ტატიშვილი, *მომღერალი:*

— მართალია, „აღორძინების“ წევრი გავხდი. პოლიტიკაში მოსვლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ... ვითომ ოპოზიციონერებმა და სახელისუფლებო ბლოკმა გამაბრაზა. „აღორძინებაში“ გავწევრდი როგორც ბათუმელი და აბაშიძის პატივისმცემელი კაცი. ხშირად მეკითხებიან ...მერე „აღორძინება“ რომ პრორუსული ორიენტაციის არისო? — ვერ გავიგე, ამას რატომ მეკითხებიან? რას ნიშნავს „პრორუსული?“ რუსეთში გადასვლა უნდათ თუ რა ხდება? რატომღაც ყველაფერ უბედურებას, რაც ჩვენ გვჭირს, რუსეთს აბრალებენ. ჩემს სადარბაზოში ნაგავი რომ ყრია, ესეც რუსების ბრალია? რაც ჩვენი გაფუჭებულია, ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ და იმაზე მაინც შევთანხმდეთ, საიდან ამოდის მზე, თორემ ყველანი კომპასდაკარგულებივით გამოვიყურებით. ■

მოამზადა ნანა ქიბიშაურმა

"...ინტერვიუ რომ წავიკითხე, თავი ვერ შევიკავე"

„გზის“ წინა ნომრის „საპატარძლო“ ნინო იოსელიანი გახლდათ. უამრავი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა, ბევრმა აღიარა, რომ მისი მატერიალური შესაძლებლობებით მოიხიბლა, ბევრმაც მის სილამაზესა და მომხიბვლელობას გაუსვა ხაზი. ერთ-ერთი მათგანი კი, პირადად შემხვდა და მესაუბრა, რომ დაემტკიცებინა, როგორი „ალენ დელონი“ და „ნასტავლი“ კაცია...

მარი ჯაფარიძე

— **ასე დაჟინებით რატომ მთხოვდით შეხვედრას?**

— იმიტომ, რომ მნახოთ, შემაფასოთ და ნინოს უამბოთ ჩემ შესახებ. ვისაუბროთ და დარწმუნდებით, რომ არც სწავლა-განათლება მაკლია..

— **თქვენ უმაღლესი განათლების დიპლომიც თან გექნებათ...**

— არა, თან არა მაქვს, მაგრამ აბა, მიპასუხეთ, რომელი ქართული ფილმია ყველაზე მაგარი?

— **?!**

— ა-ა-ა, არ იცით? მე ძაან მაგრა მომწონს „ბებერი მეზურნეები“... ამერიკული კინოებიდან რომელი მოგწონთ?

— **?!**

— „მეხუთე ელემენტი“ არ მოგწონთ? ხომ მაგარია?

— **კი.**

— ჰო, კინო არ გცოდნიათ. ახლა სხვა სფეროში მოვსინჯოთ ძალები... მომღერლებზე ვილაპარაკოთ?

— **არა.**

— მაშინ ის თუ იცით, რამდენი კონტინენტია დედამიწაზე?

— **თქვენ იცით?**

— *(განაწყენებული)* კი, როგორ არ ვიცი, ექვსია... ჩამოვთვალო?

— **არა, არ არის საჭირო... რამდენი წლის ხართ?**

— ოცდაათის, მაგრამ ისე გამოვიყურები, როგორც 25-ის... მამაჩემი მეუბნება ხოლმე, შენს ადგილზე რომ ვიყო... თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს? ახლა მოდით, ისტორიაზე ვისაუბროთ... გკითხოთ?

— **კი, მაგრამ თქვენ ჩემი ცოდნის შესამოწმებლად მოხვედით თუ...**

— არა, არა, უბრალოდ მინდა, ყველა თემაზე ვილაპარაკოთ, მაგრამ აბა, თქვენ ვერ აგიყოლიეთ... მგონი, არ მოგეწონეთ, ხომ? ერთ გამოცანას გეტყვით, იქნებ, ეს მაინც გამოიცნოთ?! შენ გეჯავრება, მას უყვარხარ, შენ ეძებ, ის გემალება...

— **?!**

— ეს არის ტილი...

მოკლედ, ვფიქრობ, რომ კომენტარი ზედმეტია... ეს სახალისოდ გიამბეთ. ახლა კი დანარჩენ „მესიჯებს“ გადავხედოთ:

„ვარ 25 წლის, 192 სმ სიმაღლის, მაქვს ცისფერი თვალები. სპეციალობით გეოლოგი ვარ, დაუსწრებლად ვსწავლობ იურიდიულზე. მაქვს მცირე ბიზნესი. ძალიან მომწონს ნინო. მინდა, გავიცნო. ჯაბა“.

„გადაეცით ნინოს, რომ ძალიან ლამაზი და მომხიბვლელია“.

„ნინო, დარწმუნებული ვარ, რომ უამრავი თაყვანისმცემელი გეყოლება. ვფიქრობ, ჩემი იმედი ჩანასახშივე მკვდარია, მაგრამ მოსინჯე, დამირეკე, იქნებ, როგორ მოგეწონო?“

„ნინოს ბავშვობაში კარგად ვიცნობდი... მიყვარდა კიდეც, მაგრამ მისგან ცივი უარი მაქვს „ნატკეცი“. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, არც ახლა გამიმართლებს, მაგრამ უბრალოდ, მინდა ვუსურვო ბედნიერი ოჯახი, ღირსეული მეუღლე და საამაყო შვილები... ნინო, ისევ მახსოვხარ...“

„რატომ უნდა მეშინოდეს სასიმამროს მიერ შეგროვილი დოსიესი? მაქვს სუფთა წარსული, ბედნიერი აწმყო და ნათელი მომავალი, რომელსაც მხოლოდ ნინოს სხივი აკლია. იქნებ შეავსოს ჩემი ცხოვრება და ეს ერთადერთი სხივიც შემატოს?! მოკლედ, ვცადოთ...“

„არ მინდა თუთიყუშები,
არც თევზები და ძაღლები;
მხოლოდ შენ მსურხარ, ლამაზო,
ნინო, ნუ მომკლავ წამებით“.

„ნინო მშვენიერი გოგონაა. ლამაზი, განათლებული. თუ მას კარგი მზითვიც მოჰყვება, უარი რატომ უნდა ვთქვა? მართალია, მდიდარი არა ვარ, მაგრამ... აბა, მუშტი-კრივში მნახეთ, ვინა ვარ... ნინო, სიამოვნებით გაგიცნობდი... ჯან-ღონით სავსე, შენი... მალხაზი“.

„სწორედ ისეთი აღნაგობა მაქვს, როგორიც შენ მოგწონს. მაღალი გახლავართ, დაკუნთული, წინათ პროფესიონალი სპორტსმენი ვიყავი, ახლა ჩემი საქმე მაქვს და ამით ვარ დაკავებული. არ ვსვამ, არ ვეწევი, ხარივით ქედი მაქვს, არც ჯანს ვუჩივი. მოკლედ, ქმარსა და პირად მცველს ერთდროულად შეიძენ. მთელი სერიოზულობით გეხმაურები...“

„34 წლის კაცი ვარ. ასე ჯერ არ გავსულელებულვარ, რომ ვინმეს ჟურნალით გამოვხმაურებოდი, მაგრამ ნინოს ინტერვიუ რომ წავიკითხე, თავი ვერ შევიკავე. შემამოწმოს ბატონმა ავთომ, გაიკითხოს და თუ რაიმე შავ ლაქას აღმოაჩენს, უსიტყვოდ, თავდახრილი გავეცლები. თუ არა და, იქნებ, თავის გოგოსთან მიშუამდგომლოს... ასაკი ხომ არ იქნება პრობლემა? ცოლ-ქმარს შორის 10 წელი სხვაობა დიდი არაფერია. თანაც, 25-26 წლის ბიჭებთან შედარებით, უფრო გამოცდილი და დაბრძენებული ვარ...“

ახლა ჯერი „საპატარძლოზეა“. იმედი გვაქვს, წარმატებულ არჩევანს გააკეთებს...

■



ARC ERTI CEMI INTERVIU KARTOFILIS GARECE AR DAMTAVREBULA...

სიტყვაძვირი და თვალმეტყველი მინისტრი ყოფაში წესრიგისა და სუფრასთან

შემწვარი კარტოფილის მოყვარული ყოფილა

გასათხოვარი გოგონების საყურადღებოდ! დაფაცურდით, თორემ ასეთი რანგის „სასიძოს“, როგორიც დღეს გვყავს, კარგა ხანს ველარ იხილავთ, რადგან სულ ორი უცოლო მინისტრი გვყავს: ერთ-ერთი მათგანი — მირიან გოგიაშვილი — უკვე გახლდათ ჩვენი რუბრიკის სტუმარი. ამჯერად კი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრს — ბატონ დავით კირვალიძეს წარმოგიდგენთ!..

მარი ხაფარიძე

თანამდებობის პირთან სტუმრობისას, თუ მის პირად მდივანს კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერებთ, გარკვეული წარმოდგენა შეგექმნებათ მისი უფროსის გემოვნებაზე... მეც მინისტრის პირადი მდივნის შესათვალიერებლად მოვემზადე და... სავარძელში მჯდომი, საკმაოდ ასაკოვანი მამაკაცი შემრჩა ხელში.

ამრიგად, თუ ჩვეულებრივ, რესპონდენტზე პირველ, თუნდაც ზედაპირულ წარმოდგენას მისი გარემო ფაქტორები მიქმნიდა, ამ შემთხვევაში, ვერც მისაღებში და ვერც მინისტრის კაბინეტში მსგავსი ვერაფერი აღმოვაჩინე. თავად დავით კირვალიძე იდუმალებით მოცული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს და არც ენაწყლიანობით გამოირჩევა. სამაგიეროდ, აღიარებს, რომ თვალებით საუბრის ოსტატია; ამაში მეც დავრწმუნდი, რადგან ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემისას მის მზერაში ბევრი რამ უთქმელად ამოვიკითხე...

— ბატონო დავით, ზოდიაქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნებით?

— მე ვარ კიბო...

— იმედია, კეთილთვისებიანი?

— დიახ, ნამდვილად კეთილთვისებიანი გახლავართ, უმიზეზოდ არავის ვერჩი. ისე, ასტროლოგიური პროგნოზების მაინცდამაინც არ მჯერა. თუმცა, ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით: მთავრობის სხდომაზე გახლდით. ერთ-ერთი უწყების ხელმძღვანელთან დაკავშირებით, ძალზე სერიოზული კრიტიკა გამოთქვეს. ისეთი საკითხიც წამოიჭრა, რომელიც ჩემს სფეროსაც ეხებოდა. მე აქტიურად ჩავერიე, რადგან მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ ის ადამიანი მართალი გახლდათ. ჰოდა, თავი გამოვიდე მის დასაცავად და პრეზიდენტისგან სერიოზული საყვედური მივიღე. ეს იყო პირველი მკაცრი საყვედური ქვეყნის მეთაურისგან... მოკლედ, სხდომის შემდეგ, წამოვედი და გაზეთებს გადავხედე. ერთ-ერთი ჰოროსკოპით დავინტერესდი და რას ვხედავ: კიბო — დღეს სხვის საქმეში ნუ ჩაერევით, სერიოზული პრობლემები შეგექმნებათ... შევცდი, თურმე დილით უნდა წამეკითხა ეს პროგნოზი და სხდომაზე ისე წავსულიყავი... ეს ხუმრობით, ისე კი, ჰოროსკოპი, ასტროლოგია და ვარსკვლავებზე დაკვირვება არასერიოზულ საქმედ მიმაჩნია.

— რამდენი წლის ბრძანდებით?

— 36-ის...

— ჩამოგვითვალეთ თქვენი ოჯახის წევრები...

— ამჟამად, დედასა და ძმასთან ერთად ვცხოვრობ...

— უცოლო რომ ხართ ყველაზე მეტად ვინ გსაყვედურობთ ხოლმე?

— დედა ცდილობს ხოლმე, უკმაყოფილება გამოთქვას, მაგრამ ვინაიდან შინ იშვიათად ვარ, საყვედურის მასშტაბი მცირდება — უბრალოდ, ვერ ასწრებს ამ თემაზე საუბრის დაწყებას... მე ვამშვიდებ ხოლმე — დაწყნარდი, აუცილებლად მოვიყვან-მეთქი...

— ახლო მომავალში ხომ არ აპირებთ ამ დაპირების შესრულებას?

— გამორიცხული არაფერია...

— ამდენი ხანი რატომ დარჩით უცოლოდ?

— ეს ნაბიჯი რომ გადადგა, სერიოზულად უნდა იყო შეყვარებული... ჩემი მოუცლელობაც გარკვეულ როლს თამაშობს, თუმცა ვაღიარებ, რომ იყო პერიოდი, როცა ბევრი დროც მქონდა. როგორც ჩანს, მაინც ბედია. ისე ძლიერ არავინ შემყვარებია, რომ მის გვერდით ცხოვრება გადამეწყვიტა...

— როგორი ხართ, როცა შეყვარებული ბრძანდებით?

— გადასარევი...

— მაინც, როგორი?

— ცუდი არც ისე ვარ და არც ასე... ასეთ დროს, დილით ადგომაც კი მიხარია, მზის შეგებებაც და საბავშვო ბაღში წასვლაც კი...

— ახლა ბაღში აღარ დადიხართ, ამიტომ, ალბათ იმის თქმა გინდოდათ, რომ უკანასკნელად საყვარული მაგ ასაკში გეწვიათ?

— დიახ, სწორად მიმიხვდით...

— ბრაზიანი ხართ?

— არა, ბრაზიანი არა ვარ. არც კონფლიქტური. შესაძლოა, უცებ ავფეთქდე, სათანადო პასუხი გავცე ვინმეს და მორჩა! მეორე დღეს, გაბრაზება აღარ შემიძლია. თუ ვინმემ გამაბრაზა და იმ დღესვე ვერ გამოვთქვი ჩემი უკმაყოფილება, მერე უკვე გადამივლის ხოლმე...

— გადაჭარბებულ ყურადღებას ითხოვთ, გარშემომყოფთაგან?

— არა, მცირედიც მაკმაყოფილებს...

— სუფრასთან მოლხენა თუ გიყვართ?

— უკვე აღარც მახსოვს, როდის იყო ბოლოს, სუფრასთან თავიდან ბოლომდე რომ ვიჯექი... ან დაგვიანებით მივდივარ, ან ადრე მოვდივარ, ყველაფერი კი, სულ დროის დეფიციტის ბრალია.

— ვოკალური მონაცემები თუ გაქვთ?

— მიუხედავად იმისა, რომ 7 წელი

კონსერვატორიაში მაქვს გატარებული (ფორტეპიანოზე დაკვრას ვსწავლობდი) მაინც ვამჯობინებ, სხვის სიმღერას მოვუსმინო...

— მოწყენილობის ჟამს ახლაც ხომ არ უკრავთ ხოლმე?

— არა, ახლა დრო აღარ მაქვს...

— ღამით უფრო იცლით ალბათ და ღამის ბარებშიც მაშინ დადიხართ, როცა მთავრობას სძინავს?

— პრინციპში, ასეა. ღამით, შესაძლოა, რომელიმე ბარს ვეწვიო, ლუდი დავლიო, მუსიკას მოვუსმინო...

— როგორი ხართ, როცა ნასვამი ბრძანდებით?

— ჩვეულებრივი, არ ვიცვლები, ეგ არის, თვალები მიჟუჟუნებს ხოლმე...

— როგორც ვატყობ, თვალები მარტო სიმთვრალეში არ უნდა გიჟუჟუნებდეთ... მითხარით, როგორი უნდა იყოს ქალი, რომ თვალებში ნაპერწკალი გაგიჩინოთ?

— გარკვეული, ჩამოყალიბებული სტერეოტიპი არა მაქვს. ადამიანის მოწონება შესაძლოა, სხვადასხვა იმპულსმა გამოიწვიოს. ხანდახან, თვალები მიიპყრობს ყურადღებას, ხანდახან — ქცევაც...

— ენატიკტიკა ქალები უფრო მოგწონთ თუ წყნარი, ჩუმი მანდილოსნები?

— მთლად ბლუ ქალი რა მოსაწონია?! მაგრამ უკიდურესობა არაფერში ვარგა. მე ისეთი სამსახური მაქვს, რომ ხშირად მიწევს ქალებისგან ისეთი საუბრის მოსმენა, რომელსაც მთლად ტიკტიკს ვერ ვუწოდებთ... ისე, საინტერესო სიჩუმე ძალიან კარგია...

— მეჩვენება, რომ საინტერესო სიჩუმის დროს, თვალებით საუბარი კარგად გეხერხებათ...

— აი, სწორედ ეგ ვიგულისხმე...

— თუ არსებობს ქალი, რომელზეც გული გწყდებათ, რომ თავის დროზე ცოლად არ შეირთეთ?

— კი, მწყდება და თანაც, ძალიან. ახლა უკვე გვიანია, რომ შევეხმიანო... ცხოვრება ისეთი რამაა, რომ ზოგჯერ სინანული საქმეს ვერ უშველის... ადვილი შესაძლებელია, რომ მომენდომებინა, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო...

— გიჭირთ ქალბატონისთვის თქვენი გრძნობის გამხელა?

— სიყვარულის ასახსნელად რაიმე ორიგინალური ხერხი არ გამაჩნია. ამას ყველაზე უკეთ თვალები აკეთებენ: შემიძლია, გრძნობა თვალებით გავუმჟღავნო და იმდენად კარგად, რომ წერტილ-მძიმეც კი ამოიკითხოს.

— თვალებით საუბრის „ტექნიკას“ სამთავრობო სხდომებზეც ხომ არ იყენებთ?

— *(იცინის)* არა, იქ ეს ნაკლებად ჭრის და მარტო თვალებით ნამდვილად ვერაფერს გავაგებინებ...

— წესრიგი თუ გიყვართ?

— კი, მოწესრიგებული ადამიანი ვარ. არ მჩვევია ტანისამოსის და სხვადასხვა ნივთის მიყრა-მოყრა. მიყვარს, როდესაც სისუფთავეს მეც ვიცავ და არ მჭირდება ადამიანი, რომელიც კუდში ამედევნება, რომ ჩემ მიერ დატოვებული ქაოსი მოაწესრიგოს...

— თქვენ საკმაოდ ბევრს მოგზაურობთ. რომელ ქვეყანასთან გაკავშირებთ განსაკუთრებულად, რომანტიკული მოგონებები?

— გააჩნია, რა მიზნით ვარ წასული: თუ ეს საქმიანი ვიზიტია და ძალზე დატვირთული გრაფიკი მაქვს, ამ შემთხვევაში ვერ ვიცლი ხოლმე თავგადასავლებისთვის.

— ნებისყოფა გყოფნით? საქმეს არ ღალატობთ ხოლმე იმის გამო, რომ ეგზოტიკური „ლუკმა“ გასინჯოთ?

— გააჩნია, რა შემთხვევაში...

— ბატონო დავით, გთხოვთ, ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხი გამცეთ...

— როცა დრო მაქვს, ყოველთვის ვახერხებ რომანტიკული თავგადასავლის მოწყობას. როცა არა — საქმეს არ ვუღალატებ და ამაზე ფიქრი ფიქრად დარჩება...

— „მაჭანკლები“ არ გაწუხებენ? საცოლედ კანდიდატურებს არ გთავაზობენ ხოლმე?

— კი, წინათ მართლაც მეუბნებოდნენ — კარგი გოგოა, იქნებ, გენახაო, — მაგრამ მიხვდნენ, რომ ყურადღებას არ ვაქცევდი მათ წინადადებას და შემეშვნენ. ვფიქრობ, ჯობს, მე თვითონ შევარჩიო, ვისზე ვიქორწინო...

მთლად ბლუ ქალი რა მოსაწონია?!

— ჩემი შეკითხვები ხომ არ გაღიზიანებთ?

— არა, მიმაჩნია, თუ თქვენ წერთ და ხალხს აინტერესებთ, ე.ი. საჭიროა. თუ არ ვცდები, დოსტოევსკის აქვს ნათქვამი, რომ ერთი ადამიანის ცხოვრების ამბავი გაცილებით საინტერესოა, ვიდრე მთელი ქვეყნის ისტორიაო... ახალგაზრდა, უცოლო მამაკაცი ვარ, თანამდებობის პირი და სავსებით ბუნებრივია, რომ ბევრი დაინტერესდეს ჩემი პირადი ცხოვრებით...

— განათხოვარ ქალს თუ მოიყვანთ ცოლად?

— დიახ, რატომაც არა? თუ შემიყვარდება, არ მივანიჭებ მნიშვნელობას, პირველი მამაკაცი ვარ მისთვის თუ არა...

— მიანიჭებთ თუ არა მომავალ მეუღლეს სრულ თავისუფლებას ჩაცმულობის საკითხში?

— ადამიანი იმისთვის არსებობს, რომ უნდა იყოს პიროვნება. ის ხდება ოჯახის წევრი და არა პატიმარი... აქედან გამომდინარე, არ მიმაჩნია სწორად, მივცე მითითებები — დღეს ასე ჩაიცვი, ხვალ ცომი მოზილე და ა.შ. მან ჩემს თვალებში უნდა ამოიკითხოს, რაც მსურს. სხვაგვარად, ნამდვილად ჩიხში მოვექცევით...

— ყველაზე მეტად რომელი კერძი გიყვართ?

— როგორ, არ იცით? შემწვარი კარტოფილი...

— რატომ უნდა ვიცოდე?

— იმიტომ, რომ არც ერთი ჩემი ინტერვიუ კარტოფილის გარეშე არ დამთავრებულა...

ტრადიციას არც ჩვენ დავარღვევთ და ამ ინტერვიუსაც კარტოფილით დავამთავრებთ... იმედს ვიტოვებ, რომ ბატონ დავითს სხვის თვალებში აზრების ამოკითხვაც ისევე კარგად ეხერხება, როგორც თვალებით ლაპარაკი და შენიშნავდა, რომ მისგან ამ ინფორმაციის დასატყუებლად, იმდენი ძალისხმევა დამჭირდა და ერთი და იმავე კითხვის იმდენნაირად დასმა, რომ საკმაოდ ვიწრო მაგიდასთან მის პირისპირ მჯდომს, დამეუფლა შეგრძნება, თითქოს მკლავჭიდი გვქონდა გამართული... ვისაც სიტყვაძვირი და თვალმეტყველი მინისტრის გულის მოგება სურს, დამიკავშირდეს: 8(77) 45.68.61. ბატონი დავითი შემპირდა, რომ მის სახელზე მოსულ ყველა ბარათს გულისყურით გაეცნობა, ყველა ქალს კი, მუდმივი სილამაზე და უსაზღვრო ბედნიერება უსურვა... ■

ნათელმხილველ ნატაშა სკოროხოდოვას ამჯერად სტეფანეს, ნინო ბურჯანაძის, ლევან უჩანეიშვილის, გურამ აბსანძის ფოტოებით ხელში ვესტუმრეთ. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა პერიოდშია ფოტო გადაღებული, ფოტოსურათზე აღბეჭდილ ადამიანს გადაღების დროს როგორი გუნება-განწყობილება ჰქონდა და ა.შ. აქვე შეგახსენებთ რომ, რუბრიკას მხოლოდ გასართობი დანიშნულება აქვს. „გზის“ შემდეგ ნომერში კი ზურაბ ჟვანიას, ჯუმბერ პატიაშვილის, ეკა კახიანის და ნუცას სკოროხოდოვასეულ „პროგნოზებს“ შემოგთავაზებთ.



„ამის შესახებ საქართველოში დიდხანს იღაპარაკებენ...“

ლელა ჭანკოტაძე

„სტეფანე ესტრადიდან შეუმჩნევლად გაქრება“

— სტეფანე კეთილი, გულღია, სათნო ბუნების ადამიანია. მისი თვალები ისეთი სუფთაა და მრავლისმთქმელი, რომ შემიძლია მასზე დაუსრულებლად ვისაუბრო. მის თვალებში ბავშვობის ეპიზოდებიც კი ჩანს, თითქოს ამ ასაკიდან ჯერ არც კი გამოსულა. არც ერთ სხვა სურათზე ასეთი შინაგანი სიმშვიდე არ დამინახავს. ერთი შეხედვით ამბიციური და



რთული ხასიათის ყმაწვილია. სინამდვილეში წყნარია, სენტიმენტალური და ემოციური. გვერდით ყოველთვის უნდა ჰყავდეს ისეთი ადამიანი, რომელიც თავისი შესაძლებლობების რეალიზებაში დაეხმარება. დამოუკიდებლად საკუთარი თავის წარმოჩენა არ შეუძლია. ძლიერი პარტნიორის გვერდით კი წარმატება გარანტირებული აქვს.

— რა ელოდება?

— მისი ბუნებიდან გამომდინარე, ბევრი წყენა, ტკივილი და იმედგაცრუება ელის. მას შეცდომების აღიარება არ უყვარს. მიუხედავად იმისა, რომ შეცდომებს ხშირად უშვებს.

— შემოქმედებით ასპარეზზე წარმატება თუ ელის?

— ესტრადას მალე დატოვებს. ასე რომ, პოპულარობას გემოს ვერც გაუგებს. ის საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში წავა და დიდი ხნის განმავლობაში თბილისში აღარ დაბრუნდება. ასე რომ, მის ფანებს მასთან დამშვიდობება მოუწევთ.

— მისი ხასიათის დაფარული მხარე შეგიძლიათ დაგვისახელოთ?

— უიღბლოა და ამას თავადაც აცნობიერებს. ამიტომ სენტიმენტალურია და ხშირად დეპრესიაში ვარდება. ასეთ დროს, მისთვის საუკეთესო წამალი მეგობარი ქალის თანაგრძნობაა, რომელიც მას არასდროს აკლია.

— უახლოეს მომავალში რა ელოდება?

— ბევრი მეგობარი დაკარგა. უამრავ ადამიანთან გაწყვიტა ურთიერთობა. ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებს. ბევრი გეგმა აქვს.

„ფეთქებადი, მაგრამ ყოველთვის მობილიზებული და წინდახედულია“

— ნინო არაჩვეულებრივი ქალბატონია. რა უნდა გითხრათ მის შესახებ? სურათზე ჩანს, რომ ყველაფერი აქვს და მისი ოცნებების დიდი ნაწილი უკვე ახდენილია. ერთი შეხედვით, ძალიან ბედნიერი ქალია, მაგრამ სინამდვილე უფრო

მკაცრია და განსხვავებული.

— **რას გულისხმობთ?**

— ბევრი სამუშაო აქვს. ძალიან დაკავებულია, ამიტომ პირადი ცხოვრებისთვის ვერ იცლის. ქალური ოცნებები განზე რჩება. ალბათ, აღარც ახსოვს, ბოლოს როდის მისცა საკუთარ თავს განმუხტვის, გალაღების და დასვენების საშუალება.

— **პირად ცხოვრებაში სირთულეები აქვს?**

— ვერ ვიტყოდი, რომ იმედგაცრუებულია.

— **პოლიტიკაში წინსვლა ელოდება?**

— ვერ გეტყვით, მისგან ძალიან დიდი პოლიტიკოსი დადგება-მეთქი. იმ იმედებს, რომლებსაც მასზე ამყარებენ, ვერ გაამართლებს. მე ის ძალიან მიყვარს, ამიტომ ჩემთვის სასურველი იქნებოდა, თუ ის პრეზიდენტი გახდებოდა, მაგრამ ასე არ იქნება. მის დიდ პოლიტიკურ ოცნებას ახდენა არ უწერია.

— **არჩევნების შემდეგ როგორ წარიმართება მისი ცხოვრება?**

— არ ვიცი, რასთან დაკავშირებით, მაგრამ მას და სხვა პოლიტიკურ ლიდერებს სერიოზული დაპირისპირება ექნებათ, რის შემდეგაც ის, მცირედი პოლიტიკური თანამდებობით დაკმაყოფილდება. საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტი, ჯერჯერობით, არ გაუქმდება. ამ თანამდებობას მამაკაცი დაიკავებს. სამაგიეროდ, დიდი პოლიტიკური მომავალი აქვს ნინოს ვაჟიშვილს. ის ყველას იმედებს გაამართლებს. იმაზე მეტს შეძლებს, ვიდრე წარმოდგენა შეიძლება. ორივენი — დედა და შვილი დიდი ხნის განმავლობაში იმუშავებენ უცხოეთში, ერთ-ერთ პრესტიჟულ ორგანიზაციაში. ქალბატონი ნინო ბევრს იმოგზაურებს საზღვარგარეთ. უამრავ ქვეყანას მოივლის დიპლომატიური ვიზიტებით. შეიძლება, ის ჩვენი ელჩიც გახდეს რომელიმე დიდ ქვეყანაში.

— **პირად ცხოვრებაში ცვლილებები თუა მოსალოდნელი?**

— არა, არაფერი შეიცვლება. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ახლაა და როგორც წლების წინ იყო.

— **მისი ხასიათის დაფარული მხარე დაგვისახელეთ...**

— ფეთქებადი ხასიათი აქვს, მაგრამ თავის მართვა შესანიშნავად შეუძლია. მისი ყველა მოქმედება პოლიტიკოსის გონებით არის განპირობებული. გაუთვალისწინებელ ნაბიჯს არ დგამს, ახლობლებთან ურთიერთობაშიც კი, ყოველთვის მობილიზებულია და წინდახედული. ახლობლებს ძალიან უყვართ. მისი ოჯახის

მამაკაცები მას აღმერთებენ. ამ ქალს ძალიან კეთილშობილური სახე აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ცივი და ზვიადი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ახლობლები, ნაცნობები, ნათესავები მისით აღტაცებულები არიან, რადგან ის ყველას მიმართ გულისხმიერია. ცდილობს, ყველას იმის მიხედვით დაეხმაროს, რამდენსაც იმსახურებს. სოფელში ასეთ ქალზე ამბობენ: ავკარგიანიაო.

„ის ბოლომდე ჰოლივუდში დარჩება"

— ლევან უჩანეიშვილს საოცრად გაღაღლილი თვალები აქვს. მის თვალებში ბევრი ნერვიულობა, დაძაბულობა, ტკივილი და იმედგაცრუებაა. არ ვიცი, საიდან დაუგროვდა ამდენი სევდა და დარდი, მაგრამ მერწმუნეთ, ის ძალიან გადაღლილია. დეპრესია მის ცხოვრებაში იშვიათობა არ არის.

— **შეგიძლიათ დაასახელოთ ამ სევდის მიზეზი?**

— არ იფიქროთ, ეს მხოლოდ გადატვირთული სამუშაო დღის შედეგი იყოს. პირიქით, სამუშაო მას ამშვიდებს. ლევანს ცხოვრებაში ბევრი იმედგაცრუება შეხვდა. ეს სამსახურზეც ითქმის და პირად ცხოვრებაზეც.

— **სიყვარულში არ უმართლებს?**

— არა. შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ქალები, რომლებმაც ლევანის გულის დაპყრობა შეძლეს, მას გაექცნენ. ბევრჯერ ეტკინა გული, სხვათა შორის, გული ბევრ ქალსაც ატკინა...

— **მომავალში რა ელოდება?**

— ის ბოლომდე ჰოლივუდში დარჩება. ვარსკვლავი ვერ გახდება, მაგრამ დიდ წარმატებას ნამდვილად მიაღწევს. ძალიან ცნობილი კინორეჟისორი როლს მისცემს, ამის შესახებ საქართველოში დიდხანს ილაპარაკებენ.

— **დიდი სიყვარული თუ ელოდება?**

— რამდენიმე წლის შემდეგ, მის გვერდით მასზე უფროსი ქალი გამოჩნდება, რომელიც ლევანს ცხოვრების საუკეთესო პირობებს შეუქმნის. ისინი დაქორწინდებიან კიდეც.

— **რაიმე ჯილდოს, მაგალითად, „ოსკარს" ხომ არ მიიღებს?**

— არა, რადგან, ლევანმა თავისი „ოქროს როლი" უკვე ითამაშა.

„...ცოტათი სენტიმენტალურია"

— გურამ აბსანძის პოლიტიკური კარიერა აღმასვლით აღარ წავა. ის ბოლომდე პოლიტიკაში დარჩება. თუმცა ოცნებებს ვერ აიხდენს. მისი პარტია ხელისუფლებაში ვეღარ მოვა.

— **როგორი ბუნების ადამიანია? მისი ხასიათის თავისებურებებზე შეგიძლიათ ისაუბროთ?**

— თბილი, სიტყვაძვირი და საოცარი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანია. უყვარს, როცა ყველაფერი წესრიგშია. ახლომყოფებს პრობლემებს არასდროს უქმნის. კარგი ორგანიზატორია და მისგან შესანიშნავი პოლიტიკური მოღვაწე დადგებოდა. პრინციპებს არასდროს ღალატობს. ყოველთვის საკუთარი აზრის ერთგული რჩება. ბუნებით პატიოსანია. სულ გზაზეა: მიდის, მოდის... უსიამოვნებებსა და წინააღმდეგობებს აწყდება. იოლად არაფერი გამოსდის. ვერ ვიტყვი, რომ იღბლიანია და ღმერთი წყალობს. კარგი ოჯახი ჰყავს, სამი არაჩვეულებრივი შვილი და ერთგული მეუღლე. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ეს კაცი ოჯახზე ძალიანაა შეყვარებული. ცოლის ერთგულია და მგონი ღალატს გულში არც გაივლებს.

— **მისი ხასიათის უარყოფითი მხარეებიც შეგიძლიათ გაგვიმხილოთ?**

— ცოტათი სენტიმენტალურია.

■

რამდენიმე დღის წინ იმ ადამიანს ვესტუმრე, ვინც სტალინის შვილს ქართული ენა ასწავლა. ეს 1978 წელს მოხდა, მაშინ, როცა სვეტლანა ალილუევა ინგლისიდან თბილისში ჩამოვიდა. მისი პედაგოგი ნანი ჭანიშვილი იყო. ქალბატონი ნანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტია, მუშაობს თანამედროვე ქართული ენის კათედრაზე, არის თსუ-ის ცენტრის „ენა, ლოგიკა, მეტყველების“ კათედრის გამგე. ის ქართულ ენას ასწავლის უცხოელებს. მის მოსწავლეებს შორის უამრავი ცნობილი მეცნიერი და ქართველოლოგია.

ნათია გუმბერიძე

ნანი ჭანიშვილი შვედ ასპირანტთან ერთად, რომელიც ორ კვირაში ქართულად ალაპარაკდა

ჩატომ გაიწყვიტა სტალინის ქალიშვილმა ქართული ენის შესწავლა

რა აკავშირებდა სვეტლანა ალილუევას ბორის წიფურიასთან

— ქალბატონო ნანი, შეგიძლიათ მიახლოებით დაასახელოთ, რამდენ ადამიანს შეასწავლეთ ქართული ენა?

— ზუსტი რაოდენობის დასახელება ძალიან გამიჭირდება. ოცდაათ წელზე მეტია, რაც უნივერსიტეტში ვმუშაობ. ჩემი ყველა სტუდენტი რომ გავიხსენო, ალბათ, ძალიან დიდი რიცხვი გამოვა. ისე კი, ყველაზე იოლად ქართულ ენას რუსული სექტორის ფიზიკოსები სწავლობენ.

— რთულია უცხოელებისთვის ქართული ენის შესწავლა?

— ძალიან რთულია. წარმოიდგინეთ, ქართული ზმნის ძირს დაახლოებით 3000 ფორმა აქვს, ზოგიერთი ზმნის ძირს — 1000 ან 1500. ქართული ენის თავისებურება ისიცაა, რომ უცხოელებს ხმოვნების გამოთქმა უჭირთ. ხმოვანთა წარმოთქმისას, ჩვენ პირს ფართოდ ვაღებთ, მაშინ როცა რუსულ ენას სამჯერ გადაუარა პალატიზაციის, ანუ დავიწროების პროცესმა და ცოტა ხანში საუბრის დროს, საერთოდ აღარ გააღებენ პირს. დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელს. შეიძლება ადამიანი არ იყოს დიდი მეცნიერი, მაგრამ იყოს კარგი მასწავლებელი. მაგალითად, ნილს ბორი, რომელიც გენიალური მეცნიერი გახლდათ, იმდენად ცუდი ლექტორი იყო, რომ სტუდენტებმა რამდენჯერმე აუდიტორიიდან გააგდეს. ასევე შესანიშნავი მეცნიერი იყო მათემატიკოსი კოლმოგოროვი, მაგრამ ლექტორად არ ვარგოდა. ერთი სიტყვით, უამრავი მაგალითის ჩამოთვლა შეიძლება. პირადად მე, დიდი დრო მოვანდომე მეთოდიკის შემუშავებას, რათა შემდგომში უცხოელებისთვის ჩვენი ენის შესწავლა გამეადვილებინა.

— ალბათ, განსაკუთრებული ნიჭის მოსწავლეებიც გეყოლებოდათ?

— ორ ამერიკელ გოგონას ვასწავლე ქართული ენა, ერთი ახლა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში ასწავლის, მეორე კი, ვალდერფილდის უნივერსიტეტში. ძალიან კარგი ენათმეცნიერები არიან. მათ საქართველოს შესახებ წიგნებიც დაწერეს. უნდა გამოვყო ინგლისელი მეცნიერი დევიდ ბრაუნი, რომელმაც დაწერა წიგნი „საქართველო ანტიკურ ხანაში“. წიგნის შესავალში მან ასეთი აზრი გამოთქვა: ერთმა ადამიანმა მეორეს ყველაზე ძვირფასი რაც შეიძლება აჩუქოს, ეს არის ენის ცოდნა. ქალბატონმა ნანიმ მე ეს მაჩუქა. ჩემი მოსწავლე იყო ცნობილი ქართველოლოგი ლუიჯი მაგარეტო, მან იტალიურად თარგმნა ვაჟა-ფშაველას სამი პოემა: „გველისმჭამელი“, „სტუმარ-მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“.

— რა დროს ანდომებენ უცხოელები ქართული ენის შესწავლას?

— ეს მთლიანად იმ პიროვნების ნიჭზეა დამოკიდებული, რომლიც ენის შესწავლას გადაწყვეტს. მე მყავდა შვედი ასპირანტი, რომელიც ორ კვირაში ალაპარაკდა ქართულად. ვინც რთულად ითვისებს უცხო ენას, მას 5-6 თვე სჭირდება იმისთვის, რომ ქართულად ალაპარაკდეს. მაგრამ საშუალო ნიჭის ადამიანი სამეტყველო ქართულს 3-4 თვეში სწავლობს. ოღონდ აუცილებელია, ქართულ გარემოში იმყოფებოდეს და დღეში 4-5 სთ-ს მეცადინეობდეს.

— ცნობილია, რომ სტალინის შვილს თქვენ ასწავლეთ ქართული ენა. ალბათ, ეს შემთხვევა თქვენს პრაქტიკაში განსაკუთრებულია...

— დიახ, სვეტლანა ალილუევას ვასწავლე ქართული. ის ოთხჯერ იყო გათხოვილი. მისი პირველი ქმარი გახლდათ გვარად მოროზი, მისგან ჰყავდა ვაჟი, მეორე ქმარი იყო ჟდანოვი, რომლისგანაც სვეტლანამ გოგონა გააჩინა. ის ახლა ვულკანოლოგია და კამჩატკაზე ცხოვრობს. მესამე ქორწინებისას შვილი არ გაუჩენია. მეოთხედ ამერიკელ არქიტექტორზე გათხოვდა. მასთან შეეძინა გოგონა, რომელიც თბილისში ჩამოიყვანა.

— თქვენ როგორ დაგიკავშირდათ? როგორ გახდით მისი მასწავლებელი?

— მე ხომ ქართული ენის კათედრაზე ვმუშაობ. ჩვენი კათედრის გამგემ, ცნობილმა მეცნიერმა, შოთა ძიძიგურმა დამირეკა და მითხრა: ცენტრალური კომიტეტიდან გირეკავ, სტალინის შვილს ქართული ენა უნდა ასწავლოო. მაშინ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ედუარდ შევარდნაძე იყო. ბატონმა შოთამ ამიხსნა — ისეთი რთული და დელიკატური საქმეა, სხვას

ვერავის ვანდობ, თანაც საშარია, რადგან სვეტლანა უმძიმესი ხასიათის ქალიაო...

— მართლაც ასეთი აღმოჩნდა სტალინის ქალიშვილი?

— წარმოიდგინეთ, რამდენი კომპლექსი ექნებოდა... მამამისი ძალიან უყვარდა, მაგრამ ფეხის ხმას აყოლილს სჯეროდა, რომ სტალინი ტირანი იყო. საერთოდ არ იცოდა ქართულად წერა-კითხვა. შევარდნაძეს უკითხავს: საქართველოში უამრავი რუსი ცხოვრობს, რომელმაც ქართული არ იცის, რად გინდა ქართული ენის შესწავლაო? სვეტლანა შეწუხებულა: როგორ გამიბედა ამის თქმა, მე ხომ რუსი არა ვარო. უკვე ასაკიანი ქალი იყო. 59 წელი საქართველოში შეუსრულდა. ძალიან უნდოდა ქართული ენის შესწავლა და გულმოდგინედაც მეცადინეობდა. შემიძლია გითხრათ, რომ ღმერთის სწამდა, თუმცა მორწმუნე მამამისიც იყო. სტალინმა ხომ ბოლო სიტყვა „ღმერთოო", — თქვა. სვეტლანას ჩვენი რელიგიის ისტორია ძალიან აინტერესებდა. ხშირად საეკლესიო ტექსტებსაც კითხულობდა. სხვათა შორის, ასეთი რამ მიამბო: ინგლისში რაღაც ძალამ ჩამძახა, აუცილებლად წადი შენს სამშობლოშიო. ჩამოვედი მოსკოვში, ეს ხმა იქაც ჩამესმა. ახლა აქ ვარ და ვიცი, ეს არის ჩემი სამშობლო.

— სვეტლანასთვის არსებობდა თუ არა მატერიალური ფასეულობები?

— ცენტრალური კომიტეტის თანამშრომლებს ჰქონდათ სპეციალიზებული მაღაზიები, სადაც საუკეთესო ავეჯი და სხვა ნივთები იყიდებოდა. შესთავაზეს: რასაც აირჩევთ, მოგართმევთო. იჩხუბა და შეურაცხყოფად მიიღო, რას ნიშნავს სპეციალიზებული მაღაზია? რატომ უნდა წავიდე განსხვავებულ მაღაზიაშიო?! მე მინდა ისე ვიცხოვრო, როგორც ყველა ცხოვრობსო, — განაცხადა. ასე რომ, მისთვის მატერიალური ფასეულობები არ არსებობდა. წარმოუდგენელი იყო, რომ დახურულ მაღაზიაში შესულიყო, რადგან აბსოლუტური თანასწორობის იდეით იყო გაზრდილი. წარმოიდგინეთ, სკოლაში საზოგადოებრივი ტრანსპორტით დადიოდნენ — სტალინის შვილები ტროლეიბუსით მგზავრობდნენ. თურმე მასწავლებლებმა არც იცოდნენ, რომ ისინი სტალინის შვილები იყვნენ. ძალიან ცელქი ბავშვი ყოფილა სვეტლანა. ერთ დღეს მასწავლებელს მისთვის უთქვამს, ხვალ დედას თუ არ მოიყვან, სკოლაში არ დაგიშვებო. დედა არ მყავსო, — უპასუხია სვეტლანას. მას დედა ადრე გარდაეცვალა. მაშინ მამაშენი მოვიდესო — მოუთხოვია. საღამოს ამ მასწავლებლისთვის სტალინს დაურეკავს: სვეტლანას მამა ვარ, რაზე მიბარებთო? როგორ შეიძლება ასეთი უყურადღებობა, ერთხელ არ მოაკითხავთ შვილებს სკოლაში, არ გაინტერესებთ, რას აკეთებენო, — უსაყვედურია თურმე მასწავლებელს. მე ისეთი სამსახური მაქვს, ვერ მოვალ, მანქანას გამოგიგზავნით და თქვენ მობრძანდითო, — შეუთავაზებია სტალინს. მეორე დღეს მანქანით მასწავლებელი კრემლში რომ მიიყვანეს და პირდაპირ სტალინთან შეიყვანეს, გული წაუვიდა თურმე... ისიც ვიცი, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს ეკონომიურად ძალიან უჭირდათ. სტალინმა ხომ თავის ოჯახს არაფერი დაუტოვა — არც ბინა, არც ფული და არც აგარაკები. ყოველივე ეს იყო იმის მიზეზი, რომ სხვა ადამიანებთან აბსოლუტური თანასწორობის შეგრძნება ერთ-ერთი პრიორიტეტული იყო მის პიროვნებაში.

— ეი. თქვენ ერთმანეთს დაუახლოვდით?

— არა, თუმცა კარგად გავუგეთ ერთმანეთს და ბევრი რამეც მიამბო. დაახლოება კი ძნელი იქნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი ზღვარი იყო. როგორც გითხარით, სვეტლანას 59 წელი საქართველოში შეუსრულდა, მე კი ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. გარდა ასაკისა, მეშინოდა მასთან ურთიერთობის. ამის თაობაზე არავის გავუფრთხილებივარ, მაგრამ შესაძლებელია, ჩემს ყველა ვიზიტს სტალინის შვილთან ფარული კამერით იღებდნენ ან იწერდნენ.

— სად ცხოვრობდა, ვის სახლში?

— იმ სახლში ცხოვრობდა, სადაც სოლიკო ხაბეიშვილი და ნუგზარ საჯაია ცხოვრობდნენ. მაშინ ხომ სახელმწიფო თავის მოქალაქეებს ბინებს აძლევდა. სვეტლანასაც გამოუყვეს ჩვეულებრივი, სამოთახიანი ბინა, არაფრით გამორჩეული ავეჯით.

— სახლში მამის სურათები თუ ჰქონდა?

— უამრავი ფოტო ჰქონდა. კედლები სულ აჭრელებული იყო. სხვათა შორის, მაჩვენა წერილი, რომელსაც სათუთად ინახავდა, ის თურმე მამამისს მისთვის სოჭში გაუგზავნია. „სვეტლანა, ხაზაიუშკა, გიგზავნი 25 ცალ ატამს. ოცი — შენ, ხუთი ვასილს, იმიტომ რომ ის კარგად არ სწავლობს" — სწერდა სტალინი. ბუნებრივია, სვეტლანას ძალიან უყვარდა მამა, მაგრამ ამავე დროს უპირისპირდებოდა მას. უნდოდა, დამოუკიდებელი ყოფილიყო. ეს აკვიატებული სურვილი კი ისეთ კომპლექსად ექცა, რომ მამას აღარ უჯერებდა. ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც თვითონ სურდა.

— გარეგნულად თუ ჰგავდა მამას?

— გარეგნობით ტიპური რუსი ქალი იყო. ძალიან ღია ფერის თვალები ჰქონდა და წითური თმა. ძალიან ჯანმრთელი და ენერგიული გახლდათ. გოგონა, რომელიც თბილისში ჰყავდა ჩამოყვანილი, 45 წლის ასაკში გააჩინა. მე რომ გავიცანი, ისე ყოჩაღად გამოიყურებოდა, მგონი სიამოვნებით გათხოვდებოდა მეხუთედ. სხვათა შორის,

სვეტლანას ძალიან უყვარდა მამა, მაგრამ ამავე დროს უპირისპირდებოდა მას

ბორის წიფურიას უნდოდა მისი ცოლად შერთვა. არც სვეტლანა იყო უარზე.

— გამოდის, რომ წიფურიამ არ იაქტიურა?

— დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ის კი ვიცი, რომ რომანი ჰქონდათ.

— სადმე თუ მიჰყვებოდით, საზოგადოებაში ერთად ჩნდებოდით?

— მე ვარ პირველი, ვინც სვეტლანა ეკლესიაში წაიყვანა. დეპრესიაში იყო, მითხრა, ცუდად ვარ, ისეთი ადამიანი მჭირდება, ვინც მომისმენს, თანაც გარანტია მექნება, რომ არც უშიშროების ორგანოების მოგზავნილი იქნება და არც არავის ეტყვის, რასაც მე მოვუყვებიო. ეგეთი მთელ საქართველოში ერთადერთი ადამიანია-მეთქი, ვუპასუხე და კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან წავიყვანე. ტაქსით არ წამომყვა, ტროლეიბუსით წავედით მაშინდელ ლენინის მოედნამდე, იქიდან კი ფეხით მივედით სიონამდე. წირვის დროს მიუახლოვდა უწმინდესს და შეხვედრა სთხოვა. კათოლიკოსმა მეორე დღესვე მიიღო. მე კი ცენტრალური კომიტეტიდან დამირეკეს და მითხრეს, მეორედ აღარ წაიყვანო ეკლესიაშიო... ედუარდ შევარდნაძემ შემომითვალა, ამ ფაქტის გამო უსიამოვნება არ შეგემთხვეთო... რა თქმა უნდა, ძალიან შემეშინდა.

— რამდენი ხანი დაყო საქართველოში?

— საქართველოში ერთი წელიც არ ყოფილა. მეტხანს ვეღარ გაჩერდა. ქართული წერა-კითხვა ისწავლა. გაცილებით ადვილად აითვისა ქართული ენა მისმა ქალიშვილმა. მე ვასწავლე ქართული ნოე ჟოდანიას შვილიშვილსაც. ნიკოლ ჟორდანია, არაჩვეულებრივი, ძალიან ლამაზი გოგონაა, ქართველზე გათხოვდა. რომ ჩამოვიდა, ამბობდა, ვერასდროს ვისწავლი ქართულსო, მაგრამ კარგადაც ისწავლა და დისერტაციაც დაწერა ქართული კულტურის განვითარებაში ქალების როლზე, XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში. ■

18 წლის ბიჭი 27 ლარისთვის განირეს

განსასჯელი თავს დამნაშავედ არ ცნობს

სისხლის სამართლის საქმე, რომელიც შარშან გურჯაანის რაიონის პროკურატურაში აღიძრა, 18 წლის ნოდარ კვეზერელის მკვლელობას ეხება. მკვლელობა, როგორც ამბობენ, განსაკუთრებული სისასტიკითაა ჩადენილი. გამოძიების მასალების თანახმად, დამნაშავემ ანგარიშსწორებისას დანა გამოიყენა, ნოდარს სხეულის სხვადასხვა ადგილას ცხრა ჭრილობა მიაყენა, ბოლოს კი, ყელი გამოსჭრა. ნოდარ კვეზერელის ყელგამოჭრილი გვამი თანასოფლელებმა მკვლელობიდან მესამე დღეს, მიტოვებულ პურის საცხობში იპოვეს.

სოფელ ველისციხის მოსახლეობამ კარგა ხანს არ იცოდა, ვინ ჩაიდინა ეს შემზარავი დანაშაული და რას შეეწირა 18 წლის ბიჭის სიცოცხლე. ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არც გარდაცვლილის ოჯახის წევრებს ჰქონდათ. იცოდნენ მხოლოდ ის, რომ 2002 წლის 19 ნოემბერს, რამდენიმე ადამიანმა ნოდარი უკანასკნელად ორ მეზობელ ბიჭთან ერთად დაინახა. გამოძიებამაც ეჭვი სწორედ მათზე მიიტანა.

20 წლის გიორგი აბესაძე და მისი თანატოლი ზურაბ მარტიაშვილი იმ დღეს დაახლოებით 19 საათზე შეხვდნენ ერთმანეთს ველისციხის ცენტრში. ამბობენ, რომ ნოდართან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ. პროკურატურის ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, გიორგი აბესაძე სოფელში მაინცდამაინც კარგი რეპუტაციით არ სარგებლობდა. ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, იმ დროისთვის იგი ნასამართლევი და სასჯელმოხდილიც გახლდათ. ამაყობდა, შავ სამყაროსთან კავშირით და იმით, რომ 18 წლის ასაკში უკვე ნაციხარის სახელი ჰქონდა. ამიტომაც მეზობლად მცხოვრებ თანატოლ ბიჭებს თავს არ უყადრებდა და გამუდმებით ცდილობდა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია ისინი. აბესაძის ოჯახის წევრები ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ.

შეხვედრისას გიორგი აბესაძემ ზურაბ მარტიაშვილს სიგარეტი მოსთხოვა. ამ უკანასკნელმა უყოყმანოდ მიაწოდა, თუმცა აბესაძემ ეს არ იკმარა და 5 ლარი მოითხოვა მისგან. მარტიაშვილს ფული არ ჰქონდა, რადგან რამდენიმე წუთის წინ ნოდარ კვეზერელს დაუბრუნა ვალი – 27 ლარი. მან ამის შესახებ აბესაძეს უთხრა. ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ ის 27 ლარი გახდა იმ საშინელების მიზეზი, რაც 19 ნოემბრის საღამოს პურის საცხობში დატრიალდა.

მოკლული ნოდარ კვეზერელი

გამოძიების მასალების თანახმად, აბესაძესთან საუბრის შემდეგ ზურაბ მარტიაშვილი შინ მივიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა და კვლავ ქუჩაში გავიდა. იქ ნოდარ კვეზერელს შეხვდა და მასთან ერთად მოშორებით, წყლის დასალევად წავიდა. ცოტა ხანში მათ გიორგი აბესაძე მიუახლოვდა. მან მაშინვე ნოდარს მიმართა – 5 ლარი მჭირდება და მომეციო. ნოდარმა უარი უთხრა, ამას კი, მასა და აბესაძეს შორის კამათი მოჰყვა. კვეზერელის დაუმორჩილებლობით განაწყენებულმა და გაბრაზებულმა აბესაძემ იგი სოფლის ბოლოში, საქმის გასარჩევად დაიბარა. შეხვედრა მიტოვებულ პურის საცხობთან დათქვეს.

მოგვიანებით, სამივენი აღნიშნულ ადგილას მივიდნენ. გიორგიმ ბიჭები პურის საცხობში შეიყვანა და კვლავ სცადა ნოდარისთვის ფულის გამოძალვა, მაგრამ ამჯერადაც უარი მიიღო. მათ საუბარში ზურაბ მარტიაშვილი ჩაერთო, აბესაძეს ურჩია, თავი გაენებებინა კვეზერელისთვის. გაბრაზებული აბესაძე მიუბრუნდა მას და მუქარით აიძულა გაჩუმებულიყო და მის პირად საქმეებში არ ჩარეულიყო. შემდეგ ნოდარი დერეფნისკენ წაიყვანა, უკანასკნელად გაუმეორა მოთხოვნა, მორიგი უარის მიღებისთანავე კი, ჯიბიდან დასაკეცი დანა ამოიღო და გულმკერდის არეში რამდენჯერმე ჩაარტყა. ბოლოს, ყელში გამოუსვა დანა და როცა ნოდარი ძირს დავარდა, კეფასა და გულმკერდის უკანა ზედაპირზე კიდევ რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიაყენა. მომაკვდავს ჯიბიდან 27 ლარი ამოაცალა და იქვე მდგომ მარტიაშვილს მიუბრუნდა: გააფრთხილა, მომხდარის შესახებ არავისთვის არაფერი ეთქვა, თორემ მასაც კვეზერელის გზას გაუყენებდა. ამის შემდეგ იქაურობა ორივემ დატოვა. აბესაძე შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

უცნაურად გაუჩინარებულ ნოდარ კვეზერელს იმ საღამოს ოჯახის წევრები ამაოდ ეძებდნენ.

ელგუჯა კვეზერელი, მოკლულის მამა:

„დაახლოებით 5 საათი იქნებოდა, როცა მანქანით ცოლს სამსახურში მივაკითხე, შინ უნდა წამეყვანა. სოფლის ბირჟასთან ჩემი მეორე ვაჟიშვილი – ნუკრი დავინახე. ის და ნოდარი ტყუპი ძმები იყვნენ. ნოდარი არსად ჩანდა. სახლში რომ დავბრუნდი, არც იქ დამხვდა. ვიფიქრე, ალბათ თანატოლებთან ერთად არის-მეთქი. ღამის 2 საათზე გამეღვიძა. მოვიკითხე და ისევ არ იყო შინ. გამიკვირდა და გადავწყვიტე, მეზობელთან – რამაზ გარსევანიშვილთან მივსულიყავი. რატომღაც ვიფიქრე, რომ იქ დარჩა ღამის გასათევად. არც იქ დამხვდა. მთელი ღამე ისე გავიდა, რომ არ გამოჩენილა. დილიდანვე დავიწყე მისი ძებნა, ჯერ კომისარიატში, მერე ჩემს ქალიშვილთან – ჟანასთან – ახმეტაში. ვერსად ვიპოვე.

ამასობაში მეორე დღეც გავიდა. ნუკრიმ მითხრა, იმ დღეს, როცა ნოდარი დაიკარგა, ზურაბ მარტიაშვილმა მას ვალი – 27 ლარი დაუბრუნაო. მაშინვე მარტიაშვილს მივაკითხეთ. მან ფულის დაბრუნების ფაქტი დაგვიდასტურა, მაგრამ თქვა, რომ ნოდარის ადგილსამყოფლის შესახებ არაფერი იცოდა. იმავე დღეს, 21 ნოემბერს, ერთ-ერთი თანასოფლელი ბავშვი შემთხვევით პურის საცხობის შენობაში შესულა და მაშინვე ყვირილით გამოვარდნილა იქიდან. შეშინებული ყვიროდა თურმე: იატაკზე ადამიანის ფეხები დავინახეო. მაშინვე გადაუმოწმებიათ... იქ რომ მივედი, ჩემი შვილი მკვდარი დამხვდა...“

შემთხვევის ადგილას პოლიცია და ექსპერტები მივიდნენ. გვამს 10 ჭრილობა აღმოაჩნდა, აქედან 6 სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხს განეკუთვნებოდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ყველა ჭრილობა სიცოცხლის დროინდელი იყო, სიკვდილის უშუალო მიზეზი კი, კისრის არესა და გულის პარკუჭში მიღებული დაზიანებების შედეგად გამოწვეული მწვავე სისხლნაკლებობა გახდა. ექსპერტთა თქმით, ნოდარ კვეზერელი ჭრილობების მიღებიდან დაახლოებით 10-15 წუთში გარდაიცვლებოდა, მისი გადარჩენა კი თუნდაც დროული სამედიცინო დახმარე-

ბის შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა.

ელგუჯა კვეზერელი:

„რამდენიმე დღეში გაირკვა, რომ ჩემი შვილი თანასოფლელმა გიორგი აბესაძემ მოკლა. ყველაფერი კი თურმე, იმ 27 ლარის გამო მოხდა. გამოძიებისგან განსხვავებით, მომხდართან დაკავშირებით სხვა ვერსია მაქვს. ვფიქრობ, რომ ნოდარის მკვლელობაში ზურაბ მარტიაშვილი არანაკლებაა დამნაშავე. უფრო მეტიც, ჩემი ვარაუდით, მკვლელობა აბესაძეს სწორედ მან შეუკვეთა. როგორც ჩანს, არ უნდოდა ნოდარისთვის ვალის გადახდა, როცა იძულებული გახდა, გადაწყვიტა ფული ამ გზით დაებრუნებინა.

თუ დამნაშავე არ იყო, რატომ მალავდა ჩემი შვილის ადგილსამყოფელს? რატომ არ თქვა, რა შეემთხვა, როცა ორი დღის მანძილზე უიმედოდ ვეძებდით ბავშვს?..“

ნოდარ მიკიტაშვილი, მოწმე:

„აბესაძესაც და მარტიაშვილსაც ვიცნობ. ჩემი თანასოფლელები არიან. ნოდარი რომ დაიკარგა, ორი დღის მანძილზე თითქმის მთელი სოფელი ვეძებდით. მარტიაშვილი სულ უკან დაგვდევდა. აინტერესებდა, რას ვიტყოდით. ცალკე გავიხმე და ვთხოვე, რამე თუ იცი, მითხარი-მეთქი, მაგრამ არაფერი მითხრა...“

საბოლოოდ, ზურაბ მარტიაშვილმა პროკურატურას გიორგი აბესაძის მამხილებელი ჩვენება მისცა. პოლიციამ ორივე მათგანი დააკავა. აბესაძემ თავდაპირველად სამართალდამცავების წინაშე ყველაფერი აღიარა, თუმცა მოგვიანებით ჩვენება უარყო და დასძინა, რომ აღიარება პოლიციის ზეწოლით დაწერა. პროკურატურის ბრალდებას აბესაძის ოჯახის წევრები და ახლობლები კატეგორიულად უარყოფენ. მათი თქმით, გიორგი იმ საღამოს შემთხვევის ადგილას არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან სწორედ შვიდიდან ათ საათამდე ნათესავი გოგონას სახლში იმყოფებოდა. ეს გოგონა იმავე სოფელში მცხოვრები თამუნა კვერნაძე გახლავთ. აბესაძის ახლობელთა სიტყვები მან სასამართლოს წინაშე დაადასტურა.

თამუნა კვერნაძე:

„გიორგი აბესაძე ჩემი მამიდაშვილია. 19 ნოემბერს, საღამოს 7 საათი იქნებოდა, როცა ჩემთან სახლში მოვიდა. მე ფოსტაში, შემდეგ კი აფთიაქში უნდა წავსულიყავი და ვთხოვე გამყოლოდა. ფოსტაში რომ მივედით, გიორგის ნოდარ კვეზერელის დედა შეხვდა. მიესალმა, იმ ქალმა კი უთხრა – ჩემი ქალიშვილი – ჟანა გათხოვდაო. გიორგიმ მიულოცა და დაემშვიდობა. როცა შინ დავბრუნდით, უკვე ბნელოდა. მე ყავა მოვადუღე და გიორგისთან ერთად კარგა ხანს ვისაუბრე, დაახლოებით 10 საათი იქნებოდა, როცა წასვლა დააპირა. მე და დედაჩემმა გავაცილეთ. დავინახეთ კიდეც, როგორ შევიდა სახლში“...

პროკურორი განსასჯელის ვერსიას ალიბის შესახებ არ ითვალისწინებს. ბრალმდებლის თქმით, შესაძლოა, იმ საღამოს აბესაძე ნათესავთან ერთად ფოსტაში მართლაც იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე პურის საცხობში არ ყოფილა. *„მით უმეტეს, როცა მოწმე კვერნაძე ზუსტ დროს არ ასახელებს. აღნიშნავს, რომ აბესაძე მასთან 7 საათზე ან 8-ის ნახევარზე მივიდა“*, – აცხადებს პროკურორი.

მომხდართან დაკავშირებით, ამჟამად სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. დაზარალებული მხარე აბესაძისა და მარტიაშვილის უმკაცრესად დასჯას მოითხოვს, განსასჯელთა კი, სასამართლოსგან გამართლებას ითხოვს. ■

ყაჩაღები მზესუმზირით მოვაჭრეს დაესხნენ თავს

საწოლზე მიბმული სახლის პატრონი ცემით მოკლეს

1967 წელს დაბადებულ გოჩა მათიაშვილს უზენაეს სასამართლოში რამდენიმე მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ასამართლებენ. პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალდებებიდან ყველაზე საშინელი ორი წლის წინ ჩადენილი მკვლელობაა. ამ დანაშაულში მათიაშვილმა, როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, ოთხ ადამიანთან ერთად მიიღო მონაწილეობა. ის პირები აღნიშნულ მკვლელობასთან დაკავშირებით, ადრე გაასამართლეს და მათიაშვილის ბრალდების საქმეზე, ამჟამად მხოლოდ მოწმის სახით იკითხებიან.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2001 წლის 9 მაისს საგარეჯოელები – ვასილ კუპატაძე, დიმიტრი კუპატაძე, თამაზ აბესაძე და ვაჟა ჯავახიშვილი გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბანში სტუმრად იმყოფებოდნენ. ისინი სწორედ ზემოთ ხსენებული გოჩა მათიაშვილის ოჯახში ქეიფობდნენ. შეზარხოშებულებმა მოგვიანებით გურჯაანში მდებარე რესტორან „ნაკადულში“ გადაინაცვლეს და ქეიფი იქ განაგრძეს. დაახლოებით 10 საათისთვის იქიდანაც წავიდნენ და მახლობლად, ავტოინსპექციის საგუშაგოსთან გაჩერდნენ. გამოელაპარაკნენ ადგილობრივ ნოდარ იასეშვილს, რომელმაც მათ „სარფიანი“ წინადადება – კერძოდ, ერთ-ერთ მეზობელზე ყაჩაღური თავდასხმა შესთავაზა. იასეშვილის თქმით, მისმა მეზობელმა – ივანე კუდინოვმა წინა დღეებში მზესუმზირა გაყიდა და სავარაუდოდ, სახლში ნავაჭრი ფული ჰქონდა. მან ამიტომაც შესთავაზა მეგობრებს, დაეყაჩაღებინათ კუდინოვი, ფული და სხვა ნივთები კი, ერთმანეთში გაენაწილებინათ. იასეშვილის წინადადება ყველამ მოიწონა.

იქიდან პირდაპირ გოჩა მათიაშვილის სახლში წავიდნენ. მათიაშვილმა შინიდან თოკი გამოიტანა, ავტომატიც შეიარაღდნენ და ნოდარ იასეშვილის კუთვნილ „მოსკვიჩში“ ჩასხდნენ. კუდინოვის სახლთან შეჩერდნენ, იასეშვილი მანქანაში დარჩა, ვაჟა ჯავახიშვილი, თამაზ აბესაძე, დიმიტრი კუპატაძე, გოჩა მათიაშვილი და ვასილ კუპატაძე კი სახლში შევიდნენ. სახლის პატრონს მეორე სართულზე საძინებელ ოთახში ეძინა. მათიაშვილი მძინარე კუდინოვს თავზე დაადგა და ხელ-ფეხი შეუკრა, შემდეგ თოკით საწოლზე მიაბა. ახალგაღვიძებული და შეშინებული კუდინოვი კითხულობდა, რა ხდებოდა, მაგრამ პასუხად მათიაშვილი მას მხოლოდ სცემდა და აგინებდა. თან ფულის ადგილსამყოფლის დასახელებას სთხოვდა. დანარჩენები ფულს და ძვირფას ნივთებს სხვა ოთახებში ეძებდნენ, თუმცა ვერაფერს პოულობდნენ. კუდინოვი იძახდა,

რომ ფული არ ჰქონდა. თავდამსხმელებმა ბინიდან მხოლოდ 30 ლარი, ნახმარი ფეხსაცმელი და 10 ლარის შაქარი წაიღეს. მათიაშვილმა კუდინოვი ცემით სიკვდილის პირას მიიყვანა. ამ უკანასკნელმა ქალაქვინის დახურული ტრავმა მიიღო და ადგილზევე გარდაიცვალა. ბოროტმოქმედები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მკვლელობიდან მესამე დღეს, იასეშვილი მათიაშვილთან მივიდა და უთხრა, რომ კუდინოვი მკვდარი იყო. პოლიციის მიერ დაკავებულმა მათიაშვილმა თავდაპირველად განაცხადა, რომ კუდინოვს ყველა ერთად სცემდა, თუმცა მოგვიანებით ჩვენება შეცვალა და ცემისა და ყაჩაღობის ნაწილში აღიარებითი ჩვენება პოლიციის ზეწოლას მიაწერა.

2003 წლის 14 აგვისტოს მას საბოლოო ბრალდება წარუდგინეს. დაკითხვის დროს, მათიაშვილმა თავი დამნაშავედ არ ცნო. *„მართალია, 2001 წლის 9 მაისს ჩემთან სტუმრად ჯავახიშვილი, კუპატაძეები და აბესაძე იყვნენ, შევთანხმდით კიდეც კუდინოვის დაყაჩაღების თაობაზე, მაგრამ მე მათ არ გავყოლივარ. არც ფული ამიღია ამ საქმიდან და საერთოდ, ყაჩაღობის შემდეგ, სად წავიდნენ ჯავახიშვილი და დანარჩენები, არ ვიცი. პირადად მე, არც ყაჩაღობა ჩამიდენია და არც მკვლელობა“,* — აღნიშნა მათიაშვილმა ჩვენებისას. მას დღესაც ეს პოზიცია უჭირავს. რაც შეეხება დანაშაულში თანამონაწილეებს, წინასწარი გამოძიებისას მათ ყველაფერი დაადასტურეს და მოვლენები ზუსტად ისე აღწერეს, როგორც ეს საბრალდებო დასკვნაშია დაფიქსირებული.

დაზარალებული ობიექტურ სასამართლო განაჩენსა და დამნაშავის მკაცრად დასჯას მოითხოვს.

მარია კუდინოვა, მოკლულის და:

„ჩემი ძმა უკანასკნელად სწორედ მკვლელობის დღეს — 9 მაისს ვნახე. მეორე დღეს არ გამოჩნდა და გამიკვირდა. 11 მაისს მასთან მეზობელი ანდრეი გავგზავნე, რათა გაეგო, შინ იყო თუ არა ჩემი ძმა. ანდრეისგან შევიტყვე, რომ ივანე მკვდარი იყო. მაშინვე ძმის სახლში წავედი. ყველაფერი აყრილ-დაყრილი დამხვდა, ივანე რკინის საწოლზე საცვლების ამარა იწვა, ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა და საწოლზე მიბმულიც იყო. ძალადობის ნიშნები ემჩნეოდა, აშკარად ეტყობოდა, რომ ვიღაცამ სასტიკად სცემა.“

ადვოკატ ქალს თაღლითობისთვის ასამართლებენ

შინაპატიმრობაში მყოფი ცხადაძე სასამართლოში არ ცხადდება

თაღლითობაში ბრალდებული ადვოკატი მაია ცხადაძე ამ დღეებში უზენაესი სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს. იგი ამჟამად შინაპატიმრობაში იმყოფება, თუმცა შესაძლოა, გაწეული შეღავათი სულ მალე ისევ საპატიმროში ყოფნით შეიცვალოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მომავალ ორშაბათს ცხადაძე სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება.

აღსანიშნავია, რომ მაია ცხადაძე წარსულშიც ნასამართლევია. ოფიციალური ცნობით, 1985 წლიდან იგი თერჯოლის რაიონის მოქალაქეთა რეგისტრაციის განყოფილების გამგედ მუშაობდა. 1995 წელს კი რამდენიმე ყალბი დოკუმენტის დამზადებისთვის გაასამართლეს და ქალთა საერთო რეჟიმის კოლონიაში 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

რაც შეეხება ამჟამინდელ ბრალდებას, იგი ადვოკატის მიერ კლიენტებისგან ფულის გამოძალვაში მდგომარეობს. როგორც საქმის მასალებით ხდება ცნობილი, ასეთი „საქმიანობა“ ცხადაძემ 2001 წლიდან დაიწყო, მაშინ, როცა ის თერჯოლის რაიონის ადვოკატურაში მუშაობდა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2001 წლის გაზაფხულზე მას იურიდიული დახმარება სთხოვა შპს „იმერსერვისის“ დირექტორმა — ლევან არველაძემ. გაირკვა, რომ არველაძეს თერჯოლაში მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახისთვის 1.000 დოლარი ჰქონდა სესხად მიცემული, ფულს კი ვერ იბრუნებდა. ცხადაძემ, როგორც ადვოკატმა, მას დახმარება აღუთქვა და აღნიშნულ საკითხზე სასამართლო დავა მოიგო კიდეც. ლევან არველაძეს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მაია ცხადაძე წარმატებული ადვოკატი იყო და ამიტომაც სხვა საქმეებიც მიანდო. როგორც გამომძიებელი ამბობს, ადვოკატმა გადაწყვიტა კლიენტის ნდობით ესარგებლა და მისთვის სოლიდური თანხა გამოეძალა. ამ განზრახვით მან დაარწმუნა არველაძე, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ერთ-ერთი მოსამართლისთვის ქრთამის სახით 300 ლარის მიცემა იყო საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ. როცა საქმე საოლქო სასამართლოში გადავიდა, ადვოკატმა არველაძეს მოსამართლის მოსაქრთამად ჯერ 500, შემდეგ კი 400 ამერიკული დოლარი გამოართვა. სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, არველაძემ დანაპირების შესრულება მოსთხოვა. ადვოკატი იძულებული გახდა, ამჯერადაც მოეტყუებინა და უზენაესი სასამართლოს ყალბი განჩინება დაამზადა, თითქოს არველაძის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილეს, მოტყუებული კლიენტისგან კი, კიდევ 300 ლარი მიიღო.

იმავე პერიოდში ცხადაძეს „იმერსერვისის“ მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში — როზა ბაბუნაშვილიც დაუკავშირდა და ერთ-ერთ სასამართლო დავასთან დაკავშირებით იურიდიული დახმარება სთხოვა. პროკურატურის ინფორმაციით, ცხადაძემ ბაბუნაშვილის მოტყუებაც გადაწყვიტა და თითქოსდა მოსამართლის მოსაქრთამად 100 ამერიკული დოლარი გამოსძალა. ერთ-ერთ დაზარალებულისგან ეთერ სარალიძისგან კი, 100 დოლარი და 150 ლარი მიითვისა.

მოგვიანებით, თერჯოლის რაიონის ადვოკატურიდან ცხადაძე თბილისის ისანი-სამგორის რაიონის ადვოკატურაში გადავიდა სამუშაოდ. იქიდან 2002 წლის 30 აგვისტოს იგი პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა. ამასობაში მოტყუებული კლიენტები ადვოკატს ხრიკებს მიუხვდნენ და გადაწყვიტეს, სამართალდამცავებისთვის მიემართათ.

გამოძიების პროცესში პოლიციამ მაია ცხადაძის ადგილსამყოფელი ვერ დაადგინა, რის გამოც, გამოძიება მის გარეშე ჩატარდა. 2003 წლის 6 აპრილს ცხადაძის დაპატიმრების სანქცია გაიცა და მასზე ძებნა გამოცხადდა. ადვოკატი 2003 წლის მაისში დააკავეს, თუმცა მძიმე ოჯახური პირობების გათვალისწინებით, მას აღმკვეთი ღონისძიება შინაპატიმრობით შეუცვალეს.

მაია ცხადაძე 1955 წელსაა დაბადებული. იგი, როგორც გაირკვა, თავს დამნაშავედ არ ცნობს და დუმილის უფლებას იყენებს. ცხადაძემ ადვოკატის აყვანაზეც კი უარი განაცხადა, რადგან მისი თქმით, საკუთარ ინტერესებს თავადაც კარგად დაიცავს. მიუხედავად ამისა, ცხადაძე 13 ოქტომბერს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა. სახელმწიფო ბრალმდებლის განცხადებით, თუკი განსასჯელი არც მომდევნო სხდომაზე მივა, იგი მისი პატიმრობაში აყვანის თაობაზე შუამდგომლობას დააყენებს.

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ

რას ერჩოდნენ ნუგზარ ჯულელს პოლონელი გეი, იტალიელი ტრანსსექსუალი და კახი კავსაძე?

მართალია, ბატონი ნუგზარ ჯულელი, დიდი მონდომებით ცდილობდა — „ფრთიან ანგელოზად“ მოეჩვენებინა თავი, მაგრამ მაინც გამოვტეხე ცულლუტობაში. ფაქტობრივად, მხოლოდ ერთ ეპიზოდში „შეცვალა ჩვენება“, სხვა დანარჩენი კი პირველად იბეჭდება. დამშვიდობებისას მითხრა კიდეც — ექსკლუზიურ უფლებას გაძლევო...

მაია კახიძე

— ბატონო ნუგზარ, თქვენზე ამბობენ, დიდი მექალთანეაო. რადგან ასეა, მაშინ ისიც გვითხარით, როგორი ქალები მოგწონთ და საერთოდ, რა ადგილი უჭირავს ქალს თქვენს ცხოვრებაში?

— არ დაგიმალავთ, ქალს პირველი ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში. იცით, მზეც ქალია ჩემს წარმოდგენაში, მტკვარიც... მე რომ დავიბადე, ძალიან ლამაზი იყო მტკვარი, ჩემი თაობის ბიჭები დედამდინარეს ვეძახდით. აი, გამოუცდელ ქალს რომ დაეწაფები, ასეთი კმკამა იყო და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მტკვრის წყალს სვამდა ხალხი. დღეს, ბეტონ რამ დედიდან დაწყებული, ცოლით, ქალიშვილით დამთავრებული, შეგინებული და შეურაცხყოფილია ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ჩემი დედამდინარე ყველაზე მეტად არის შეურაცხყოფილი, რადგან თავლია კანალიზაციას ჰგავს და მეტს არაფერს.

— მესმის, რაც გტკივათ, მაგრამ...

— კარგი. ე.ი. როგორი ქალი მომწონს არა? — უშნო ქალი არ არსებობს — მთავარია, რა თვალით შეხედავ. ერთ ულამაზეს კაცს ვიცნობდი, რომელსაც ასევე ლამაზი ცოლი ჰყავდა, მაგრამ სიცოცხლე მეტად მახინჯი ქალის სარეცელზე დაასრულა. ვინც უყვარდა, მის მკლავებში დალია სული.

— ბატონო ნუგზარ, საკუთარ თავზე მიამბეთ, თორემ...

— გაგიკვირდება. რასაც ახლა გეტყვი: არ ვიცი, რატომ, მაგრამ პირველი, რაც ქალში მომწონს — დიდი პირია. აი, რატომ მომწონს ჯულია რობერტსი. გუშინ ფილმს ვუყურებდი მისი მონაწილეობით, ვიჯექი და ვტიროდი. მას ეკრანზე რომ დავინახავ, რაღაც მემართება. რა ვქნა, ჯულია რობერტსზე საშინელი „გართულება“ მაქვს. მის ფოტოს რომ არ შევხედო ძილის წინ ან დილით, ახალგაღვიძებულმა, გავგიჟდები. ჰო, ჯულია ჩემთვის ყველაფერია... დიდპირიან ქალთან დაკავშირებით კი ერთ ამბავს მოგიყვები: კარგა ხნის წინ, რობიკო სტურუასთან ვიქეიფეთ მე, კახი კავსაძემ, გოგი ქავთარაძემ და გოგი ხარაბაძემ. ბიჭები ცოტა ადრე წავიდ-წამოვიდნენ. დილის ოთხი საათია დაწყებული, შინ ვბრუნდები. ზემელზე ჩამოვდივარ და ვხედავ, ქალი დგას მარტო. მივუახლოვდი და... ისეთი პირი აქვს, მე რომ მომწონს, მაგრამ კარგად ნასვამი ვარ, თან მომწონს, თან — არა. შევატყვე, ისიც ნასვამია. გამოველაპარაკე და „თავისუფალი“ აღმოჩნდა. რა ვქნა, სად წავიყვანო? უცებ, გამახსენდა, რომ კახი კავსაძე მარტოა შინ. მაშინ მობილური ტელეფონები არ იყო და ავტომატიდან დავურეკე: კახი, ქალი გამოვიჭირე, შენს იქით გზა არა მაქვს და შენთან უნდა მოვიყვანო, ხომ მიგვიღებ-მეთქი? — მოიყვანე, შე კაი კაცო, დროს ნუღარ კარგავო. კახი „ვორონცოვზე“ ცხოვრობდა. მივედით მე და ის დიდპირა ქალი. მესამე სართულზე ზარი დავრეკე, კახი აღებს კარს. რა თქმა უნდა, ქალს გზა დავუთმე და ის შევიდა პირველი. მოულოდნელად, კარი ცხვირწინ მომიხურა და სასწრაფოდ გადაკეტა. ენა ჩამივარდა, ვერ გავიგე, რა ხდება. ვაბრახუნებ, ერთ ამბავში ვარ. კახი კარს იქიდან „ბუინობს“: წადი, შე გათახსირებულო, მოუსვი აქედანო!.. მივხვდი, რომ აღარ გააღებდა და წავლასლასდი შინისკენ... მეორე დღეს, მეუბნება: ბიჭო, ნუგზარ, რომ გავიღვიძე, ორანგუტანგი მეწვა გვერდით, რომელ ზოოპარკში იპოვე მაგხელა პირიანი ქალიო?!. ერთი სიტყვით, მაშინ კი ავცდი ორანგუტანგს, მაგრამ დაბეჯითებით ვიმეორებ: ორანგუტანგზე ოდნავ უკეთესი ქალი, უკვე ლამაზია. საერთოდ, ქალის აურა მომწონს. თუ მე მივიღე ქალის აურა, იმან კი ჩემი, ჩვენ შორის ნაპერწკალი ჩნდება და მერე ღვივდება.

— მართალია, რომ ტელევიზიაში „ფაქტზე“ წაგასწრეს და ის გოგონა სამსახურიდან გაათავისუფლეს, ხოლო თქვენ დაგტოვეს?

— მსგავსი რომანების დროს, უმეტესწილად, ქალი იჩაგრება ხოლმე. სამწუხაროდ, მთელ მსოფლიოში ასეა, განსაკუთრებით — საქართველოში. სიყვარულში, გაცილებით სუფთაა ქალი, წმინდა, ფაქიზი და დაუცველი. გათავისუფლებულიც არ ეთქმის, ის თავისი ნებით წავიდა. რომანსაც ნუ დავარქმევთ — უფრო, ხალხის მიერ აგორებული ჭორი გახლდათ.

— აბა, რა იყო, სამსახურებრივი გატაცება?

— დიდ პატივს გცემ, მაგრამ ერთ სიტყვასაც ვერ ამომგლეჯ, ძალიან ინტიმურია და... მოკლედ, „პირველ ჩვენებას ვაწვები“. თუ გინდა, რუს გოგონაზე გიამბობ...

— სხვა რა გზა მაქვს, გსიმენთ.

— ერთ რუს გოგონას, გალინა ლაპინას ვეტრფოდი. მოსკოვში გავიცანი, მერე ეპისტოლური ურთიერთობა გვქონდა. ერთ-ერთ წერილში მომწერა: აწი, ხშირად გნახავ — ბორტგამცილებლად დავიწყე მუშაობაო. ჩამოფრინდა პირველად თბილისში, მეორე დღემდე დრო აქვს. შესანიშნავი ტანი, გრძელი ფეხები ჰქონდა. მაშინ სად იყო ბევრი ფული?! ჰოდა, ძველ თბილისში გავასეირნე. დავათვალიერებინე იქაურობა, ვუყვები პაოლო იაშვილზე, გალაკტიონზე, გრანელზე, მერე პასტერნაკიც გავიხსენე და დიდ „შემოქმედებით წვაში" ვარ, მოკლედ. ბოლოს, მომიბრუნდა და მეკითხება: Нельзя где-нибудь булочку купить и покушать-ო? თურმე შია. სად იყო იმ დროს თბილისში ღამით ვაჭრობა?! აღარ ვიცი, რა ვქნა და პურის მცხობელებთან ჩავიყვანე მეიდანში. იმ პურის საოცარი გემო ახლაც მახსოვს.

— ქალის?

— ქალისაც, რასაკვირველია.

— როგორ დამთავრდა ის ღამე, თონეში გამოამწყვდიეთ თუ...

— გადავუხვიეთ სკვერში, არა — ბაღში... ერთი სიტყვით, რა მნიშვნელობა აქვს, სად გადავუხვიეთ?! მთავარი ისაა, რომ როგორც იქნა, გადავუხვიეთ... რამდენიმე ხნის შემდეგ, მოსკოვში ჩავედი და დავურეკე. პაემანი საღამოს რვა საათზე, სასტუმრო „მოსკვასთან", მიწისქვეშა გადასასვლელში დამინიშნა. ზამთარი იყო და ძალიან ციოდა. მივედი. გახდა 9, 10, 12 საათი, მაგრამ გალინა არა და არ ჩანს. ღამის ორ საათზე სასტუმროში დავბრუნდი, თავი მისკენ ფიქრისგან.

— სამაგიერო გადაგიხადათ?

— არა. მოგვიანებით გაირკვა, რომ სწორედ იმ დღეს გათხოვილა. წლების მერე მითხრა: ნეტავ, მოვსულიყავი, გათხოვებას ავცდებოდიო: ქმარი ლოთი აღმოჩნდა.

— ბატონო ნუგზარ, მგონი ერთხელ თქვენი მეუღლე მოატყუეთ — მივლინებაში მივდივარო, — სინამდვილეში, მეგობარ ქალთან დარჩით და ნაგვის გადაყრის მომენტში, საკუთარმა ცოლმა დაგინახათ. რა მოხდა სინამდვილეში?

— ხომ გითხარი, ჭორიც ბევრი ყოფილა-მეთქი. ეგ ამბავი, ერთ-ერთი კლასიკური ჭორია, რადგან, როგორც ხედავ, პირველ სართულზე ვცხოვრობ. ჭორის მიხედვით კი, მრავალსართულიან კორპუსში ვცხოვრობდი და ორიოდ სართულით ზემოთ ავედი საყვარელ ქალთან, თითქოს, ამ ქალთან რომ ვნებივრობ, ერთ დღესაც მთხოვა, ნაგავი გადაყარეო. გადავყარე და ლიფტში ჩემს ცოლს გადავეყარე. მაგრამ ეს ამბავი, მე არ გადამხდენია. ეს ამბავი, ერთ მშვენიერ, კოლორიტ ბიჭს, დათუნა მაჭავარიანს შემთხვა, რომელიც წლების განმავლობაში ცხოვრობდა მოსკოვში და, რა თქმა უნდა, თბილისშიც ჩამოდიოდა.

— კი, მაგრამ თუ თქვენ არაფერ შუაში იყავით, რატომ დაგაბრალეს? ფრთიან ანგელოზად რატომ მოგაქვთ თავი?

— არა, ფრთიანი ანგელოზი არა ვარ, მაგრამ რა ვიცი, რა აღარ დაუბრალებიათ. სინამდვილეში, თუ რამე გამიკეთებია, მე უკეთ არ ვიცი? კარგი, ისეთ ამბავს მოგიყვები, კაციშვილმა რომ არ იცის: ერთხელ, კახი ასათიანი, ვახტანგ ჭელიძე და მე კარგად დავთვერით. სად იყო და სად არა, რესტორნიდან ორი გოგო აგვედევნა. ჩვენ სამნი ვართ. არ გვინდა კომპანია დაიშალოს. ბიჭებმა მითხრეს: რომელიმე ნაშას დაურეკე, შემოგვიერთდეს, რომ სამი სამზე ვიყოთო. მაშინ ერთი ნაშა მყავდა, ლია ერქვა და მასთან გადავწყვიტე დარეკვა: ლია, „იმელთან" ვარ და სასწრაფოდ მოდი-მეთქი. — ნუგზარ, ბავშვები წამოვიყვანო თუ მარტო მოვიდეო? — მკითხა. უცებ გამოვფხიზლდი და ყურმილი ცივად დავკიდე: თურმე, შინ დამირეკავს; კიდევ კარგი, იმ ნაშას, ჩემი ცოლის სახელი ერქვა...

უცებ გამოვფხიზლდი და ყურმილი ცივად დავკიდე: თურმე, შინ დამირეკავს; კიდევ კარგი, იმ ნაშას, ჩემი ცოლის სახელი ერქვა...

რევაზ ძოძუაშვილთან ერთად

— ყველაზე მეტად, სასიყვარულო თავგადასავლებით რომელი ქალაქი დაგამახსოვრდათ?

— ასეთი რამდენიმეა, მაგრამ ჯერ იმას გეტყვი, რატომ გადავწყვიტე ინგლისურის სწავლა. გერმანიაში, ლაიფციგში ვართ გასტროლებზე. სასტუმროში სხვა უცხოელებიც არიან, შევამჩნიე, რომ მოპირდაპირე მხარეს ერთი ლამაზი ქალი ცხოვრობს. იმანაც შემამჩნია და მოკლედ, შორიდან ვესალმებით ერთმანეთს. ერთხელაც ვხედავ, კარი აქვს ღია, მაშინვე დავუკაკუნე. ლაპარაკობს და ლაპარაკობს, მე კი ბიბურში არა ვარ, რას მეუბნება. უცებ, წარმოვიდგინე, რომ ადამიანი კი არა — ცხოველი ვარ, ძაღლი ან კატა, რომელსაც ადამიანი ელაპარაკება, მას კი არ ესმის. ისეთი ცუდი შეგრძნება იყო, რომ სწორედ ამან მაიძულა, შემდგომში ინგლისური ენა მესწავლა და ძალიანაც გამომადგა ცხოვრებაში. აღარსად მქონია დაბრკოლება და წყალივით მიდიოდა ყველაფერი... რაც შეეხება ქალაქებს: ვარშავაშია რუსთაველის თეატრი ჩასული. კაცო, გადამეკიდა ერთი ჰომოსექსუალისტი, მოსვენებას არ მაძლევს — ყოველი სპექტაკლის შემდეგ მოდის, მეპატიჟება და ა.შ. ქართველებს დიდ პატივს ვცემ, ნამყოფი ვარ თბილისში და მეც მინდა, პატივი გცეო. კარგა ხანს მხვდებოდა სპექტაკლების შემდეგ. ერთ საღამოსაც მეუბნება: წამოიყვანე ვინმე, თუ მარტო წამოსვლა არ გინდაო. ამ ლაპარაკს შეესწრო გოგი მესხიშვილიც, ჩვენი თეატრის მხატვარი: სულელი ხარ, გვეპატიჟება და წავიდეთ, მერე რა მოხდა, თუ რაღაცა გაგვიბედა, ორი კაცი ერთ ცისფერს როგორ ვერ მოვერევითო?! მოაგელვა „მერსედესი" და ქალაქგარეთ, საუცხოო ვილაში მიგვიყვანა. სულ ნაღები ინტელიგენცია დავვხვდა: მასპინძელი, იუნესკოს თანამშრომელი, აქეთ, ინგლისის საელჩოს მდივანი, იქით — მექსიკის საკონსულოს მაღალჩინოსანი... ერთადერთი ქალი ერია ამდენ „ბაბოჩკიან" მამაკაცში და ისიც საბერძნეთის მაღალი წრის წარმომადგენელი. ვლაპარაკობთ და ვლაპარაკობთ, მაგრამ დანაპირებ ქალებს ვერ ვხედავ. იმ ჰომოსექსუალისტს ვეუბნები — სად არის დანაპირები-მეთქი? — ეზოშიო. გავედით გარეთ, საოცარი სილამაზე იყო ირგვლივ და მართლაც, ორი უმშვენიერესი გოგო დაგვხვდა იმ ბაღნარში. ვსხედვართ ჰაერზე, მივირთმევთ კონიაკს და ველოდებით, როდის დაგვაბინავებს საძინებლებში. ის ჰომოსექსუალისტი მოვიდა: ახლა საძინებლებში მიგიწვევენ, მაგრამ მეორე სართულზე აყვანა კატეგორიულად მოითხოვეთ, მერე აგიხსნით ყველაფერსო. ჯერ არ ვიცით, რაშია საქმე. მართლაც, მასპინძელმა მიგვიწვია და პირველი სართულისკენ მიგვითითა. გოგომ უარი უთხრა. თან ეს გოგოები გვენანება, ისეთები არიან, ბდღვნიან იქაუ-



გინდა თუ არა, მიდი და „ის“ დაიბანეო. მისი მბრძანებლობა არ მომეწონა. ვიფიქრე, რაც არის – არის, მოვითმენ და ზანგის გემოს მაინც გავიგებ-მეთქი

რობას. დილის 6 საათია, მასპინძლის გარდა, აღარავინ ჩანს. საშინლად გავჯიუტდა – გინდა თუ არა, პირველ სართულზე მოგათავსებთ ოთხივესო. დიდხანს ვიომეთ, მაგრამ არაფერმა გაჭრა. გოგომ მითხრა: ახლა, „თესი“ ვქნათ აქედან, ამ გოგოების კოორდინატები მაქვს და ესენი მერე ვნახოთო. მოკლედ, სასწრაფოდ გავეცალეთ იქაურობას. მეორე დღეს, იმ გოგოებს შევხვდით და მათ გვითხრეს – თურმე ჩვენი პირველ სართულზე მოთავსება იმიტომ უნდოდათ, რომ მეორეზე სპეციალურად დამონტაჟებული სათვალთვალოები ჰქონიათ. „ბაბოჩკიანები“ ყველანი იმპოტენტები იყვნენ და წლიდან წლამდე, ამგვარად იღებდნენ თურმე სიამოვნებას. იმ იმპოტენტებს ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, ჩვენ კი, პოლონელი გოგონები მარწყვის ტორტივით შეგვრჩა...

— ძალიან ბევრს მოგზაურობთ. საინტერესოა, ბორდელში თუ ყოფილხართ?

– გეფიცები, არასოდეს გამჩენია ამის სურვილი. ერთხელ ქართველების ჯგუფი გერმანიაში ჩავედით, მაინის ფრანკფურტში. რამდენიმე ჩემმა მეგობარმა აიჩემა – გინდა თუ არა, წავიდეთ ბორდელშიო. ამ ქალაქში ერთი ქუჩაა, სადაც მიყოლებით სულ სროსკიპოებია. შევედით ერთ-ერთში, პირველ სართულზე სექსშოპია, მერე სექსბარი, ზემოთ ოთახები; თითო სართულზე ათი ოთახია. თითოეულ ოთახთან ქალის სურათია გამოკრული და სახელიც აწერია; რომელიც არ არის დაკავებული, მისი ოთახის კარი ღიაა. ვხედავ, აწერია – ნატაშა. ღია იყო და შესვლა გადავწყვიტე, რუსულად მაინც დაველაპარაკები-მეთქი.

— რამდენი გადაგახდევინეს?

– ქვევით გაგვაფრთხილეს, რომ 50 მარკა უნდა გადაგვეხადა ერთ საათში. მოკლედ, შევედი ნატაშასთან და რუსულად მივესალმე. რეაქცია არა აქვს, გერმანულად მპასუხობს. კიდევ გავესაუბრე, მაინც გერმანულად მელაპარაკება. შენი დედაც ვატირე-მეთქი და ზედა სართულისკენ გავეშურე. რატომღაც, გუნება წამიხდა, არ მომეწონა სიტუაცია, წამოსვლა გადავწყვიტე, მაგრამ რომ მოვდივარ, ვხედავ, აშოლტილი ზანგი ქალი მოდის, უშვესი და ცისფერი თვალებით. გადავირიე – ცისფერთვალა ზანგს პირველად ვხედავდი. მოკლე ხალათი ეცვა, ძალზე სექსუალურად გამოიყურებოდა. მართალი გითხრა, სულ მქონდა ზანგი ქალის დაუფლების სურვილი. მომკიდა ხელი და თავისი ოთახისკენ გამიძღვა. მეუბნება – პირსაბანთან მიდიო, – მაგრამ ისე იქცევა, ზემოდან მიყურებს, თითქოს ძალაუფლება აიღო. პირველი შემთხვევაა, ქალი რომ მეუბნება, რა უნდა გავაკეთო. გინდა თუ არა, მიდი და „ის“ დაიბანეო. მისი მბრძანებლობა არ მომეწონა. ვიფიქრე, რაც არის – არის, მოვითმენ და ზანგის გემოს მაინც გავიგებ-მეთქი. არადა, ვგრძნობ, ჩემში არაფერი არ იძვრის. ხელი მოვუსვი სხეულზე და ლამის გავგიჟდი, ძროხის ენასავით კანი შემრჩა – ისეთი ხორკლიანი კანი ჰქონდა, მაგრამ შავი რომ იყო, არ ემჩნეოდა. ვედარ გავუძელი, ვტაცე ტანსაცმელს ხელი და შიშველი გადარეულივით გამოვიქეცი. გავრბივარ და მომდევს. პირველ სართულზე რომ ჩამოვაღწიე, იქ მოვახერხე ჩაცმა და წამოვედი... არა, საბორდელო კაცი არა ვარ და არც არასოდეს მიმიცია ქალისთვის ფული. ის კი არა, ერთხელ ისე შევცდი, დღემდე ძაღლის ნაკბენივით მახსოვს.

— ძალიან კარგია, როცა მამაკაცი შეცდომას აღიარებს. მაინც რაში შეცდით?

– რამდენიმე წლის წინ, იტალიაში ჩავედი. ჩემი სასტუმრო ვაგზალთან ახლოს მდებარეობდა. მასპინძელმა გამაფრთხილა: აქ ძალიან ბევრი ტრანსსექსუალია და არ შეგეშალოსო. სიგარეტის საყიდლად გამოვედი. ამ დროს, მოტოროლერით ულამაზესი გოგო მოქრის. გააჩერა და მეუბნება – მომიკიდეო. გავაბით საუბარი და რომ გაიგო, „ჯორჯიიდან“ ვიყავი, – გესტუმრები თუ შეიძლებაო, – მთხოვა. უარს ხომ არ ვეტყოდი და მივიპატიჟე სასტუმროში. შესანიშნავი ტანი ჰქონდა, გაშლილი ქერა თმა, ჯინსიც ძალიან უხდებოდა. ნომერში რომ შევედით, სააბაზანოში შესვლა მოისურვა. ცოტა ხანში გამოდის, პირსახოცი აქვს შემოხვეული. უეცრად მოიხსნა პირსახოცი და... ღმერთო, როგორი კისრისტეხით გავიქეცი, ვერ აღვწერ. ახლა ეს ქალ-კაცა მომდევს. ერთი სიტყვით, ძლივს დავაღწიე თავი. გეფიცები, იმ ღამეს სასტუმროში არ დავბრუნებულვარ, მთელი ღამე ქუჩაში დავბოდიალობდი.

— მაგრად გადარჩენილხართ...

– ნაღდად *(იცინის)*. მოკლედ, ცხოვრებამ იმდენ რამეს შემახვედრა, ვცდილობ, მაქსიმალურად დაკვირვებით ვიცხოვრო...

■

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები.
პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.



მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

ნათია თენიეშვილი

გოგა ხაინდრავა მეუღლესთან შვილთან და რძალთან ერთად

«ბელურების გადაფრენით» დაწყებული სიყვარული

რეჟისორ **გოგა ხაინდრავას** *ოჯახზე სასაუბროდ სტუდია TMS-ში მივაკითხე. ბატონი გოგა თავისი ძალიან ლამაზი ნაგაზის – 3 თვის ლეკვის ჯილას მოვლით იყო დაკავებული. ჯილა ჩემი ოჯახის წევრიაო, – მითხრა მან.*

ბატონი გოგას მეუღლე რუსთაველის თეატრის მსახიობი, – მარიკა ჭიჭინაძეა, ცნობილი საბავშვო მწერლისა და მსახიობის, გივი ჭიჭინაძის ქალიშვილი. ისინი უკვე 20 წელია ერთად ცხოვრობენ. ჰყავთ ორი შვილი: 20 წლის ლევანი, 9 წლის მარიამი და კიდევ, შვილიშვილი, 6 თვის ლუკა ხაინდრავა.

ბატონი გოგას სამუშაო მაგიდაზე უამრავი წიგნი, რვეული და ქაღალდია. იგი დღემდე ჩვეულებრივი პასტის ნაცვლად, კალამს ხმარობს – „რა ვქნა, მე მე-20 საუკუნის შვილი ვარ. ჩვენ, წერა მელნით გვასწავლეს, შევეჩვიე და ასე მომწონს. კომპიუტერს კი, ვერ მივეჩვიე. სტუდიაში, ბევრი კომპიუტერია, მაგრამ ჩემს მაგიდასთან, როგორც ხედავთ, არც ერთი. თავისებურად იქ დავრჩი, მე-20 საუკუნეში და ამაზე სულაც არ ვდარდობ. სუპერტექნოლოგიებით ჩვენი ცხოვრების გაჯერება მაინცდამაინც დიდ იმედებს არ მისახავს“. – ამბობს ის. სამუშაო მაგიდის ირგვლივ „ოცნებების სასაფლაოს“ ავიშები, დიპლომები, პრიზები და ფოტოებია განთავსებული. მათ შორის აღსანიშნავია 1916 წელს გადაღებული ფოტო, რომელზეც რეჟისორის წინაპრები არიან გამოსახულები. საუბარიც ბატონმა გოგამ სწორედ მათი მოგონებით დაიწყო.

– ეს ჩემი დიდი ოჯახია – ბაბუა, დიდი ბაბუა, მათი ძმები და ა.შ. ჩვენი საგვარეულო სოფელი, მარტვილის რაიონის სოფელი ლეხაინდრავოა. ბაბუაჩემი რუსთა მეფემ გააციმბირა, მამაჩემი ბოლშევიკებმა, მე ნეობოლშევიკებმა დამაპატიმრეს. ასე რომ, სამი თაობა პოლიტპატიმრები ვართ ოჯახში. მამის ერთ-ერთი ძმა, ამ ბოლშევიკებთან ბრძოლას შეეწირა. მამაჩემი ჩინეთში დაიბადა და გაიზარდა. 33 წლის იყო, საქართველოში რომ ჩამოვიდა. მაშინვე ციმბირში უკრეს თავი, ჩრდილოეთ ყაზახეთში ცხოვრობდა. დედაჩემი ლუდმილა ბოიკოვა, მამით რუსი, დედით ქართველია. 7 თვის ფეხმძიმე იყო, მამა რომ დაიჭირეს. წლინახევრის იყო ჩემი ძმა, მამამ პირველად რომ ნახა. დედამ ჩააკითხა ციმბირში და 32 კილო დახვდა მამაჩემი. მოუარა, ფეხზე დააყენა და მერე ერთად დაბრუნდნენ. ჩემი ძმა 5 წელი ცხოვრობდა გადასახლებაში, მეც გადასახლების შვილი ვარ, თუმცა, ფეხი საქართველოში ავიდგი. ჩვენზე დიდი გავლენა მოახდინა მამის წარმომავლობამ, მისმა აღზრდამ და ინტელექტმა. ბავშვობიდან იმ სულისკვეთებით ვიზრდებოდით, რომ საქართველო დაპყრობილი ქვეყანაა და ჩვენი ოცნება, მისი დამოუკიდებლობა იყო. ჩვენთან სახლში, სამფეროვანი ეროვნული დროშა ეკიდა და ოთხმოცმა პროცენტმა, ვინც ჩვენთან მოდიოდა, არ იცოდა – რა დროშა იყო ეს.

ჩემი რძალი, სოფო ჭანტურია ექიმების ოჯახიდან არის. ლევანი და სოფო ერთ სადარბაზოში გაიზარდნენ

— ასეთ გარემოში აღზრდილი, ალბათ წესიერი და დინჯი ბავშვი იყავით.

– წესიერი და დინჯი ჩემი ძმა იყო. მე საერთოდ, არავის არაფერს ვუჯერებდი. გავარდნილი ვიყავი გარეთ. ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი. დღესაც ასეა. ბევრი დრო მაქვს გატარებული მეგობრებთან და სახლის გარეთ. პირველ სკოლაში ვსწავლობდი და როცა მარტომ დავიწყე სიარული, სულ რუსთაველზე ან ალექსანდრეს ბაღში ვიდექი. იქ ვატარებდით მთელ დროს. სპორტმა ძალიან დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. 14 წელიწადი სერიოზულად ვვარჯიშობდი და ვთამაშობდი კალათბურთს. ამან ამაცდინა სიგარეტი, ნარკოტიკი და ბევრი ცუდი რამ.

— თქვენ როგორ გაზარდეთ თქვენი შვილი, ის ყველაფერს გიჯერებდათ ხოლმე?

– ადამიანი საერთოდ, ოჯახურ ურთიერთობებში ყალიბდება. მე ვცდილობდი, ისე აღმეზარდა ლევანი, როგორც მე მზრდიდა მამა. რა თქმა უნდა, იმდენი რამ ვერ მივეცი, თუნდაც იმიტომ, რომ მე არა მაქვს ისეთი განათლება, როგორიც მამას ჰქონდა. თანაც სამწუხაროდ, არეული წლები იყო და ოჯახში ცოტა დროს ვატარებდი. ლევანისთვის დიდი ტრავმა იყო 1991 წელს ჩემი დაპატიმრება. მაშინ პირველ კლასში იყო და მასწავლებელმა დასავა, როგორც ერის მოღალატის შვილი. ამის მერე მასწავლებლებს ველარ იტანდა.

— თქვენი და ქალბატონი მარიკას შეხვედრა როგორ მოხდა? როგორ გაიცანით ერთმანეთი?

– ჩემი ცხოვრება საერთოდ, კინოსთან არის დაკავშირებული. მარიკაც კინოში გავიცანი. კინოს სახლში თემურ ბაბლუანის „ბელურების გადაფრენის“ საყურებლად ვიყავით. დარბაზი გადაჭედილი იყო. ამ დროს დავინახე, ორი გოგო შემოვიდა. მივხვდი – ან ადგილი არ ჰქონდათ, ან სხვები ისხდნენ მათ ადგილებზე. ჩავიწიეთ მე და ჩემი მეგობარი და ერთი ადგილი დავუთმეთ. ასე ერთად ვუყურეთ კინოს. მარიკა ძალიან ლამაზი იყო და ჩემი ყურადღება მიიქცია. ამის მერე ქუჩაში შემხვდა, მანქანა გავაჩერე, გადმოვედი და ერთ წელიწადში ცოლ-ქმარი გავხდით. მერე გაამხილა მარიკამ, კინოში რომ დავჯექი, უცებ ხმა გავიგე – სწორედ ეს იქნება შენი ქმარიო. და მართლაც ასე მოხდა. ღმერთმა გამომიგზავნა ნამდვილად, თორემ იმ განსაცდელს რაც მე შემემთხვა –

მარტო ვერ გადავიტანდი. იმ პერიოდში, როცა ცოლად გამომყვა, ჩემს ცხოვრებაში რაღაც არაორდინარული პერიოდი იდგა და მისი მხრიდან ამ ნაბიჯის გადადგმას დიდი გაბედულება სჭირდებოდა. ბევრი ამას ვერ შეძლებდა, მარიკამ გაბედა და მე იმედი მაქვს, რომ არ ნანობს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ატანა მაშინაც ძნელი იყო და ალბათ, ახლაც. მან ისეთი მიკროსამყარო შექმნა შინ, რომ მიმეჩქარება სახლისკენ, მიხარია იქ მისვლა.

— ბატონო გოგა, თქვენ ხან ომში იყავით, ხან ციხეში და ა.შ. ქალბატონი მარიკა როგორ იქცეოდა ამ დროს, არ ნერვიულობდა?

— როგორ არ ნერვიულობდა?! ის ძალიან რომანტიკული ადამიანია. დეკაბრისტის ცოლივით არის, დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთები იყვნენ ისინიც. რა უნდა ექნა? აგრძელებდა ცხოვრებას. მე რომ აფხაზეთიდან ცოცხალი დავბრუნდი, ეგ მარიკას დამსახურებაა. მას იმდენად ვუყვარდი და ისე უნდოდა, რომ დავბრუნებულიყავი — დავბრუნდი. ეს უდავოა.

— მარიკა რომანტიკული ადამიანია — თქვით. თუ უწყობთ ხოლმე სიურპრიზებს ან საჩუქრებს თუ უძღვნით.?

— მე ხშირად ვმოგზაურობ მარიკასთან ერთად. მოვლილი გვაქვს მთელი ევროპა, ამერიკა, იაპონია და ვფიქრობ, ყველაზე დიდი საჩუქრები მისთვის ასეთი სახით გამიკეთებია. ის უფრო მჩუქნის რაღაცებს — მაცმევს, მახურავს. მარიკა რომ არ იყოს, ალბათ შარვალი არ მექნებოდა. მე მაღაზიაში ვერ შევდივარ. რომც შევიდე, ვერაფერს ვარჩევ და ვერც ვყიდულობ. ამაზე მთლიანად მარიკა ზრუნავს.

— თუ შეგიძლიათ თქვენ, როგორც რეჟისორმა, შეაფასოთ თქვენი მეუღლე, როგორც მსახიობი?

— მარიკა ძალიან კარგი მსახიობია. სამწუხაროდ, მისი პოტენციალი თავის დროზე არ იქნა გამოყენებული. ახლა აქტიურად მოღვაწეობს თეატრში, მაგრამ ერთი პერიოდი ძალიან გრძელი პაუზა ჰქონდა. პრინციპში, დანებებული ჰქონდა თავი თეატრისთვის. ვხედავდი, როგორ განიცდიდა და მეც განვიცდიდი მასთან ერთად. ეს იყო დაუმსახურებელი და ხშირ შემთხვევაში, ცინიკური დამოკიდებულება არა მარტო მარიკასადმი. რუსთაველის თეატრში ახალგაზრდა მსახიობების რამდენიმე თაობაა „დასამარებული". სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ტიპის მეტრები არიან თეატრის ხელმძღვანელები. მარიკა იმ ეპოქაში მოხვდა თეატრში, როცა განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი როლის შემსრულებლის გარდა, ვინ იქნებოდა სცენაზე.

— არ გაგჩენიათ სურვილი, თქვენი მეუღლე გადაგეღოთ საკუთარ ფილმში?

— „ოცნებების სასაფლაოში" ფილმის დასაწყისში პატარა ეპიზოდს თამაშობს და ვფიქრობ, ძალიან კარგადაც. სურვილი, რა თქმა უნდა, მაქვს, მაგრამ გადაღების შესაძლებლობა — არა. მარიკა ისეთი მსახიობია, რომლისთვის როლის დაწერაც ღირს.

— ბატონო გოგა, მოდით შვილების შესახებ გვიამბეთ. რას საქმიანობენ ისინი?

— ლევანი თეატრალურში სწავლობს და ძალიან კარგ ფოტოებს იღებს. მგონი, ჯერ ბოლომდე არა აქვს გარკვეული, რისი გაკეთება უნდა. გოგო კი — მარიამი საოცრებაა. 9 წლის არის და კარგად ცეკვავს. ცოტა პუტკუნაა, მაგრამ ძალიან პლასტიკურია. ჩემი ძმისშვილი — შორენა ხაინდრავა ბალერინაა, ოპერის თეატრის საბალეტო დასში წამყვან პარტიებს ცეკვავს. მარიამი მასზეა შეყვარებული და ბავშვობაში ამბობდა — შორენა უნდა გამოვიდეო. ძალიან მუსიკალურია და კარგად ხატავს. ვნახოთ, რა გამოვა.

— როგორც ვიცი, ლევანი 18 წლის იყო, ცოლი რომ მოიყვანა. ამაზე როგორი რეაქცია გქონდათ?

— ჩემი რძალი, სოფო ჭანტურია სანაქებო გოგოა, ის ექიმების ოჯახიდან არის და თვითონაც სამედიცინოზე სწავლობს. ლევანი და სოფო ერთ სადარბაზოში გაიზარდნენ, სამი წლიდან იცნობდნენ ერთმანეთს და ბავშვობიდან ხელიხელჩაკიდებულები დადიოდნენ. მოხარული ვარ, რომ ასეთი ოჯახი შეიქმნა. საერთოდ, მე და ლევანი ბევრს არ ვპაექრობთ. ჩემი მოთხოვნა — საქმეა. უსაქმურობას ვერ ვიტან. ხანდახან შეიძლება შენიშვნა მივცე ჩაცმის სტილზე — იმასაც ხან მიჯერებს, ხან კი, თავის აზრზე რჩება, მაგრამ მაინც კარგი ბიჭია, სანდო კაცია და ეს არის მთავარი.

„3 თვის ჯილა ჩემი ოჯახის წევრია"

— შვილიშვილის და ბაბუის ურთიერთობა როგორია?

— ლუკა ხაინდრავა, გვარის გამგრძელებელი 6 თვის არის, სასწაულია. მართალია, რომ ამბობენ, შვილიშვილი და ბაბუა ერთი ჭკუისანი არიანო.

— შეგიძლიათ, ხელში აიყვანოთ ან გამოუცვალოთ?

— როგორ არა, პირველივე დღიდან ამყავს ხელში. ვუცვლი და ვაბანავებ კიდეც, თუ საჭიროა. ჩემი ბიჭიც მე გავზარდე. ჩემ გარეშე ხელს არ ჰკიდებდნენ. მე ვაბანავებდი, ვუვლიდი და ღამეც ვდგებოდი ძალიან ხშირად.

ბატონი გოგა ახლა ერთდროულად ორ ფილმს ამზადებს; ერთს — მხატვრულს და ერთს — დოკუმენტურს. მხატვრული ფილმი ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის მიერ გამართული კონკურსის წყალობით ფინანსდება. ეს იქნება ფილმი აფხაზეთის ომის გმირზე — ავთო იოსელიანზე. ბიჭზე, რომელიც საკუთარი სხეულით გადაეფარა ხელყუმბარას, რადგან ოთახში მისი 15 მეგობარი იმყოფებოდა. გადაღებები დეკემბერში, თბილისის შემოგარენში დაიწყება. დოკუმენტური ფილმიც კონკრეტული ადამიანის, დუდუ დადიანის შესახებ იქნება. როგორც ბატონმა გოგამ აღნიშნა, ამ ფაქტმა მას პრობლემის განზოგადების საშუალება მისცა — თუ რატომ კლავენ საქართველოში ასეთ გამორჩეულ ახალგაზრდებს?!.

9 წლის მარიამი

6 თვის ლუკა

რათა ცხოვრება სიხარულად გექცეთ ! ! !



პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმილს, მესამე– დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქანი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მით უმეტეს მსუქან ხალხს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი, ასევე, გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.

ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერგიის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro.**

Abtronic Pro საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმია. ბუმია ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.

ძვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოირგეთ
არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოირგეთ
გეზარებათ ვარჯიში? – მოირგეთ

Abtronic Pro!

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან დაგვიკვეთეთ ინტერნეტმაღაზიაში: **www.shopge.com.** ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

თუ ბიძაშვილი შეგიყვარდა...

ანუ ცოდვა და სენი,

რომელიც ნათესავებს შორის ქორწინებას ახლავს თან

ეს ამბავი მრავალი წლის წინ, საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში მოხდა. ერთ მრავალშვილიან და ღარიბ ოჯახს შვილი მოსტაცეს. ძველად, თურმე ამას ხშირად სჩადიოდნენ უშვილო ოჯახები... დაკარგული შვილის მშობლებმა ბევრი კი იდარდეს, მაგრამ მის კვალს რომ ვერ მიაგნეს, ბედს შეურიგდნენ; დანარჩენი შვილები დაზარდეს და ქალიშვილის გათხოვებასაც მოესწრნენ. სასიძო კარგი და წარმოსადეგი ვაჟკაცი გახლდათ, მაგრამ ობოლი და დროებით, სხვა სოფლიდან იყო ნათესავებთან ჩამოსული. ჯვრისწერის დღეს, ბედნიერი წყვილი სოფლის ეკლესიისაკენ გაემართა, მაგრამ როგორც კი ფეხი ტაძარში შეუდგამთ, გუმბათი ჩამონგრეულა და ჯერ კიდევ დაუქორწინებელი წყვილი მოუკლავს. მხოლოდ ამ ღვთიური რისხვის ხილვამ აიძულა სოფლის ერთ-ერთი „კუდიანი“ ეფიქრა, (ის თურმე თავად ყოფილა გარეული ზემოთ ხსენებული ბავშვის მოტაცებაში), რომ ნეფე-დედოფალი სინამდვილეში ერთმანეთის ღვიძლი და-ძმა იყო...

ემა ტუხიაშვილი

იშვიათად, მაგრამ ჩვენშიც შეხვდებით ისეთ ოჯახებს, სადაც ცოლი და ქმარი ერთი გვარის წარმომადგენლები არიან. რიგ შემთხვევაში, შესაძლოა ეს უბრალო დამთხვევა იყოს და მოგვარეებს არანაირი ნათესაური კავშირი არ ჰქონდეთ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ნათესავები ქორწინდებიან, რაც უდიდესი ცოდვაა და ამასთანავე, უამრავ ბიოლოგიურ მანკიერებასაც წარმოშობს.

ნინელი, *21 წლის (წერილში მოთხრობილი ყველა ამბის მონაწილეთა სახელები შეცვლილია):*

— ამ ამბის შემდეგ ყველა კეთროვანივით მექცევა. მეგობრებსა და ნათესავებზე რომ აღარაფერი გითხრათ, ახალი მეზობლებიც, გაიგებენ თუ არა, რომ მეუღლე ბიძაშვილად მეკუთვნის, მაშინვე თავს შორს იჭერენ ჩვენგან. დედამ მკვდრად გამომაცხადა, მამაჩემი კი, ამ ამბავმა იმსხვერპლა — ერთ წელიწაში გულის შეტევისგან გარდაიცვალა. არადა, ამ ამბავში გარკვეული წვლილი ჩემი და ზაქროს მშობლებსაც მიუძღვით.

— რას გულისხმობ?

— დედაჩემი ახალი გათხოვილი ყოფილა, როდესაც ბიძაჩემს — მის ძმას, ცოლის შერთვა დაუპირებია. ბებიაჩემი გადარეულა: ახლა ამხელა ხარჯი გასწია ოჯახმა — გოგო გავათხოვეთ და სად გვაქვს ამის თავიო?! — თანაც ბიძას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრებინეს, მის რჩეულს კი, მხოლოდ საშუალო განათლება ჰქონდა მიღებული. დედაჩემსაც აუბამს მისთვის მხარი და სარძლოს წინააღმდეგ გაულაშქრია. არც ბიცოლაჩემი აღმოჩნდა თურმე არიფი და დასახული მიზნისთვის ისე სწრაფად მიუღწევია, რომ ვერც დედა და ვერც ბებია ვერაფერს გამხდარან. ბიცოლამ კი ეს ბოღმა გულში ჩაიტოვა და როცა ბიძაჩემის ცოლი მაინც გახდა, დედაჩემს ძმის ოჯახში მისვლა აუკრძალა. ბიძაშვილ-მამიდაშვილები ისე გავიზარდეთ, რომ ერთმანეთს მხოლოდ წელიწადში ერთხელ, ჩვენი სოფლის დღეობაზე ვხვდებოდით ხოლმე. ამის გამო იყო, რომ განსაკუთრებული ნათესაური გრძნობა ჩვენ შორის არასდროს ჩამოყალიბებულა და ერთმანეთისთვის სრულიად უცხონი ვიყავით. როდესაც ბებიაჩემი გარდაიცვალა, დედა თავის ძმას შეურიგდა და ბიცოლამაც მიგვიღო ოჯახში. ამას დაერთო ჩემი და ზაქროს სტუდენტობის პერიოდი და ჩვენმა ოჯახებმა ნაკლები ხარჯის გასაწევად გადაწყვიტეს, ჩვენთვის ერთი ბინა ექირავებინათ — ნინელის ქალაქში პატრონი ეყოლება, ის კი ზაქროს მოუვლის, სადილს მოუმზადებს და სარეცხს გაურეცხავსო. სწორედ ამ თანაცხოვრების პერიოდში დაიწყო ჩვენი ურთიერთლტოლვა. მაშინ, როდესაც ჩემი მეგობრები ცდილობდნენ, შინ გვიან შესულიყვნენ და დრო გარეთ ეტარებინათ, მე სახლში მიმეჩქარებოდა, რათა მასთან სიახლოვით დავმტკბარიყავი...

— თუ აცნობიერებდით თქვენს საქციელს?

— ვაცნობიერებდით, მაგრამ მტკივნეულად ვერ აღვიქვამდით. ვფიქრობდით, რომ ჩვენი სიყვარული იმდენად ძლიერი იყო, რომ შეუძლებელი იქნებოდა, მშობლებს ვერ გაეგოთ ჩვენთვის. საქართველოდან წასვლაზეც გვიფიქრია, მაგრამ ამის მატერიალური საშუალება არ გაგვაჩნდა...

— მშობლებმა როგორ შეიტყვეს ამის შესახებ?

— ბიცოლაჩემის თვალს რა გამოეპარებოდა?! — ერთხელ, ჩვენს სანახავად

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. ქალაქ ჰამბურგში 2600 ხიდია.
2. პირველი რესტორნები ჩინეთში XII საუკუნეში გაჩნდა.
3. „თოვლის ბებოს ზღაპარს“ ზედიზედ 164 ანშლაგი ჰქონდა.
4. ალასკაზე მცხოვრებ ყოველ 50 კაცზე ერთი ქალი მოდის.
5. ყინულისაგან თავისუფალ ადგილებს ანტარქტიდაში „ოაზისებს“ უწოდებენ.
6. მის მიერ ჩაწერილ სიმღერას ბარბრა სტრეიზანდი 10 წლის განმავლობაში აღარ უსმენს.

7. პორტუგალიაში ცუდი ამინდი სამსახურში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ითვლება.
8. იოჰანესბურგული რისლინგი თეთრი ღვინოა. გერმანელები მას ლპობაშეპარული ყურძნისგან ამზადებენ.
9. მიხაილ ბუდიონი სამგზის გახდა საბჭოთა კავშირის გმირი. იგი ლენინის 8 ორდენით იყო დაჯილდოებული.
10. ბერძნული მითოლოგიის გმირს, ბუმბერაზ არგოსს მთელი სხეული თვალებით ჰქონდა დაფარული.
11. რომაელები ცხოველურ ცხიმს ბარბაროსთა საკვებად მიიჩნევდნენ და საკვებს მხოლოდ ზეითუნის ზეთით ამზადებდნენ.
12. იუპიტერზე გაგზავნილი ორბიტული მოდული „გალილეო“ 2222 კგ-ს იწონიდა. მისი წონის ნახევარი საწვავზე მოდიოდა.
13. სიტყვა „პატრული“ წარმოდგება ფრანგული ზმნისაგან – patuiller, რაც ტალახში სიარულს ნიშნავს.
14. „ქართველი მამაკაცები ერთ ჭამაზე ჭამენ ყველაფერს და მერე წუწუნებენ“ – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ვანო ზოდელავამ.
15. 1923 წელს იმდენად იყო დაცემული გერმანული მარკის კურსი, რომ ბავშვები საბავშვო კუბურების ნაცვლად, ფულის შეკვრებით თამაშობდნენ.
16. „ფორდ-მუსტანგი“ ყველაზე პოპულარული ავტომობილი იყო ომის შემდგომ ამერიკაში. ყველაზე ხშირად სწორედ ამ მანქანას იტაცებდნენ.
17.

სოფელ რუხთან მდინარე ენგური ორ ტოტად იყოფა. ტოტებს შორის მოთავსე-

ჩამოსული მიხვდა, რომ ჩვენ შორის რაღაც ხდებოდა. ან კი, როგორ ვერ მიხვდებოდა? – მე თუ სამზარეულოში ვტრიალებდი, ზაქროც სულ იქ გამორბოდა... სიმართლე გითხრათ, ძალიან გვიჭირდა სხვებთან თავის შეკავება... ნუ მომაყოლებთ იმას, თუ რა ამბები დატრიალდა ამის გამო, რამხელა შეურაცხყოფა გადავიტანე!.. მაგრამ ამან კიდევ უფრო დააჩქარა ჩვენი გადაწყვეტილება და მე და ზაქრო, საცხოვრებლად სხვაგან გადავედით. სწავლას თავი დავანებე იმის შიშით, რომ მოვიდოდნენ და ინსტიტუტში მცემდნენ ან გამლანძღავდნენ. ზაქრო მშენებლობაზე მოეწყო მუშად, რადგან უნდა ვერჩინე. იმდენჯერ შევიცვალეთ საცხოვრებელი ადგილი, რომ ჩამოთვლა გამიჭირდება, რადგან ზაქროს მშობლები მაინც გვპოულობდნენ და ქვეყნის სამასხროდ გვაქცევდნენ ხოლმე, არ ერიდებოდნენ არც ფანჯრების თუ კარის მტვრევას...

— თუ იცით, რომ დიდი ცოდვა გაწევთ?

– ვიცი, მაგრამ ამ სიყვარულზე უარის თქმა ჩვენს ძალებს აღემატება. ძნელია, ჩემი გრძნობები სიტყვით გადმოგცეთ. მხოლოდ გეტყვით, რომ ჩემი სიყვარული მთელ ამ ტანჯვად მიღირს... ვიცი, რომ ცოდვილი ვარ, თანაც მამა, ხომ ჩემ გამო მოკვდა. ამას დაუმატეთ, რომ მე და ზაქროს შვილი არ გვიჩნდება, მაგრამ იმდენი მსმენია ამგვარი ცოდვის ნაყოფის შესახებ, რომ შესაძლოა, ეს ღვთის წყალობადაც მივიჩნიო...

ნინელისგან განსხვავებით, ჩემს მეორე რესპონდენტსა და მის ბიძაშვილს და ამავე დროს ქმარს, შვილებიც ჰყავთ და შვილიშვილებიც. როგორც ამბობენ, ბედნიერად ცხოვრობენ და ყველაფრის მიუხედავად, მეზობლებში, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობენ.

ძალგატონი ნინო, *65 წლის:*

– მე და ჩემი მეუღლე ალალი ბიძაშვილები ვართ. ხომ გინახავთ, სოფელში ორ ძმას ერთ სახლს რომ გაუყოფენ ხოლმე და შუაში ღობეს გაუვლებენ? ასე იყო გაყოფილი ჩვენი სახლიც. მამაჩემისა და მისი ძმის ოჯახს ერთმანეთში ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ბავშვები ერთად ვიზრდებოდით, ერთად ვჭამდით... დედაჩემი სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა, ამიტომ ხშირად გვტოვებდა მე და ჩემს ძმას ბიცოლასთან, ის კი, თავის ორ შვილსა და ჩვენ ერთად გვაძინებდა, გვბანდა და ა.შ. პატარაობიდანვე, ყველა ამჩნევდა, რომ მე და ჩემს ბიძაშვილ რეზოს განსაკუთრებული ურთიერთობა და სიყვარული გვქონდა ერთმანეთის მიმართ: სულ ერთად ვთამაშობდით, წყალზე ერთად მივდიოდით, ბოსტანში ერთად გავრბოდით... მამაჩემი ადრე გარდაიცვალა და დედა იძულებული გახდა, თავის მშობლებთან დაბრუნებულიყო, რომლებიც რაიონში ცხოვრობდნენ. ყოველ ზაფხულს, მაინც მამისეულ სახლში ვატარებდი და ჩემი და რეზოს თბილი ურთიერთობა კვლავინდებურად გრძელდებოდა. ცოტა რომ წამოვიზარდეთ, მხოლოდ მაშინ გავაცნობიერეთ, რომ თავდავიწყებით გვიყვარდა ერთმანეთი. მე ვხვდებოდი, რომ ის ჩემთვის პირველ რიგში მამაკაცი იყო და მხოლოდ მასთან შევქმნიდი ოჯახს. თოთხმეტი წლის ვიყავი, როცა ჩვენ შორის ფიზიკური სიახლოვე დამყარდა. მალე დავორსულდი. სახლში დაბრუნებულმა, დედას ვუამბე ყველაფერი – მეგონა, გამიგებდა. დედაჩემი კინაღამ ჭკუიდან შეიშალა, ოთახში ჩემთან ერთად ჩაიკეტა და ვენები გადაიჭრა. თურმე ამით ჩემი შეშინება უნდოდა – იფიქრა, შიშის

საფუძველზე მუცელი მოეშლებაო. დედა გადავარჩინეთ, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არც მუცელი მომეშალა და ვერც მისმა თავგანწირვამ მაიძულა, რეზო გადამეყვარებინა... დედა ისევ ცდილობდა, რომ მუცელი მომშლოდა და ერთხელ, კიბეზე ზეთი დამისხა – იქნებ, ფეხი დაუცურდეს და დაეცესო... ყველაფერს იღბალი უნდა, არც ამან გაჭრა. მესამე ცდაზე, თაგვის წამალი ჩამიყარა საჭმელში. საავადმყოფოში მოვხვდი, სასწაულებრივად გადავურჩი სიკვდილს, მაგრამ ყველამ გაიგო, თუ რა მიზეზით მოხდა ეს და რეზოს ყურამდეც მიაღწია ყოველივემ. ჩამოვიდა ჩემს სანახავად და საავადმყოფოდან როსტოვში გავიპარეთ. არავინ იცოდა ჩვენი ადგილსამყოფელი და ტელევიზია ხშირად გადმოსცემდა მაშინ ჩემს სურათს და მონაცემებს, როგორც უგზო-უკვლოდ დაკარგულისას... რეზოს შესახებ არაფერს ამბობდნენ. მამამისი – ე.ი. ბიძაჩემი თურმე ყველგან დაგვეძებდა – ჩვენი მოკვლა ჰქონდა განზრახული – მაგრამ რომ ვერ გვიპოვა, სიბრაზისა და სირცხვილისაგან, თავი საბძელში ჩამოიხრჩო... მთელი ამ ხნის მანძილზე, ჩემს მულს – რეზოს დას სატელეფონო კავშირი ჰქონდა ჩვენთან. მანვე შეგვატყობინა რეზოს მამის დაღუპვის ამბავი და გადავწყვიტეთ, დაკრძალვაზე ჩამოვსულიყავით. მაშინ უკვე პირველი შვილი გვყავდა და გვეგონა, ბავშვს რომ დაინახავდნენ, ახლობლებს გული მოულბებოდათ... მთელი სოფელი აგვიმხედრდა. სოფელში არც შეგვიშვეს... ვინაიდან რეზოს მამა ცოცხალი აღარ იყო, ვიფიქრეთ, რომ საფრთხე აღარ გვემუქრებოდა და თბილისში დავსახლდით. დრომ თავისი ქნა, – გარკვეული ხნის შემდეგ, სოფელმაც მიგვიღო და ნათესავებმაც. დედის გული მაინც ვერ მოვიგე – სულ ახლახან, ისე გარდაიცვალა, რომ მასთან მისვლის საშუალებაც არ მომცა... ამბობენ, რომ ჩვენს გვარს ეს გენეტიკურად მოსდგამს – მაგალითად, ბებიაჩემი ღვიძლ დეიდაშვილს ჰყავდა ცოლად... არაჩვეულებრივი შვილები გვყავს, სამი შვილიშვილიც. მე და რეზოს კი, უწინდებურად გვიყვარს ერთმანეთი. ორივე ეკლესიურად ვცხოვრობთ და იმედი გვაქვს, რომ ღმერთი მოგვიტევებს ჩადენილ ცოდვას...

ჯენარო ქრისტესაშვილი,

ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, კლინიკური გენეტიკისა და რეპროდუქციული ფუნქციის ჩამოყალიბების განყოფილების სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი:

– შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ჩემი ხანგრძლივი პრაქტიკის მანძილზე, მხოლოდ ერთეული შემთხვევები მქონდა იმისა, როდესაც საქმე ეხებოდა ქართველებს შორის ნათესაურ ქორწინებას. ვფიქრობ, რომ ქართველებში ეს პრობლემა არ დგას. ხშირია ამგვარი ქორწინება აზერბაიჯანელებსა და ებრაელებში. ამ შემთხვევაში, მე მხოლოდ იმ ერებს ვასახელებ, რომელთა წარმომადგენლებიც უშუალოდ მოგვმართავენ დახმარებისთვის. ქორწინებას ისეთ ნათესავებს შორის, როგორებიც არიან ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ინბრიდინგი, ხოლო როდესაც კავშირი მყარდება ე.წ. პირველი ხარისხის ნათესავებს შორის – ინცესტი ეწოდება. ინცესტი მიღებული იყო ეგვიპტის საგვარეულოებში, რათა არ მომხდარიყო ქონებისა და ძალაუფლების გაყოფა უცხო ადამიანებთან. ცნობილია აგრეთვე, რომ კათოლიკური ეკლესია არ კრძალავს ქორწინებას მეორე ხარისხის ნათესავებს შორის.

— რატომ ვლინდება ასეთი ქორწინების შედეგად გაჩენილ ბავშვებში სხვადასხვა სახის პათოლოგია?

– ყოველი ჩვენგანი შეიძლება იყოს სხვადასხვა გენური მუტაციის მატარე-

ინფორმაციულ-შეეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალი

უბის წიგნაკიდან:

ბული 12 კმ სიგრძის და 0,5-2,0 კმ სიგანის კუნძულზე სოფელი შამგონა არის გაშენებული.

18. უინძორთა სასახლის ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებული სახელმწიფო მიღებებისთვის განკუთვნილი დარბაზები დამთვალიერებლებისთვის მხოლოდ მაშინ იღება, როდესაც დედოფალი სასახლეში არ იმყოფება.

19. ტიბეტელ დიდებულ ქალბატონს ყოველთვის თან ახლდა ქალიშვილების ამალა. სტუმრად ყოფნისას ქალიშვილები რამდენჯერმე იცვლიდნენ ტანსაცმელს. ამით ისინი ქალბატონის სიმდიდრის დემონსტრირებას ახდენდნენ.

20. ადრე რუსები ამბობდნენ Äà-ñ, Íåò-ñ, Èçâîëüòå-ñ. ამ დანამატის თავდაპირველი ვარიანტი სიტყვა Ãîñóäàðü იყო. შემდგომში მისგან მხოლოდ ერთი ასოლა დარჩა (ãîñóäàðü-ñóäàðü-ñó-ñ).

21. ფრანგული კომიქსების გმირი ასტერიქსი, დიდი კომბინატორი ოსტაპ ბენდერი, ცნობილი გამომძიებელი შერლოკ ჰოლმსი, საქსონიელი დიდებული ათელსტან კონინსგბურგელი – ეს იმ პერსონაჟთა ჩამონათვალია, რომლებიც ავტორებმა თავდაპირველად მოკლეს, მაგრამ მკითხველთა მოთხოვნით კვლავ გააცოცხლეს.

22. აშშ-ის პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი ახალგაზრდობაში მოჯამაგირედ, ტყისმჭრელად, მიწისმზომელად და ფოსტის მოხელედაც კი მუშაობდა.

23. დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელიზაბეტ მეორის მამა გეორგ მეხუთე, საკუთარ იმპერიაში შემავალი ქვეყნების საფოსტო მარკების შეგროვებით იყო გატაცებული.

24. XV საუკუნის შუა წლებში საფრანგეთში მოდაში შემოსული უზარმაზარი შლაპების გამო, ხშირად უხდებოდათ სახლის შესასვლელი კარის გადაკეთება.

25. იმისათვის, რომ ტროას ომში არ წასულიყო ოდისევსმა, სიგიჟე მოიგონა: დაიწყო მიწის ხვნა და ხნულებში მარილს თესავდა. ტყუილში იგი ევბეის მეფე პალამედემ ამხილა. მან ნაპირიდან მეათე ხნულში მისი შვილი ლაერტი ჩააწვინა და ამით არა მარტო ოდისევსის ტყუილი გამოააშკარავა, არამედ ტროას ალყის ხანგრძლივობა, 10 წელიწადიც, იწინასწარმეტყველა. ■

ბელი. ნორმალურ გენეტიკურ აპარატში ზოგიერთი გენი იცვლება და პათოლოგიურად, მუტანტურად იქცევა. თითოეული ჩვენგანი შეიძლება იყოს რამდენიმე ასეთი მუტაციის მატარებელი. როდესაც ეს ისეთი მუტაციებია, რომელიც ერთეულ მდგომარეობაში არ ვლინდება და მხოლოდ დაწყვილების შემთხვევაში იჩენს თავს, ეს უკვე საშიშროებას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში, ნათესაური ქორწინება ხელს უწყობს ერთი ტიპის გენების დაწყვილებას. საერთოდ, გენების დაწყვილების რისკი, მათ შორის, პათოლოგიური სახის, იზრდება მაშინ, როდესაც მეუღლეები ერთი რაიონიდან, ერთი სოფლიდან არიან. ამას განაპირობებს ის, რომ შესაძლებელია, მათ ერთი წინაპარი ჰყავდათ. ამგვარ სიტუაციას ჩვენ ვუწოდებთ საქორწინო დისტანციის შემცირებას. ამიტომ ამბობენ, რომ სხვა ეროვნებასთან შეჯვარებით უმჯობესდება მომავალი თაობის გენეტიკა.

— კერძოდ, რა დაავადებები შეიძლება გამოიწვიოს მუტანტური გენების დაწყვილებამ?

— მაგალითად, აშკენაზის გვარში (მოგეხსენებათ, ეს ებრაული გვარია) ძალზე ხშირია მძიმე ნერვული სისტემის დაზიანებით მიმდინარე „თეისაქსის“ დაავადება. ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელებულია თალასემია, ამიტომ აქ ხშირად შეიძლება მოხდეს ამ გენების დაწყვილება, ასევე, სხვადასხვა სახის გემოგლობინოპათიებისა. ამ ქვეყნებში ხშირად ავლენენ გენის მატარებლებს. თუ ოჯახში ავადმყოფი ბავშვი დაიბადა, ცხადია, რომ მისი და-ძმანი ე.წ. რისკის ჯგუფში ხვდებიან. ხშირად წყვილებს ქორწინებამდე უწევენ გენეტიკურ კონსულტაციას, ამოწმებენ, არიან თუ არა ისინი ჰეტეროზიგოტები ანუ გენის ფარული მატარებლები. თუ წყვილს გაცნობიერებული აქვს, რომ ნათესაურმა კავშირმა შეიძლება გაზარდოს დაავადებათა რისკი, ისინი ან საერთოდ აღარ ქორწინდებიან, ან უნდა ჩაუტარდეთ პრენატალური დიაგნოსტიკა (ნაყოფის გამოკვლევა). დიდ როლს თამაშობს აგრეთვე ე.წ. „წინაპრის ეფექტი“ და ამის მაგალითად, ჩრდილოეთ რუსეთის მოსახლეობას ასახელებენ. თურმე სანამ ჩუქჩები მხოლოდ ირმის ჯოგების მოვლით იყვნენ დაკავებულნი, ვერავინ ამჩნევდა მათ გონებრივ ჩამორჩენილობას. მას შემდეგ, რაც მათ მათემატიკის შესწავლა დაიწყეს და აბსტრაქტულ აზროვნებას მიენიჭა უპირატესობა, მხოლოდ მაშინ აღმოაჩინეს, რომ მათ ახასიათებთ ერთ-ერთი ნივთიერების — ფენილალანინის ცვლის მოშლა,რაც მსუბუქი ტიპის გონებრივ ჩამორჩენას იწვევს. როგორც გაირკვა, ვიღაც ერთ წინაპარს ჰქონდა ეს დაავადება და ვინაიდან მთელი სოფელი ერთი კაცის შთამომავალია და შორეულ, მიუწვდომელ სოფლებში თავისთავად მხოლოდ ნათესაური ქორწინებები ხდება, ამან მთელი მოსახლეობა დააავადა.

ჩვენი წინაპარი ძალზე ბრძენი იყო: ხშირად მსმენია, რომ წინათ ქალის შერთვა უცხო სოფლიდან ერჩივნათ. გარდა დაავადებებისა, ნათესაური ქორწინების დროს ე.წ. ლეტალური გენების დაწყვილება ხდება, რის გამოც, ხშირია ორსულობის შეწყვეტა, ჩვილი ბავშვების სიკვდილიანობა, რომლის მიზეზსაც ხშირ შემთხვევაში ვერ ადგენენ.

ვანა ლეთისკ, *ქაშვეთის ეკლესიის მღვდელი:*

— ეკლესია სასტიკად ეწინააღმდეგება ნათესავებს შორის ქორწინებას. ჩვენ ქართველები ვართ — ტრადიციების მიმდევარი ერი, ამიტომ გვაქვს, როგორც დაწერილი, აგრეთვე დაუწერელი კანონები. ქართველებში მოგვარეობაც კი ახლობლობად აღიქმება. ქრისტიანული ეკლესია კრძალავს, როგორც ქორწინებას ნათესავებს შორის, ასევე ნათელ-მირონის მქონეთა შორის.

— თუ ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენთვის მოემართოთ ასეთ წყვილებს, ჯვრისწერის ან აღსარების მიღების თხოვნით?

— სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ასეთი შემთხვევა მქონია, მაგრამ ჯვრისწერის უფლება არასდროს მიმიცია. მე მიმაჩნია, რომ ამ მძიმე და საშინელმა დრომ დააცილა ადამიანები ერთმანეთს. ისეთი სიახლოვე ნათესავებს შორის, როგორიც ადრე იყო, აღარ არის. ხშირად ხდება ისე, რომ ახალგაზრდები ხვდებიან, შეუყვარდებათ ერთმანეთი და მხოლოდ გაკითხვა-გამოკითხვის შემდეგ ირკვევა, რომ ნათესავები არიან. ვესაუბრებით ასეთ წყვილებს, მოგვყავს საწინააღმდეგო არგუმენტები... სხვათა შორის, არც გვედავებიან ხოლმე. ყოფილა შემთხვევები, როდესაც დაუჯერებიათ ჩვენთვის და ერთმანეთს დაშორებიან.

— რამდენად მძიმეა, ამგვარი ქორწინების შედეგად ჩადენილი ცოდვა?

— ათ მცნებაში გვიწერია: „არა კაც-ჰკლა. არა იმრუშო“. ცოდვის ხარისხი დადგენილი არ არის, მაგრამ ცოდვა ცოდვაა. არსებობს მიუტევებელი ცოდვაც — მაგალითად, სულიწმიდის გვემა. როდესაც საუბარია ნათესაური ქორწინებით ჩადენილ ცოდვაზე, ძნელია, მართლმსაჯულების მსგავსად, დაადო მათ სასჯელი. ასეთ შემთხვევაში ცოდვა უკვე ჩადენილია და მათ პასუხი უნდა აგონ. მაგალითისთვის, ერთ შემთხვევას მოგიყვანთ: გოგონას დედა და ვაჟის მამა ბიძაშვილები იყვნენ — ე.ი. გოგონას მამიდა მისი დედამთილი გახდა. ბავშვებს ერთმანეთი შეუყვარდათ და გაიპარნენ. გაუჩნდათ შვილი, რომელიც ხორცის ნაჭერს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბავშვს: არც თავი ჰქონდა, არც ფეხი და ხელი, მხოლოდ გული უფეთქავდა... ყველამ ჩათვალა, რომ ეს ბავშვი მათი დიდი ცოდვის საზღაური იყო.

■

ბეჭდით შეკრული ბედი

ეს ამბავი შემთხვევით გაცნობილმა უმშვენიერესმა ქალბატონმა მანანა მდივნიშვილმა მიამბო, რომელიც არასოდეს ყოფილა გათხოვილი, არადა, მის დანახვაზე არ შეიძლება სინანულით არ გაიფიქროთ — აბა, ვინ ხდება ცოლი და დედაო?!. მის თვალებს 66 წლის ასაკშიც ზურმუხტოვანი სხივი აქვს შემორჩენილი, მის თითებს და სახის კანს კი — სინორჩე.

ინგა ჯაყელი

— ჩემზე არ ყოფილა დამოკიდებული გათხოვება-არგათხოვება, წუნია არასოდეს ვყოფილვარ, მით უმეტეს, როცა 25-ს და 30-საც გადავცდი. ორი ულამაზესი მამიდა გაუთხოვარი დამიბერდა, მანამდე კი — ბაბუდები. ყველას უკვირდა მიზეზი, რადგან ისინი ჩემზე უკეთესები თუ არა, უარესები ნამდვილად არ ყოფილან. თავის დროზე, მთხოვნელიც ბევრი ჰყავდათ, მაგრამ საქმე ქორწილამდე არასოდეს მიდიოდა. ერთხელ, 40 წლის წინ ნატო მამიდამ, მასზე ბევრად ნაკლებ კაცზე გადაწყვიტა გათხოვება — არც გარეგნობა უვარგოდა, არც ქონების პატრონი იყო, თანაც ქვრივს სამი ობოლი ჰყავდა. გაგიჟებულა ის კაცი სიხარულით: ვერც წარმოვიდგენდი, რომ ნატო თავს გამიყადრებდაო! დანიშნეს ქორწილის დღე და... დილით მკვდარი იპოვეს ის კაცი საწოლში, ძილში „გაპარულიყო“.

ისე განიცადა მამიდაჩემმა ეს ამბავი, დაიფიცა: ეტყობა, არ მიწერია ბედნიერება და სხვას მაინც არ გავაუბედურებ, გათხოვება აღარ მიხსენოთო!..

არანაკლებ გასაოცარი იყო მეორე მამიდის, მარიამის ბედი. პირველად 14 წლისას იტაცებდნენ, მაგრამ მამამ და ძმებმა საქმროს წაართვეს: დაქალება აცალეთ და მერე წაიყვანეთო! — არადა, სასიძო ორი წლის შემდეგ, ბიძაშვილმა შემთხვევითი გასროლით, თოფით მოკლა.

იმაზე მაინც არავის უფიქრია, რომ ჯადო ან წყევლა იყო ჩვენზე, არც გვილაპარაკია ამაზე არასოდეს ხმამაღლა.

მამიდაჩემმა ნატომ რომ დაიფიცა — გათხოვება აღარ მიხსენოთო! — თავისი საყვარელი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მოიხსნა და მომცა: ეს ბეჭედი მამიდამ მაჩუქა და ქალიშვილიც რომ მყოლოდა, მაინც შენთვის უნდა მეჩუქებინა, ტრადიციაა ასეთი, მამიდიდან გასათხოვარ ძმისშვილზე გადადისო! — მაშინ 12 წლის ვიყავი და არ დავინტერესებულვარ, რა ტრადიცია იყო, ან ვისგან დაწესებული, მოგვიანებით კი ვიკითხე, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ აღმოჩნდა. ის ბეჭედი კი ლამის ორი საუკუნის იყო და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ჩვენს ოჯახში.

მე და არა მყავს, ორი უფროსი ძმის პატრონი ვარ, რომლებიც დროზე დაქორწინდნენ და სამ-სამი შვილიც გაუჩნდათ. მე კი დავრჩი, არადა, მამიდაჩემის მსგავსად 14 წლისას დამიპირეს მოტაცება. არ მიყვარდა ის ბიჭი და არ გავუჩერდი, მილიციით დავემუქრე, ამიტომ ახლოსაც არ გამაკარეს მისმა მშობლებმა და შინ დამაბრუნეს. მერე კი, წელიწადი არ გასულა, რომ წინადადება არ მიმეღო. ზოგი მართლა კარგი ბიჭი იყო, თანახმაც ვიყავი, მაგრამ ბოლოს მაინც ერთმანეთს ვშორდებოდით. ერთმა ნიშანი მომიტანა და რომ უნდა წავეყვანე, ავარია მოუხდა, კაცი შემოაკვდა და ციხეში გამამწყვდიეს რამდენიმე წლით. მე პატიოსნად ველოდებოდი, ის კი აღარ გამეკარა, ნიშანიც არ მოუთხოვია უკან: — ღმერთს რომ ჩვენი ერთად ყოფნა ნდომოდა, ის უბედურება არ დაგვემართებოდაო!..

გადავცილდი 40 წელს და მეც ჩავიქნიე გათხოვებაზე ხელი. მამიდის ნაჩუქარი ბეჭედი, 18 წელი რომ შეუსრულდა ძმისშვილს, ჩემს სეხნია მანანიკოს ვაჩუქე.

ჰოდა, ორ წელიწადში მისმა შეყვარებულმა სხვა შეირთო, არადა, მეშვიდე კლასიდან უყვარდათ ერთმანეთი.

ისე გახდა მანანა ოცდაათის, ლაპარაკის მეტი, არაფერი იყო მის ბედზე და არ ვიცი, საიდან მოუვიდა ეს აზრი თავში. ერთხელ ჩემთან იყო, მითხრა: „ეს ბეჭედი ძალიან მიყვარს, მაგრამ ასე მგონია, მისი ბრალია ჩვენი ოჯახის ქალების უბედობა. როცა ვიკეთებ, თან თავის გამოჩენის სურვილი მიჩნდება, თან რაღაცნაირ ცუდ ხასიათზე ვდგები, თითქოს სულიერად ვიფიტები და ვცარიელდები, თუ არ გეწყინება, გავყიდიო...

სიმართლე გითხრათ, არ მესიამოვნა ბეჭდის გაყიდვაზე ლაპარაკი, ის ჩვენი ოჯახის რელიკვიად მიმაჩნდა, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე და სხვა რამე ვთქვი ხმამაღლა: ეგ ბეჭედი შენი საკუთრებაა და როგორც გინდა, ისე მოიქეცი-მეთქი!..

სხვათა შორის, ბეჭედი მართლაც ძვირფასი აღმოჩნდა. იგი უცხოელმა იყიდა ათი ათას დოლარად. ჩვენთვის ეს ზღაპრული თანხა იყო, თუმცა გვითხრეს, რომ მისი რეალური ფასის მეათედიც არ აგვიღია.

გვინდოდა, მანანას იმ ფულით ბინა ეყიდა თავისთვის, რადგან ვერ თხოვდებოდა, მაგრამ ამაზეც უარი თქვა: ბეჭედი იმიტომ მოვიცილე თავიდან, მისგან უარყოფით ენერგიას ვგრძნობდი, ამიტომ ამ ფულით ნაყიდი არც ბინა მინდაო! — და ახლობლებს გაუნაწილა. ორი ათასი დოლარი ნათესავების საფლავების მოწყობას მოახმარა.

საბოლოოდ კი, ისე გამოვიდა, რომ ინტუიციას არ უღალატია მისთვის — ის ბეჭედი რომ გაყიდა, ექვს თვეში გათხოვდა, ნათესავის ოჯახში სამი კვირის გაცნობილ ვაჟს გაჰყვა. ამ ამბის შემდეგ სამ თვეში კი, მისი უფროსი დაც გათხოვდა. იმავე წელს, ჩემი მეორე ძმისშვილი — 27 წლის ნინიკო.

ამის შემდეგ ყველამ ვირწმუნეთ, რომ იმ ბეჭდით ჩვენი ოჯახის ქალების ბედი იყო შეკრული და სანამ არ მოვიცილებდით, საშველი არ დაგვადგებოდა.

— მკითხავ-მისნებთან ხომ არ გითქვამთ ბეჭდის ამბავი?

— აღარ ჩავთვალეთ საჭიროდ. ეკლესიაში კი დავდივართ და განწმენდის ლოცვებს გვიკითხავს მოძღვარი.

— მან თუ გითხრათ რაიმე ბეჭდის შესახებ?

— სამღვდელოება ასეთ რამეზე ლაპარაკისგან თავს იკავებს, თუმცა ჯადოს თაობაზე იქაც ითქვა.

— მაინც ვის უნდა შემოეტანა თქვენს ოჯახში ბეჭედი, ან რატომ?

— ვერაფერს გეტყვით, რადგან ჩვენი ყველა წინაპარი, ვისაც კი შეიძლებოდა ინფორმაცია ჰქონოდა, კარგა ხნის გარდაცვლილია. სამწუხაროა, რომ მანანას გარდა, ბეჭდის უარყოფითი ენერგიის თაობაზე ინტუიციამ არავის არაფერი გვიკარნახა. მაგრამ ღმერთის მაინც მადლობლები ვართ, რომ სამუდამო შინაბერობისთვის არ გაწირა ჩვენი ქალები!..

მართლაც უჩვეულო და იდუმალებითაა მოსილი ამბავი, რომელიც ქალბატონმა მანანა მდივნიშვილმა გვიამბო... ■



„ვე�nia, ერთ ვეჯვენიერ ღრეს, ყველა არ ეოჯახრეო“

მარი ჯაფარიძე

მინდა გითხრათ, რომ „გზავნილებს“ თქვენ ქმნით, ჩვენო მკითხველებო... მე თქვენს გამოგზავნილ „მესიჯებს“ მხოლოდ უმნიშვნელოდ ვამოკლებ, თავის ადგილს მივუჩენ, მცირე კომენტარს დავურთავ და... სულ ეგ არის... ხანდახან, სიყვარულით „გაჯერებულ“ „მესიჯებს“ შორის ისეთიც გამოერევა, რომელიც სერიოზულ, პრობლემატურ თემას ეხება. ასეთი მესიჯის გამოქვეყნებისგან თავს ვიკავებდით ხოლმე, რათა მკითხველისთვის ისედაც დაძაბული ცხოვრება კიდევ უფრო მუქ ფერებში არ წარმოგვეჩინა. გადავწყვიტეთ, მსგავს გზავნილებსაც გარკვეული ადგილი დავუთმოთ. „გზის“ მომავალ ნომერში სიახლეს შემოგთავაზებთ, რომლის შესახებაც ქვემოთ გიამბობთ... ახლა კი, თავდაპირველად, ახალგაზრდა გოგონას გზავნილი, რომელიც შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ ხედავს...

„...ჩემთვის ერთადერთი მამაკაცი არსებობს და ის, ჩემი მეგობრის მამაა...“

„მე ვარ მთვარისა, 20 წლის. მინდა, გულახდილად მოგიყვეთ ჩემი ბავშვური ოინის შესახებ, რომელიც ახლა მეტისმეტად სერიოზულ პრობლემად მექცა. ყველაფერი კი ორი წლის წინ დაიწყო: ჩემს მეგობარ გოგონასთან დავრეკე. ყურმილში საკმაოდ ბოხი, ჟრუანტელის მომგვრელი, მამაკაცის ხმა გაისმა. გამიკვირდა, რადგან ნინოს მამა საზღვარგარეთ ცხოვრობდა, უკვე 10 წელი იყო, საქართველოში არ ჩამოსულიყო და შინ მხოლოდ ნინო და დედამისი უნდა ყოფილიყვნენ. ყურმილი დავკიდე და ხელახლა დავრეკე. იმავე ხმამ მიპასუხა. ისევ გავთიშე. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ნინოს მამა დაბრუნებულიყო. ეს ხმა დიდი ხნის განმავლობაში არ მაძლევდა მოსვენებას, მაგრამ რა უნდა მექნა? თუ ტელეფონზე ალიკა მპასუხობდა, არასოდეს ველაპარაკებოდი. ნინოსთან ძველებურად ვაგრძელებდი ურთიერთობას. რამდენიმე თვის შემდეგ გავიგე, რომ ახლა დედამისი მიდიოდა საზღვარგარეთ. გამიხარდა. დავფიქრდი, მაგრამ ვერ მივხვდი, რატომ მიხაროდა... ნინოსთან შინ სტუმრად აღარ მივდიოდი. რატომღაც ვუფრთხოდი იმ ადამიანთან შეხვედრას, ვისი ხმაც ასე მაღელვებდა. დედამისის წასვლიდან ერთი თვის შემდეგ, საკმაოდ გვიან, ნინოსთან დავრეკე. ღმერთს ვევედრებოდი, ყურმილი ალიკას აეღო. ასეც მოხდა. დაველაპარაკე, ვუთხარი, დიდი ხანია, გიცნობ, ახლა გადავწყვიტე, გაგიმხილო, რომ მიყვარხარ-მეთქი. საუბარში ამყვა. მეორე დღესაც დავურეკე, თუმცა, ბუნებრივია, არ გამიმხელია, ნინოს მეგობარი რომ ვიყავი... ერთი სიტყვით, ჩვენმა საუბრებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. ვსაუბრობდით ყველაფერზე, საკმაოდ ინტიმურ თემებზეც... ხშირად, ასე შორიდან, ტელეფონით ლაპარაკისას მეფერებოდა, აღწერდა იმ სცენებს, რომელიც სურდა, რომ ჩემთან ლოგინში ჰქონოდა, დაწვრილებით გადმომცემდა ყველა დეტალს. მე ეს მომწონდა, ამიტომ, ერთი სული მქონდა, როდის მოსაღამოვდებოდა, რომ მასთან დამერეკა. ვგრძნობდი, რომ ისიც მელოდა. თუ არ დავრეკავდი, ეჭვიანობდა. შეხვედრა არასოდეს უთხოვია, არც ჩემი ტელეფონის ნომერი... ერთი წლის შემდეგ უკვე სიგიჟემდე მიყვარდა... ერთ დღეს, ვერ მოვითმინე და ნინოს ისეთ დროს ვესტუმრე, როცა ალიკაც შინ იყო. არაფერი შეუნიშნავს, ვერ მიცნო, თუმცა, შამპანურითა და ხილით გაგვიმასპინძლდა... ის 37 წლის, კარგი გარეგნობის მამაკაცი აღმოჩნდა... ამის შემდეგ მისი სახელი უკვე ძილშიც მაბოდებდა. გარეგნობით მეც კარგი გოგო ვარ, უამრავი თაყვანისმცემელი მყავს, მაგრამ არავინ მაინტერესებს. ჩემთვის მხოლოდ ერთადერთი მამაკაცი არსებობს და ის, ჩემი მეგობრის მამაა... უკვე აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. დიდი ხანია, შეხვედრას მთხოვს. ხან რას ვიმიზეზებ, ხან რას... არ ვხვდები, მაგრამ უკვე ასეც აღარ შემიძლია... მინდა, თქვენი საშუალებით გაიგოს სიმართლე. მართალია, სახელები შევცვალე, მაგრამ თავის თავს ადვილად ამოიცნობს... მინდა, მივმართო – ჩემო ალიკა, იმედია ხვდები, რომ ეს მე ვარ. ახლა შენ სიმართლე უკვე იცი. თუ ჩემთან დაკონტაქტების სურვილი გექნება, შეძლებ მხოლოდ „გზავნილებისა“ და მარის საშუალებით, რადგან, ვიდრე შენგან პასუხს არ მივიღებ, მე აღარ დაგირეკავ... შენ ჩემს ზარს ასე პასუხობ – „შენ ხარ, ჩემო ფარულო ვნებავ?..“*

ახლა კი კურიოზი, რომელსაც მკითხველი გვიამბობს:

„...ჩემი ცოლი ლურსმნებისგან „სუპს“ ხარშავს...“

„მე გახლავართ გიორგი ნოზაძე, ექიმი. მინდა, საინტერესო ამბავი მოგიყვეთ, რომელიც ბებიაჩემსა და ბაბუაჩემს გადახდათ თავს... ისინიც ექიმები იყვნენ (ახლა პენსიონერები არიან). ჰოდა, ჩემს ლექსო ბაბუას დალევა უყვარდა. სულ ამის გამო იყო დავა ცოლ-ქმარს შორის. ბებომ რომ ვერაფერი შეასმინა, ასეთ ხერხს მიმართა: როდესაც ბაბუა მთვრალი მოდიოდა, იძახებდა მილიციას (გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლები გახლდათ) და ლექსოს გამოსაფხიზლებელში ამოაყოფინებდა ხოლმე თავს... ბაბუ, როცა სამსახურში არ მიდიოდა, ეზოში (თბილისში, კერძო სახლში ვცხოვრობთ) თავისთვის ჩხ-

ირკვეველაობდა. ერთ მშვენიერ დღეს, ცოლმა დაასაქმა – რამდენი ხანია, გეხვეწები, რომ ახალმიშენებული ოთახი გადახურო, დღეს მაინც შინ ხარ და იქნებ, მოგეხერხებინაო... ლექსომ უპასუხა – კი, ბატონო, არ დაგზარდები, ოღონდ, ა, ეს ლურსმანი გამოხარშე, თუ ქალი ხარო... – რად უნდა, ლურსმნებს გამოხარშვა, ხომ არ გაგიჟდიო? – გაუკვირდა ბებიას. – რად და, აღარ დაჟანგდება და საუკუნეებს გაუძლებსო – უპასუხა ლექსომ მშვიდად და ყუთით კარგა ბლომად ლურსმანი გამოათრია. ბებიამაც არ დააყოვნა, შემოდგა ძველი ქვაბი ცეცხლზე, ჩაყარა ლურსმნები და დაიწყო მათი გამოხარშვა. ბაბუამ მისგან მალულად დარეკა ფსიქიატრიულში და აცნობა: – ჩემი ცოლი გაგიჟდა, ლურსმნებით „სუპს“ ხარშავსო... არ დაუჯერეს, მაგრამ როდესაც უთხრა, რომ თვითონაც ექიმია, სახელი და გვარიც დაუსახელა, მაშინვე მოვიდნენ. ნახეს – ქვაბში ლურსმნები იხარშება, ქურასთან კი ბებია ფუსფუსებს და ხახვსა და მწვანილს ჭრის (ნამდვილი სადილისთვის) ჰოდა, უცებ დაავლეს ხელი, მისი პროტესტის მიუხედავად, მანქანაში ჩასვეს და ჰაიდა... სიმართლის დადგენაში სამი დღე გავიდა, ბებო უკან დაბრუნდა და ამის შემდეგ „ბულკივით“ იყო.“

ახლა კი ამ ამბის შესაფერის ანეკდოტსაც გიამბობთ:

მიხოს მეზობლის ქალი შეუყვარდა და გადაწყვიტა, ცოლი თავიდან მოეშორებინა. გაიკითხ-გამოიკითხა, როგორ შეიძლებოდა ამის ისე გაკეთება, რომ დაუსჯელი დარჩენილიყო და ერთმა გონებამახვილმა მეგობარმა ასწავლა: თუ მთელი ღამის განმავლობაში შენს კაცურ მოვალეობას მოიხდი, ქალი ამდენს ვერ გაუძლებს და დილით მკვდარი დაგხვდებაო. მიხომ გადაწყვიტა, ასეც მოქცეულიყო და მარო მთელი ღამე არ მოასვენა. გამთენიის ხანს კი, არაქათგამოცლილმა ტკბილად დაიძინა. თვალი რომ გაახილა, ნახა, რომ ცოლი გვერდით აღარ უწევს. გაიღო ოთახის კარი, შემოდის მარო გაღიმებული, სინზე ყავა, ნამცხვარი, შოკოლადი დაუწყვია და მიხოს მოართვა:

– მირთვი, გენაცვალე, ღმერთმა შეგარგოს...

– რა არი, დედაკაცო, ცოცხალი ხარ? ე, ყავაი, როდი იყო, ლოგინში მამართმევდი ხოლმე?

– გენაცვალე, მიხავ, როცა ადამიანურად მამექცევი, მაშინ მეც ადამიანურად მოგექცევი...

ახლა კი, მინდა, მეტად ორიგინალური „მესიჯი“ შემოგთავაზოთ:

„გამარჯობა, მარი. მე ვარ ლიზი, 34 წლის. საუბედუროდ, ორგზის ქვრივი გახლავართ. პირველად 17 წლის დავქვრივდი, მეორედ – 23-ის. მოკლედ, არ მიმართლებს და რა ვქნა... ახლა ერთი ფულიანი და ცოლშვილიანი კაცი გადამკიდებია – გინდა თუ არა, ჩემი საყვარელი უნდა გახდეო. ხან ის მითხრა, შვილი გამიჩინეო (მე არ მყავს), ხან შანტაჟი მომიწყო, სამსახურში ფულს ფლანგავო (ერთ-ერთ ჰოლდინგში ვმუშაობ და უფროსებთან მიჩივლა). ეს კი იმიტომ გააკეთა, რომ სამსახური დავკარგო და მასზე დამოკიდებული აღმოვჩნდე. მოკლედ, მინდა ამ მამაკაცს ლექსად მივმართო: ჩემო ილია მ-შვილო:

„ვფიცავ, რომ აღარ მოვითმენ,
ამ ჩემი ორი ქმრის სახელს,
ასე აბუჩად რომ იგდებ,
ქვრივად საქვეყნოდ რომ მამხელ.
არ მინდა, ქვეყნის ფულები,
ატლასები და ფარჩები,
ქმრებს სიკვდილის წინ შევფიცე,
მათი ერთგული დავრჩები...
მე ჩემს ჯავრადაც მეყოფა
ქვრივოსერობა ტიალი,
საფლავში ქმრების ძვალებისა
სულ რახარუხით ტრიალი,
თუნდაც, ჰოლდინგის ქონება,
განა ჩემთვის მსურს, ვიხელთო?
მხოლოდ იმისთვის მჭირდება,
ქმრების საფლავებს მივხედო...“

მოკლედ... ყველამ თავის საქმეს მიხედოს, ჩვენ კი მოკლე გზავნილებს გადავხედოთ:

„მამიკო მერე რა რომ ჰატიმარი ხარ?“

„ძალიან მიყვარს კახა სამუშია. ის ექიმი-სტომატოლოგია. მე მიცნობს, როგორც სალომე პირველს, სინამდვილეში კი, გვანცა გუჩაშვილი ვარ. გადაეცით, უზომოდ, ძალიან, ძალიან მიყვარს. კახა, დამირეკე, ჩემი ტელეფონის ნომერი მარის აქვს...“

„ერთი გოგო შემიყვარდა. ის რუსეთში ცხოვრობს. ჩემმა მეგობარმა გამაცნო და ერთმანეთს „მესიჯებით“ ვეკონტაქტებით. მას არ აძლევენ ჩემზე გათხოვების უფლებას, რადგან მუსლიმანია, მე კი ქრისტიანი ვარ... ლაშა“.

„მას შემდეგ, რაც ჩემი გულის ფართობზე შენი სიყვარულის პერპენდიკულარი დაეცა, აღარ მაქვს რადიუსი, რომ ჩვენი სიყვარულის წრე შემოვხაზო. „ფაცო“.

„მის წყალტუბო“, მოგესალმება შენზე მეოცნებე, მენატრები, ჩემო სიცოცხლევ, ნუ მაიძულებ, მოგიტაცო. I Love you, Keit“

„გოჩა გიუნაშვილო, ძალიან მიყვარხარ, შენ რომ არ მყავდე, ვინ გამანებივრებდა? შენი „ბრანცა-კოტე“.

„ნიკეა... ქარია... მზე, ჩუმი ოცნება და თქვენ... თქვენ რომ დაგინახეთ, დაგვეცა ელდა, ვეღარ ვაზროვნებთ, მას მერე, ვერა. ეძღვნება სასუსნავზე უფრო ტკბილ რეზოს, თოკოს, ბერდოს, ირაკლის. „ფინალი“.

„მეზიზღება რუსთავის ...-ე სკოლა და ყველა უგუნური პედაგოგი. მეშინია, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ყველა არ მოვახრჩო“.

„ჩემს სიყვარულს, ნონას – მთელი 10 წელია, გულში ნაღველი მქონდა და ვერ ვივიწყებდი შენს წარსულს. შენმა სიყვარულმა ბედნიერება მარგუნა და იცოდე, ერთ დღეს ხელსაც გთხოვ. ვიცი, უარს არც შენ მეტყვი. მხოლოდ შენთან ვიქნები ბედნიერი. . . .“

„მარი, მგონი, სანდრი ანუ ჩემი ცხოვრება დავკარგე... ცუდი ვარ... ცუდი! უბრალოდ, მინდა ვუთხრა, რომ მე ის მაინც მიყვარს... თამი“.

„თამუნა წიკლაურო, მართალია, არ მიცნობ, მაგრამ იცოდე... მართლა მიყვარხარ. ვიცი, რომ მაღლივში სწავლობ და ალბათ, შენც ყოველდღე მხედავ, მაგრამ ვინ ვარ, არ იცი. „ტიპო“.

„ძალიან მიყვარხარ ჩემო საყვარელო გელა მამიკო. მჭირდები და მენატრები. მერე რა, რომ პატიმარი ხარ? მაინც ჩემი საყვარელი მამიკო ხარ. მე ვამაყობ შენით. შენი სალო“.

„გიორგი სადაღაშვილო, როდის წაგვიყვან უფლისციხეში? გკოცნით. თიკა კანდელაკი და ლელა“.

„ნინიკო გოდუაძეს – ჯერ მთელი ცხოვრება წინ გაქვს. მოგიტაცებენ, მე ხომ ვიცი, ქვეყნად რაც ხდება... დიდი სიყვარულით, უცნობისგან“.

„მიყვარხარ... მენატრები... დაბრუნდი... გელოდები... ლევან ხუცაიძეს, თეონასაგან“.

„ბათუმელ ირაკლი გოგ-ს. თუ ზუსტად იცი, რა გინდა, უთუოდ ისიც გეცოდინება, როგორ მოიპოვო იგი. ს.ფ.“

„გამარჯობა, მარი. ჩემს დაქალსა და ერთ ბიჭს ვუყვარდგომლობდი. ჩემს მეგობარს ის ბიჭი ძალიან უყვარს. ის კი, სიყვარულში მე გამომიტყდა. რა ვქნა?“

ჩემო კარგო, დარწმუნებული ვარ, ერთგული მეგობარი ხარ და არც ისეთი კაცები უნდა მოგწონდეს, რომლებსაც ასე იოლად შეუძლიათ აზრის შეცვლა... დანარჩენი შენი გადასაწყვეტია...

ახლა კი იმის შესახებ, რა სიახლე იქნება „გზავნილებში“... შეგიძლიათ გაგვიმხილოთ თქვენი დამოკიდებულება ამა თუ იმ ცნობილი პიროვნების მიმართ. რას ეტყოდით მათ? შემდეგ ნომერში ამ შინაარსის თქვენი „მესიჯებიც“ გამოქვეყნდება. ველი თქვენს „მესიჯებს“ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ■

პატარა „სახელმწიფო“ საიდან მილება გვიან იწყება

ვახუშტი კოტეტიშვილსა და **მზეო გოგოჭურს,** *მეტად სტუმრიანი ოჯახი აქვთ. მათ სამსართულიან, ორიგინალურ სახლში, რომელიც მიაწმინდაზეა, უამრავი ადამიანი შეხმატკბილებულად ცხოვრობს – თავად ცოლ-ქმარი, ვახუშტის ვაჟიშვილი გუგა შვილთან – ტატოსთან ერთად, მზეოს დისშვილი – დათუნა, დეიდაშვილი – ეკა, მეგობარი – მანანა, მზეოს დედა და კიდევ – გუგას მეგობარი ახალგაზრდა გერმანელი ქალი – ბარბარა. სახლი იმხელაა, რომ შეიძლება გზა აგებნეთ და დაიკარგოთ. მზეომ დიდხანს თვალა, სულ რამდენი ოთახი იყო და 25-მდე ავიდა. სახლს უამრავი ჰოლი აქვს, რომ აღარაფერი ვთქვათ, რამდენიმე შესასვლელ კარზე. ერთი კარის მეშვეობით პირდაპირ სასადილო ოთახში აღმოჩნდებით, პირველ სართულზე. თუ კიბეს აუყვებით, მეორე სართულზე მოხვდებით, მესამე კარით კი გუგას საცხოვრებელში აღმოჩნდებით. თითქმის მთელი სახლი მწვანეშია ჩაფლული – სურისა და ვაზს ლამის მესამე სართულამდე აულწევია.*

ნინო ჯავახიშვილი

მზეო:

– ალბათ ყველას ახსოვს, რომ 1993 წელს ვახუშტის სახლი გადაწვეს. ჩვენ რომ შევუღლდით, გიორგი ბარამიძის მეუღლემ – ეკა ჯაფარიძემ დაგვითმო თავისი სახლი. ერთი წელი იქ ვიცხოვრეთ და დღემდე ტკბილად მახსენდება ის დრო. სახლი პირდაპირ მტკვარსა და მეტეხს გადაჰყურებდა და ამით ამაღლებული განწყობილება გვეუფლებოდა. ამის შემდეგ რამდენიმე ბინა გამოვიცვალეთ. ბოლოს, ვახუშტის, როგორც ლტოლვილს, წყნეთში მისცეს კოტეჯი. ამასობაში კი, ჩვენი სახლიც აშენდა და იქ დავსახლდით. უკვე 5 წელია, რაც ამ სახლში ვცხოვრობთ. ეს არის ჩვენი პატარა სახელმწიფო. შესაძლებლობების მიხედვით ყველაფერი ისე გავაკეთეთ, როგორც გვინდოდა, ისეთი ნივთები და ავეჯი შევიძინეთ, როგორიც მოგვწონდა და როგორიც ჩვენს გემოვნებას აკმაყოფილებდა.

კოტეტიშვილების საცხოვრებელზე მუზეუმი უფრო ითქმის, ვიდრე უბრალოდ სახლი. იქ ყველაფერს სიძველის სუნი და ელფერი დაჰკრავს, თითოეული ნივთი ანტიკვარულია და ძვირფასი, რადგან ბევრი მათგანი ბატონი ვახუშტის მშობლების ნაქონია. ცოლ-ქმარს არ უყვარს თანამედროვე დიზაინი. – ფერად, ჭრელაჭრელა და გაპრიალებული ავეჯით და ნივთებით გამოვსებულ სახლში ცხოვრება არ შეგვიძლიაო, – აღნიშნა მზეომ და დასძინა: ვიღაცისთვის შეიძლება, ვთქვათ, ეს უძველესი სკამები გადასაყრელი იყოს, ჩემთვის კი ხელოვნების ნიმუშიაო.

– ერთხელ ერთ-ერთი ჟურნალისთვის ინტერვიუ ჩავწერეთ. საუბრის დასასრულს ჟურნალისტმა მთხოვა – სურათებს გადაგიღებთო. კი, ბატონო-მეთქი. იცით, რა, იქნებ გარეთ გავიდეთ, ამ ძველ რაღაცებში ხომ არ გადაგიღებთ სურათსო? გაოცებული დავრჩი... როგორც იტყვიან, გემოვნებაზე არ დაობენ...

მისაღების ერთ კუთხეში დივანი, ორი საკარძელი და გუგას გაკეთებული ორიგინალური ჟურნალების მაგიდა დგას. ოთახი დიდია და ფართო, ღია ფერშია გადაწყვეტილი, ისევე, როგორ სხვა დანარჩენი ოთახები. მყვირალა ფერები არავის უყვარს. ოთახში შეამჩნევთ ნარდის სათამაშო უძველეს მაგიდას, თუმცა კოტეტიშვილების ოჯახში ნარდის თამაში არავის ჰყვარებია. მაგიდასთან პეტერბურგიდან ჩამოტანილი მოჩუქურთმებული ხის სკამი დგას. იქვე კომპიუტერიც, რომელზედაც ბატონი ვახუშტის გარდა, ყველა მუშაობს. მისთვის ახლობლებს ახალი კომპიუტერი უჩუქებიათ:

– ერთხელ შევესწარი, ერთი ჩემი ლექტორი ლექციაზე ბავშვებს რომ ეუბნებოდა – ბავშვებო, ხომ იცით, დღევანდელობაში კომპიუტერი როგორ აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, არიან ადამიანები, ვისთვისაც კომპიუტერი არაფერს ნიშნავს. აი, მაგალითად, ვახუშტი კოტეტიშვილს რაში სჭირდება კომპიუტერიო? აღარ მახსოვს, ეს საუბარი რას მოაყოლა... ვახუშტის რატომღაც ტრადიციებთან აიგივებენ და ვერ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება, მანაც იცოდეს კომპიუტერზე მუშაობა. მაშინ გულიანად გამეცინა და იმ ლექტორს ვუთხარი, – არც მთლად მასეა საქმე, თქვენ რომ გგონიათ, ვახუშტი საათობით ზის კომპიუტერთან და ხელით თითქმის აღარაფერს წერს-მეთქი.

მისაღებში, ხის კარადაზე რამდენიმე ქანდაკება დგას. ცოლ-ქმრის ბიუსტი მათ მეგობარს – გურამ პაპინაშვილს გაუკეთებია და საჩუქრად უძღვნია მათთვის. თამარ ბაგრატიონის (ბუბა კიკაბიძის დეიდის), ბატონი ვახუშტის ბაბუის და დედამისის (რომელიც ადრეულ ასაკში გარდაიცვალა) ბიუსტები კი, ვახტანგ კოტეტიშვილს გაუკეთებია.

თითქმის ყველა ოთახშია ნახატები. უმეტესობა ბატონი ვახუშტის მამის შესრულებულია. როგორც ჩანს, ის ძალზე ხშირად ხატავდა მშობლებს, მეულლესა და შვილებს – ლეილას და მანანას. ბევრი ნახატი ტყვიებით არის დაზიანებული! როდესაც კოტეტიშვილების სახლი გადაწვეს, ნახატებიც მაშინ დაუცხრილავთ... ცოლ-ქმარს განსაკუთრებით უყვარს თენგიზ მირზაშვილის ნახატები. – მისი სტილი აბსოლუტურად ჯდება ჩვენს გემოვნებაშიო, – აღნიშნეს. ოთახში წიგნების ორი კარადა დგას. ერთი მათგანი გუგას შეუძენია და მამისთვის უჩუქებია. „კვიცი გვარზე ხტისო“, – ნათქვამია და როგორც მზეომ გვითხრა, გუგაც ანტიკვარულ ავეჯსა და ნივთებზე ყოფილა შეყვარებული. მის ოთახში თურმე არაერთ საინტერესო ნივთს ნახავთ.

მეორე სართულზე ჰოლის და მისაღების გარდა, ბატონი ვახუშტის სამუშაო კაბინეტია, სადაც ის დროის უმეტეს ნაწილს ატარებს. როდესაც მეულლე მუშაობს, მზეო ხშირად შეაკითხავს ხოლმე – ხან ჩაის უმზადებს, ხან ყავას, ზოგჯერ – უბრალოდ პოეზიაზე საუბრით ირთობენ თავს.

— ბატონ ვახუშტის თუ აქვს სახლში განსაკუთრებულად საყვარელი ადგილი?

– სასადილო ოთახში მაგიდასთან დგას ერთი დიდი ტახტი, რომელზედაც ქართული ფარდაგია გადაფარებული და ვახუშტის სწორედ იმ ტახტზე ჯდომა უყვარს. ზის, ჩაის სვამს, ვახშმობს, ტელევიზორს უყურებს. საერთოდ, საღამოს ყველანი სასადილო ოთახში ვიკრიბებით, ვსაუბრობთ, ვხუმრობთ, ვყვებით, ვის რა გადახდა დღის განმავლობაში, იქ ვიღებთ სტუმრებსაც. მოკლედ, დროს ძალზე მხიარულად ვატარებთ ხოლმე.

— სტუმრიანი ოჯახი გაქვთ. როგორ ხვდებით სტუმრებს, როგორ უმასპინძლდებით — ტრადიციული, ქართული სუფრით?

— ჩვენს ოჯახში ყოველთვის სტუმარია. ღამის 10 საათიდან იწყება სტუმრების მიღება. ცოტა ხნის წინ დათო მაღრაძე იყო ჩვენთან და რომ წავიდა, ვახუშტიმ გამაფრთხილა — შეიძლება, ამ საღამოს დათო და მამუკა ხაზარაძე გვეწვიონო. ახლობლებს, ჩვეულებრივ, იმით ვუმასპინძლდებით ხოლმე, რაც გვაქვს, შინაურულად ვხვდებით. თუ ვინმე უცხო გვესტუმრა, ტრადიციულად, ქართული სუფრა იშლება, ვახუშტი კი ყოველთვის თამადაა.

— ბატონ ვახუშტის ალბათ ბევრი განსხვავებული სასმისი ექნება. ასეა?

— ნუგზარ შატაიძემ ერთი უშველებელი ყანწი აჩუქა, მაგრამ იმათ ვერავინ სვამს თამაზ ტყემალაძის გარდა. თვითონ თამაზმა კი ერთი კრამიტი მოიტანა — მოდი, განსხვავებული სასმისი ეს იყოს და ამით დავლიოთ ხოლმე გამორჩეული სადღეგრძელოები. ეს კრამიტი ახლაც ბუხართან დევს და ყველა გაოცებით კითხულობს — რად გინდათ, ეს კრამიტი აქ რომ მიგიყუდებიათო?!.

— მზეო, თქვენს ოჯახში ყველაზე ძვირფასი ნივთი რა არის?

— ვახტანგის დროინდელი სპარსული ჩიტი, ბრინჯაოსგან არის ჩამოსხმული. ვისაც გემოვნება აქვს, ყველა აღტაცებული რჩება ამ ნაკეთობით. ჩვენც ძალიან მოგვწონს. ულამაზესად არის მოხატული. ეს არის მეტად რთული, ძველისძველი ხელოვნება — ინკრუსტაცია.

ჩვენთვის ძვირფასია ვახტანგის დროინდელი ხის უშველებელი სკამიც. როდესაც ვახტანგი დააპატიმრეს, ხოლო მის ქონებას კონფისკაცია გაუკეთეს, დედამისი თურმე ვერაფრით ააყენეს ამ სკამიდან — ჩემი შვილის ნაქონია, ძალიან უყვარდა და ეს მაინც დამიტოვეთო...

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა ხდება სახლის მესამე სართულზე. იქ რამდენიმე

ვახუშტი ჩემზე ამბობს ხოლმე — მზეო ჰუმანიტარული დახმარების სახით მთიდან გამომიგზავნესო

სამინებელია. დათუნას ოთახში ლექსები პირდაპირ კედლებზეა მიწერილი (დათუნა ლექსებს წერს) და გარდა ამისა, იქ უამრავი პლაკატი და ფოტოა გაკრული. მეორე სამინებელი ეკას და მანანას კუთვნილებაა. მზეოს კი, ჰოლი გადაუტიხრავს და იქ მოუწყია სამინებელი, სადაც გუგას გაკეთებული ხის საწოლი და ძველებური გარდერობი დგას. ეს გარდერობი ჯერჯერობით, მთი არ არის (კოტეტიშვილებისთვის ოჯახის ახლობლებს უთხოვიათ, ცოტა ხნით ჩვენი ნივთები თქვენთან „შეინახეთო“)... მაგრამ ბატონი ვახუშტი დაჰპირებია მეუღლეს — გიყიდიო.

— მზეო, მეუღლე საჩუქრებით განებივრებს?

— ერთხელ ვახუშტის ჰკითხეს — მზეომ თქვენგან რა მიიღო საჩუქრადო? რა მიიღო და ლტოლვილის წიგნაკიო, — უპასუხა. ვახუშტი ჩემზე ამბობს ხოლმე — მთელი ჩემი ცხოვრება ფშავ-ხევსურეთს გადავაყოლე და მზეო ჰუმანიტარული დახმარების სახით მთიდან გამომიგზავნესო. ჩვენ რომ შევუღლდით, მაშინ ვახუშტის ძალიან უჭირდა და ძვირფასი საჩუქრების მოძღვნის საშუალება ნამდვილად არ ჰქონდა. ახლა კი მაღაზიებში სიარული და საჩუქრების შერჩევა მაინცდამაინც არ ხიბლავს. ამ გარდერობზე კი დამპირდა — აუცილებლად გიყიდი, რაკი მოგეწონაო.

— ბატონ ვახუშტის ლიტერატურულ და მუსიკალურ გემოვნებაზე რას იტყვი?

— ყველაზე ხშირად, რა თქმა უნდა, ხალხურ პოეზიას კითხულობს, უყვარს მარინა ცვეტაევა, აღმოსავლური პოეზია. ახალი შეუღლებულები რომ ვიყვით, ლექსებს დედაში ვაკითხებდი — მაინტერესებდა, როგორ ჟღერდა სპარსულად. რაც შეეხება მუსიკალურ გემოვნებას — დიდი სიამოვნებით უსმენს ხალხურ სიმღერებს. განსაკუთრებით უყვარს „ჩაკრულო“ და „ზამთარში ვარდს რა დააჭკნობს“. უყვარს რეზო ლაღიძის და ბიძინა კვირნაძის შემოქმედება, ძველ ჯაზს და კლასიკურ ნაწარმოებებსაც უსმენს. თანამედროვე მომღერლების უმეტესობა არ მოსწონს...

— შენი გაკეთებული სადილი თუ მოსწონს?

— ჩემი გაკეთებული სადილი არ უყვარს, იმიტომ, რომ ხელიდან არაფერი გამომდის. ზოგიერთებივით თავს კი არ ვიწონებ ამით, საჭმელების მომზადება არ ვიცი და ეს კარგია-მეთქი, მაგრამ სიმართლე თვალის სინათლეაო, ხომ გაგიგიათ... ჩვენს ოჯახში მანანა ამზადებს ძალიან გემრიელ სადილებს. თვითონ ვახუშტი გურმანია და არაჩვეულებრივად გემრიელ საჭმელებს აკეთებს — უფრო ხორციან კერძებს — ჩაქფულს, ყაურმას. ტატო პატარა ვახუშტია ამ საქმეში. ბაბუა და შვილიშვილი „შემოქმედებითად“ ეკიდებიან მზარეულობას.

— თქვენი გემოვნება ყველაფერში



ვახტანგის დროინდელი სპარსული ჩიტი, ბრინჯაოსგან არის ჩამოსხმული. ყველა აღტაცებული რჩება ამ ნაკეთობით

ემთხვევა ერთმანეთისას?

— შეიძლება ითქვას, რომ კი. ერთმანეთს კარგად ვუგებთ, ეს კი ბევრს ნიშნავს. ერთადერთი, რაშიც ჩვენი გემოვნება არ დაემთხვა, ეს ვარცხნილობაა. როცა გავიცანი, მაშინ გრძელი, ხვეული თმა ქონდა, ბორდოსფრად შეღებილი. მეტისმეტად გამომწვევიაო, — მითხრა ვახუშტიმ და მეც ანგარიში გავუწიე მის სურვილს...

— ტანსაცმლის გამო ხომ არ კამათობთ ხოლმე?

— ზოგჯერ კი, ოღონდ ვახუშტის ჩაცმულობის გამო. ყოველთვის თავისუფლად, სპორტულად აცვია. ასე უფრო კარგად გრძნობს თავს, ხასიათიც ასეთი აქვს და იმიტომ. ვახუშტი არ არის „კაბინეტური“ კაცი. მისი ჩაცმის სტილი მომწონს, მაგრამ ხომ დაუშვებელია ოპერაში ჯინსის პერანგით მივიდეს? აი, ამის გამო ვკამათობთ და ზოგჯერ ანგარიშს უწევს ჩემს სურვილს, ზოგჯერ — არა. თვითონ არასდროს დაუშლია ჩემთვის რამე — ეს არ ჩაიცვაო, პირიქით — როდესაც გამოვეწყობი, ყოველთვის კმაყოფილი რჩება.

— აღნიშნავს ხოლმე, როცა კარგად გამოიყურები?

— აბა, რა! ჯერ მასთან გავიქცევი ხოლმე და ვეკითხები: ვახუშტი, კარგ ფორმაში ვარ? კი, ფისო, არაჩვეულებრივად გამოიყურებიო, — მეტყვის ხოლმე...

— მზეო, საუბრის დასასრულს ისიც მითხარი, რაიმე ჰობი თუ აქვს ბატონ ვახუშტის, რამეს თუ აგროვებდა?

— ადრე ჩიბუხებს აგროვებდა, მაგრამ მალე მოსწყინდა — ზოგი ბავშვებმა დაუმტვრიეს, ზოგი გააჩუქა, ზოგიც — დაეკარგა. ახლა რაღაც-რაღაცების შეგროვების ხალისი აღარ აქვს...



ჯგუფი „ემის“ წევრებს, დეს — ეკა და ია მანიუაშვილებს ჯერჯერობით, საერთო ავტომანქანა — მწვანე ფერის „ვოლვო“ ჰყავთ. ის მშობლებს უფროსი ქალიშვილისთვის — ეკასთვის დაბადების დღეზე უჩუქებიათ და ამით მისთვის დიდი ხნის ოცნებაც აუსრულებიათ.

როგორ გადაურჩნენ „ემის“ გოგონები მანქანაში ჩაცხრილვას...

ნინო ჯავახიშვილი

— მანქანის მართვა სკოლის დამთავრების შემდეგ ვისწავლე. მას შემდეგ ყოველ ზაფხულს კურსებზე დავდიოდი, მართვა რომ არ დამივწყებოდა. მშობლები ყოველ წელს მპირდებოდნენ, — აი, ამ წელს აუცილებლად გიყიდით მანქანასო... დანაპირები შარშან-წინ ამისრულეს — მწვანე ფერის „ვოლვო“ მიყიდეს.

— როდის გაგიჩნდა სურვილი, რომ საკუთარი მანქანა გყოლოდა?

— მეც და ჩემს დასაც — ორივეს ბევრი საქმე გვქონდა და ხშირად გვიწევდა სამარშრუტო ტაქსების ცვლა. იმდენი დრო და ფული გვეხარჯებოდა, რომ ჯობდა, საკუთარი ავტომანქანა გვყოლოდა. საერთოდ, ძალიან წინდახედული და ფრთხილი ვარ. არასდროს ვთხოვდი ვინმეს მანქანას, მამაჩემსაც კი. სხვისი მანქანა ჩემს ხელში რომ გაფუჭებულიყო, ან ავარიაში მოვყოლილიყავი და დამემტვრია, ძალიან ვინერვიულებდი. სხვათა შორის, მამაჩემი კარგა ხანს არ მენდობოდა და რამდენიმე კვირის მანძილზე ყველგან თან დამყვებოდა. — ეკა, მარცხნივ, ეკა, მარჯვნივ, პირველში, მეორეში, ეკა, ნელა... — ყოველ წუთს შენიშვნებს მაძლევდა. მერე ნერვიულობისგან თავი სტკივდებოდა და ამიტომ ჯიბეში ყოველთვის ედო ანალგინი, მანქანაში კი — ბოთლით წყალი.

— იმ დროს შენ მშვიდად იყავი ხოლმე?

— არა, რას ამბობ? მშვიდად როგორ ვიქნებოდი? იმდენად დაძაბული ვიყავი, რომ კისერი მიშეშდებოდა ხოლმე. ახლა უკვე თავისუფლად ვმართავ მანქანას და იმის შიშიც აღარ მაქვს, — ვაიმე, რაიმე არ შემეშალოს-მეთქი...

ეს ავტომანქანა დაბადების დღეზე, 18 ივნისს მშობლებმა მაჩუქეს. ეს ჩემთვის მართლაც სიურპრიზი იყო. სულ სხვა საჩუქარს ველოდი. სტუმრები რომ შეიკრიბნენ, მშობლებმა გადმომცეს პატარა ყუთი, რომელშიც მანქანის გასაღები აღმოჩნდა. არც მიკითხავს მათთვის, რა მანქანა მიყიდეთ-მეთქი, სიხარულისგან მაგიდას რამდენჯერმე სირბილით დავარტყი წრე, ველარ ვსუნთქავდი. სტუმრები გაოცებულები მიყურებდნენ — ვერ მიხვდნენ, რა მოხდა, ასე რამ გამახარა... იამ სიხარულისგან ტირილი დაიწყო... მერე გაირკვა, რომ მთელი ორი კვირის მანძილზე „ვოლვო“ ჩვენს ავტოფარეხში მდგარა, მე კი არაფერი ვიცოდი. მამამ მთხოვა — კარზე საკეტები გამოსაცვლელი მაქვს, ხომ იცი, როგორ გახშირდა მანქანების ქურდობა, მაინც გვიანობამდე გღვიძავს და ავტოფარეხს ყურადღება მიაქციეო. მთელი ორი კვირის მანძილზე ღამის 5-6 საათამდე არ მეძინა და აივნიდან ავტოფარეხს ვდარაჯობდი. აბა, რა ვიცოდი, საკუთარ მანქანას თუ ვყარაულობდი?!.

— შენ და ია ხომ არ ჩხუბობთ ხოლმე მანქანის გამო?

— მანქანის მართვა ორივემ ვიცით, მაგრამ რადგან მანქანა ჩემია, უფრო ხშირად საჭესთან მე ვზივარ ხოლმე. მშობლები ჰპირდებიან იას, რომ დაბადების დღეზე მასაც მანქანას აჩუქებენ.

ია:

— იმედია, მალე მეყოლება საკუთარი ავტომანქანა. მე უფრო ამერიკული მანქანები მიყვარს. მინდა, რომ ვარდისფერი იყოს, მარკას კი დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

— რა შეგიძლიათ თქვათ საკუთარ თავზე — როგორი მძღოლები ხართ?

ეკა:

— ერთ რამეს მივხვდი: მანქანა ქალის საქმე ნამდვილად არ არის, მანქანის მართვა მამაკაცებს უფრო შეშვენით, ამას გულწრფელად ვაღიარებ... არ სჯობს, მამაკაცი რომ მართავს საჭეს, შენ კი მშვიდად ზიხარ?!. ისე, საკუთარი მძღოლის ყოლაზე უარს არ ვიტყოდი. მანქანის მართვა თბილისის ქუჩებში სიამოვნებას ნამდვილად არ მანიჭებს. შენ თუ არ დაარღვევ მოძრაობის წესებს, სხვა დაარღვევს, ამიტომ ყურადღე-

იგივეა, რაც პიანინო		ფეხბურთელი ... მარადონა	მე, შენ, ...	იგივეა, რაც მხატვრული ნაწარმოები	ძვირფასი მარმარილო	ვაშლის ღვინო	სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკაში	[illegible]
ჯ ო ხ ვ ე ბ ი ს ნ ო ლ ი ე ბ ლ ი ს ფ ი ლ ი ბ ი ს ფ ი ლ ი ბ ა ნ ლ ა ნ ლ ა								
რომელი ანსამბლი ასრულებს „პოპურს“	რიცხვი 3,14	დადებითად დამუხტული ელექტროდი		ადამიანი, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფრუნავს	ყვავილი — ეგვიპტელთა ნაყოფიერების სიმბოლო	მსახიობი ... ბერიმორი	აჭარული ტკბილეული	

ბა წამითაც არ უნდა მოადუნო — ეს კი ძალზე დამღლელია. წვიმიან ამინდში მიყვარს ქალაქის ქუჩებში მანქანით სეირნობა, ოღონდ გვიან, როცა მოძრაობა აღარ არის... ისე, მაინცდამაინც არ მიყვარს მამაკაცებთან ერთად მგზავრობა. ჩასხდებიან თუ არა მანქანაში, იწყება გაუთავებელი შენიშვნები. ქალებს არ გვენდობიან. რატომღაც ჰგონიათ, რომ ქალს გაფანტული აზროვნება აქვს, არამობილიზებულია... სარკეში ვხედავ ხოლმე, რომ თვალებგაფართოებულები, შეშლილი სახეებით სხედან და შეშინებულები წინ იყურებიან.

ია:

— ძალიან ემოციური ვარ და როდესაც საჭესთან მე ვზივარ, ყველა ნერვიულობს. ეკა იტყვის ხოლმე: იმდენად სწრაფად კი არ დაჰყავს მანქანა, რამდენადაც დაძაბულადო... ერთხელ ეკამ რამდენჯერმე გამაფრთხილა — ნელა იარეო. მე გავბრაზდი, შუა გზაზე გავაჩერე მანქანა, გადმოვედი და ეკას ვუთხარი: შენ დაჯექი საჭესთან, მე აღარ დავჯდები-მეთქი. ხალხი გაოცებული შემოგვცქეროდა.

— ეკა, პოლიციელებთან როგორ აგვარებ ურთიერთობას?

— სიმართლე რომ გითხრათ, არ ვემორჩილები მათ ბრძანებებს — გავუღიმებ, ხელს ავუწევ მისალმების ნიშნად და გზას ვაგრძელებ. ერთხელ, მე და იას კონცერტზე გვაგვიანდებოდა და ძალიან სწრაფად მიმყავდა მანქანა. ერთ საგუშაგოზე არ გავაჩერეთ, არც — მეორეზე, არც მესამეზე... ბოლოს, პოლიციის სამმა მანქანამ გადაგვიკეტა გზა. პირველი ივნისი იყო — ბავშვთა დაცვის დღე. თურმე იმ დღეს პატიმრები გაიქცნენ ციხიდან და ძებნა იყო გამოცხადებული. ჩვენ რომ არ დავემორჩილეთ პოლიციელებს, უფიქრიათ, დამნაშავეებს მივაკვლიეთო და... ქალები კი შევრჩით ხელში. გაგიჟდნენ — ქალისგან ასეთი „ნაგლობა“ არ გაგვიგია. ბეწვზე გადარჩით, როგორც გაქცეული პატიმრები, მანქანაშივე რომ არ ჩაგცხრილეთო... კეპები გვეხურა, თან მანქანის მინები დაბურული იყო და ვერ შენიშნეს, ქალები რომ ვისხედით მანქანაში. საბუთები წაგვართვეს, მაგრამ იამ მოახერხა, როგორღაც პოლიციელს ხელიდან გამოსტაცა საბუთები, ჩავსხედით მანქანაში და წავედით. მოკლედ, დაცხრილვასაც გადავრჩით და დაჯარიმებასაც...

ერთ ზაფხულს ქობულეთიდან ბათუმში მივდიოდით მანქანით. კუპალნიკები გვეცვა. გაგვაჩერეს პოლიციელებმა, გადმოგვყარეს მანქანიდან ეს შიშველ-ტიტველი გოგონები და გვითხრეს — მანქანა საჯარიმოზე უნდა წავიყვანოთო. დიდი ვაჭრობის შემდეგ შევთანხმდით, რომ სამ-სამი ლარი აგვეკრიბა და მათთვის მიგვეცა. ამის შემდეგ გამოგვიშვეს.

— საკუთარი მანქანით მოყინულ გზაზე თუ გივლია?

— საშინელებაა მოლიპულ გზაზე მოძრაობა... ერთხელ სახლამდე ვეღარ მივაღწიე, შოკში ჩავვარდი და მამაჩემს დავურეკე — მოდი, რამე მიშველე-მეთქი. არადა, იმ დილით გამაფრთხილა — გზები მოყინულია და მანქანით არსად წახვიდეო. არ დავუჯერე, ვიფიქრე — „პანიკიორია“ და ამიტომ მეუბნება-მეთქი, მაგრამ... ჩემს კორპუსთან პატარა დაღმართია. იქ ისე ჩასრიალდა მანქანა, რომ ლამის პირველ სართულზე შევვარდი...

ეკა (მარცხნივ) და ია

— ავარიაში თუ მოყოლილხარ?

ეკა:

— გიორგობის დღესასწაული იყო. მე და იამ ეს დღე მეგობრებთან ერთად გავატარეთ. ვიქეიფეთ და უკან რომ ვბრუნდებოდით, აღმართზე უკნიდან ისე უეცრად და ისეთი ძალით შემოგვასკდა მანქანა, რომ ვიფიქრე — მორჩა, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. მძღოლი გაიქცა, მაგრამ ნომერი დავიმახსოვრე და დავადგინე მისი ვინაობა. გაჭირვებული კაცი აღმოჩნდა, მანქანის შეკეთების საშუალება არ ჰქონდა, მაგრამ რას გარბოდა, ის მაინც გაეგო, ცოცხლები გადავრჩით თუ არა, ბოდიში მაინც მოეხადა...

— ორიენტაციის უნარი გაქვს?

— თავდაპირველად, ქუჩებში ვიკარგებოდი. თუ ია არ მეტყოდა, — ეკა, აქ შეუხვიე, ეკა, იქით გაუხვიეო, ცუდად იყო ჩემი საქმე. ამიტომ ამბობს ხოლმე ჩემი და — უჩემოდ ვერსად მიდის, ეკას კომპასი ვარო.

— მანქანის ნაწილებში ერკვევი?

— კაპოტის ახდაც კი არ ვიცი, არაფრის აზრზე არა ვარ. მხოლოდ ის ვიცი, რომ ბენზინი ბოლომდე არ უნდა დავწვა, რადგან კარბურატორი გასაწმენდი გახდება. მანქანის მოვლაც არ მიყვარს. ყოველთვის მამაჩემს მიჰყავს ხოლმე ავტოსამრეცხაოში და კიდევ — არ მიყვარს სალონში სათამაშოები რომ კიდია, თუმცა ორი ბინადარი მაინც გვყავს — ბაჭია და სიმფსონი.

ია:

— ეს ჩემი დამსახურებაა. ძალიან მიყვარს სათამაშოები, მაგრამ ეკა არ მაძლევს იმის უფლებას, რომ უფრო მეტი სათამაშო ჩამოვკიდო მანქანაში.

— საცობში რომ ხვდებით, არ ნერვიულობ?

ეკა:

— ოღონდ საცობში არ მოვხვდე... ამ დროს ნერვები ისე მეშლება, რომ აღარ ვიცი, რა მოვიმოქმედო. ია მამშვიდებს ხოლმე — დაწყნარდი, რა მოგივიდაო?!

— მანქანის წყალობით თუ გაგიცნიათ ვინმე?

ია:

— ალბათ ბიჭებს გულისხმობ, არა? გაცხობით არა, მაგრამ „მეზობელი“ მანქანიდან წამოსულა ასეთი შეთავაზებები: გოგოებო, ტელეფონის ნომერი მოგვეცით ან — თანაშემწეები გავცვალოთ, ჩემი მეგობარი თქვენს მანქანაში გადმოვა, თქვენგან ერთ-ერთი კი — ჩემს მანქანაშიო... მე მძღოლის — ეკას თანაშემწე ვარ. ამის გარდა კიდევ ერთი თანამდებობა მაქვს — ავტოფარეხს ვაღებ და ვკეტავ არაჩვეულებრივად! ასე რომ, თუ ვინმეს დასჭირდება ამ სახის მომსახურება, გამომეხმაუროს... ■

| | | |

არსებობს თუ არა „ფუძის ანგელოზი“?

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს ანგელოზებთან დაკავშირებით. გვესაუბრება ქვემო ბეთლემის ქრისტეშობის სახელობის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი ალექსანდრე ბოლქვაძე.

მორენა მერკვილაძე

— რამდენი მთავარანგელოზი არსებობს?

— ცნობილია ცხრა მთავარანგელოზის სახელი: მიქაელი, გაბრიელი, რაფაელი, ურიელი, იერომიელი, სელაფიელი, ვარახიელი, იეგუდიელი და ტახნიელი. მთავარანგელოზებს ღმერთისგან სხვადასხვაგვარი კურთხევა აქვთ მიცემული.

„**მთავარანგელოზი მიქაელის** სახელი ითარგმნება, როგორც „ვინაა ვითარცა ღმერთი“. სწორედ მთავარანგელოზმა მიქაელმა განდევნა ზეციური სასუფევლიდან ქვესკნელში დაცემული ანგელოზები. იგი ცნობილია, როგორც მძლეველი ყველა მტრული ძალისა. მას ადამიანები ლოცვით მიმართავენ, როდესაც ბოროტი ძალების საცდურის წინაშე აღმოჩნდებიან.

მთავარანგელოზი გაბრიელი („სიმტკიცე ღმრთისა“) — ითვლება ღვთის საიდუმლოთა კეთილ მაცნედ. იგი არის ღვთის საიდუმლოთა მაცნე და მისი ყოვლისშემძლეობის მახარებელი (სწორედ მთავარანგელოზმა გაბრიელმა ახარა წმინდა მარიამს, რომ ის გახდებოდა მშობელი ღვთისა).

რაფაელი („ღვთიური მკურნალი“) — ცნობილია, როგორც ავადმყოფობათა მკურნალი და გზაზე დამყენებელი.

ურიელი („ღვთიური ცეცხლის ნათელი“) — ითვლება ლოცვების სურვილის აღმძვრელად და უცოდინართა განმანათლებლად.

სელაფიელი („ღვთისადმი მლოცველი“) — ადამიანებს ანიჭებს ლოცვის ძალას, ამასთანავე ცნობილია, როგორც მკურნალი ამაკანკალებელ ავადმყოფობათა (ეპილეფსია, მალარია...).

იერომიელი („ამაღლება ღვთის“) — ადამიანებს ღვთისადმი სიყვარულით აღანთებს, შეეწევა მათ ხორციელ ვნებათა და ცოდვილ მიდრეკილებათა დაძლევაში.

იეგუდიელი („ღვთის განმადიდებელი“) — ღვთის წინაშე შუამდგომლობს საღვთო ღვაწლის გზაზე შემდგარ ადამიანებს, ეხმარება სიზარმაცის დაძლევაში. ამასთანავე ევლინება მოგზაურებსა და გაჭირვებულებს განსაცდელის ჟამს.

ვარახიელი („კურთხევა ღვთისა“) — აკურთხებს ადამიანთა ყოველგვარ კეთილ წამოწყებას. იგია მოწამეთა, ქრისტეს აღმსარებელთა და ბერმონაზონთა მფარველი.

ტახნიელი — ცნობილია, როგორც დამხმარე და დამცველი უბედურებისა და თავდასხმისგან“.

— მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ 21 ნოემბერს დაწესებულია მთავარანგელოზობის დღესასწაული. რა ღვთისმსახურებას აღასრულებს მთავარანგელოზობის დღესასწაულზე მართლმადიდებლური ეკლესია და როგორ უნდა მიეგებოს მორწმუნე მას?

— საეკლესიო დღესასწაულს მორწმუნე უპირველესად საღმრთო ლიტურგიაზე დასწრებით უნდა მიეგებოს, რომელიც ნებისმიერი საეკლესიო დღესასწაულის დღეს საგანგებოდ აღესრულება ყველა მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში. ამასთანავე მორწმუნე ყოველი საეკლესიო დღესასწაულის დღეს, უნდა ცდილობდეს, რომ ეზიაროს ქრისტეს სისხლსა და ხორცს. ეკლესიაში არსებობს გადმოცემა, როდესაც ადამიანი რომელიმე წმინდანის დღესასწაულზე ეზიარება, ის წმინდანი მას განსაკუთრებულ მფარველობას უწევს. ივივე შეიძლება ითქვას მთავარანგელოზობის დღესასწაულზეც, ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ამ დღესასწაულზე მივიღოთ წმინდა ზიარება და ანგელოზთა განსაკუთრებულ მფარველობას და შემწეობასაც დავიმსახურებთ.

— როგორც ზემოთ ითქვა, ანგელოზები იცავენ ქვეყნებს და მფარველობენ ადამიანებს. თუკი ყველა ანგელოზი გვმფარველობს, რას ნიშნავს მფარველი ანგელოზი, რომელსაც წმინდა მამათა განმარტებით, ღმერთი ადამიანს ნათლისღების ჟამს მიუჩენს?

— საერთოდ, ადამიანს ყველა ანგელოზი მფარველობს, მაგრამ მფარველი ანგელოზი განსაკუთრებულ მფარველობას გვიწევს, ანუ ადამიანზე განსაკუთრებულად ზრუნავს. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე თან სდევს ადამიანს, ძილის დროსაც კი იფარავს. მფარველი ადამიანს არც სიკვდილის ჟამს განშორება, მას გაჰყავს სული მომაკვდავის სხეულიდან, თან ახლავს საზვერეების გავლისას თუ სამსჯავროზე — უფლის წინაშე წარდგომის დროს და მის მიერ ჩადენილ კეთილ საქმეებს წარმოაჩენს.

— რომელი ანგელოზი ითვლება ადამიანის მფარველ ანგელოზად?

— ადამიანის მფარველი ანგელოზია მისი მოსახელე წმინდანი — რომლის სახელიც ჰქვია ან ნათლისღებისას უწოდებენ. ასევე განსაკუთრებულ მფარველობას გვიწევენ ის წმინდანები, რომელთა მიმართაც განსაკუთრებულ დაინტერესებას და სიყვარულს გამოვხატავთ: მაგალითად, განსაკუთრებით ხშირად გულმხურვალედ ვლოცულობთ რომელიმე წმინდანის წინაშე, ვკითხულობთ მათ ცხოვრებას, სწავლებებს და სხვა. ერთ-ერთი ახალგაზრდა განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. გემი, რომლითაც იგი მგზავრობდა, დაღუპვის პირას იყო, ქარიშხლის გამო ვერ ახერხებდნენ გემის საჭის მართვას. სხვა მგზავრებთან ერთად ეს ყმაწვილიც საჭისკენ მიიწევდა, მაგრამ მოულოდნელად მოვარდნილმა ტალღამ წააქცია და გონება დაკარგა. როდესაც გონს მოვიდა, დაინახა ახოვანი კაცი, რომელიც გემის საჭესთან იდგა და მართავდა. ყმაწვილმა ვინაობა ჰკითხა. მე ვარ პავლე მოციქული, შენ მთელი ცხოვრება დიდი მონდომებით და გულმოდგინედ კითხულობდი ჩემს ეპისტოლეებს და ამიტომ, როდესაც განსაცდელი დაგიდგა, ჩემი მეხება მიიღეო — უპასუხა მან.

— ქრისტიანული თვალსაზრისით, მფარველი ანგელოზის სასიკეთო ზემოქმედება ადამიანზე უხილავად ხდება, რადგან ანგელოზი ადამიანზე შთაგონებით მოქმედებს. ხშირად სწორედ ანგელოზის შთაგონებით ვიღებთ ხელს უკეთურ განზრახვაზე და მათი შემწეობით, ეშმაკის ბოროტებას განვერიდებით. მაგრამ ადამიანები მაინც ხომ სჩადიან უკეთურ, ღვთისთვის არასათნო საქმეებს?! განგვერიდება თუ არა მფარველი ანგელოზი, როდესაც ქრისტიანისთვის შეუფერებელ საქმეს ჩავდივართ?

— წმინდა მამები ამბობენ, რომ ასეთ დროს მფარველი ანგელოზი ჩვენგან ზურგშექცევით, მოწყენილი დგას და იტანჯება, რადგან ღვთისთვის არასათნო საქმეს ადამიანი საკუთარი ნებით სჩადის. ვიდრე ადამიანი სინანულს არ გამოხატავს, მფარველი ანგელოზი მისკენ ვერ შემობრუნდება და ადამიანი ვერც მის განსაკუთრებულ მფარველობას შეეგრძნობს. ამიტომ, თუკი გვსურს, მფარველი ანგელოზის და საერთოდ, ანგელოზთა მფარველობა დავიმსახუროთ და მივიღოთ, ღვთის მოშიშებით უნდა ვიცხოვროთ და უფლის მცნებები შევასრულოთ.

— ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანი ვალდებულია, ყოველდღიურად ლოცულობდეს უფლის, ღვთისმშობლისა და წმინდანთა მიმართ, ასევე უნდა ლოცულობდეს ანგელოზთა მი-

მართალ. „წმინდაო მფარველო ანგელოზო, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის“ — ეს არის ყველაზე მოკლე ლოცვა, რომელიც შეიძლება ადამიანმა ნებისმიერ დროს წარმოთქვას მფარველი ანგელოზისადმი. გარდა ამისა, დილის და საღამოს ლოცვითი კანონის აღსრულებისას, წარმოვთქვამთ ლოცვებს: „ლოცვა მფარველი ანგელოზისადმი“ და „ლოცვა წმიდისა ანგელოზისადმი სამარადისო“. კიდევ, რომელი ლოცვები შეიძლება წარმოვთქვათ ანგელოზთა მიმართ?

— არსებობს სპეციალური ტროპარები, ტროპარებისგან შემდგარი დიდი ლოცვები, ,,დაუჯდომელი ლოცვები'' და პარაკლისები ანგელოზთა მიმართ, რომელიც შეგვიძლია ჩავრთოთ ჩვენს ლოცვით კანონში და ჩვენი ცხოვრების წესთან შეთანხმებით ვიკითხოთ, სულიერი მოძღვრის კურთხევითა და მისი რჩევა-მითითებების გათვალისწინებით. ზოგიერთი ადამიანი იმდენად დაკავებულია, რომ დრო აღარ რჩება სხვადასხვა ლოცვისა თუ პარაკლისის წასაკითხად, ბუნებრივია, ასეთ ადამიანს მოძღვარი ვერ მოსთხოვს, რომ ლოცვით კანონში ჩართოს ,,დაუჯდომელი ლოცვები'' და პარაკლისები. მისთვის დილის და საღამოს ლოცვების წარმოთქმაც საკმარისია, თუმცა შინაგანად გულში რაც შეიძლება ხშირად უნდა იმეოროს ,,იესოს ლოცვა''.

— ხშირად გვსმენია გამოთქმა ფუძის ანგელოზი, რომელიც ადამიანთა დიდი ნაწილის რწმენით, ფუძის, ოჯახის მფარველია და ოჯახის სიმტკიცეს იცავს. თუმცა შესაძლოა „ფუძის ანგელოზი“ განაწყენდეს და მისი განაწყენების შემთხვევაში, ოჯახს ათასგვარი განსაცდელიც კი მოევლინოს. უარყოფს თუ არა მართლმადიდებლური ეკლესია ფუძის ანგელოზის არსებობას?

— მართლმადიდებლური ეკლესია არ იცნობს სწავლებას ფუძის ანგელოზის შესახებ. ეი. რწმენა იმისა, რომ ფუძის ანგელოზი არსებობს, მხოლოდ ხალხური რწმენაა და ეკლესიურ სწავლებასთან საერთო არაფერი აქვს.

— მოუჩენს თუ არა სახლის კურთხევის დროს ღმერთი ნაკურთხ სახლს მფარველ ანგელოზს?

— სახლის კურთხევის დროს წარმოსათქმელ ლოცვებში არ არის მინიშნებული, რომ სახლი იძენს მფარველ ანგელოზს, მაგრამ ოჯახის ყველა წევრს ჰყავს მფარველი ანგელოზი, რომლებიც მათ ოჯახსაც მფარველობენ.

— არსებობს მოსაზრება, რომ ანგელოზები განსაკუთრებით ბავშვებს მფარველობენ. რამდენად შეეფერება ეს ხალხში გავრცელებული აზრი ეკლესიურ სწავლებას?

— ანგელოზები ყველას ერთნაირად მფარველობენ და იცავენ. ■

ნიკო ნიკოლაძე და
იაკინთე ალექსი-მესხიშვილი
პეტერბურგში მეგობრებთან ერთად

ალექსი-მესხიშვილები, დაკარიელებული საგვარეულო სახლი და ბორდოსფერი სავარძლები, რომელშიც ილია და აკაკი მსხდარან

ემა ტუხიაშვილი

თუ ერთხელ მაინც მოხვდებით კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალაში (იქვე მდებარეობს სამთავისის ეკლესია), შეუმჩნეველი არ დაგრჩებათ ძველებური თავადური კოშკები, მიტოვებული სახლკარი, რომლებიც ოდესღაც თავად ამილახვართა და ალექსი-მესხიშვილთა საკუთრება ყოფილა. სოფლის მოსახლეობა ამ ნაგებობებს „მესხიაანთ კოშკებს“ უწოდებს და მიუხედავად იმისა, რომ თითქმის საუკუნეა, იქ აღარავინ ცხოვრობს, დიდი პატივითა და კრძალვით იხსენებს ძველ ბატონებს...

1924 წელს, ბოლშევიკურმა მთავრობამ ამ ორი დიდებული გვარის წარმომადგენლები ღალატსა და მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში დაადანაშაულა და მათი დაპატიმრების ბრძანება გასცა. დამნაშავედ ცნეს აგრეთვე რამდენიმე სასულიერო პირი. ნაბრძანები იყო, მოღალატეები გორის მაზრაში ჩაეყვანათ. ბადრაგმა, რომელიც მოსახლეობის თქმით, სოფლის რამდენიმე აქტივისტისგან შედგებოდა, პატიმრები გორის გზას ფეხით გაუყენა. მაგრამ გორამდე დიდი მანძილი იყო დარჩენილი, როდესაც ,,მოღალატეები'' გზის პირას, ტირიფონას ველზე (ასე უწოდებს იქაური მოსახლეობა ამ ადგილს) ვითომდა დასასვენებლად გააჩერეს. ადგილობრივ მოსახლეობას ,,ხალახის მტრებთან'' მიახლოებას უკრძალავდნენ და ისინიც შორიდან ადევნებდნენ თვალს ამ ,,სანახაობას''. ბადრაგმა ოცდაათამდე დაკავებული იქვე უმოწყალოდ ამოხოცა და ჯერ კიდევ ცოცხალმკვდარი სხეულები სახელდახელოდ ამოთხრილ ორმოში ჩაყარა. თვითმხილველების თქმით, ახალდაყრილი მიწა კარგა ხანს სუსტად ,,ფეთქავდა''... მრავალი ათეული წლის შემდეგ, როდესაც მიწა გლეხების საკუთრებაში გადავიდა, ეს ყველასგან მივიწყებული სასაკლაოს ადგილი ვიღაცამ გადახნა და ძვლების დიდი გროვა აღმოაჩინა. შემდეგ, მრავალწლიანი გარჯის მიუხედავად, გლეხებს ამ ადგილას ვერაფერი გაუხარებიათ და ისევ მიუტოვებიათ. საოცარია, მაგრამ ამ ადგილას ისევ პატარა გორაკი აღმართულა, სადაც გაზაფხულზე ულამაზესი, ნაირფერი ყვავილები ამოდის. იმასაც ჰყვებიან — ერთხელ, სოფლის ბიჭს ველზე გველი გამოეკიდაო. დაღლილი და შეშინებული ბავშვი გორაკზე ავარდნილა და ქანცგამოლეული დავარდნილა. ქვეწარმავალი ახლოსაც არ გაჰკარებია გორაკს და მოულოდნელად გაუჩინარებულა... ასე შეიმოსა ეს გორაკი მისტიკური შინაარსით და იქაურებს გაულვიძა სურვილი, რომ ორი დიდებული გვარის რომელიმე შთამომავალი მოეძებნათ. ერთ-ერთი

მათგანი კი, იმ ავბედით დღეს, სასწაულის წყალობით გადარჩენილი, ღვაწლმოსილი ჟურნალისტი, წლების მანძილზე საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ამჟამადაც „პირველი არხის“ ერთ-ერთი რედაქციის ხელმძღვანელი, ივლიტა მესხიშვილი გახლავთ.

ივლიტა მესხიშვილი:

— მამაჩემი იაკინთე ნიკოლოზის-ძე ალექსი-მესხიშვილი 1924 წლის ავგისტოს აჯანყებაში მონაწილეობისთვის დახვრიტეს. მე მაშინ მხოლოდ ერთი წლის ვიყავი, ჩემი ძმა — ოთხის. დედაჩემისგან მსმენია, რომ როდესაც სახლიდან მამაკაცები გაიყვანეს, გლეხებმა მე, ჩემი ძმა და დედა ურემზე დაგვსვეს, გარშემო პურის ძნები შემოგვიწყვეს, ზემოდან ხალიჩა გადაგვაფარეს და ასე გამოგვაპარეს სოფლიდან... ბუნებრივია, მამა არ მახსოვს, მაგრამ მის შესახებ მხოლოდ კარგი მესმოდა ოჯახში და არც ის უთქვამს ოდესმე ვინმეს, რომ იგი დახვრიტეს... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას, სტალინის სახელობის სტიპენდიაზე წარმადგინეს. საბჭოს სხდომიდან გამოსულმა ჩვენმა დეკანმა, პროფესორმა კოტე ბაქრაძემ მითხრა: სტალინის სტიპენდია არ მოგცეს, ივანე ჯავახიშვილის სტიპენდია დაგენიშნაო. ვუპასუხე, რომ ჩემთვის ივანე ჯავახიშვილის სტიპენდიანტობა უფრო სასიხარულო იყო, მაგრამ როდესაც ბატონმა კოტემ დასძინა: არ იფიქრო, როგორც წარჩინებულ სტუდენტს რაიმე ნაკლი გაქვს — სტალინის სტიპენდია იმიტომ არ მოგცეს, რომ მამაშენი 1924 წელს არის დახვრეტილიო. მაშინ პირველად შევიტყვე ეს შემზარავი ამბავი და უზომო სევდა და შიში დამეუფლა. თუმცა ყველას მაინც იმას ვეუბნებოდი და ანკეტებშიც ვწერდი, რომ მამაჩემი გარდაცვლილი იყო. ვფიქრობდი, რომ მას რაღაც დიდი დანაშაული მიუძღოდა ქვეყნისა და ხალხის წინაშე... უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ დავიწყე მუშაობა, რედაქციაში დამავალეს, ჩემი მშობლიური კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის სკოლაზე მომემზადებინა კორესპონდენცია. ძალიან შევცბუნდი, მაგრამ ისევ ვერ გავამხილე ჩემი გულისტკივილი და გავემგზავრე ქვემო ჭალაში. თან მახლდა კასპის რაიონის მაშინდელი კომკავშირის რაიკომის მდივანი, ქალბატონი ნინო კარბელაშვილი. პირველად სწორედ მან შემიყვანა მამისეულ სახლში და დედაჩემის საგვარეულო, ამილახვრების კოშკიც მაჩვენა. „ჩემი სახლის“ ეზოში ვიდექით და რაღაცაზე გულიანად ვიცინოდით, როდესაც ხანდაზმულმა კაცმა ჩამოიარა და შემოგვძახა: ჰაი, გიდი, აქ კაცი ქედმოუხრელად ვერ გაივლიდა, ესენი კი, რა ამბავში არიანო?! ქალბატონმა ნინომ უპასუხა: ეს ქალიშვილი მაშინაც ასე გაივლიდაო. — რატომო? — ჰკითხა მოხუცმა. რატომ და, ეს იაკინთეს — კინოს (ასე ეძახდნენ მამას სოფელში) შვილიაო. დაიჩოქა მოხუცმა ჩემ წინაშე და კაბის კალთა დამიკოცნა: შენ არ გეცოდინება, შვილო, რა მამა გყავდა, ის მთელი კასპის ქომაგი და გულშემატკივარი იყო. ძლივს წამოვაყენეთ მოხუცი. მეც სიყვარულით გადავკოცნე, რადგან მისმა ნათქვამმა სამუდამოდ მომხსნა ის მძიმე ტვირთი, რომელსაც ბავშვობიდანვე ვატარებდი: სამუდამოდ ვირწმუნე ისიც, რომ მამაჩემი ღირსეული კაცი იყო და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეეწირა.

ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილის ოჯახი

თეო ჭალალანი: *ქალბატონი ივლიტას ქალიშვილი:*

— ალექსი-მესხიშვილების გვარი ძალზე ძველი, ისტორიული გვარია. დედაჩემის პაპა — ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილი კულტურის ცნობილი მოღვაწე, ჟურნალისტი, გაზეთ „კვალის“ ერთ-ერთი პირველი რედაქტორი გახლდათ. მან რუსულ ენაზე თარგმნა ილია ჭავჭავაძის რამდენიმე ნაწარმოები, მათ შორის — „ქვათა ღაღადი“. იყო არაჩვეულებრივი ბიბლიოფილი. მის ბიბლიოთეკაში, უნიკალურ წიგნებთან ერთად, პერგამენტზე შესრულებული ძველისძველი ქართული ხელნაწერები ინახებოდა. გასაბჭოების პერიოდში, მას ეს ბიბლიოთეკა ჩამოართვეს და დაჰპირდნენ — ყველა წიგნს გორში შევინახავთო. წლების შემდეგ, ბებიაჩემმა გაიკითხა — ნამდვილად თუ ინახებოდა ეს წიგნები გორში და სამწუხაროდ, ადგილზე არაფერი აღმოჩნდა.

— თქვენს ბაბუას ბრალად ედებოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა. ამის შესახებ თუ იცით რამე?

— რაც შეეხება შეთქმულებაში მონაწილეობას, ამის შესახებ ზუსტი ცნობები არა მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ მონაწილეობდა წითელი არმიის (მერვე არმია) წინააღმდეგ ბრძოლებში. სხვათა შორის, პაპაჩემმა გადაარჩინა დაჭრილი ნიკო კეცხოველი — ზურგზე მოკიდებული გამოიყვანა ბრძოლის ველიდან. დახვრეტას რაც შეეხება — პაპაჩემთან ერთად დახვრიტეს მისი ძმა ალექსანდრე, რომელიც მასზე ათი წლით უმცროსი იყო, დედაჩემის დედის ნათესავები ამილახვრები, ზაალიშვილები, რამდენიმე სასულიერო პირი. ამ ამბავს შეეწირა მათი მოურავიც, რომელიც, როგორც ამბობენ, ბატონებს აეფარა და ბადრაგს გონიერებისკენ მოუწოდებდა. იმხანად, წესით, უკვე შეწყვეტილი უნდა ყოფილიყო დახვრეტით დასჯა, რადგან დიდმა ტალღამ, რომლის მიზანი თავადაზნაურთა სრული განადგურება იყო, იმ დროისთვის ჩაიარა და ამის შესაბამისი, სტალინის ბრძანებაც იყო მოსული, მაგრამ ბადრაგს, რომელსაც პატიმრები დაკითხვაზე გორში უნდა ჩაეყვანა, თურმე ქორწილში ეჩქარებოდა. გორამდე არც ჩაუყვანიათ; ვითომდა, გაქცევის მცდელობა ჰქონდათ და ყველანი იქვე, გზის პირას ჩაცხრილეს... ბებიამ ეს ამბავი თვითმხილველებისგან იცოდა და მიყვებოდა, რომ როდესაც ეს ხალხი ვითომ ტირიფონას ველზე გააჩერეს, პაპაჩემს მღვდლისთვის გადაულაპარაკია: მამაო, ვგრძნობ, აქ სამუდამოდ დავისვენებთო. ხოლო როდესაც მათი დახვრეტის ჯერი მოვიდა, უთხოვია: ჯერ მე მომკალით, ჩემი უმცროსი ძმის სიკვდილს ნუ მაყურებინებთო, — მაგრამ განზრახ ჯერ მისი ძმა მოუკლავთ... გლეხების დახმარებით ბებიამ შვილებიანად თბილისს შეა-

ივლიტა მესხიშვილი

ფარა თავი, გვარი გადაუკეთა ბავშვებს, რომ იქაც არ მიეგონოთ მათთვის. ერთადერთი, რაც ბებიამ იმ სახლიდან თან წამოიღო, ფოტოსურათები და წერილები იყო, რომელსაც იაკინთე, სწავლის დროს, პეტერბურგიდან იწერებოდა. ის პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, ბიოლოგიას ეუფლებოდა, მაგრამ საოცრად ენატრებოდა სამშობლო... დედას იმასაც სწერდა, ამა თუ იმ გლეხისთვის ამდენი და ამდენი კოდა პური მიეცა. უკვე მრავალი წლის შემდეგ, გლეხები ჩვენთან საუბრისას იხსენებდნენ, თუ როგორ გადასცემდა იგი ხალხს საკუთარ ცოდნას. ერთხელ, ღრმად მოხუცებული კაცი გვიყვებოდა, რომ პატარაობისას, თავადების სახლთან ახლოს ჰყვარებია თამაში და შეუნიშნავს, თუ როგორ მუშაობდა იაკინთე სამჭედლოში. პაპაჩემს მისი გაკვირვებული თვალები რომ დაუნახავს, ბიჭისთვის დაუძახია და უთქვამს: მოდი, გასწავლი – კაცმა ყველაფერი უნდა იცოდესო.

— პეტერბურგში სწავლისას თუ ჰქონდა ურთიერთობა ცნობილ ქართველებთან?

– მასთან ერთად უნივერსიტეტში ნიკო ნიკოლაძე სწავლობდა. თავის ერთ წერილში იაკინთე წერდა: „რომ იცოდე, ყოველ ღამე სიზმარში ან ქალაქში და ან ჭალაში ვარ. დილით გამომეღვიძება ამ წყეულ პეტერბურგში. აქ წლეულს ძალიან თბილა, თოვლი სრულებით არა ყოფილა. ისე რომ ხოლერისთვის კარგი ამინდია... ნიკიტსკი სკოლაში აუცილებლად უნდა წავიდე, არ ვიცი კი როდის მომიხდება. ნიკოლაძემაც მითხრა, რომ რუსეთში მაგისთანა სასწავლებელი არ არისო... 1908 წ. 7.XI.“

— ბებიას მარტოს არ გასჭირვებია ორი შვილის გაზრდა?

– ბებიამ იმდენი მოახერხა, რომ ჭალაში ჩავიდა და მოხუცებული დედამთილი წამოიყვანა თბილისში. შვილების აღზრდაში მამიდები – ამილახვრის ქალები ეხმარებოდნენ, რომლებიც სხვათა შორის, არ გათხოვილან. ბებიაჩემიც მაღალი წრის წარმომადგენელი იყო: მისი ბიძაშვილი, დემნა ამილახვარი, ცნობილი ადვოკატი გახლდათ, ყოველთვის ევროპულად ჩაცმული დადიოდა და თავის მეგობარს – ილია ჭავჭავაძესაც კი ამსგავსებდნენ ხოლმე. დემნა ამილახვარი 1905 წელს, ტერორისტმა მოკლა. 1907-ში კი, მოკლეს ილია. ბებია ამბობდა – შეეშალათ, ილია ეგონათ და იმიტომ მოკლესო; იმასაც იტყოდა ხოლმე – დემნას მკვლელობა კარგად რომ გამოეძიებინათ, შეიძლება, ილია ცოცხალი გადარჩენილიყოო... ბებიაჩემის დედა გახლდათ ანა ფალავანდიშვილი – ზვიად გამსახურდიას ბაბუის, აპოლონის და. ბებიის ბიძაშვილი გახლდათ ვარშავის გენერალ-გუბერნატორი ყაზბეგი; მასთან დაკავშირებითაც მსმენია ერთი საინტერესო ამბავი: როდესაც ყაზბეგი რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში მსახურობდა გუბერნატორის პოსტზე, იქ მასობრივი ავადყება მომხდარა. ყაზბეგს ისე დაუმშვიდებია ავადყებულები, რომ წვეთი სისხლიც კი არ დაღვრილა. ამბოხებულთა დაუსჯელობამ კი, თურმე, მეფე ნიკოლოზის გულისწყრომა გამოიწვია და ყაზბეგი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

— სახსოვრად თუ დაგრჩათ რაიმე საგვარეულო ნივთები?

– რეპრესიების შემდეგ, ალექსი-მესხიშვილების სახლში, ქვემო ჭალაში ბოლშევიკი, პოლკოვნიკი თუმანოვი ცხოვრობდა. ბებია ამბობდა, რომ ამ კაცს, როგორც არისტოკრატსა და პატიოსან ადამიანს იცნობდა და იმედი ჰქონდა, რომ თავის სახლში დაბრუნებულს, რაღაცა მაინც დახვდებოდა... როდესაც ბებიას ქვემო ჭალაში ჩასვლის საშუალება მიეცა, აღარც თუმანოვი დახვდა და სახლიც სულ დაცარიელებული იყო. გარკვეული ხნის შემდეგ კი, თბილისში „საკომისიო მაღაზიაში“ ბებიას საკუთარი გრაფინები უნახავს. შეუძლებელი იყო, შემცდარიყო. ბებიას უკითხავს – ვისი ნივთები იყო და სწორედ თუმანოვზე მიუთითებიათ. ბებიას არ უნდოდა, მისი ზედმეტად გაღიზიანება, მაგრამ მის ბიძაშვილს დაუჟინია: თუმანოვთან სახლში მივიდეთო. თუმანოვი გადარეულა: მე ქვეყანა პატიოსან კაცად მიცნობს და თქვენ რა ცილს მწამებთო?!. ამ დროს, ბებიას კედელზე სურათი შეუნიშნავს, რომლის ჩარჩოც ძალიან ეცნო და ახსოვდა, რომ ოდესღაც, ასეთ ჩარჩოში მისი მამამთილის, ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილის სურათი იყო ჩასმული. მის ბიძაშვილს თუმანოვისთვის უთხოვია – სურათი ჩამოხსენიო, – და ახალი ფოტოს ქვეშ მართლაც, პაპაჩემის მამის სურათი აღმოჩნდა... ამ ამბიდან ძალიან ცოტა ხანში, ბებიის ბიძაშვილი, რომელიც მას თუმანოვთან ახლდა, დახვრიტეს და ბებია ეჭვობდა, რომ ამაში თუმანოვის ხელი ერია... ბებიისგან ვიცი აგრეთვე, რომ მას მამისგან სახსოვრად ჰქონდა XI საუკუნეში ნაჭდი, წმინდა გიორგის ხატი, რომელიც გზაზე მათი მფარველი იყო. ბებიას ძალიან სწყდებოდა გული, რომ როდესაც ბიძაჩემს, უკვე რეპრესიების პერიოდში, ფილტვების ანთება დაემართა, თანაც საკმაოდ მძიმე ფორმით. ბებია იძულებული იყო, ეს ხატი ტორგსინში *(პუნქტი, სადაც ლითონებს წონით იბარებდნენ. – ავტ.)* მიეტანა... ერთადერთი, რაც ამილახვრებისგან დაგვრჩა, ორი ბორდოსფერი სავარძელია, სადაც ხშირად მსხდარან ილია და აკაკი.

— თქვენს საგვარეულო მიწას თუ სტუმრობთ ხოლმე?

– წლების წინ, რაიონის ხელმძღვანელობამ გვთხოვა, რომ ჩვენს მიწა-წყალზე დავბრუნებულიყავით, მაგრამ დედამ რატომღაც უარი თქვა. ბებია უკვე ოთხმოცდაათ წელს იყო მიტანებული, როდესაც უკანასკნელად ჩავიყვანეთ ქვემო ჭალაში და წარსულის გახსენებამ ძალიან ააფორიაქა. თავდავიწყებამდე უყვარდა მეუღლე და ხშირად გვიყვებოდა ერთ ამბავს: დედაჩემზე ორსულად ყოფილა, ბიძაჩემი კი, ხელში ჰყავდა აყვანილი. როდესაც ის და იაკინთე ფეხით აღმართს მიუყვებოდნენ, ძალიან დაღლილა და მეუღლესთვის უთხოვია, ბავშვი შენ აიყვანეო. პაპაჩემს უპასუხია: ჩოხა მაცვია და არ შეშვენის ჩოხოსან კაცს ბავშვის ხელში ჭერაო, – მერე ბებიაჩემი ბავშვიანად აუტაცია ხელში და ასე უტარებია მთელი გზა... ალექსი-მესხიშვილებს საგვარეულო სახლი სამხატვრო აკადემიის წინაც ჰქონიათ, იქ, სადაც დღეს სკვერია გაშენებული. სამწუხაროა, რომ ამ გვარის შთამომავლობა დღეს ძალზე მცირეა. მამაჩემის ბიძაშვილი იყო ცნობილი მსახიობი ლადო მესხიშვილი. სხვათა შორის, პირველი, ვინც სრულად აღიდგინა გვარი, ცნობილი არქიტექტორი ლადო ალექსი-მესხიშვილი გახლდათ. სიმცირის მიუხედავად, მათი შთამომავლობა მაინც ვახერხებთ ხოლმე დროდადრო იმ ადგილის მონახულებას, სადაც 1924 წელს, საქართველოს თავისუფლებისათვის მსხვერპლად შეწირულთა საერთო სასაფლაოა.■

პარაკლისი
ძმათა სასაფლაოზე

დონ დიეგოს ახალი სკანდალი

„ნაპოლის“ ექსპრეზიდენტმა გუდას პირი მოხსნა და ყველა ჩაუშვა

ალექსი რეხვიაშვილი

ვისაც დიეგო მარადონას დროინდელი „ნაპოლი“ ახსოვს, ალბათ ნეაპოლური კლუბის პრეზიდენტი, კორადო ფერლაინოც კარგად ემახსოვრება. მას შემდეგ, რაც არგენტინელმა იტალია დატოვა, — „ნაპოლის“ საქმეებიც უკან და უკან წავიდა. გავიდა დრო და ღრმა კრიზისში მყოფი გუნდის ყოფილი პრეზიდენტიც ყველამ მიივიწყა. როგორც ჩანს, ყველაზე მტკივნეულად ამან თავად მასზე იმოქმედა. ჰოდა, კორადო ფერლაინომაც „საფეხბურთო სამყაროს უსულგულობა“ მეტი რომ ვეღარ აიტანა, გაზეთ „მატინოს“ საშუალებით, მთელ ქვეყანას ამაყად ამცნო — „ნაპოლი“ წარმატებებს მხოლოდ მარადონას საფეხბურთო ტრიუკების წყალობით როდი აღწევდა, გუნდი დიდი გამარჯვებებისთვის სხვა ეშმაკობებსაც მიმართავდა, როცა კლუბის თავკაცი მე ვიყავით.

ერთი სიტყვით, ბერიკაცმა ფერლაინომ გუდას პირი მოხსნა და გვარიანად ააფორიაქა იტალიური ფეხბურთის მესვეურები. „ნაპოლის“ ყოფილი პრეზიდენტის მტკიცებით, მარადონამ და კომპინომ 1990 წელს „სკუდეტო“ არასპორტული მეთოდებით მოიპოვეს. ვიდრე სინიორ კორადოს აღსარებას გავეცნობოდეთ, გავიხსენოთ 1990 წელს, იტალიის ეროვნული ჩემპიონატის მიწურულს შექმნილი ვითარება. 1989-90 სეზონის ბოლოს, როდესაც ტურნირის დასრულებამდე კიდევ ოთხი ტური იყო დარჩენილი, ჰოლანდიელთა „შესანიშნავი სამეულის“ „მილანს“ 44 ქულა ჰქონდა, ხოლო დონ დიეგოს „ნაპოლის“ — 43. ჩემპიონობას სწორედ ეს ორი კლუბი ეცილებოდა ერთმანეთს. დარჩენილ შეხვედრებში ნეაპოლელებმა ქულათა მაქსიმუმი დააგროვეს. მილანელებმა კი, მარცხი ერთხელ იწვნიეს, რის გამოც „სკუდეტოს“ სამხრეთიტალიელები დაეუფლნენ. გადამწყვეტი აღმოჩნდა „ატალანტა“—„ნაპოლისა“ (31-ე ტურში) და „ვერონა“—„მილანის“ (33-ე ტურში) მატჩები. ბერგამოში შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა, მაგრამ 77-ე წუთზე ტრიბუნიდან ნასროლი ბოთლი თავში მოხვდა ალემაოს, რის შემდეგაც, ბრაზილიელი უმალვე საავადმყოფოში წაიყვანეს. ეს ინციდენტი გადამწყვეტი აღმოჩნდა ნეაპოლელთა გაჩემპიონებისათვის. „ნაპოლის“ ხელმძღვანელობამ იტალიური ფეხბურთის ჩინოვნიკები დაარწმუნა, რომ ალემაომ სერიოზული ტრავმა მიიღო, რის შედეგადაც კორადო ფერლაინოს გუნდს ტექნიკური გამარჯვება მიანიჭეს (2:0).

ფერლაინო

ვერონაში კი, უფრო მოულოდნელად დასრულდა შეხვედრა: არბიტრმა ლო ბელომ მატჩის ბოლოს ერთიმეორის მიყოლებით სამი მილანელი — რაიკარდი (82-ე წუთზე), ვან ბასტენი (87-ე წუთზე) და კოსტაკურტა (89-ე წუთზე) — გააძევა. „წითელი ფესტივალის“ დაწყებამდე ანგარიში 1:1 იყო, „მილანი“ კი მთელი ძალებით უტევდა და გოლის გატანას ცდილობდა, თუმცა მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. 88-ე წუთზე „სკუდეტოსთვის“ მებრძოლმა გუნდმა თავად გაუშვა გოლი და ანგარიშით 1:2 დამარცხდა. ეს ბოლოსწინა ტური გახლდათ, მაგრამ უკვე ნათელი იყო, რომ „ნაპოლი“ თავის შანსს ხელიდან აღარ გაუშვებდა და იტალიის ჩემპიონი გახდებოდა, რაც მარადონას გუნდმა მოახერხა კიდეც.

ახლა რაც შეეხება კორადო ფერლაინოს სკანდალურ განცხადებას, რომელიც მან ზემოთ მოხსენიებული მოვლენებიდან 13 წლის შემდეგ გააკეთა: „მატჩებზე არბიტრებს ჩემი კარგი მეგობარი, გუსონი ნიშნავდა ხოლმე. საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ მსაჯთა შორის არიან ისეთები, რომლებიც ამა თუ იმ გუნდისადმი სიმპათიით არიან განწყობილნი. მაგალითად, ლანეზე „მილანს“ წყალობდა ხოლმე, ლო ბელო კი, „სამხრეთელებს“. ამიტომ, გუსონის ვთხოვე, რომ მას „ვერონა“-„მილანის“ მატჩის არბიტრად ლო ბელო დაენიშნა. სწორედ ამას მოჰყვა ჩვენი კონკურენტი გუნდის მოთამაშეების მოედნიდან გაძევება, შეხლა-შემოხლა და მსგავსი არასასიამოვნო ფაქტები. ლო ბელომ მართლაც „ჩინებულად იმოქმედა“. მან „მილანის“ რიგები ისე გამოხშირა, რომ ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენდით.

რაც შეეხება ბოთლის სროლის ეპი-

ალემაო

კარეკა

ზოდს, ეს, რა თქმა უნდა, კარგად დადგმული სცენა გახლდათ. იდეა ჩემს თანაშემწეს, კარმანდოს ეკუთვნოდა. მისი რჩევით, ალემაო ჰოსპიტალში წავიყვანეთ, შემდეგ კი, დამწუხრებული სახით ჟურნალისტებს ვაცნობეთ — ბრაზილიელი თავში ბოთლის მოხვედრის შემდეგ, თავისი გუნდის პრეზიდენტსაც ველარ ცნობსო!.. ოჰ, რა ადვილად გავაცურეთ მაშინ ყველა: სინამდვილეში ხომ ალემაო სრულიად ჯანმრთელი იყო და ჩვენს ოინებზე საავადმყოფოს საწოლში მწოლიარე გულიანად იცინოდა“...

ასე ირჯებოდა თურმე სინიორ კორადო 1990 წელს, რათა მის გუნდს „სკუდეტო“ დაესაკუთრებინა, თუმცა მხოლოდ ამით როდი ამოიწურებოდა მისი მცდელობა მიზნის მისაღწევად. როგორც ჩანს, ფერლაინო ყველა ფრონტზე ერთნაირი შემართებით იბრძოდა. „ახლა კი მარადონაზე ვისაუბროთ, — განაგრძობს იგი, — ეს არგენტინელი ჩემი სიყვარულია. თუმცა დიეგო ჩემ მიმართ ყოველთვის უმადურობას იჩენდა, ბრალს მდებდა, რომ იგი „ნაპოლის“ მივაჯაჭვე. მართალიც იყო, მაგრამ ამას ხომ მისი და კლუბის საკეთილდღეოდ ვაკეთებდი. ამასთან, თუ კონტრაქტი არსებობს, მას პატივიც უნდა ვცეთ. ასე არ არის? მარადონა კი, მუდმივად მაკრიტიკებს, ისე მიყურებს, როგორც მტერს. აცხადებს, რომ მე მას, „ნაპოლის“ და საერთოდ, ფეხბურთს ზიანს ვაყენებდი. პირიქით, ჩემს მოთამაშეებს ყოველთვის გვერდში ვედექი, განსაკუთრებით დოპინგთან დაკავშირებული პრობლემების დროს. მშვენივრად იცით, რომ მარადონა პირველად ნარკოტიკების მოხმარებაში 1991 წელს ამხილეს. როგორ ფიქრობთ, მანამდე იგი კოკაინს არ ეტანებოდა? ეტანებოდა და თანაც როგორ! მაგრამ რატომ არ ებმებოდა მახეში დოპინგ-კონტროლის გავლისას? იმიტომ, რომ იგი მე არაერთხელ გადავარჩინე განსაცდელს. ჩვენ ასე ვიყავით შეთანხმებულნი: კვირიდან ოთხშაბათამდე დიეგოს შეეძლო იმდენი „ეკაიფა“, რამდენიც სურდა, მაგრამ ხუთშაბათს იგი აუცილებლად „სუფთა“ უნდა ყოფილიყო. სხვათა შორის, ეს პირობა „ნაპოლის“ სხვა ნებისმიერ ფეხბურთელსაც უნდა გაეთვალისწინებინა. საქმე ის არის, რომ საკმარისია კოკაინი რამდენიმე დღის განმავლობაში არ მიიღო და ანალიზში უკვე აღარაფერი გამოჩნდება. მიუხედავად ამისა, იყო შემთხვევები, როდესაც დოპინგ-კონტროლზე იმახვდნენ იმ ფეხბურთელს, რომელიც ეჭვს ბადებდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა ეს მარადონა იქნებოდა, თუ სხვა ვინმე. თუმცა პანიკას არც ამ შემთხვევაში მივეცემოდით ხოლმე. ასეთი ვითარებიდან თავის დასაძვრენადაც გვქონდა შემუშავებული ტექნოლოგია. ვინც შარდის ანალიზის ასაღებად კაბინეტში შედიოდა, მას სპეციალურ საწვეთარს ვაძლევდით, რომელშიც სხვა, „სუფთა“ მოთამაშის შარდი ესხა. იგი საწვეთარს სპორტულ ტანისამოსში მალავდა და შემდეგ დანიშნულებისამებრ იყენებდა. თუმცა ბოლოს, დიეგო მაინც ჩავარდა. დღეს დოპინგ-კონტროლზე გავლის წესები შეიცვალა. სპორტული კოსტიუმით კაბინეტში შესვლა დაუშვებელია, მაგრამ გამოსავლის პოვნა ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია. პირველ რიგში, ნაცნობი ექიმი უნდა მოძებნო. რაც არც ისე რთულია. შემდეგ სიაში შეუმჩნეულად მოინიშნებიან „სუფთა“ მოთამაშეები. ექიმიც სწორედ ამ ფეხბურთელებს ამოირჩევს დოპინგ-კონტროლზე გასატარებლად. როგორც ხედავთ, აქ რთული არაფერია, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი კენჭის ყრის დროს. რა მნიშვნელობა აქვს, სიაში მოთამაშეთა ნომრებს მოვნიშნავთ თუ ყუთში ჩაყრილ ბურთებს...“

მარადონა

ერთი სიტყვით, როგორც თავად ხედავთ, ფერლაინომ ყველაფერი თქვა, რაც პირზე მოადგა და იტალიური ფეხბურთის ბოსებიც ააფორიაქა. „ნაპოლის“ ექსპრეზიდენტის ინტერვიუს გამოქვეყნებიდან უკვე ხუთი დღის შემდეგ, იტალიის პირველ ორ დივიზიონში მოასპარეზე გუნდების მედიკოსები და კაპიტნები შეკრებაზე დაიბარეს და დოპინგ-კონტროლის ახალი, გამკაცრებული წესები გააცნეს. ამიერიდან ფეხბურთელებმა ანალიზისთვის შარდთან ერთად, სისხლიც უნდა ჩააბარონ. პირველად, ეს სისტემა კორეა-იაპონიაში გამართულ მუნდიალზე გამოიყენეს. გამორიცხული არ არის, რომ დოპინგ-კონტროლი 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზეც ამ მეთოდით განხორ-

ციელდეს. გარდა ამისა, ფეხბურთელებს არა მარტო მატჩების შემდეგ შეამოწმებენ, არამედ სხვა ნებისმიერ დღესაც.

კორადო ფერლაინოს ინტერვიუ უყურადღებოდ არც სამართალდამცავ სტრუქტურებს დაუტოვებიათ. იგი უკვე დაჰკითხა სპორტულმა პროკურორმა, გვარინელლომ. სხვათა შორის, სკანდალისტმა ექსპრეზიდენტმა თავისი ნათქვამის უარყოფაც სცადა, თუმცა მისმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო, რადგან „მატინოს“ ჟურნალისტმა პროკურატურას საუბრის აუდიოჩანაწერი წარუდგინა. როგორც ჩანს, ფერლაინო უკვე ნანობს თავის საქციელს, მაგრამ ახლა უკვე გვიანია.

აღსანიშნავია ის, რომ იტალიის ჩემპიონატში 1988 წელსაც ისეთივე სიტუაცია იყო შექმნილი, როგორიც ორი წლის შემდეგ. მაშინაც „სკუდეტოსთვის“ „ნაპოლი“ და „მილანი“ იბრძოდნენ. არსებობს ერთ-ერთი ჟურნალისტის მიერ ჩატარებული გამოძიების დოკუმენტები, რომლის თანახმადაც, 1988 წელს ნეაპოლელებმა განგებ დათმეს ტიტული. ეს იმის გამო მოხდა, რომ მაშინ მაფიამ ტოტალიზატორში „მილანის“ გამარჯვებაზე დიდი თანხა დადო. სწორედ ამიტომ, სრულიად შესაძლებელი იყო, რომ უკვე 1990 წელს მილანელებს ნეაპოლელთათვის „ვალი“ დაებრუნებინათ.

ახლა კი, იმ ადამიანებს მოვუსმინოთ, რომლებიც კორადო ფერლაინოს სკანდალურ ინტერვიუს გამოეხმაურნენ.

ლუჩანო მოჯი („იუვენტუსის“ ადმინისტრატორი, „ნაპოლის“ ყოფილი თანამშრომელი): „ფერლაინო ფაქტების გაყალბების დიდოსტატია. იმ პერიოდში მე არც „ნაპოლის“ პრეზიდენტი ვყოფილვარ და არც მედიკოსი. მარადონასთანაც მას ჰქონდა პირადი ურთიერთობა. იმ ამბების შესახებ, რასაც ფერლაინო ჰყვება, არაფერი ვიცი. რაკი იგი ამის შესახებ ალაპარაკდა, პასუხიც თავად აგოს. დარწმუნებული ვარ, მარადონას დოპინგ-კონტროლისგან დასაფარავად „ნაპოლის“ თაღლითობისთვის არ მიუმართავს“.

როზალიო ლო ბელო („ვერონა“—„მილანის“ მატჩის არბიტრი 1990 წელს): „თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ და ფერლაინოს აზრს არ ვიზიარებ. მართალია, „ვერონა“—„მილანის“ შეხვედრა ძალიან რთული აღმოჩნდა და მასზე მეც ცუდი მოგონებები დამრჩა. ეს მართლაც არ იყო ჩემი საუკეთესო მატჩი. ზოგიერთ ეპიზოდში შეცდომები დავუშვი, თუმცა განზრახ არაფერი გამიკეთებია. როგორც მახსოვს, ერთი წლის შემდეგ, იმ თამაშის მონაწილე, ფრანკო ბარეზიმ ინტერვიუში თქვა, იმ დღეს ყველანი მოხარშულებს ვგავდითო და კიდევ, როგორ მიწოდებს ფერლაინო მე „ანტიმილანისტს“, როდესაც მანამდე ორი წლით ადრე „სან-პაოლოს“ სტადიონზე „ნაპოლი“—„მილანის“ მატჩს ვმსაჯობდი, რომელსაც ჩემპიონი უნდა გამოევლინა?! მაშინ მილანლებმა ანგარიშით 3:2 მოიგეს.“...

*ლი

www.shopge.com

გთავაზობთ იმას, რასაც სხვაგან ვერ შეიძენთ!

მზის ენერგიაზე მომუშავე მობილური ტელეფონების დამტენი

ნებისმიერი ჩვენგანი ხშირად ჩავარდნილა იმ უსიამოვნო სიტუაციაში, როდესაც მობილური ტელეფონის ელემენტი ჯდება მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად გვჭირდება დაკავშირება სასწრაფო საქმეზე! განსაკუთრებით პრობლემატურია ზამთრის პერიოდი, როდესაც პრობლემები ელექტროენერგიის მოწოდებაში სისტემატურად ხელს გვიშლის მობილური ტელეფონის დატენვაში და ფაქტიურად კომუნიკაციის გარეშე ვრჩებით. იმავე პრობლემებს ვაწყდებით მაშინაც, როდესაც მივდივართ სათევზაოდ, სანადიროდ, ლაშქრობებზე და ა.შ. ამ პრობლემების მოსაგვარებლად ჩვენ გთავაზობთ მზის ენერგიაზე მომუშავე მობილური ტელეფონების დამტენს. ეს პორტატული აპარატი საშუალებას გვაძლევს, მზის სხივების საშუალებით დავტენოთ მობილური ტელეფონი, ვამუშავოთ აუდიოკასეტებისა და კომპაქტდისკების ფლეერი. სხვადასხვა ტიპის 7 გადამყვანის საშუალებით იგი ტენის ყველა ტიპის მობილურ ტელეფონს; აქვს გასაშლელი ეკრანი და თავსდება ჯიბეში. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებისა იგი ტენის ასევე პატარა ელემენტებსაც. ამჯერად თქვენ სარგებლობთ მობილური ტელეფონით იმისგან დამოუკიდებლად, გაქვთ თუ არა ელექტროენერგია.

მრავალი დანიშნულების მქონე ბრელოკი (მანათობელი დიოდი) განათებით

ნათელი ცისფერი შუქით! მუდამ ხელთ გქონდეთ ჯიბეში, ჩანთაში თუ ბალიშის ქვეშ და ერთი ღილაკის დაჭერით გაინათეთ გზა.

ფუნქციები: ჩართვა-გამორთვის ღილაკი; ცისფერი, ნათელი, ბუნებრივი ფერის შუქი; სუპერ ნათელი LED ნათურა; ანათებს 2 მ-ის მანძლიზე; ელემენტი იცვლება (დამოკიდებულია მოხმარების ხანგრძლივობაზე); LED ნათურა ანათებს 10,000 საათს; გასაღების საკიდი; მსუბუქი და კომპაქტურია სატარებლად;

საუკეთესოა:

- საჩუქრად;
- სიბნელეში კიბის გასანათებლად;
- ლაშქრობისას;
- ექსტრემალურ სიტუაციებში.

მობილური ტელეფონის რადიაციისაგან დამცავი საშუალება - SAFE GUARD

ყველა თანამედროვე ადამიანს ემუქრება მცირე დოზით რადიაციული გამოსხივების მავნე ზემოქმედების საშიშროება. ყველამ ვიცით, როგორ მოქმედებს რადიაქტიული გამოსხივების შედეგები ადამიანის გონებასა და ორგანიზმზე. მცირე დოზით რადიაციას შეუძლია დააჩქაროს მოვლენები, რომლებსაც კიბომდე ან გენეტიკურ დაზიანებამდე მივყავართ.

ყოველდღიურ მოხმარებაში ხშირად ვაწყდებით საჭირო, მაგრამ ჩვენი ჯანმრთელობისათვის მავნებელ ნივთებს, მაგალითად, მობილური ტელეფონი, რომელიც მცირე დოზით გამოყოფს ჩვენი ორგანიზმისათვის მავნებელ გამოსხივებას. შეიძლება თუ არა შევამციროთ გამოსხივების შედეგები? ინტერნეტმაღაზია WWW.SHOPGE.COM ზრუნავს თქვენს ჯანმრთელობაზე და გთავაზობთ მობილური ტელეფონის რადიაციისაგან დამცავ საშუალებას.

მობილური ტელეფონების დინამო დამტენი

თუ თქვენ დაგიჯდათ მობილური ტელეფონის ელემენტი ქუჩაში, გზაში ან ნებისმიერ ადგილას, მაშინ თქვენ გიხსნით მობილური ტელეფონების დინამო (ხელის) დამტენი. ეს პატარა საოცარი ხელსაწყო, რომელსაც ხელით ატრიალებთ 3 წუთის განმავლობაში, ტენის თქვენს ტელეფონს 10-წუთიანი სამუშაო რეჟიმისთვის. იგი შეუცვლელია ექსტრემალურ სიტუაციებში, წვიმიან დღეებში და საერთოდ ამ აპარატების საშუალებით თქვენ მუდამ კავშირზე იქნებით ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს!

ინტერნეტმაღაზია www.shopge.com გთავაზობთ ასევე სხვა საინტერესო პროდუქციას. დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 33 30 63; 36 49 45 ან იხილეთ ინტერნეტმაღაზია - www.shopge.com. ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-41

მომავალ ჟურნალისტს, დეა ავალიანს ბედი სასტიკად არ წყალობს. მამა ოჯახიდან წავა, ძმა, მკვლელობის ბრალდებით, ციხეში მოხვდება, ამდენი უბედურების მომსწრე დედამისი კი, ლოგინად ჩავარდება და მალე გარდაიცვლება კიდეც.

ბედის ანაბარად მიტოვებულ დეას, კანონიერი ქურდი გიგოლა დაეპატრონება და მალე საყვარლადაც დაისვამს. ამის შემდეგ, ნებსით თუ უნებლიეთ, დეა გიგოლას ყველა ბნელი საქმის ერთგვარ მოწმედ და ლამის მონაწილედაც კი იქცევა.

ნარკობიზნესში ჩაბმულ გიგოლას თბილისში აღარ დაედგომება და მოსკოვში გადასვლას გადაწყვეტს. თუმცა მანამდე, დეას იქ გახიზნავს და თავის ძველ საყვარელ ელასთან დააბინავებს. დეა ელას ვაჟს, დიმას მოეწონება, მაგრამ საქმეში სასწრაფოდ გიგოლა ჩაერევა და ახალგაზრდების კავშირს შეეწინააღმდეგება. თუმცა მოგვიანებით, მოსკოვში სასწავლებლად დეას გადაყვანის მიზნით, მათ ფიქტიურ დაქორწინებას გადაწყვეტს და ამით ახალგაზრდების ფაქტიურ დაახლოებას თავადვე შეუწყობს ხელს.

მანამდე, გიგოლა დეას ერთადერთ დიდ სიყვარულს, დროებით გერმანიაში გადახვეწილ ბიზნესმენს გურამს ჩამოაცილებს. თავად კი, დეას გულს მაინც ვერაფრით მოიგებს. თუმცა, დეა გიგოლას საბოლოოდ, უფრო ადრე — მაშინ მოიძულებს, როცა ეს უკანასკნელი ბავშვის გაჩენას არ დაანებებს — კანონიერ ქურდებს ცოლ-შვილი არ უნდა ჰყავდეთო...

დეას მოსკოვურ ცხოვრებაში გიგოლას თანამზრახველი, ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარიძეც საკმაო როლს თამაშობს. ბადრის სეერიოზულად უჭირავს თვალი დეაზე, ამიტომ თავის ახალგახსნილ ტელევიზიაში ტოკშოუს წაყვანას შესთავაზებს. ბადრის ვერაგულ ჩანაფიქრს გიგოლა ადვილად ხვდება, მაგრამ თავიდან, ტელევიზიაში მუშაობის ნებას დართავს დეას, სამაგიეროდ, დიმასთან ურთიერთობას სასტიკად აუკრძალავს, საცხოვრებლად ახალ ბინაში გადაიყვანს და იქ ეჭვიანობის საშინელ სცენასაც მოუწყობს.

პირველი გადაცემის ჩაწერის შემდეგ, გიგოლა დეას ტელევიზიიდან სასწრაფოდ წამოიყვანს და, მისთვის სრულიად მოულოდნელად, ულამაზეს რესტორანშიც დაპატიჟებს. რესტორანში წყვილს გიგოლასთვის მიგზავნილი კილერები დახვდებიან. გიგოლა მათ მაშინვე იცნობს, დეას უბრძანებს, ადგილიდან ფეხი არ მოიცვალოო, თავად კი მკვლელებს გარეთ გაიტყუებს. გარეთ გასვლა და გიგოლას დაცხრილვა ერთი აღმოჩნდება...

გიგოლა სიკვდილს სასწაულით გადაურჩება. საავადმყოფოში მივარდნილ ელას ეჭვი მაშინვე ბადრი პატარიძეზე მიაქვს: გიგოლას ეგ გაიმეტებდაო. ელას ეჭვს დეაც უმყარებს, თუმცა, რეალური სამხილი არც მას გააჩნია...

გვიან ღამით, საავადმყოფოდან ელას სახლში მიბრუნებულ ქალებს ვიღაც დაურეკავს და ეტყვის, რომ გიგოლა კომაში ჩავარდაო...

— შენ რას იზამ?.. ახლავე წამოხვალ თუ?.. — მიუბრუნდა უცბად ელა დეას.

— წამოვალ, მაგრამ...

— რა იყო?..

— რა და ჯერ ის მითხარი, კონკრეტულად ვინ დაგირეკა? — დაინტერესდა დეა.

— რა ვიცი, აბა?.. მგონი, რომელიღაც ექთანმა თუ მორიგე ექიმმა... — თავისთვის ჩაილაპარაკა ელამ. თან, სასწრაფოდ ჰოლში გავარდა, სახლის ჩუსტები კუთხეში მიყარა და ფეხი მოხდენილ ფეხსაცმელში წაყო. — აბა, ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— როგორ თუ არა აქვს?.. გაიხსენე, შენი ტელეფონის ნომერი რომელიმე ექიმმა ან ექთანმა თუ იცოდა? ვინმეს ხომ არ დაუბარე, დამირეკეთო?..

— არა?!. — გაკვირვება და შიში თვალებში ერთდროულად ჩაუდგა ელას. — ნამდვილად არავისთვის დამიბარებია. ან რატომ უნდა დამებარებინა?.. ჩვენი ბიჭები ხომ იქ დარჩნენ და თუ საჭირო გახდებოდა, ისინი დამირეკავდნენ... გამოდის, რომ...

— მადლობა ღმერთს, მიხვდი... — შვებით ამოისუნთქა დეამ. — გიგოლა რომ მართლა კომაში ჩავარდნილიყო, ჩვენს ბიჭებს რომელი ექთანი ან ექიმი დაასწრებდა შენთან დარეკვას?

— მოიცა! — უცბად ხელი მბრძანებლურად ასწია ელამ. შემდეგ ისევ ოთახში შებრუნდა და ტელეფონს ეცა — ნეტავ, რას ვმკითხაობთ?.. დავურეკავ ჯაბას და ყველაფერს შევიტყობ.

ჯაბამ ელას ზარს მაშინვე უპასუხა.

— ჯაბა, ელა ვარ!.. რა სჭირს გიგოლას?.. — მთელი ძალით ჩაჰკივლა ყურმილში ელამ და შემდეგ დაბნეულმა დაუმატა: როგორ თუ არაფერი? აბა, ჩვენ?.. აბა, მე რომ დამირეკეს, კომაში ჩავარდაო?.. — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაილაპარაკა და ყურმილი ნელ-ნელა დადო.

— რატომ დადე ყურმილი? — კინაღამ ხელში ეცა დეა. — ჯერ ყველაფერი წესიერად გაგვერკვია.

— ვისგან?.. ჯაბა ისე გაოგნდა, რომ მგონი, მობილური ხელიდან გაუვარდა... ჯერ მე გავარკვევ, რა ხდება და მერე დაგირეკავთო, ძლივსღა მითხრა...

ელა და დეა ჯაბას ზარს კარგა ხანს ელოდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, ტელეფონმა დაიწკრიალა. ელა მაშინვე ყურმილს დასწვდა:

— ჰო, ჯაბა მე ვარ... როგორ?.. ესე იგი, მართალია?.. ახლა როგორ არის?.. ახლავე გამოვდივარ... რატომ?.. მაინც?.. კარგი, დაგელოდებით... — ყურმილი ისევ თავის ადგილზე დადო ელამ.

— რა გითხრა? — მაშინვე ეცა დეა. — ბოლოს და ბოლოს, გაარკვია, რა მოხდა?

პასუხად ელამ დეას ნეიტრალური მზერა ესროლა და თითქოს ისე, სხვათა შორის, ჩაილაპარაკა:

— ...მგონი, შენ მართლა დაბრძენებულხარ, ბავშვო...

— მე რაღა შუაში ვარ?

— იმ შუაში ხარ, რომ... გიგოლა კი

მართლა ჩავარდნილა კომაში, მაგრამ შენ რომ არ დაეჭვებულიყავი და ჯაბასთან არ დაგვერეკა, ამ ამბავს, ჩვენი ბიჭები კი არა, კარგა ხანს ექიმებიც ვერ გაიგებდნენ...

— რას ჰქვია, ვერ გაიგებდნენ?

— მართალი გითხრა, მეც აღარაფერი მესმის... მაგრამ ჯაბა ირწმუნება, გიგოლას პალატას წამითაც არ მოვცილებივართ, შენ რომ დამირეკე, მაშინვე მორიგე ექიმს დავუძახეთ და პალატაში რომ შევედით, გიგოლა იატაკზე ეგდო და ხრიალებდაო...

— რას მეუბნები?.. მაინც როგორ გადმოვარდა?

— კი არ გადმოვარდა, გადმოაგდეს, ბავშვო! სასუნთქი აპარატი და წვეთოვანი მოეგლიჯათ და უკვალოდ გაექროთ... მოკლედ, სულზე მიუსწრიათ...

— ახლა როგორ არისო?..

— შენი მტერი იყოს ისე, გიგოლა რომ ახლაა... — ხელი უმწეოდ ჩაიქნია ელამ.

— მერე?.. აქ რაღას ვუდგავართ?.. წავიდეთ საავადმყოფოში! — ახლა დეა წამოხტა ფეხზე და დაფაცურდა.

— მოიცა! — ხელი ისევ მბრძანებლურად ასწია ელამ. — ჯაბამ გამაფრთხილა, სანამ ჩვენი ბიჭები არ მოვლენ, შინიდან ფეხი არ გამოადგათ. თქვენც რამე შარში არ გაეხვეთო...

— აბა, ჩვენთვის ახლა ვიღას სცხელა?

— ეგრე გეგონოს! — დინჯი შემოიყარა ფეხზე წამომხტარმა ელამ. — ვერ გაიგე, რა გითხარი?.. საავადმყოფოში გიგოლას კომაში ჩავარდნის ამბავი ყველამ ჩემი ზარის შემდეგ გაიგო-მეთქი?!.

— მაშ, შენ ვინღა დაგირეკა? — თვალები გაუფართოვდა დეას.

— ვინ და ვინც გიგოლას პალატაში რაღაც საშუალებით შეიპარა და სასუნთქი აპარატი გამოურთო... — საკუთარი მიხვედრილობით თავი აშკარად მოიწონა ელამ. — მერე კი დაგვირეკა და ჩვენი ქუჩაში გატყუებაც სცადა.

— კარგი, ვთქვათ, მართლაც ეგრე იყო, მაგრამ ჩვენ რაღაში დავჭირდით?

— მე, პრინციპში, არც არაფერში, აი, შენ კი, მართლა ჰაერივით სჭირდები! გიგოლას სიკვდილის შემთხვევაში ხომ შენ ერთადერთი მოწმე ხარ?!.

— რომელი მოწმე?!. — გაფითრდა დეა. — ჯაბამ რომ მითხრა, გამომძიებელს შენი გვარი არსად არ დავაფიქსირებინეთ და არც საქმეში გადიხარო?!.

— გამომძიებელს კი მოუქონეს პირი, მაგრამ კილერებსაც ხომ ვერ დასთხრიდნენ თვალებს, რომ ვეღარ ამოეცნე?!.

— მართალი ხარ... — ხმა საბოლოოდ გაებზარა დეას.

სწორედ იმწუთას კარზე ვიღაცამ დარეკა. ზარის ხმაზე დეა ტყვიანაკრავივით შეხტა და გულზე ხელი იტაცა.

— ნუ გეშინია, ბიჭები იქნებიან. — დაამშვიდა დეა ჰოლში გასულმა ელამ და საჭვრეტლიდან გულმოდგინე თვალიერების შემდეგ, კარი ნელ-ნელა გააღო.

ზღურბლზე ჯაბა, თემო და ვიღაც უცნობი ახალგაზრდა გამოჩნდნენ. მათ დანახვაზე ელამ დოინჯი შემოიყარა და უცნობი საგულდაგულოდ აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— ჩვენიანია, ჩვენიანი... — დაამშვიდა ის ჯაბამ და ჰოლში დაუპატიჟებლად შეაბოტა.

ელამ თემო და უცნობიც შეიპატიჟა და თან, ჯაბას თვალები გადაუბრიალა:

— ყველანი რომ აქ გამოცვენილხართ, გიგოლასთან ვინღა დატოვეთ?

— დარდი ნუ გაქვს!.. მთელი დივიზია იქ ავრეკე!.. „კორიდორშიც“ კი ყოველ მეტრში თითო ჩვენი კაცი დგას!.. ხომ გეუბნებოდით, საავადმყოფოში არავის ნდობა არ შეიძლება-მეთქი!.. — ახლა სასტუმრო ოთახში შეალაჯა ჯაბამ, მაშინვე სავარძელში ჩაეშვა და პირდაპირ მჯდარ, შიშით მოკუნტულ დეას ალმაცერად ახედ-დახედა.

— ისე, შენ და ბაჩოც მაგრები ხართ, ხომ იცი! — მაშინვე თავზე წამოადგა ჯაბას ელა. — ორივე რომ პალატის კართან იყავით ძეგლებივით აყუდებული, ფანჯრებისთვის არავის უნდა მიეხედა?

— რომელი ფანჯრებისთვის?!. — აყვირდა უცბად ჯაბა. — გადამრევს ეს ქალი!.. იცი, გიგოლა რომელ სართულზე წევს?..

— სართულს რა მნიშვნელობა აქვს?!. — უკან მაინც არ დაიხია ელამ.

— როგორ არა აქვს?!. — ნიჩაბივით ხელები ფართოდ გაშალა ჯაბამ. — ჩიტი ხომ არ იყო ის დედაატირებული, რომ მეთორმეტე სართულის ფანჯარაში შეუმჩნევლად შემოფრენილიყო?!.

— მაგ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, გამდის, რომ გიგოლას აპარატი ან შენ და ბაჩომ გამოურთეთ ანდა, на худой конец, სხვა რომელიმე შინაურმა... — გაწიწმატდა ელა.

— ელიჩკა, ძმურად, შემეშვი რა! — საფეთქლები მოისრისა ჯაბამ. — ლამისაა, მაგ ამბავზე ფიქრით ისედაც თავი გამისკდეს და შენ მაინც ნუღა მიმატებ, რა!..

— თავის გახეთქა კი არა, ახლა მოღალატის ძებნაა საჭირო! — მაინც არაფრით ცხრებოდა ელა.

— თუ ვინმეზე მართლა გაქვს ეჭვი, გვითხარი, საქმეს გაგვიადვილებ! — დამცინავი ხმით შეაგულიანა ჯაბამ.

— სწორედაც რომ მაქვს, მაგრამ ვერ დავუმტკიცებ და... — ხელი ჩაიქნია ელამ და ოთახის შორეულ კუთხეში მდგარი სკამის კიდეზე დაუპატიჟებელი სტუმარივით მორიდებით ჩამოჯდა.

— „კაროჩე“, ახლა ასე მოვიქცეთ, — დაიწყო ისევ ჯაბამ. — თემო და ზურა ამაღამ თქვენთან დარჩებიან. ორი ბიჭიც დაბლა, „პადიეზდთან“ იმორიგეებს... დილამდე ასე იყოს... ამასობაში კი იქნებ, ისიც გავიგოთ, გიგოლას მართლა რომელიმე შინაურმა ხომ არ „უბოზა,“ თუ არა და, რამეს მოვიფიქრებთ...

— რას მოიფიქრებთ?!. ბოლოს და ბოლოს, რა ხდება ჩვენს თავს, წესიერად აღარ უნდა გაგვაგებინოთ?!. — აყვირდა უცებ დეა. — გიგოლაზე მეტ დაცვას ჩვენ რატომ გვიყენებთ?!.

— იმიტომ, რომ შეიძლება, ვიღაცამ შენი გაგორებაც მოინდომოს!.. გამიგე, ფისო?!. — კბილებში გამოცრა ჯაბამ.

— ჰა, ახლა, ჯაბა, ძველებურად ნუ გაუტიე! — შეუღრინა ჯაბას აქამდე უხმოდ მჯდარმა თემომ.

— მე, ჩემო ძმაო, — ახლა თემოს მიუბრუნდა ჯაბა, — შენი და ასი წელი არაფერში მჭირდება! გიგოლას რა ვუყო, თორემ მაგის ამბავს საერთოდ არ ვიკითხავ...

— არ იკითხავ და ნუ იკითხავ... — დაიბოღმა თემო. — დეას, როგორმე, მარტოც მივხედავ.

— ვერ მიხედავ, თორე, ჰა! — ხელები გაშალა ჯაბამ. — აქ მოსკოვია, ძმაო, მოსკოვი! შენი თბილისისხელა ამ დამპალს მარტო ერთი რაიონი აქვს!.. აქ კაცს ისე აქრობენ, რომ „შნუროკებსაც“ ვეღარავინ პოულობს... „ტაკ შტო“...

— „შნუროკების“ საკითხში გიგოლამ გაგანათლა? — გესლიანად გააწყვეტინა ჯაბას დეამ.

— აუ, ჩემი!.. — სახეზე ხელები ბრაზიანად ჩამოისვა ჯაბამ. — ამაზე როგორ ვაცდენ დროს და ნერვებს?! — „კაროჩე“ წავედი რა! — თქვა მან ბოლოს. — ხვალ სანამ მე არ დავრეკავ, აქედან ფეხი არავინ გაადგას, გასაგებია?!.

— თუ ცხრა საათამდე არ დარეკავ, გავადგამ! — სიტყვა დაადევნა დეამ. — ათზე ტელევიზიაში უნდა ვიყო...

— რომელ ტელევიზიაში? — მოუბრუნდა ჯაბა.

— ბადრისთან... ჩაწერა გვაქვს...

— ბადრის მე დავურეკავ... მაგ თესლთან სხვა საბაზროც მაქვს...

— მაშინ, ბარემ, იქნებ, ჩემს უფროსსაც დაჰბაზრებოდი, ხვალ მეც ვმუშაობ... — ახლა ელამ წამოყო თავი.

— ელა, ვერ გამიგია, შენ, მაინც, რატომ მიხურებ? — ისევ შეუღრინა ჯაბამ. — გადამაგორებინეთ ეს ღამე და დილით ყველას ყველაფერს „გაგიიასნებთ“, ვა-ახ!..

მეორე დილით, ის იყო, ელამ სუფრა გააწყო და დეას და ბიჭებს სასაუზმოდ უხმო, რომ ტელეფონიც აწკრიალდა. ელა ყურმილს გაბარებული დასწვდა, მაგრამ მაშინვე სახე შეეცვალა.

— ალო, ელა, შენა ხარ, ძვირფასო? — მოისმა ტელეფონის მავთულის მეორე ბოლოში ბადრი პატარაიძის შემპარავი ხმა.

— ჰო, მე ვარ. გისმენ. მითხარი, რა

გინდა? — თავიდანვე შეტევაზე გადავიდა ელა.

— დეასთან მინდოდა დალაპარაკება.

— დეა საბაზანოშია. — იცრუა ელამ. — რა გადავცე?

— არა, არაფერი... პირადად მინდოდა დალაპარაკება. ათ წუთში კიდევ დავრეკავ. ხომ შეიძლება? — ისევ ზრდილობად დაიღვარა ბადრი.

— რომ გითხრა, არ შეიძლება-მეთქი, აღარ დარეკავ თუ რა? დარეკე... დარეკე... — ისევ ბრაზიანად უპასუხა ელამ და ყურმილი გამეტებით დაახეთქა: დამპალი!.. ახვარი!.. მამაძაღლი!.. ერთი მაგის ბურთივით თავი დამაჩეჩვინა!..

— პატარიძე იყო? — ჰკითხა დეამ.

— აბა, ვინ იქნებოდა?!. პირადად უნდა დაველაპარაკოო... ეტყობა, ძალიან მოენატრე...

— ბარემ მოგეცა ყურმილი...

— არა!.. ცოტა მაგანაც ინერვიულოს!.. წაისისინა ელამ და თან, თემოს და ზურას თვალები გადაუბრიალა: ჭამეთ, ბავშვებო!.. მე რას მომშტერებიხართ?!. ამ ყველაფერმა ისე გადამდგა ჭკუიდან, რომ თავადაც აღარ ვიცი, რაებს ვროშავ...

ცოტა ხანში, კარზე ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა. ზურა და თემო მაშინვე ფეხზე წამოხტნენ.

— დასხედით, ნუ ნერვიულობთ! — დაამშვიდა ისინი ელამ. — ფომიჩი იქნება, ჩემი მეზობელი... ზარის დარეკვას ვერ იტანს და ყოველთვის აკაკუნებს ხოლმე.

ელა ჰოლში გავიდა. ბიჭები მაშინვე უკან გაჰყვნენ. ელამ საჭვრეტელში გაიხედა და შემდეგ, კარი კი არ გამოაღო, კინაღამ გამოგლიჯა. ზღურბლზე ტრადიციულად სახეგაბადრული ბადრი პატარიძე გამოჩნდა.

— გამარჯობა, ელა, შეიძლება?

— შეიძლება... მობრძანდი... მაგრამ ერთი ის გამაგებინა, ასე რა გიხარია? — შეუღრინა ელამ და თან, გზა დაუთმო.

— შენი კარგად ყოფნა, ძვირფასო, შენი კარგად ყოფნა... — ზღურბლს ფრთხილად გადმოაბიჯა ბადრიმ და თემოს და ზურას დანახვაზე, გაკვირვების ნიშნად, წარბები აზიდა. — ბიჭებს გაუმარჯოთ!.. თქვენ რაღა გინდათ აქ?.. გიგოლას ხომ არაფერი დაემართა?..

— მაინც, რა უნდა დამართვოდა? — დინჯი შემოიყარა გაცოფებულმა ელამ.

— რა ვიცი, აბა?.. ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და... — ხელი ბიჭებისკენ გაიშვირა ბადრიმ. — ესენი რომ აქ დავინახე, ვიფიქრე...

— იქნებ, მეშველა და უკვე სული გააფრთხოო, ხომ? — გააწყვეტინა უცბად სამზარეულოდან გამოსულმა დეამ.

— დეა, საყვარელო... — ხელები ისე გაშალა ბადრიმ, თითქოს ქალიშვილის გულში ჩაკვრას აპირებსო. — აბა, რას ამბობ?.. მსგავსი რამ ფიქრადაც არასოდეს გამივლია...

— ისე, საინტერესოა, ასე უცბად აქ საიდან გაჩნდი? — ისევ ჩაერია საუბარში ელა.

— აქვე ვიყავი და რომ გავიგე, დეა ჯერ ისევ შინ იყო, ვიფიქრე, ბარემ შევუვლი და ტელევიზიაში თავად წავიყვან-მეთქი.

— დეა ჯაბას გარეშე ფეხს არსად გაადგამს. — კბილებში უსიამოდ გამოცრა თემომ.

— ჯაბას გარეშეო? — თვალები მოწკურა ბადრიმ. — კი, მაგრამ ჯაბა რაღა შუაშია?.. ელიჩკა, გენაცვალე... — მიუბრუნდა ის შემდეგ ელას. — ხომ ვერ ამიხსნი, რა ხდება?

— თორე არ იცი, აი?.. — აგდებულად ჰკითხა ელამ.

— მე მოვკვდე თუ რამე ვიცოდე... — გულზე ხელი მიიდო ბადრიმ.

— წუხელ, ვიღაცამ გიგოლას სასუნთქი აპარატი გამოურთო. — როგორც იქნა, პასუხი აღირსა ელამ.

— რას მეუბნები?!. — სახეზე აშკარა გაოცება გამოეხატა ბადრის. — როდის?.. როგორ?.. მერე, ბიჭები სად იყვნენ?.. ან მე რატომ არაფერი შემატყობინეს?..

— როგორ შეგატყობინებდით? — პირველად ამოიღო ზურამ ხმა. — ჯაბამ ვერც მობილურზე დაგირეკა და ვერც ბინის ნომერზე... ორივე გამორთული გქონდა...

— გამორთული?.. — კიდევ უფრო მეტად გაიოცა ბადრიმ. — ა-ა?.. თუმცა, კი, შეიძლება... რაღაც მომენტში მართლაც მქონოდა გამორთული, იმიტომ, რომ... — და ის იყო, ბადრის რაღაცის ახსნა უნდა დაეწყო, რომ კარზე ზარის ხმაც გაისმა.

— აი, ჯაბაც მოვიდა და იმას აუხსენი ყველაფერი! — სიტყვა გააწყვეტინა ელამ და კარი გააღო.

ზღურბლზე მართლაც ჯაბა იდგა. მას, ბადრის დანახვაზე, სახე მოეღუშა, მაგრამ თქმით, მაინც არაფერი უთქვამს და მაშინვე დანარჩენებს მიუბრუნდა:

— ხომ მშვიდობაა?

— ჩვენთან — კი. — უპასუხა ელამ. — საავადმყოფოში რა ხდება? გიგოლა როგორ არის?

— შენს მტერს, ის რო არის! — ხელი ჩაიქნია ჯაბამ. — ექიმმა თქვა, ყველაზე მეტად რისიც მეშინოდა, სწორედ ის დაემართა და ახლა, სასწაული თუ არ მოხდა, ასე გაუნძრევლად თვეები და შეიძლება, წლებიც კი იწვესო...

— რას მეუბნები?.. — გაფითრდა ელა.

— ეგრეა რა... — ფართო მხრები დამნაშავე ბავშვივით აიწურა ჯაბამ და შემდეგ ბადრის მიუბრუნდა: — შენთან სერიოზული საბაზრო მაქვს...

— ახლა არა, ჩემო ჯაბა, — უმალ იუარა ბადრიმ, — მე და დეას ჩაწერაზე გვაგვიანდება.

— არანაირი ჩაწერა აღარ იქნება! — იყვირა უცბად დეამ და თან, წელშიც გამომწვევად გასწორდა. — მე არ წამოვალ! და საერთოდ...

— წახვალ! — გააწყვეტინა ჯაბამ. — იმიტომ, რომ გიგოლას მაგ საქმის ძაან მაგარი იმედი ჰქონდა... თან, ახლა მაყუთიც მაგრა გვჭირდება... კაი ტელევიზია კი, კაი მაყუთია... ასე არ არის, ბადრი ჩემო? — მიუბრუნდა ის ბადრის.

— აბა რა, ჩემო ჯაბა!.. — გახალისდა ბადრი. — გიგოლას სულ მაგას არ ჩავჩიჩინებდი?..

— აღარ გვინდა ამდენი ბაზარი!.. — ისევ გააწყვეტინა ჯაბამ. — დეას თემო და ზურაც გამოჰყვებიან, ელას კი სამსახურში მე მივიყვან...

კვირის ბოლოს, დეას გადაცემა ეთერში გავიდა და ბევრი რომ არ ელოდა, მაყურებლის ისეთი მოწონებაც ხვდა წილად, სტუდიაში ტელეფონის წკრიალი წუთით არ წყდებოდა. მაყურებლები, განსაკუთრებით კი მამაკაცები, დიკა დიბროვას უახლოეს გადაცემაში მოხვედრას იხვეწებოდნენ, ქალებს კი მისთვის გულის გადაშლა სურდათ... ცხადია, უსიამოვნო ზარებიც იყო... „Ну что, черножопые, ешё одну свою суку раскручивайте – დარეკა ერთმა, – дайте мне её на одну ночь и так раскручу...

რეჟისორმა დეა ტელეფონთან არც ერთხელ არ მიუშვა: რეკონ და ენები მოიქავონ... ჩვენ კი საქმე ვაკეთოთო, — მშვიდად აუხსნა მან. — თუ გვინდა, ჩვენი ტოკშოუ მართლა გაიქაჩოს, მისი წამყვანი რაც შეიძლება, იდუმალებით მოცული უნდა დარჩეს, მაყურებლის შეკითხვებსა და სურვილებს შენ მხოლოდ ეკრანიდან გამოეხმაურებიო.

და დეაც ეხმაურებოდა. უფრო ზუსტად კი რეჟისორის ერთ-ერთი ასისტენტის მიერ წინასწარ გამზადებულ პასუხებსა თუ მთელ მონოლოგებს მონიტორზე გამოთქმით კითხულობდა და თან, ტექსტის შინაარსის შესაბამისად, ხან მომხიბვლელად იღიმებოდა, ხანაც სახეზე უსაზღვრო სევდა, გაოცება თუ გაღიზიანება ეწერებოდა...

ერთი სიტყვით, დეა ნელ-ნელა წამყვანის როლში შედიოდა, ტოკშოუ აუდიტორიას იკრებდა, ბადრი პატარიძე კი ფიქრში უკვე დოლარების დასტებს ითვლიდა. თან, დილიდან საღამომდე, დეას გვერდიდან არ შორდებოდა, გამუდმებით ხელებს უკოცნიდა და თან, შეთქმულივით ეჩურჩულებოდა:

— ჯერ სადა ხარ, საყვარელო, ჯერ სადა ხარ?!. მთელ მოსკოვს შენი რეკლამებით რომ ავაჭრელებ, ფურორი მერე ნახე!..

მართლაც, ერთ საღამოს, ბადრისთან ერთად ტელევიზიიდან გამოსულმა დეამ თვალებს არ დაუჯერა: მთელი პროსპექტი მისი გამოსახულებიანი უზარმაზარი სარეკლამო ფარებით იყო აჭრელებული.

— კი, მაგრამ?.. — მიუბრუნდა ბადრის გაოცებული დეა. — დილით რომ მოვდიოდი, აქ მსგავსი არაფერი იყო და ახლა...

— სიურპრიზი გაგიკეთე, საყვარელო, სიურპრიზი... — მაშინვე გაიბადრა პატარიძე. — ხომ მოგწონს?

— რა ვიცი, აბა?.. — დაიბნა დეა. — ამას ნამდვილად აღარ ველოდი...

— ეს მხოლოდ დასაწყისია, საყვარელო... — ხელკავი გამოსდო ბადრიმ დეას და თან ხელზე ხელი ვნებიანადაც მოუჭირა. — თუ ყველაფერს დამიჯერებ, მართლა პირველი სიდიდის ვარსკვლავად გაქცევ!..

— „ყველაფერში“ მაინც რას გულისხმობთ, ბატონო ბადრი? — გვერდულად გახედა დეამ პატარიძეს.

— ყვე-ლა-ფერს... — მშვიდად ჩამოუმარცვლა ბადრიმ და თან, იქვე მდგარი მანქანის კარი ნელ-ნელა გამოაღო: დაჯექი, საყვარელო, დანარჩენზე რესტორანში ვილაპარაკოთ.

რესტორნამდე არც ერთს ხმა აღარ ამოუღია. ბადრიმ მანქანა ორივესთვის უკვე კარგად ნაცნობ რესტორანთან შეაჩერა და მხოლოდ ამის შემდეგღა მიიხედა:

— ისევ აქ ვივახშმოთ თუ?..

— ჩემთვის სულერთია... — დაბნეულად ჩაილაპარკა თავდახრილმა დეამ.

— მაშინ გადავიდეთ, თორემ კუჭი შიმშილით გამიხმა. — მანქანის კარი სასწრაფოდ გამოაღო ბადრიმ...

რესტორანში თითქმის ყველა მაგიდა დაკავებული აღმოჩნდა, მაგრამ ბადრის და დეას დანახვაზე, ოფიციანტი მაშინვე მათთან გაჩნდა და რესტორნის ყველაზე მყუდრო კუთხეში მდგარი მაგიდისკენ მოწიწებით გაუძღვა, მასზე მდგარი ფირნიში წარწერით „стол занят“ უკვალოდ გააქრო და როგორც კი ბადრიმ ყურში რაღაც უჩურჩულა, თავადაც უკვალოდ გაქრა.

დეა ერთხანს უხმოდ იჯდა და რესტორნის ინტერიერს ისე გულმოდგინედ ათვალიერებდა, თითქოს პირველად ხედავსო, თან, ვითომ, ბადრის მონაყოლ მორიგ სისულელესაც უსმენდა, მაგრამ სინამდვილეში ერთი სიტყვაც კი არ გაუგონია. ამასობაში ოფიციანტმა უკან სავსე ლანგრით მოირბინა და მაგიდაზე ნაირ-ნაირი სასმელი და სალათები გადმოალაგა.

— საყვარელო, დაიწყო ბადრიმ. — ცოტ-ცოტა ყველაფერი გასინჯე და რაც გინდა, ის აირჩიე, დანარჩენს კი სასწრაფოდ უკან გავატან. — საჭმელი საკუთარი თვალით უნდა ნახო, რომ მიხვდე, გინდა თუ არა, თორემ მენიუდან რას გაიგებ?..

— ბატონო ბადრი, — ხმაში ირონია გამოურია დეამ. — თქვენს სიურპრიზებს საზღვარი ნამდვილად არა აქვს, მაგრამ როგორც რუსები იტყვიან должна вас огорчить; დიდი გურმანი ნამდვილად არასოდეს ვყოფილვარ, ამიტომ, პირადად მე, ყოველგვარი დაგემოვნების გარეშე, მხოლოდ „ოლივიესა“ და „ბორჯომს“ ვიტოვებ...

ბადრიმ შორიახლოს მოწიწებით მდგარი ოფიციანტი მაშინვე მოიხმო და ყურში ისევ რაღაც უჩურჩულა. ოფიციანტმა, ამის შემდეგ, მაგიდაზე მხოლოდ ორი ბოთლი „ბორჯომი“ და ორი თეფში „ოლივიე“ დატოვა, სხვა ყველაფერი კი რამდენიმე წამში ისე უკვალოდ გააქრო, რომ დეას ირონიულად გაეღიმა:

— ეს კაცი ოფიციანტია თუ ილუზიონისტი?

— როცა რა დასჭირდება, ჩემო კარგო... — უპასუხა ბადრიმ. — საერთოდ, თუ ადამიანი საკმარისად მოხერხებული და მოქნილი არ არის, ვერც ოფიციანტად ივარგებს, ვერც ილუზიონისტად და ვერც... — ამის შემდეგ პატარიძე მცირე ხანს შეყოვნდა და მერეღა დასძინა: ჟურ-ნა-ლის-ტად...

— ჟურნალისტობა რაღა შუაშია? — გადაკრულ სიტყვებს ვითომ ვერ მიუხვდა დეა.

— შუაში კი არა, თავშია, ჩემო კარგო და რახანია, მეც სწორედ ამაზე მინდოდა შენთან ლაპარაკი.

— რაკი ასეა, მთელი გულისყურით გისმენთ, ბატონო ბადრი. — პირისკენ წაღებული ჩანგალი ისევ თეფშზე დააბრუნა დეამ და პატარიძეს თვალი თვალში გაუყარა.

— შეგიძლიათ, პირდაპირ მითხრათ ყველაფერი. მაინც, რა გინდათ ჩემგან?

— ხომ გითხარი, ყველაფერი-მეთქი! — პურის კარგა მოზრდილი ლუკმა სასწრაფოდ პირისკენ გააქანა ბადრიმ.

— უფრო კონკრეტულად? — ჩაეძია დეა.

— კი, ბატონო... — როგორც იქნა, ლუკმა დაღეჭა და გადაყლაპა ბადრიმ. — უფრო კონკრეტულად ჩემი სურვილი ასე ჟღერს: ძალიან მინდა, თანაც, რაც შეიძლება მალე, გიგოლას სათაყვანებელ ქალს გემო მეც გავუსინჯო... — პირი უცნაურად გაამწკლაპუნა მან ბოლოს.

უცბად, დეამ იგრძნო, როგორ წამოაზიდა, ამიტომ სასწრაფოდ პირზე ხელი აიფარა და ფეხზე წამოხტა.

— ცუდად ხარ? — მაშინვე წამოდგა ბადრიც.

დეამ მეორე ხელით ანიშნა, არ გამომყვეო და დარბაზიდან კისრისტეხით გავარდა...

ცოტა ხნის შემდეგ მაგიდასთან მიბრუნებულ გაფითრებულ დეას ბადრი მართლა შეშფოთებული შეეგება და სასწრაფოდ სკამი გამოუწია:

— რა დაგემართა, ძვირფასო?.. რამემ ხომ არ გაწყინა?

— არა... — ხმადაბლა ჩაილაპარაკა დეამ.

— შეიძლება, სალათი იყო ძველი... ახლავე ოფიციანტს დავუძახებ და ტყავს გავაძრობ მაგ...

— ხომ გითხარით, არა-მეთქი! — გააწყვეტინა დეამ.

— აბა, რა დაგემართა?.. მითხარი, ნუ გერიდება...

— არ მერიდება!.. გეტყვით! — თვალი თვალში გაუყარა დეამ ბადრის. — რა არის, იცით, ბატონო ბადრი?.. ისეთი რამე დამემართა, რომ მაგ საქმიდან, ალბათ, აღარაფერი გამოვა...

— რომელი საქმიდან? — უცბად ვეღარ მიუხვდა ბადრი.

— ჩემთვის გემოს გასინჯვაზე გეუბნებით...

— ა-ა-?.. — სახე გაებადრა ბადრის. — დღეს თუ არ შეგიძლია, ხვალ იყოს, ანდა სულაც ზეგ, ან მაზეგ... ასე ძალიან კი არ გაჩქარებ...

— მაშინ, სულ მცირე, ექვსი თვე მაინც მოგიწევთ, მოცდა... — კბილებში გამოცრა დეამ.

— ექვსი თვე რა ამბავია? — დაიბნა ბადრი.

— ის ამბავი, ბატონო ბადრი, რომ ჯერ მხოლოდ სამი თვის ფეხმძიმე ვარ... ფეხმძიმობის დროს კი, ვინმესთან დაწოლაზე კი არა, სიტყვა „კაცის“ ხსენებაზეც კი რწყევა მეწყება...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ექვსი „გრემის“ მფლობელ კანადელ ალანის ნადინ მორისეტს მსოფლიო იცნობს, როგორც მომღერალს, თუმცა, მისი შემოქმედება ბევრ სხვა სფეროსაც მოიცავს. მორისეტი არაჩვეულებრივი მოცეკვავე, უნიჭიერესი კომპოზიტორი და თქვენ წარმოიდგინეთ, მსახიობიცაა. „გრემის“ ექვსი პრემიის გარდა, მის უდიდეს წარმატებასა და პოპულარობაზე მეტყველებს, მომღერლის ალბომების ფრიად შთამბეჭდავი ტირაჟი. ალანის მორისეტის მესამე ალბომი მსოფლიოში 28-მილიონიანი(!) ტირაჟით გაიყიდა. სულ ახლახან კი, მისი მეოთხე ალბომი მუსიკალური მაღაზიების თაროებზე გამოჩნდა და წარმატებითაც იყიდება. ინტელექტუალი მომღერლის ნაცნობები და მეგობრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ის საოცრად თავმდაბალი და იდუმალებით მოცული ქალია.

ალანის მორისეტი

ალტერნატიული როკმუსიკის ლიდერი



1974 წლის პირველ ივნისს, ოტავაში ალან (მომღერლის მამა ფრანგული წარმოშობის კანადელია) და ჯორჯია (დედა – უნგრელი) მორისეტებს ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინათ. ბიჭუნას უეიდი დაარქვეს, გოგონას სახელის შერჩევა კი, ცოტა არ იყოს, გაუჭირდათ. სწორედ ამ დროს ალანს ხელში მოხვდა რომელიღაც გაზეთი, სადაც მშვენიერი ბერძნული სახელი – „ალანისი“ ამოიკითხა, ბევრი აღარ უფიქრია და ქალიშვილს ეს სახელი დაარქვა.

ალანისმა თავისი მრავალმხრივი ნიჭიერების წყალობით, უფროსების ყურადღება ადრეულ ასაკშივე მიიპყრო. ექვსი წლის გოგონა, უკვე პიანინოზე უკრავდა, შვიდისა – ბალეტზე, ჯაზური მუსიკის სტუდიაში და ცეკვაზე დადიოდა. ცხრა წლისამ თავისი პირველი სიმღერა დაწერა, ათისა – უკვე საბავშვო გასართობ შოუში გამოდიოდა და საკაბელო ტელევიზიის ვარსკვლავი გახლდათ. 11 წლის ასაკში ოჯახის მეგობრის – რიჩ დოდსონის (ძალზე პოპულარული კანადური ჯგუფის – The Stampeders ყოფილი წევრი) ფინანსური დახმარებით, თავისი პირველი სიმღერა – Fate Stay With Me ჩაწერა.

სახელის მოსახვეჭად თავისი პირველი შანსი გოგონას ხელოვნების ტრადიციულ საგაზაფხულო ფესტივალ „ტიტებზე“ 1987 წელს მიეცა. როცა შოუს პროდიუსერმა სტეფან კლოვანმა ფესტივალის მონაწილეთა შერჩევისას ალანისს რაიმე, კარგად ცნობილი სიმღერის შესრულება სთხოვა, გოგონამ უპასუხა, რომ კლასიკური სიმღერის შესრულება სულაც არ სურდა. ალანისის თავდაჯერებულმა პასუხმა პროდიუსერი გააოგნა, მაგრამ მის მახვილ თვალს არც პატარა, დახვეწილი გოგონას მონაცემები გამოჰპარვია – რამდენიმეწუთიანი გასაუბრებაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ მისტერ კლოვანი 12 წლის გოგონას თავისი ინტელექტით საბოლოოდ მოეხიბლა. ბოლოს და ბოლოს, ის პროდიუსერ „ბიბიას“ სიმღერის შესრულებაზე დაყაბულდა და Find The Right Man-ის შესრულება შესთავაზა. კლოვანი დაინტერესდა, თუ რა ახალი, მოდური ჰიტი იყო ეს. ალანისმა განუმარტა, რომ ეს მისი საკუთარი სიმღერა გახლდათ და ამის გარდა, არაერთი სიმღერის ავტორი იყო. სრულიად გაოგნებულმა კლოვანმა ერთ ღამეში სცენარი მთლიანად გადააკეთა და მორისეტი შოუს უმთავრეს ფიგურად აქცია. მჭახე ყვითელი ფერის კაბაში გამოწყობილმა ალანისმა მაყურებლის დიდი სიმპათია დაიმსახურა. მისით აღფრთოვანებას ვერც პროფესიონალები ფარავდნენ – გოგონა ხომ სცენაზე ვეტერანი პოპმომღერალივით იქცეოდა. მორისეტი ფესტივალის მშვენებად და ვარსკვლავად იქცა.

სტეფან კლოვანს პროდიუსერის ალღომ არ უმტყუნა, მან წინასწარ განჭვრიტა, რომ მის წინ მომავალი ვარსკვლავი იდგა... პატარა პოპპრინცესის ბედ-იღბლით ის სერიოზულად დაინტერესდა. სულ მალე, მათ წინსვლის შესანიშნავი შანსი მიეცათ: ეს იყო 1988 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში, რომელიც კანადის დედაქალაქში ტარდებოდა. 13 წლის გოგონამ ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიაზე ცნობილი ჰიმნი – O Canada შეასრულა და მრავალათასიანი მაყურებლის აღფრთოვანება, ცრემლი და ოვაცია დაიმსახურა.

ჩემპიონატის მსვლელობისას ალანისმა კიდევ ერთი პიროვნება გაიცნო, რომელმაც მისი მუსიკალური კარიერის შექმნაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. ეს გახლდათ კომპოზიტორი ლესლი ჰოუ (პოპდუეტის – One to One ყოფილი წევრი), რომლის სტუდიაშიც გოგონამ მისი ცხოვრების შემდგომი ხუთი წელი გაატარა. იმხანად მორისეტის ერთადერთი პრობლემა სკოლა იყო, რომლის კედლებშიც ის თავს სულაც არ გრძნობდა მყუდროდ. თანატოლები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ცნობილი და პოპულარული გოგონა აუცილებლად ყოყოჩიც იქნებოდა და მასთან ურთიერთობას ერიდებოდნენ. ალანისს კი ბევრ მათგანთან მეგობრობა გულწრფელად სურდა...

სტეფან კლოვანი მორისეტის არაოფიციალური მენეჯერი გახლდათ. ის გოგონასთვის საჭირო კავშირებს ამყარებდა, უწყობდა კონცერტებს და ტანსაცმლის ელიტური მა-



ღაზიების მფლობელებს შორის დაინტერესებული სპონსორებიც გამოძებნა, რომლებიც ახალგაზრდა მომღერალს სასცენო ტანსაცმელს ურჩევდნენ. კლოვანი, ჰოუ და მორისეტის ირგვლივ შემოკრებილი სხვა ადამიანებიც, აქტიურად მუშაობდნენ იმისთვის, რომ გოგონას რომელიმე ლეიბლთან კონტრაქტი გაეფორმებინა. ლეიბლთა ყურადღების მისაპყრობად პარიზის ცენტრში, ეიფელის კოშკის ფონზე კლიპის გადაღება გადაწყდა. Walk Away-ს კლიპის გადაღება საკმაოდ ძვირი დაჯდა – ვალმა 100.000 დოლარს გადააჭარბა. ჰოუ დარწმუნებული იყო, რომ ვალების გასასტუმრებლად სტუდიის აღჭურვილობის გაყიდვა მოუწევდა, მაგრამ გაწეული რისკი გამართლებული აღმოჩნდა – MCA Records-ის სელექციონერს, ჯონ ალექსანდერს ვიდეოკლიპი ძალიან მოეწონა.

ბოლოს და ბოლოს, ალანისმა ნამდვილი კონტრაქტი გააფორმა. კანადაში მისი სადებიუტო სიმღერისა (Too Hot) და ორი ალბომის (Alanis-91 და Now Is The Time-92) გამოსვლის შემდეგ, მორისეტმა პოპულარობა მოიპოვა. მას უკვე კარგად ცნობილ ახალგაზრდა შემსრულებლებს დებ გიბსონსა და ტიფანისაც ადარებდნენ, რაც სულაც არ მოსწონდა ალანისს, რომელიც საკუთარ მუსიკას ბევრად უფრო მოწიფულად მიიჩნევდა. აღსანიშნავია ისიც, რომ კანადაში გამოსული მისი ორივე ალბომი პლატინის დისკად იქცა. 1992 წელს კი, მორისეტმა „წლის ყველაზე იმედის მომცემი მომღერლის“ ტიტული მოიპოვა.

1993 წლისათვის მას უკვე მთელი კანადა იცნობდა. ახლა, საჭირო იყო აშშ-ის ბაზრის დაპყრობა. მომღერლის პირველი ორი ალბომის ხელმეორედ გამოსაცემად MCA Records-მა პოლ აბდულის ყოფილი მენეჯერი და ხმის ინჟინერი სკოტ უელში დაიქირავა. ისევე, როგორც თავის დროზე კლოვანი და ჰოუ, უელშიც მოიხიბლა ახალგაზრდა, ინტელექტუალური მომღერლით და მისი დახმარება გადაწყვიტა. თავდაპირველად მან შენიშნა, რომ პოპმუსიკა, რომელსაც მორისეტი და ჰოუ არჩევდნენ – შესანიშნავი იყო, მაგრამ გოგონა ხომ 14-ის კი არა, უკვე 16 წლის გახლდათ და უფრო სხვაგვარი მუსიკა ესაჭიროებოდა. ალანისი ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდაც მისი კარიერის აღმასვლა გაგრძელებულიყო. სკოტმა მას სიტუაციის შესაცვლელად ტორონტოში გადასვლა და „ხელახალი დაბადება“ შესთავაზა. მორისეტი დათანხმდა – ტორონტოში გადაბარგდა და თავდაუზოგავად შეუდგა მუშაობას; უნდა აღინიშნოს, რომ იმ წლის მანძილზე, რომელიც ალანისმა ამ ქალაქში გაატარა, მისი სტუდია დაახლოებით ასზე მეტმა სხვადასხვა ავტორმა მოინახულა; მათთან ერთადაც გოგონა სიმღერების დაწერას ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. „იმხანად უამრავი იდეა მქონდა, მაგრამ ამ იდეების მუსიკად ტრანსფორმირებას ვერაფრით ვახერხებდი“, – იხსენებდა მორისეტი. მან ტელევიზიაში დაბრუნება გადაწყვიტა და სერიალში – Just One Of The Girls ითამაშა. თუმცა მუსიკას საბოლოოდ მაინც ვერ შეელია.

1994 წელს, მას ურჩიეს, რომ დახმარებისთვის კუინსი ჯონსის თანაპროდიუსერ გლენ ბელარდისთვის მიემართა, რომელიც ლოს-ანჯელესში ცხოვრობდა. მას ხომ 80-90-იანი წლების უამრავ ცნობილ პოპმუსიკოსთან მუშაობის გამოცდილება ჰქონდა და 500-ზე მეტი პოპულარული ჩანაწერის თანაპროდიუსერი და სიმღერის ავტორი გახლდათ.

ბელარდი გასაოცარი დიპლომატიური ნიჭით იყო დაჯილდოებული და ადამიანებზე სრულიად შეუმჩნევლად ახდენდა გავლენას. მას ბალადის ჟანრის დიდოსტატად მიიჩნევდნენ, გოგონას კი – ცეკვის დედოფლად. ორივე მათგანი ძველი ჩარჩოებისგან თავის დაღწევასა და რაღაც უჩვეულოს შექმნას ცდილობდა. გლენმა მორისეტს უსაზღვრო შემოქმედებითი თავისუფლება მიანიჭა, ექსპერიმენტმა გაამართლა – გოგონამ თვითანალიზის, საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ინტელექტის წყალობით, საოცარი სიმღერები შექმნა. მათ შორის კარგად ცნობილი: You Learn, Forgiven, Hand In My Pocket, All I Really Want და სხვა. სულ მალე მორისეტმა ლოს-ანჯელესელი მუსიკოსების – ფლი და დეივ ნავაროების დახმარებით, თავისი მესამე ალბომი ჩაწერა.

ალანისთან კონტრაქტის გაფორმების უფლებას ერთმანეთს არაერთი ლეიბლი ეცილებოდა. საბოლოოდ, მადონამ და მისმა Maverick Records-მა გაიმარჯვეს. ალბომმა – Jagged Little Pill მომღერალი არნახულად პოპულარული გახადა. რადიოსადგურები გაუთავებლად მის სიმღერებს ატრიალებდნენ. 1995 წლის ოქტომბერში გამოსულმა დისკმა მორისეტს არა მარტო ამერიკაში, არამედ მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალბომი 28-მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა და ალანისს 6 „გრემის“ ქანდაკება და უამრავი სხვა ჯილდო მოუტანა.

წარმატებით ფრთაშესხმული მორისეტი წლების მანძილზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობდა და კონცერტებს მართავდა. მის მიერ გამართული ორასორმოცდაათივე კონცერტი სრული ანშლაგით ჩატარდა. მომღერლის უდიდეს წარმატებაზე კარგად მეტყველებს ერთი კურიოზული შემთხვევა: როცა ორმა სუპერმოდელმა – ნაომი კემპბელმა და მარისა ტომეიმ კონცერტამდე ორი თვით ადრე ბილეთების შეკვეთა გადაწყვიტეს, აღმოჩნდა, რომ კანადელი მომღერლის თაყვანისმცემლებს უკვე ყველა ბილეთი დაეჯავშნათ.

ასე იქცა მსუბუქი ჟანრის ყოფილი მომღერალი, ქალთა ალტერნატიული როკმუსიკის ლიდერად, რომელმაც დახვწილი მზეთუნახავისა და შესანიშნავი მოცეკვავის იმიჯი ვიწრო ჯინსზე, გიტარასა და გაწეწილ თმაზე გაცვალა. მორისეტი დღემდე ნანობს, რომ უფრო ადრე ვერ გაერკვა საკუთარ თავში...

ამჟამად მსოფლიოში წარმატებით იყიდება მომღერლის მეოთხე ალბომი – Supposed Former Infatuation Junkie, სადაც მორისეტისა და ბელარდის 26 სიმღერაა შესული და რომლის პირველმა სინგლმა – Thank U ოფიციალურ რელიზამდე ჯერ კიდევ სამი კვირით ადრე, რადიოსადგურების სრული მხარდაჭერა მოიპოვა.

■

პრემიერ-მინისტრმა ქალიშვილი რესტორანში გაამწესა

ტაილანდის პრემიერ-მინისტრმა შინავატრა ტხაქსინმა გადაწყვიტა, თავისი 17 წლის ქალიშვილი McDonald`s-ის რესტორანში სამუშაოდ გაამწესოს. ქვეყნის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს სურს, ამ ნაბიჯით დაანახვოს ტაილანდელ მოზარდებს, როგორ შეიძლება საკუთარი შრომით ჯიბის ფულის გამომუშავება. აღნიშნული გადაწყვეტილებისკენ მთავრობის თავმჯდომარეს ტელეგადაცემის იმ სიუჟეტმა უბიძგა, რომელშიც 13 წლის მეძავის ამბავი იყო მოთხრობილი: გოგონას თქმით, ამ გზით მას ღამის კლუბში შესასვლელი თანხის შოვნა სურდა... პრემიერ-მინისტრი პირადად დაუკავშირდა „მაკდონალდსის“ მეპატრონეს და მოელაპარაკა, რომ მისი ქალიშვილი მასთან სწავლისაგან თავისუფალ დროს იმუშავებს. ■

თრენისაკენ ლტოლვა – კომერციის სასოლმა

პატარა ინგლისურ ქალაქ ბოგნორში უკვე ოცდამეხუთედ ჩატარდა ორიგინალური ფესტივალი, რომლის მონაწილენიც ადამიანი-ფრინველის წოდებას ეცილებიან ერთმანეთს. შეჯიბრის მთავარი პირობა, თვითნაკეთი ფრთებით რაც შეიძლება დიდი მანძილის დაფარვაა. მთავარი პრემია 25.000 გირვანქა სტერლინგს შეადგენს, რომელიც იმ სპორტსმენს ერგება, რომელიც აღნიშნული ხერხით 100 მ-ს დაფარავს.

წელულს პრიზი არავის ერგო, რეკორდი კი, დელტაპლანიზმის ინსტრუქტორმა რონ ფრიმანმა დაამყარა, რომელმაც 82 მ გადაიფრინა. საინტერესოა, რომ დისტანციის სიგრძის გარდა, კომპეტენტური ჟიური ფესტივალის მონაწილეთა კოსტიუმების სილამაზესა და მოხდენილობასაც აფასებს და ამ ნომინაციის პრიზიც აქვს დაწესებული. ყველაზე ელეგანტური სამოსისთვის, ამჯერად მილიონერი რიჩარდ ბრენსონი დაჯილდოვდა, რომელიც დამსწრეთა წინაშე ვერცხლისფერფრთებიანი ანგელოზის კოსტიუმით წარდგა. მისი „საფრენი“ შედეგი, საკმაოდ მოკრძალებული გახლდათ – მან სულ 11 მ იფრინა. ■

მოსამართლემ საცოლი ხელის ერთი მოსმით მოსსნა

საავტომობილო საცობში გატარებულმა ორმა საათმა იმდენად განარისხა ინდოეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ამიტავა ლალა, რომ სამსახურში მისვლისთანავე შეადგინა განჩინების ტექსტი, რომლითაც ამ უმგავსობის გამო, პასუხს სთხოვდა პოლიციას. წესრიგის დამცველებმა ლალას განუმარტეს, რომ 12-მილიონიან დელიში რამდენიმე საათის განმავლობაში, პოლიტიკური მიტინგის გამო იყო პარალიზებული საგზაო მოძრაობა. ინდოეთის მთავარმა მოსამართლემ დაუყოვნებლივ გამოიტანა გადაწყვეტილება, დილის 8-დან საღამოს 8 სთ-მდე პოლიტიკური მიტინგებისა და მანიფესტაციების აკრძალვის შესახებ და ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი პოლიციას დააკისრა. ■

ჯორჯ მუშის საკვემს თაგვემს უწილადემენ

20-21 ოქტომბერს, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სახელმწიფოთა სამიტი ჩატარდება, რომელსაც ტაილანდი უმასპინძლებს. ამასთან დაკავშირებით, მასპინძელი ქვეყნის სამედიცინო მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სომსონგ რუგპაომ განაცხადა, რომ სახელმწიფოთა მეთაურებისთვის მისართმევ ყველა კერძს ჯერ თაგვებს გაასინჯებენ. „თუ საკვებში საწამლავი აღმოჩნდა, ამის შესახებ ზუსტად ერთ წუთში შევიტყობთ და ოფიციანტებს სუფრაზე კერძს არ გავატანინებთ“ დასძინა მან. სომსონგს ჟურნალისტებისთვის არ გაუმხელია, თუ რამდენ თაგვს გამოიყენებენ ამ საქმეში. რაც შეეხება მედიცინის მუშაკთა იმ არმიას, რომელიც სამიტს მოემსახურება – 20 ათას კაცს აღწევს. ■

პრაქტიკული ამერიკელები და ელეგანტური იტალიელები

„გზის“ წინა ნომერში ფრანკფურტის მე-60 საერთაშორისო ავტოსალონზე მოგითხრობდით, სადაც 60 მსოფლიო პრემიერა შედგა და მართლაც განსაცვიფრებელი მოდელები წარმოადგინეს ავტომოყვარულთა და სპეციალისტთა სამსჯავროზე „ფოლკსვაგენის“ ჯგუფის კომპანია „აუდიმ“, ბავარიულმა კონცერნმა „ბე-ემ-ვე“-მ და, რასაკვირველია, „მერსედესმა“. ამჯერად კიდევ ორი სახელგანთქმული საავტომობილო ფირმის – „ფორდისა“ და „ალფა რომეოს“ ფრანკფურტში ჩატანილ ახალ მანქანებზე მოგაწვდით რამდენიმე ცნობას.

პრემიერების რაოდენობით, ამერიკული კორპორაცია „ფორდი“ არ გაჰპაექრებია ავტოსალონის სხვა წამყვან მონაწილეებს. მისი ერთადერთი დებიუტი, კომპაქტური ვენი – Ford C-Max გახლდათ, რომლის წარდგენა საავტომობილო სამყაროს წინაშე ჯერ კიდევ ფრანკფურტამდე შედგა. საინტერესოა, რომ ბევრი ექსპერტის აზრით, ბაზარზე ამ მოდელის გამოსვლა შეიძლება დაგვიანებულიც კი იყოს: კომპაქტური ვენების სეგმენტში უკვე კარგა ხანია დაიმკვიდრა ადგილი „ფორდის“ კონკურენტმა ფირმებმა – Opel Zafiza-ს, Volkswagen Touran-ის, Renault Scenic-ის მწარმოებლებმა. „ფორდის“ ვენების გაყიდვა ევროპაში 23 ოქტომბერს დაიწყება. Ford Focus-ის პლატფორმაზე აგებული ამ ავტომობილის მინიმალური ფასი 17.975 ევრო იქნება. ევროპასთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა, რომელიც „ფორდის“ წინაშე დგას, კომპაქტური მანქანების კლასში ახალი მოდელის უქონლობაა. მართალია, „ფორდი ფოკუსი“ უკვე 5 წელია გამოდის და დიზაინით კარგა ხნის მანძილზე მოწინავედაც ითვლებოდა, მთავარი კონკურენტების დაჯაბნა სულ უფრო უძნელდება. ამ დროს კი, კომპაქტური მანქანების სეგმენტში, ახალი – მე-5 თაობის Volkswagen Golf გამოჩნდა, 2004 წლის მარტისთვის კი, ახალი Opel Astra-ს დებიუტი შედგება. ამ ფონზე, მორიგი Ford Focus იგვიანებს: საავტომობილო საზოგადოებრიობისთვის მისი წარდგენა 2004 წლის მეორე ნახევრისთვისაა ნავარაუდევი.

სერიული მოდელების გარდა, კორპორაციამ ფრანკფურტში კონცეპტუალური მოდელი – Visos (სურათზე) ჩაიტანა. „ფორდის“ მთავარი დიზაინერის, კრის ბერდის თქმით, ეს ელეგანტური კუპე, თავისი კონტურებით, უახლოესი წარსულის პოპულარულ მოდელებს მოგვაგონებს. სპეციალისტთა აზრით, Visos-ის შემუშავებისას, „ფორდის“ დიზაინერები მომავალი თაობების გარეგნული იერის ერთ-ერთ ვარიანტს ქმნიდნენ.

„ფორდისგან“ განსხვავებით, იტალიურმა ფირმამ – „ალფა რომეომ“ (კონცერნ „ფიატის“ შემადგენელი ნაწილი) ფრანკფურტის ავტოსალონზე 3 მსოფლიო პრემიერა ჩაატარა. მათ შორის მთავარი, სედანი Alfa Romeo 166 იყო, რომელიც იტალიელი დიზაინერებისთვის დამახასიათებელი ელეგანტურობით გამოირჩევა. მომხმარებელს, ორი ახალი ძრავათი აღჭურვილ 166-ე მოდელს შესთავაზებენ, ესენია: 6-ცილინდრიანი, 3,2 ლ მოცულობის ბენზინის (240 ცხ.ძ.) და 5-ცილინდრიანი, 2,4 ლ მოცულობის დიზელის (175 ცხ.ძ.) აგრეგატები, დიზელის ძრავას, მყიდველის არჩევანის მიხედვით, 6-საფეხურიან მექანიკურ, ანდა 5-საფეხურიან ავტომატურ გადაცემათა კოლოფს დაურთავენ.

ფირმის მეორე სიახლე გახლდათ ორკარიანი სპორტული მანქანა – Alfa Romeo GT (სურათზე). სულ ცოტა ხნის წინ, კომპანიის მესვეურებმა გამოაცხადეს, რომ ამ ავტომობილის სერიული წარმოება უკვე 2004 წლის დამდეგს დაიწყება. GT-ის პარამეტრები ასეთია: სიგრძე – 4,48 მ, სიგანე – 1,76 მ, სიმაღლე – 1,39 მ. მანქანა ოთხნაირი ძრავათი შეიძლება აღიჭურვოს: 140-დან 240-მდე ცხ. ძ-ის, სიმძლავრის სამი ბენზინის და 140 ცხ.ძ-ის სიმძლავრის დიზელის აგრეგატით.

„ალფა რომეოს“ მესამე მსოფლიო პრემიერა, სპორტული კონცეპტი Sportiva Evoluta იყო, რომელიც V ტიპის 8-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი. ■

რითი სჯობს ამერიკულ გზებს ქართული ტრასები...

აკაკი გეგენავა

წინამორბედი წერილი
იხ. „გზა“ №40

ხანგრძლივი რეისები... სატვირთო ტრაილერით, მოგზაურისთვის ერთი შეხედვით არაორდინარული ტრანსპორტით, საკმაოდ შთამბეჭდავად დაიწყო. თანაც, შესანიშნავი თანამგზავრის, საქართველოზე შეყვარებული ამერიკელი პროფესორის თანხლებით.

მაგრამ სანამ ჩემი ხანგრძლივი მოგზაურობის შემდგომ ეტაპზე გადავიდოდე, სიამოვნებით გესაუბრებით ამერიკული გზების შესახებ. ამასთანავე, ვეცდები, ის უმთავრესი შტრიხებიც „დაგანახვოთ“, რითიც ჰგვანან და არც ჰგვანან ჩვენი, ანუ ქართული გზები ამერიკულს.

ამერიკული გზების ისტორია

უმთავრესი, რაც ამერიკული გზების ძირითადი მახასიათებელია, ეს გახლავთ სიტყვა კეთილმოწყობილი, ასევე კომფორტული. ამ ეპითეტებით, საქართველოს გზის ვერც ერთ მონაკვეთს ვერ შევამკობთ. ამიტომ, შედარების პირველივე ცდა, როგორც ვხედავთ, ჩვენი მარცხით მთავრდება. თუმცა, უმჯობესია, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს...

მოგეხსენებათ, გასული საუკუნის 20-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფიქსირდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური კრიზისი. ამ კრიზისმა მოსახლეობა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, რაც ბუნებრივია, გამოწვეული იყო უმუშევრობით და საკუთარი მთავრობისა და მომავლისადმი იმედგაცრუებით. ე. ი. ამერიკელები 80 წლის წინათ ზუსტად იმ დღეში ყოფილან, ახლა ჩვენ რომ ვართ. ჰოდა, დაწყებულა ამერიკაში „დიდი დეპრესია“, — ცრემლების ღვრა და უიმედობა. დადიოდნენ თურმე უმუშევარი ამერიკელები შტატიდან შტატში. მომრავლდა სტრესული სიტუაცია, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ სამუშაოს, მაგრამ „ეძებე ტრამალზე მგელი“ — იყო და არც იყო სამუშაო!

ამ საერთო ბაკქანალიის ფონზე გააქტიურდნენ კრიმინალური ძალები, ქვეყანა ლამის ჭაობში ეფლობოდა (აბა, რა გეგონათ, მარტო ჩვენ კი არ ვართ რთულ ეკონომიკურ კრიზისში, ეს გზა თვით ამერიკასაც გამოუვლია! ასე რომ, შეიძლება რაღაცის იმედი გვქონდეს!). უფრო მეტსაც გეტყვით, ამერიკაში იმატა დანაშაულთა რიცხვმა, თვითმკვლელობებიც გახშირდა...

რთულ ვითარებაში ჩავარდნილი ქვეყნის გადასარჩენად მართლაც რომ ჭკუა იხმარა პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა. მისი ინიციატივით, შეიმუშავეს გრანდიოზული გეგმა — ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე გაეყვანათ კეთილმოწყობილი საავტომობილო გზები. ეს მართლაც იმდენად დიდი პროექტი იყო, ლამის მოსახლეობის ნახევარი დასაქმდა. მთელი ათი წლის განმავლობაში შტატებში მასობრივი გზების მშენებლობა მიმდინარეობდა, რამაც საკმაოდ დადებითი შედეგი გამოიღო — მილიონობით ადამიანმა შვება იგრძნო. ხოლო თუ ეკონომისტებს დავუჯერებთ, ამერიკაში გზათა მასშტაბური მშენებლობის პროექტმა ქვეყანა არა მარტო გადაარჩინა, უფრო მეტიც, აღმავლობის გზაზე დააყენა.

მართლაც, როდესაც გაჰყურებ ამ თორმეტრიგიან ჩქაროსნულ ტრასებს (hay way), რომელიც ათიათასობით მილზეა გაჭიმული მთელ ამერიკაში, შეიძლება განცვიფრდე და დაუჯერებლადაც კი მიიჩნიო, რომ ყველაფერი ეს ადამიანის ხელმა შექმნა. კოლოსალურად დიდი ძალა და ენერგიაა ჩადებული გზის თვით უმცირეს მონაკვეთზეც კი...

თუმცა ხომ ასეთი ფართოა და სარკესავით გაკრიალებული, ერთი (თანაც ძალზე სერიოზული!) პრობლემა მაინც აწუხებს მოსახლეობას: სტატისტიკური მონაცემებით, ამერიკის hay way-ზე რაც კი ავარიები ხდება, იმათგან 70% გამოწვეულია საჭესთან მძღოლების... ჩაძინების მიზეზით. ეს არცთუ ისე გასაკვირია — ამ გზებზე ვერსად შეხვდებით ოღრო-ჩოღრო მონაკვეთებსა და ჩვენებურ „იამკებს“ (ორმოებს). შესაბამისად, არც მანქანა ჯაყჯაყებს; მონოტონური და მშვიდი, მსუბუქი რყევა კი იავნანასავით მოქმედებს მძღოლებზე და მათაც ეძინებათ (ჩვენს მძღლოლებს ამ მხრივ თავი ქუდში აქვთ. ისე ჯაყჯაყებენ, რა დააძინებთ...). ამიტომ ბოლო პერიოდში, გზისპირებს ტრაქტორის მუხლუხებით გატარებული ერთმეტრიანი სიგანის ზოლი მიჰყვება, რაც მასზე გადასვლისას ავტომობილს „აფხიზლებს“.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმასაც, რომ შორ ტრასაზე მიმავალმა მძღოლებმა ხშირად დაისვენონ. წარმოიდგინეთ, მკაცრი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც კონკურენცია ძალზე დიდია, სატრანსპორტო კომპანიების მფლობელებიც კი, კატეგორიულად უკრძალავენ თავიანთ მძღოლებს საჭესთან 8 საათზე მეტხანს ჯდომას. რა თქმა უნდა, ამერიკაშიც ჭრის ჩვენებური ანდაზა „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“. კომპანიის მფლობელს ურჩევნია, მისმა მძღოლმა თუნდაც შეკვეთა გვიან მიიტანოს, ოღონდ ავარია არ მოახდინოს. ამიტომ, ტრაილერის მძღოლები ტრასაზე ხშირად ისვენებენ. მით უმეტეს, რომ გზებზე უამრავი დასასვენებელი ადგილი, მოსაცდელი სადგური, ანუ ე.წ. Wait station-ია. ესენი გახლავთ მინიდბები, სადაც განთავსებულია ბენზინ-

გასამართი სადგური, სასტუმრო, რესტორნები (იაფფასიანიც), აუზები, საუნები და ათასი ჯურის გასართობი ადგილი. თუმცა, საინტერესო ისიც არის, რომ სანამ ასეთ დაბამდე არ მიაღწევთ, ძალიანაც რომ გინდოდეთ, ვერსად გაჩერდებით, ვერც სადმე გადაუხვევთ. გზები რკინის ან ბეტონის მოაჯირითაა შემოფარგლული. გზისპირა მოლზე ან ხეივანში გადასვლა რომ მოინდომოთ, ვერც შეძლებთ. თანაც მოაჯირზე რომც გადახტეთ, 10-15 წუთში საგზაო პოლიციელი ან უბრალოდ, გზის მომსახურე პერსონალი მოგაკითხავთ, გაჩერების მიზეზს გკითხავთ, თუ რაიმე გიჭირთ, დაგეხმარებათ, თუ არა და, ზრდილობიანად განიშნებთ, აქ გაჩერება აკრძალულიაო და უახლოესი wait station-ისკენ მიგითითებთ.

მძღოლი ამ ტრასებზე მუდმივი კონტროლის ქვეშ არის და იმის ილუზია, რომ ამხელა გზაზე რასაც გინდა, იმას გააკეთებ, მცდარია. ცალკე საუბრის თემაა ტრასაზე დაწესებული ჯარიმები მათთვის, ვინც მანქანიდან რაიმე საგანს გადმოაგდებს. მახსოვს, ერთხელ როგორ მიჰყავდათ საგზაო პოლიციელებს ბორკილებდადებული ფერადკანიანი მძღოლი. თანაც ისე უხეშად ექცეოდნენ, ვიფიქრე, ეს არის და ტერორისტი შეიპყრეს-მეთქი. თურმე ნუ იტყვით, ჩვეულებრივი მძღოლი ყოფილა, რომელსაც ტრასაზე უბრალოდ, „კოკაკოლას“ ბოთლი მოუსვრია მანქანიდან. როცა პოლიციელს გაუჩერებია და ჯარიმის გადახდა მოუთხოვია, იმ საცოდავს ფული არ ჰქონია. ასე რომ, პოლიციელს კანონის სრული დაცვით(!) მიჰყავდა ურჩი მძღოლი.

ჰო, მართლა, ამერიკაში თუ ავტომობილით მოგზაურობთ, უეჭველად უნდა გაითვალისწინოთ ერთი გარემოება – იმაზე ბევრად უფრო მეტი ფული უნდა გქონდეთ, ვიდრე ვარაუდობთ, რომ გზაში დაგჭირდებათ. თორემ შეიძლება იმ ფერადკანიანი მძღოლის როლში აღმოჩნდეთ, ზემოთ რომ ვახსენე. ალბათ იკითხავთ, საწვავისა და საკვების გარდა ფული რაში უნდა დავხარჯოთო, მაგრამ უნდა იცოდეთ, აქ გზის თითქმის ყოველი მონაკვეთი თავის ხიდებიან-გვირაბებიანად, ფასიანია (ჩვენ ერთი რიკოთის გვირაბი გვაქვს ფასიანი და ისიც გვიკვირს). ზოგჯერ იმდენი გადასახადი იყრიდა თავს, რომ საგონებელში ვვარდებოდი. ამ ხარჯებს ჩემი კომპანია იხდიდა, თორემ დამოუკიდებლად რომ მევლო, ჩემი შემოსავალი ამდენ გადასახადს ნამდვილად ვერ გასწვდებოდა.

მოკლედ, ამერიკაში მოგზაურობა ძვირი სიამოვნებაა. თუ ბევრი ფული არა გაქვს, შენს ქალაქში უნდა დაეტიო!

დეტროიტისკენ, ვახოსთან შეხვედრის იმედით...

თბილად დამემშვიდობა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი პოლ სტიუარტი, რომელსაც, როგორც გახსოვთ, ბრუკლინიდან წიგნები და კომპიუტერები გადმოვუზიდე ჩემი ტრაილერით.

– იფიქრეთ ჩვენს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზე. წელიწადში 30-40 ათასი დოლარი არცთუ ისე დიდი თანხაა, როგორც თქვენ გგონიათ... – მითხრა პროფესორმა, რომელსაც ვერაფრით დაეჯერებინა, რომ სწავლის ფულს ვერ გადავიხდიდი და თან სავიზიტო ბარათი გამომიწოდა.

ისე გულიანად გადავეხვიეთ მე და ბატონი პოლი ერთმანეთს, კაცი იფიქრებდა, მთელი ცხოვრება ერთად გაატარესო.

ბოსტონიდან უპრობლემოდ გამოვედი. დეტროიტისკენ მიმავალი გზაც ადვილად ვიპოვე და უჩვეულო სიხარულით დავადექი ტრასას. ეს სიხარული იმით იყო გამოწვეული, რომ დეტროიტში ვახო შუბლაძე მეგულებოდა, ჩემი ბავშვობის მეგობარი, ვისთან ერთადაც ჩამოვედი შეერთებულ შტატებში. თუ გახსოვთ, ერთხანს ერთად ვიყავით, მერე ის დეტროიტში გაემგზავრა, მე კი ნიუ-იორკში დავრჩი. კარგა ხნის უნახავი მყავდა და ერთი სული მქონდა, როდის შევხვდებოდი, მაგრამ რაც არ უნდა სწრაფად მევლო, 800 მილს 14 საათზე ნაკლებ დროში ვერაფრით დავფარავდი. თანაც, ვერც შეუსვენებლივ ვივლიდი. აუცილებლად მომიწევდა Wait station-ებში შევლა.

ერთი დეტალიც: თუ მსგავს ადგილებში მსუბუქი მანქანების მძღოლები უსისტემოდ აჩერებენ ავტომობილებს, ტრაილერების მძღოლები კანონზომიერად მოქმედებენ – ეს უშველებელი ავტომანქანები ისე ლამაზად, მოწესრიგებულადაა დამწკრივებული, რომ მათი ცქერა ერთ რამედა ღირს. მძღოლებიც ერთმანეთის მიმართ პატივისცემით არიან განწყობილნი. ასეთი კოლეგიალურები, მგონი არც ერთი სხვა პროფესიის ადამიანები არ არიან.

აი, ტრაილერის მძღოლებს რაც შეეხებათ, ისინი, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარ კასტას წარმოადგენენ. ისევე, როგორც მეზღვაურები, მონადირეები, პოლიციელები... ერთმანეთს ცნობენ, თითქოს რაღაც საერთო მანერებიც აქვთ. მე ჩავთვალე, რომ რადგან ტრაილერის მძღოლი ვიყავი, შემეძლო მათ თანასწორად მეგრძნო თავი, მაგრამ მოვტყუვდი.

მძღოლების სასაუზმო დარბაზში შევედი და დახლთან მივედი. შევუკვეთე საუზმე მინერალურ სასმელთან ერთად და მის მოლოდინში ერთ-ერთ მაგიდას მივუჯექი. ყურადღებით მიმოვათვალიერე დარბაზი. მძღოლები ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ. ზოგნი უბრალოდ საუბრობდნენ, ზოგნიც გულიანად ხუმრობდნენ. ისიც შევნიშნე, ვინც ჩემ შემდეგ შემოვიდა, ყველას ხმამაღლა მიესალმა, მერე საუზმე შეუკვეთა და საუბარში ჩაერთო. უშუალოები, მხიარულები ჩანდნენ. აშკარად ეტყობოდათ, ერთმანეთს იცნობდნენ. თანაც, ჩემდა გასაოცრად, ლამის ყველას მიართვეს საუზმე, მე კი ვიჯექი ბაიყუშივით და ველოდი შეკვეთას.

თავიდან ვერ შევამჩნიე, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მივხვდი, რომ რაღაც თამაშის წესებს ვარღვევდი. შეკვეთა არა და არ ჩანდა. აშკარად უხერხულად ვიგრძენი თავი. ბოლოს, ველარ მოვითმინე და დახლთან მივედი.

– გოგონი, მე უკვე დიდი ხანია გელოდებით, მალე იქნება ჩემი შეკვეთა?

– უი, უკაცრავად მისტერ, სულ დამავიწყდა... ცოტა ხანსაც მოითმინეთ და ახლავე მოგიტანთ... – თითქოს თავაზიანად მითხრა და გამიღიმა კიდევაც ქერა მიმტანმა გოგონამ, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ დიდად არ უნაღვლია თავისი უყურადღებობა.

ჩვეულებრივ, ამერიკაში, რესტორნებსა თუ კვების ნებისმიერ ობიექტში კლიენტებს უყურადღებოდ არ ტოვებენ. აქ კი ეს უყურადღებობა მძაფრად ვიგრძენი, თანაც

სილამაზის საერთაშორისო ცენტრი „ოქროს ლოტოსი“ გთავაზობთ კვალიფიციურ კოსმეტოლოგიურ მომსახურებას „დერმაჯეტიქსის“ ფირმის კოსმეტიკით.

სახის კანის ღრმა წმენდა მექანიკური ჩარევის გარეშე. გამონაყარის, ნაოჭების, ლაქების, ფერიმჭამელების, აგრეთვე ცელულიტის მოცილება.



☎ 91-09-40; 76-71-36; 893-30-49-55 მანანა



აკაკი გეგენავა: მე ჩავთვალე, რომ რადგან ტრაილერის მძღოლი ვიყავი, შემეძლო მათ თანასწორად მეგრძნო თავი, მაგრამ მოვტყუვდი.

მხოლოდ ჩემ მიმართ.

ბოლოს, როგორც იქნა, მაღირსეს საუზმე და მოშივებულმა თან ოფიციანტის უყურადღებობით განაწყენებულმა, ისეთი „ტემპი“ ავიღე, იფიქრებდი, მთელი კვირა არაფერი უჭამიაო.

ცოტა რომ დავნაყრდი და სული მოვითქვი, მივხვდი, რომ რაღაც დისკომფორტს განვიცდიდი. რომ კაფეში მარტოოდენ სასაუზმოდ არ შემოვსულვარ, იმედი კი გამიცრუვდა...

თანაც, სასაუზმიდან რომ გამოვედი, დახლიდარს ზედაც არ შემოუხედავს ჩემთვის. ფული გამომართვა და თავისი საქმე განაგრძო, ამ სასაუზმიდან გამოყოლილი განწყობა სხვაგანაც გამყვა. მომდევნო Wait station-შიც იგივე განმეორდა. რომ იტყვიან, — გინდ ყოფილხარ, გინდ არა. ასე იყო ჩემი საქმე. ქართველი აკაკი გეგენავა ამერიკაში სულ აღარავის აინტერესებდა.

ჩემი მხსნელი სომეხი აშოტა

ახლა მთლად უხალისოდ შევდიოდი გზის სანაპიროებზე განლაგებულ სასაუზმეებში და თავს მარტოსულად ვგრძნობდი. მახსოვს, ერთხელაც ვზივარ და მარტო მივირთმევ უზარმაზარ ჰოთდოგს, ზედ ფორთოხლის წვენს ვაყოლებ და ერთი სული მაქვს, როდის გავაღწევ იქიდან.

ამ დროს ეზოში გაბმული სიგნალით შემოგრიალდა კიდევ ერთი ტრაილერი. მძღოლი მკვირცხლად გადმოხტა კაბინიდან და ეზოში მყოფ კოლეგებს მხიარულად მიესალმა. უფრო მეტიც, სათითაოდ ჩამოუარა ყველას და ხელი ჩამოართვა. ერთბაშად მის გარშემო მხიარული ატმოსფერო შეიქმნა. მძღოლები შემოეხვივნენ, რაღაც ამბების მოყოლაც დაიწყეს.

— ალბათ ძველი მძღოლია და ყველა კარგად იცნობს... — გავიფიქრე და უფრო ყურადღებით შევათვალიერე. აშკარად კავკასიელი იყო. სასაუზმეში რომ შემოვიდა, იქაც უჩვეულო სიცოცხლე შემოიტანა. ოფიციანტ ქალს ყურში რაღაც წასჩურჩულა და იმანაც კისკისით აიკლო იქაურობა. საუზმესთან ერთად ლუდიც შეუკვეთა, თანაც ბევრი. რამდენიმე ბოთლი თავის მაგიდასთან დატოვა (ოთხნი ისხდნენ), დანარჩენი კი იქვე, სხვა მაგიდებთან მსხდომ მძღოლებს ჩამოურიგა.

ეს უცნობი კავკასიელი რამდენიმე წუთში ყველას ყურადღების ქვეშ მოექცა... 15-ოდე წუთის შემდეგ, მეც შემამჩნია. რატომღაც შევატყვე, რომ დაინტერესდა კიდეც ჩემით. თვალს არ მაშორებდა. ცოტა არ იყოს, თავი უხერხულად ვიგრძენი, ეს უცხო კაცი რას მიყურებს ამდენ ხანს, ცისფერი ხომ არ ვგონივარ-მეთქი?! თან ცოტა არ იყოს, კრიტიკულადაც დავუწყე საკუთარ გარეგნობას თვალიერება, რამე გამომწვევი ხომ არ მაცვია-მეთქი?! განსაკუთრებული არაფერი მეცვა.

ერთი სიტყვით, უცნობი კავკასიელის დაჟინებული მზერისგან შეწუხებულმა თავი უხერხულად ვიგრძენი. საუზმე დამთავრებული არც მქონდა, წამოვდექი და დარბაზიდან გასვლა დავაპირე. ჩემი ადგომა და მისი მოახლოება ერთი იყო.

— ჰა ეს? (სომეხი ხარ?) — მკითხა სომხურად.

— ჩკა! (არა!) — სომხურადვე ვუპასუხე და გავიღიმე. რომ იტყვიან „ზემლიაკთან“ მქონდა საქმე.

— აბა, ვინა ხარ? — ეს უკვე რუსულად მკითხა. თან მანიშნა, სად გეჩქარება, დაჯექი, გავიცნოთ ერთმანეთიო.

მეც შვებით ამოვისუნთქე, რომ ამ გაურკვეველი სიტუაციიდან თავის დაღწევის საშუალება მომეცა.

აშოტა (ასე ერქვა ჩემს ახალ ნაცნობს), ლენინაკანელი სომეხი აღმოჩნდა. 1988 წელს, სომხეთში რომ დიდი მიწისძვრა მოხდა, მთელი მისი ოჯახი უსახლკაროდ დარჩენილა. რამდენიმე წელი ოჯახს სხვადასხვა ადგილას უცხოვრია. ბოლოს ამერიკაში წამოსვლა გადაუწყვეტიათ და თავშესაფარი მოუთხოვიათ.

1992 წლიდან ჩამოსულან აშშ-ში და ქალაქ სირაკუზში დასახლებულან. აშოტას ჩემსავით გაუვლია ტრაილერის მძღოლის კურსები (ოღონდ ჩემგან განსხვავებით ორი წელი აბარებდა გამოცდებს) და მას აქეთ მძღოლად მუშაობს. დააქვს ტვირთი ერთი ადგილიდან მეორეზე, ერთი შტატიდან მეორეში.

თბილისში ერთხელ ვიყავი ექსკურსიაზე სკოლიდან და ძალიან მომეწონაო. მეც ექსკურსიაზე ვიყავი ერევანში-მეთქი. აშოტამ მითხრა, ქართველებს დიდ პატივს ვცემ; თქვენ არა ხართ ის ხალხი, თავში რომ ვინმემ იოლად წამოარტყასო.

ვისხედით ახლა მე და აშოტა და დანელიას ფილმის გმირებივით ვლაპარაკობდით. მე ვალიკო ვიყავი „მიმინოდან“, აშოტა კიდევ — რუბიკა... მოკლედ, ვუამბე ჩემი ამერიკული თავგადასავალი. არც ოლბანის ციხე დამვიწყებია და არც კეთილი რუსი ებრაელი ქალი, რომელმაც ტუსაღობისგან მიხსნა. ისიც მიამბობდა ათას რაღაცას. განსაკუთრებით ის ახარებდა, რომ მისი შვილები, ავეტიკა და ანჟელა პრესტიჟულ კოლეჯში სწავლობდნენ. რომ ცოლი, ჟანა „კუკლასავით“ ჰყავდა შინ დასმული და არ ამუშავებდა. ეგლა გვაკლია სომხებს და ქართველებს, ცოლები ვამუშაოთო! — ამაყად მითხრა.

ბოლოს, ვერ მოვითმინე და იმ ცივ ურთიერთობაზე შევჩივლე, რომელიც ამ Wait station-ებში სტუმრობისას მხვდებოდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე.

— მაგის მეტი დარდი არ მოგცეს ღმერთმა, აკაკი!.. — დამამშვიდა აშოტამ, — უბრალოდ, გეტყობა, ახალი დაწყებული გაქვს ეს საქმე და არ იცი, როგორ მოიქცე...

— იქნებ, მასწავლო, აშოტ!.. — გამიხარდა.

— უბრალო ამბავია... ტრაილერის მძღოლები თვეობით არიან წამოსულები. ზოგს ოჯახიც არა აქვს... ასეთი ხალხი, ხომ იცი, ადამიანურ ურთიერთობებს დანატრებულნი არიან. მათ თუ იოტისოდენ ყურადღებას მიაქცევ, ათმაგად გადაგიხდიან. ამათ უნდა გაუღიმო, თითქოს დიდი ხანია იცნობ, მეგობრად ჩათვალო და ყველაფერი კარგად იქნება!.. — აშოტამ გამიღიმა და ლუდი ჩემთვისაც შეუკვეთა.

— არა, აშოტ, ლუდს ვერ დავლევ, საჭესთან ვზივარ... — გავაპროტესტე. მან კი გაოცებით შემომხედა.

— ჩემო ძმაო, აქ ვინცა ვართ, ყველა საჭესთან ვზივართ... — და აშოტამ ოფიციანტს მხიარულად გასძახა, ჩვენი ლუდი ჩქარა მოიტანეო...

P.S. აკაკი გეგენავას დღიურის მორიგ თავს „ვზის“ №44-ში შემოგთავაზებთ.

წითელი მარნი ჯერაც დაუმარცხელია

მიხაელ შუმახერი მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონია. გასულ უიკ-ენდზე იაპონიაში გამართულ რბოლაში მან ფინიში მერვემ გადაკვეთა და მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა, თუმცა, ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ გერმანელ პილოტს Ferrari-სთან ერთად ზედიზედ მეოთხედ ეზეიმა დიდი გამარჯვება.

ვინაიდან „წითელ ბარონს“ მიზნის მისაღწევად იაპონიის გრან-პრიზე მინიმალური შედეგის მიღწევაც კი ჰყოფნიდა, Ferrari-ს მთელი შემადგენლობა მხოლოდ იმისთვის ირჯებოდა, რომ გუნდის მეორე პილოტი, რუბენს ბარიკელო პირველი მისულიყო ფინიშთან. შუმახერ-ბარიკელოს დუეტმა დავალება ზუსტად შეასრულა, რის შედეგადაც, იტალიურმა საჯინიბომ კონსტრუქტორთა თასის გათამაშებაშიც პირველი ადგილი დაიმკვიდრა.

რბოლა მიხაელ შუმახერმა არცთუ ისე წარმატებულად დაიწყო. გერმანელმა ტაკუმა სატოს გასწრება სცადა, რის გამოც მის ბოლიდს ერთ-ერთი ფრთა დაუზიანდა. შუმი იძულებული გახდა, მანქანა ბოქსში შეეყვანა. ავტომობილის შეკეთების მერე, მას ოცი წრის შემოვლა დასჭირდა, რათა წინ გაჭრილ მანქანებს დასწეოდა, შემდეგ კი, იერიშზეც გადავიდა. ამ დროს იგი პიტ-სტოპებით არ სარგებლობდა და მეექვსე პოზიციაზე დამკვიდრება შეძლო. რბოლის სწორედ ამ პერიოდში მას გვერდიგვერდ მიჰყვებოდა უმცროსი ძმა, რალფ შუმახერი. ერთ-ერთ მომენტში შუმახერ-უფროსმა გასწრება სცადა, რის გამოც რალფი იძულებული გახდა, ტრასიდან გადასულიყო. ამგვარად, შუმახერ-უმცროსი იაპონიის გრან-პრიზე ტრასის მიღმა მეორედ აღმოჩნდა, რამაც ცხადია, ძალზე უარყოფითად იმოქმედა მის რეზულტატზე. რალფი ფინიშთან მხოლოდ მეთორმეტე მივიდა. ასევე ტრასის მიღმა აღმოჩნდა რალფ შუმახერის თანაგუნდელი, ხუან-პაბლო მონტოია, რომელმაც რბოლა საერთოდ ვერ დაასრულა. სწორედ ამის გამო, Williams-მა კონსტრუქტორთა თასში გამარჯვების ყოველგვარი შანსი დაკარგა.

რაც შეეხება რუბენს ბარიკელოს, მის გასწრებას კიმი რაიკონენი და დევიდ კულტჰარდი ცდილობდნენ, თუმცა უშედეგოდ. ბრაზილიელმა ფინიში პირველმა გადაკვეთა და Ferrari-ს კონსტრუქტორთა თასიც მოაპოვებინა. „რბოლის დასაწყისში ძალიან გამიჭირდა, — განაცხადა იაპონიის გრან-პრის დასრულების შემდეგ რუბენს ბარიკელომ. — ტრასა ცოტა სველი იყო, რის გამოც, ზოგიერთ მონაკვეთზე ავტომობილის მართვა ჭირდა. სინესტის გამო მუზარადიც ვერ შევიხსენი, რათა არ გავოფლიანებულიყავი. მაგრამ იმედი მქონდა, რომ ტრასა თანდათან გაშრებოდა და რბოლაც გამიადვილდებოდა. მოხარული ვარ, რომ მიხაელს კიდევ ერთი საჩემპიონო ტიტულის მოპოვებაში დავეხმარე. ჩემთვის კი, მთავარი იყო სილვერსტოუნში გამართული რბოლის შემდეგ მეორედ გამემარჯვა“.

მიხაელ შუმახერი ერთადერთი პილოტია, „ფორმულა-1“-ის ისტორიაში, რომელმაც ექვსჯერ იზეიმა მსოფლიო ჩემპიონობა. „ძალიან რთული რბოლა გახლდათ, — განაცხადა „წითელმა ბარონმა“, — პირველ რვა პილოტს შორის რომ არ მოვხვედრილიყავი, შეიძლებოდა ჩემპიონატში ვერც გამემარჯვა. უცნაურ განწყობაზე ვარ. ადრე დასკვნით რბოლებში პირველ ადგილზე გასვლით ვხდებოდი ხოლმე მსოფლიო ჩემპიონი, ამჟამად კი, მხოლოდ მერვემ გადავკვეთე ფინიში და ეს შედეგი საერთო წარმატებისთვის მაინც საკმარისი აღმოჩნდა“.

მიხაელ შუმახერი 1969 წლის 3 იანვარს ჰერტ-ჰიურმუტჰეიმში დაიბადა. მისი დებიუტი „ფორმულა-1“-ში 1991 წლის 25 აგვისტოს ბელგიის გრან-პრიზე შედგა. მანამდე გერმანელი პილოტი ავტორბოლის სხვა დისციპლინებში ხვეწდა თავის ოსტატობას. თავდაპირველად, იგი Jordan-ის ღირსებას იცავდა, ხოლო 1991-1995 წლებში უკვე Benetton-ის ბოლიდით ასპარეზობდა. სწორედ ამ გუნდის შემადგენლობაში 1994 და 1995 წლებში მიხაელმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. უკვე 1996 წელს იგი Ferrari-ს საჭეს მიუჯდა და სინიორ ენცოს გუნდის ღირსებას დღემდე იცავს, თანაც 2000 წლიდან მოყოლებული, მსოფლიო ჩემპიონატში პირველობას არავის უთმობს.

■

ალის ახალი მიოგრაფია გამოიცა

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე გაიყიდება მუჰამედ ალის ახალი ბიოგრაფია, რომლის თითო ეგზემპლარი სამი ათას დოლარზე მეტი ეღირება. წიგნი 800 გვერდისგან შედგება. იგი 10-ათასიანი ტირაჟით გამოიცა. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეულ მათგანს ლეგენდარული მოკრივის ავტოგრაფი ამშვენებს. გერმანული გამომცემლობის, Taschen-ის წარმომადგენლის თქმით, კოლექციონერებმა და ალის თაყვანისმცემლებმა უკვე გამოთქვეს ბიოგრაფიის შეძენის სურვილი. Taschen წიგნზე ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა და ამ პროცესში თავად მუჰამედ ალიც იღებდა მონაწილეობას, რომელიც ფოტოებს არჩევდა და შეცდომებს ასწორებდა.

■

როგორ მოვიქცეთ მაღაზიაში თუ...

... თუ გამყიდველი გამუდმებით თავს დაგტრიალებთ და ათასგვარი შეკითხვით გაბეზრებთ თავს, არ უნდა გაბრაზდეთ, რადგან ეს მისი პროფესიაა და სწორედ ამაში უხდიან ფულს. მან მიზანს უნდა მიაღწიოს და საამისოდ ჩინებულად იყენებს ე.წ. „სოკრატეს მეთოდს“.

გამყიდველები ცდილობენ, თავიდანვე ამოაგდონ თქვენი ლექსიკონიდან უარყოფითი ნაწილაკი „არა“ და მეორეხარისხოვანი შეკითხვებით დასახული მიზნისკენ მიიწევენ. არც ერთ ქალს არ უყვარს შეხედულებების შეცვლა და თუ ის გამყიდველს დათანხმდა ცხრაჯერ, მეათედაც დათანხმდება. სწორედ ეს იყო ძველი ბერძენი ფილოსოფოსის მეთოდიც. თვალსაჩინოებისათვის შემოგთავაზებთ მოხერხებული გამყიდველის პროფესიულ „ლექსიკონს“:

— გსურთ, რაიმე იყიდოთ? (რა თქმა უნდა. აბა, რატომ შედიან ადამიანები მაღაზიაში?).

— შემიძლია დაგეხმაროთ და სიამოვნებით გავაკეთებ ამას (წინასწარ შეეგუეთ აზრს, რომ ასეთ ზრდილობიან გამყიდველს ცივად ვერ ჩამოიშორებთ).

— გსურთ, რომ სამოსმა თქვენს ინდივიდუალობას გაუსვას ხაზი? გნებავთ გაჩვენოთ ახალი კოლექცია? (ძნელია არ დაეთანხმოთ, ე.ი. მიზანი მიღწეულია!)

— ლამაზად შეგიფუთავთ. სალარო გასასვლელშია.

უამრავი მეთოდი არსებობს თქვენი ნების სამართავად. როდესაც სხვა, თუნდაც გამყიდველი თავის სურვილს გახვევთ თავზე და თუ ამას პროფესიონალური, დახვეწილი ტაქტიკით ახორციელებს, უხერხულ მდგომარეობაში ვარდებით და უნებურად მისი გავლენის ქვეშ ექცევით — რეალობა კი ასეთია — არჩევანი თქვენზე აღარ არის. თქვენ გართმევენ უფლებას, დამოუკიდებლად მიიღოთ გადაწყვეტილება, რა იყიდოთ და რა არა.

ნუ გაებმებით გამყიდველების მახეში. ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ დააცარიელონ თქვენი საფულე. ბოლოს და ბოლოს, ახალშეძენილი ნივთი, სამოსი თუ აქსესუარი თქვენ უნდა შეარჩიოთ და მერე თქვენვე ისარგებლოთ, ამიტომ შეგიძლიათ ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, თამამად უკუაგდოთ მათი წინადადებები. საუკეთესო გამოსავალია, ზრდილობიანად უთხრათ უარი დახმარებაზე. განაწყენებულ გამყიდველს კი მშვიდად აუხსნათ, რომ უბრალოდ ათვალიერებთ სიახლეებს და თუ შეკითხვები გაგიჩნდებათ, აუცილებლად დაუძახებთ მას. არ გააჩაღოთ დისკუსია. ნურავის აუხსნით, რატომ არ მოგწონთ საქონელი. აღნიშნეთ მხოლოდ ფაქტი — არ მოგწონთ და მორჩა!

შეგიძლიათ გადაიფიქროთ და შერჩეული ნივთი უკან დააბრუნოთ. შეხედულებათა ცვალებადობა ჯანსაღი ადამიანისათვის ნორმალურია. ოღონდ, იყავით ზრდილობიანი: „მესმის, რომ ჩემმა შეცდომამ სირთულეები შეგიქმნათ, ვაღიარებ დანაშაულს, მაგრამ უფლება მაქვს, ასე მოვიქცე.

ზრდილობიან მომსახურებაზე პასუხად „არას“ თქმა ნამდვილად ძნელია, მაგრამ თქვენ მუდმივად ვერ იცხოვრებთ იმის შიშით, რომ გამყიდველს გაანაწყენებთ, თუ მის მაღაზიაში არაფერს შეიძენთ. ჯობს გამყიდველი განაწყენდეს, ვიდრე თქვენ, როდესაც შინ მისული აღმოაჩენთ, რომ შეძენილი ნივთი სულაც არ აკმაყოფილებს თქვენს გემოვნებას.

დაბოლოს: გამყიდველმაც უნდა იცოდეს, რომ მისი მოვალეობაა არა მარტო ის, რომ საქონელი გაყიდოს, არამედ ისიც, რომ მომხმარებელზე კარგი შთაბეჭდილება დატოვოს, რათა მანდილოსანს კვლავ დაებადოს სურვილი, მის მაღაზიას ეწვიოს.

ღვინის ეკვილი ეკლა

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ოდესღაც ჩვენი წინაპრები ცოცხს უწმინდური სულების — ეშმაკების გასადევნად იყენებდნენ. სახლიდან ცოცხით ნაგვის მოშორება მოგვიანებით დაიწყეს. მართალია, დღეისათვის დაგვას მაგიური დატვირთვა აღარ აქვს, მაგრამ ზოგიერთი იმდროინდელი ნიშანი მაინც აქვს შემორჩენილი და ურიგო არ იქნება, დიასახლისებმაც იცოდნენ.

როცა შინიდან ვინმე მიემგზავრება, ვიდრე დანიშნულების ადგილას არ ჩავა, მანამდე სახლის დაგვა არ შეიძლება — ხიფათი შეემთხვევა; დაუშვებელია ცოცხით ვინმეს ცემა — მტერი აჯობებს; შებინდებულზე დაგვა არ შეიძლება — ოჯახს ბარაქა გამოელევა; თუ დაგვისას ცოცხი უნებურად ვინმესთვის მოგიხვდათ, ფეხი უნდა დააბიჯებინოთ ცოცხზე — ახლობლის დაკარგვა იცის.



სახლის დაგვისას თუ უცხო ვინმე შემოგესწროთ, ნაგავს ცოცხი დააფარეთ — მავნე თვალისგან დაგიცავთ. არასდროს გადახვეტოთ ნაგავი ზღურბლზე — ამით სახლიდან გახვეტთ ხვავსა და სიკეთეს. გაითვალისწინეთ, ერთ დღეს არ შეიძლება სხვადასხვა ცოცხით დაგვა.

ავი თვალის მოსაშორებლად სახლის ყოველ კუთხეში (დაიწყეთ მარჯვნიდან) მოაყარეთ მარილი და ახალი ცოცხით გამოგავეთ; ახალ ბინაში გადასვლისას აუცილებლად უნდა წაიღოთ ძველი ცოცხი. საჭიროა ცოცხის სწორად შერჩევის ცოდნაც. არ ვარგა ხელოვნური ცოცხი. საუკეთესოდ ითვლება აბზინდის, ბროწეულის ტოტების, გვირილისგან შეკრული ცოცხი. მცენარეული ცოცხი თავისებური ანტენაა, რომელიც მუშაობის დროს ძალღონეს გმატებთ და იმავდროულად შთანთქავს უარყოფით ენერგიას.

რჩევები

● თუ სამზარეულოში ტრიალისას, ხელი მდუღარე წყლით, ორთქლით ან ზეთით დაიწვით, მაშინვე შეუშვირეთ ონკანს — საუკეთესო პირველადი დახმარება, ცივი წყალია. 10-15 წუთის განმავლობაში ხელი ცივ წყალში უნდა გააჩეროთ; თუ დამწვრობის არე დიდია, მაშინ ზედ დაიფინეთ სპირტში, ოდეკოლონში, არაყსა ან მანგანუმმჟავა-კალიუმის ხსნარში დასველებული საფენი და სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

● როცა მდუღარეკერძიან ქვაბს თავს ახდით, თავსახური თქვენკენ გადმოაფერდეთ, რომ ცხელი ორთქლი საპირისპირო მხარეს წავიდეს.

სტეფანემ რეჟისორის ამპლუაც მოირგო

პროდიუსერ კახა მამულაშვილთან განშორების შემდეგ სტეფანემ გადაწყვიტა საკუთარ შემოქმედებაზე თავად იზრუნოს. მან რეჟისორის ფუნქციებიც შეითავსა და მაია დარსმელიძესთან ერთად ჩაწერილ დუეტზე „ხელები", ერთ დღეში კლიპი გადაიღო. სტეფანე დაუღალავად მუშაობს ახალ ალბომზეც. ახლო მომავალში კი, ის კიდევ ერთ კლიპს გვპირდება, რომელსაც გელა გნოლიძის ახალი სიმღერის მიხედვით გადაიღებს. ■

„ფლეში" კვლავ სცენაზეა

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ჯგუფი „ფლეში" კვლავ გამოჩნდა შემოქმედებით ასპარეზზე. გასულ კვირას ჯგუფის წევრები რამდენიმე დღით ბათუმს ესტუმრნენ, სადაც ერთ-ერთ კონცერტშიც მიიღეს მონაწილეობა. სულ ახლახან კი, ჯგუფმა კლიპი გადაიღო ახალ სიმღერაზე „გარეთ ისევ მზეა", რომელის რეჟისორიც ნიკუშა ლომიძეა. გადაღებები ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. კლიპი სულ მალე ეკრანზე გამოვა. ■

აქცია „ხელები მაღლა"



გასულ კვირას „აჭარა მიუზიკ-ჰოლში" ახალგაზრდა რეპერის ლექს-სენის (ლექსო ქავთარაძე) ახალი კლიპის პრეზენტაცია გაიმართა. როგორც რეპერმა და მისმა პროდიუსერმა მამუკა ღლონტმა აღნიშნეს, ეს იყო კლიპ-აქცია ძალადობის წინააღმდეგ. სიმღერა „ხელები მაღლა" თავად ლექსოს ეკუთვნის, კლიპის რეჟისორი კი კახა ოთარაშვილია, მან არ გაამხილა, თუ რომელი ომის კადრებია გამოყენებული კლიპში. ის შემდეგი სიტყვებით იწყება: „სიტყვები „ხელები მაღლა" ყოველთვის იწვევს შიშს. ჩვენ გვინდა, რომ ეს შეიცვალოს"... გადაღებები სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოსა და სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. კლიპის ორჯერ ჩვენების შემდეგ, სცენაზე გადამღები ჯგუფი ავიდა და ისაუბრა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა გადაღების პროცესში. მერე ლექს-სენის პირველი ალბომის „ლექსს არ ვყიდი"-ს პრეზენტაცია გაიმართა. ალბომში შესულია ათი სიმღერა, რვა მათგანს რეპერი სხვადასხვა თანაშემსრულებელთან ერთად მღერის. ალბომის პრეზენტაციის შემდეგ, სცენა გიგა მიქაბერიძემ, ბუკამ, ჯაბა ქარსელაძემ და სხვა მომღერლებმა დაიკავეს... საღამოზე მიწვეული ყველა სტუმარი ლექს-სენის აუდიოკასეტით დასაჩუქრდა. ■

„მწვანე ოთახის" ახალი კლიპი

ჯგუფმა „მწვანე ოთახმა" ახალი კლიპი გადაიღო სიმღერაზე Love story, რომელიც ჯგუფის ბოლო ალბომში shat down-შია შესული. ბასა ჯანიკაშვილი, ერთდროულად არის კლიპის რეჟისორიც და მისი ერთ-ერთი მონაწილეც. მის ნამუშევარს სულ მალე ვიხილავთ ეკრანზე. ■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. სად მდებარეობდა ჰოსპიტალი, სადაც ვაჟაფშაველა იწვა?

ა) თბილისის უნივერსიტეტის პირველ კორპუსში;
ბ) მარჯანიშვილის ქუჩაზე ე.წ. ძველი უნივერმაღის შენობაში;
გ) პირველი საშუალო სკოლის შენობაში.

2. რატომ არ შეიძლება შევარდენისთვის საკვების ჭარგად მიცემა?

ა) მაძღარი ფრინველი ორიენტაციის უნარს კარგავს;
ბ) მაძღარს ფრენა უჭირს;
გ) მაძღარი ფრინველი პატრონს აუცილებლად გაუფრინდება.

3. რა ტიტული მოიპოვა კორეა-იაპონიაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოლივერ კანმა?

ა) საუკეთესო ფეხბურთელის;
ბ) საუკეთესო მეკარის;
გ) საუკეთესო კაპიტნის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ბალზაკისადმი ალექსანდრეს მოსწრებული ბალზაკობანები

შთამომავლობა

ერთმა არისტოკრატმა ცნობილ ფრანგ მწერალს, ალექსანდრე დიუმას, ირონიულად ჰკითხა:

— თუ არ ვცდები, თქვენი შთამომავლობა სისხლის სიწმინდით არ გამოირჩევა. მამათქვენი, გენერალი დიუმა, მულატი იყო, არა?

— სრული ჭეშმარიტებაა.

— პაპათქვენი?

— ზანგი იყო.

— საერთოდ, თქვენი წინაპარი ვინ იყო?

— მაიმუნი, — მიუგო დიუმამ და თან დასძინა: — ჩემი შთამომავლობა იმით დაიწყო, რითაც თქვენმა თავისი განვითარება დაასრულა.

მეორედ დაბადება

— ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა უფრო ნაკლებად ცნობილი ვიყავი, გაზეთში ცნობა წავიკითხე ჩემი სიკვდილის შესახებ, — უამბობდა მარკ ტვენი მეგობრებს. — მაშინვე გავიქეცი გაზეთის გამომცემელთან და პროტესტი განვუცხადე. ამ შეცდომას მორიგ ნომერში გამოვასწორებთო, დამპირდა იგი. გავშალე გაზეთის შემდეგი ნომერი და ჩემი გვარი... ახალდაბადებულთა სიაში ეწერა. ■

ანეკდოტები

***

— ძვირფასო, გუშინ მართლა გაგძარცვეს?

— სამწუხაროდ ასეა.

— რა წაიღეს?

— საათი და საფულე.

— კი მაგრამ, როგორც ვიცი, შენ თან პისტოლეტი გქონდა...

— კი, მქონდა.

— მერე?

— საბედნიეროდ, ის ვერ ნახეს.

***

ცოლი ქმარს სამსახურში ურეკავს:

— ჩქარა მოდი, შენი შვილები ჩემებს სცემენ, მალე ჩვენებს მისწვდებიან...

***

გვიან ღამით ტელეფონი რეკავს, ცოლი ყურმილს იღებს.

— ძვირფასო, მე ვარ, შინ მოვდივარ. ძალიან ხომ არ დავიგვიანე?

— არა, საყვარელო.

— შეიძლება 5-6 კაცი მოვიყვანო?

— დიახ, საყვარელო.

— ჩავუჯდებით, ვისაუბრებთ, მოვილხენთ.

— რა თქმა უნდა, საყვარელო.

— მაპატიეთ, ალბათ სხვაგან მოვხვდი.

***

სამგლოვიარო განცხადება დინამიტების ქარხნის შესასვლელში:

„... მას უყვარდა სამსახურში მოწევა. დირექტორი აპირებდა მის გათავისუფლებას, მაგრამ ვერ მოასწრო...“

***

ჩიპოლინო დედას ეუბნება:

— დედი, დღეს ბავშვები სკოლაში ხახვს მეძახდნენ!

— მერე, მასწავლებელმა რაო?

— მასწავლებელი ტიროდა!

***

— ექიმო, ცხვირიდან ვერ ვსუნთქავ!

— თქვენც პირით ისუნთქეთ!

— გმადლობთ!

— გმადლობთ კი არა, ფული გადამიხადეთ!

***

ფსიქიატრიულში ორი პაციენტი დასაძინებლად ემზადება.

ერთი მეორეს ეკითხება:

— შუქი გამორთე?

— ჩართე და ნახე.

***

მიხო ღამის სამ საათზე გალეწილი მთვრალი აღებს სახლის კარს.

— მიხოვ, შენა ხარ? — კითხულობს ნამძინარევი ცოლი.

— არა, შენი თავი გახეთქვამ, ანტონიო ბანდერასმა მოგაკითხა ძველი ანაგიდან.

***

— პოლიციელო, სულ ახლახან, ვიღაც ბანდიტმა ოქროს საათი წამართვა!

— კი, მაგრამ, მაშინვე რატომ არ იყვირეთ?

— შემეშინდა, მე ხომ ოქროს კბილები მაქვს.

***

ქალაქელი სოფელში ჩავიდა. ხედავს, მინდორში მწყემსი ნახირს აძოვებს. ერთმანეთს გამოელაპარაკნენ.

ქალაქელი ეკითხება:

— გამოდის, თქვენი ძროხების შესახებ ყველაფერი იცით.

— ყველაფერი.

— კარგი. მაგალითად, აი, ის ძროხა, რამდენი წლისაა?

— ორის.

— როგორ მიხვდით?

— რქების მიხედვით.

— რა უყურადღებო ვარ, ვერც კი შევამჩნიე, რომ ორი რქა აქვს.

***

— ამას წინათ, ერთი საინტერესო მოსაზრება მოვისმინე.

— რა მოსაზრება?

— თურმე, ჭკვიანი ქალები კარგი ცოლები არ არიან.

— ვითომ, რატომ?

— რატომ და ჭკვიანი ქალები არ თხოვდებიან.

***

— დედიკო, რატომ აქვს მამიკოს თავზე ასე ცოტა თმა?

— იმიტომ, რომ ბევრს ფიქრობს.

— შენ რატომ გაქვს ბევრი თმა?

— გაჩუმდი და ჭამე!

***

ასამართლებენ ქალს, რომელმაც საწამლავი აუღელვებლად ჩაუყარა ქმარს ყავაში.

მოსამართლე:

— მითხარით, ნუთუ, ერთხელ მაინც არ შეშფოთდით იმ საღამოს?

— დიახ!

— რა მომენტში მოხდა ეს?

— როცა მან კიდევ ერთი ფინჯანი ყავა მოითხოვა.

■

იქნებ ჭიები გყავთ?

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

სისუსტე, გულისრევა, უმადობა, თავბრუსხვევა, ალერგიული რეაქციები და ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება... „დავიღალე, გადავიტვირთე, დავისვენებ და ყველაფერი გამივლის“ – ფიქრობს ბევრი და ვერც კი წარმოუდგენია, რომ ყველაფრის მიზეზი შეიძლება ჭიები იყოს. უმოქმედობა მსგავს სიტუაციაში მხოლოდ აღრმავებს პრობლემას.

საიდან ჩნდება პარაზიტები? ბავშვებში – გასაგებია: მიწაში თამაშობენ, ცხოველებს ეფერებიან... მაგრამ დიდებში? ვაი, რომ ყველაზე ხშირად ჭუჭყიანი ხელებია დამნაშავე. გაიხსენეთ, რამდენ მოავჯირს, თუ სახელურს (მათ შორის ტუალეტის) ჰკიდებთ ხელს ტრანსპორტში, ქუჩაში. და განა ყოველთვის იბანთ მას საჭირო გულისხმიერებით? ჩვენი წინაპრები ამბობდნენ, „დაავადება ორგანზმში პირიდან შედისო“. მაშ, ჩვენ რატომ დავივიწყეთ ამის შესახებ?

დასნებოვნების წყარო ასევე შეიძლება იყოს წყალი და საკვები, განსაკუთრებით, არასათანადოდ მოხარშული ან შემწვარი თევზი, აგრეთვე გამომშრალი და შებოლილი ზღვის პროდუქტი. მათგან მიღებული სიამოვნება შესაძლოა, შემოგვიბრუნდეს დაავადებად, რომელიც სერიოზული გართულებებით ხასიათდება.

ჭიებით გამოწვეულ დაავადებებთან – ლამბლიოზი, ოპისტორქოზი, ასკარიდოზი, ენტერობიოზი – ბრძოლა საკმაოდ რთულია. ანტიპარაზიტული წამლები ხოცავს ჭიებს და თან აზიანებს ორგანიზმს: სხვაგვარად, „დაუპატიჟებელ სტუმრებს“ თავს ვერ დავაღწევთ. სწორედ ამას მოჰყვება გართულებები ღვიძლზე, თირკმლებზე, იწვევს ალერგიას... მით უმეტეს, თუ პაციენტი ბავშვი ან მრავალი სენით დაუძლურებული მოხუცია. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია ჭიებით ინვაზიის სამკურნალოდ გამოვიყენოთ მცენარეული ანტიჰელმინთური პრეპარატები (მაგალითად, ვერსუჰელმინი ან ვერსულამბინი), რომელიც ნატურალური კომპონენტებისაგან შედგება, არ იწვევს გართულებებს და ჭიების საწინააღმდეგო მოქმედებასთან ერთად, აქვს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის აღმდგენი და ზოგადგამაჯანსაღებელი ზემოქმედება. მათი მიღება პროფილაქტიკის მიზნითაცაა რეკომენდებული. ■

სიცოცხლის გახანგრძლივების 12 საფეხური

ადამიანები საუკუნეების განმავლობაში ეძებდნენ ახალგაზრდობის ელექსირს – მუდმივი სიჭაბუკის უტყუარ საშუალებას: რომელიმე სასწაულმოქმედი მცენარის ფესვს, ჯასაღი ცხოვრების წესს თუ ადგილს, სიცოცხლის გასახანგრძლივებლად...

მრავალი საშუალება გამოინახა, მაგრამ უნიკალურის პოვნა ვერ მოხერხდა. სიბერე და ავადმყოფობანი ადამიანებს მთაშიც სძლევს და ტროპიკულ კუნძულებზეც. ზოგიერთი კი, ხმაურიან დედაქალაქშიც ას წლამდე ცოცხლობს, ყოველგვარი დიეტის, ვარჯიშისა და აბაზანების გარეშე.

მეცნიერება ვერ ხსნიდა ამ მოვლენებს, რადგან საკმაოდ ცოტა რამ იყო ცნობილი ორგანიზმში მიმდინარე პროცესებზე. თუმცა ბოლო ათწლეულში ინფორმაცია მოზღვავდა. დღეს ბევრი იწერება ჰორმონებზე, მეგავიტამინებზე, ანტიოქსიდანტებზე, ენტეროსორბენტებზე...

მედიცინამ აღიარა, რომ დღეს აუცილებელია მივიღოთ ესა თუ ის ნივთიერება, რათა თავიდან ავიცილოთ ხვალინდელი დაავადებები. ეს პრინციპულად ახალი მიდგომაა. თუმცა პროფილაქტიკა აქამდეც არსებობდა, მაგრამ მკურნალობის დაწყება მხოლოდ დაავადების გამოვლინების შემდგომ იყო მისაღები.

მკვლევართა მრავალრიცხოვანი გამოკვლევა ამტკიცებს, რომ სწორად შერჩეული დანამატების პროფილაქტიკური მიღება, ამცირებს უამრავი „ასაკობრივი“ დაავადების განვითარების რისკს და ახანგრძლივებს ჯანსაღ, აქტიურ ცხოვრებას.

სადღეისოდ ცნობილი დაბერების მექანიზმები

1. ქრონიკული ანთება

ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანებს სულ უფრო მეტად ერევა ანთებითი დაავადებები, როგორიცაა ართრიტი. პროცესი ითრევს არა მხოლოდ სახსრებს, არამედ ტვინის უჯრედებს, არტერიათა კედლებს, გულის სარქვლებს... ინფარქტები, ინსულტები, ალცჰაიმერის დაავადება პირდაპირ კავშირშია ამ ანთებით პროცესებთან.

2. გლიკოზირება

ამ ქიმიური რეაქციის დროს პროტეინის (ცილის) მოლეკულები უერთდება გლუკოზის მოლეკულებს. შედეგი კი ქსოვილთა ზოგადი დეგრადაცია, სისხლძარღვთა კედლების გამყიფება და დეგენერაციული დაავადებებია.

3. დნმ-ის მუტაციები

მათი გამოწვევა შეუძლია მრავალრიცხოვან ბუნებრივ და ხელოვნურ ნივთიერებას. ასაკის მატებასთან ერთად უჯრედთა „რემონტის“ მექანიზმები თანდათან იშლება, რამაც შესაძლოა, მათი ავთვისებიანი გადაგვარება გამოიწვიოს.

4. უჯრედული ენერგიის გამოფიტვა

უჯრედთა „ელექტროსადგურებს“ – მიტოქონდრიებს სჭირდება გარკვეული ქიმიური ნივთიერებები ტოქსინებისაგან უჯრედთა გასათავისუფლებლად. როცა ეს ენერგეტიკული პროცესი სუსტდება, ვითარდება კარდიოსკლეროზი, კუნთოვანი

სისუსტე, ქრონიკული დაღლილობა, ნევროლოგიური დაავადებები.

5. ჰორმონული დისბალანსი

ჩვენი ორგანიზმის ტრილიონობით უჯრედის მუშაობა ჰორმონთა მეშვეობით სინქრონიზდება. დაბერებისას ეს ნატიფი ბალანსი ირღვევა, რაც იწვევს სხვადასხვა დაავადებას, მათ შორის დეპრესიას, ოსტეოპოროზს, კორონარული არტერიების სკლეროზს.

6. ყალციფიკაცია

კალციუმის იონები უჯრედებში შედის და გადის მემბრანაში არსებული სპეციალური არხებით. მოხუც ორგანიზმში ტრანსპორტირება ირღვევა და ეს იწვევს კალციუმის ჭარბად დაგროვებას ტვინის უჯრედებში, გულის სარქვლებში, სისხლძარღვთა კედლის შუა შრეში.

7. ცხიმოვანი მჟავების დისბალანსი

ენერგიის წარმოსაქმნელად ორგანიზმს ესაჭიროება შეუცვლელი ცხიმოვანი მჟავები. ასაკის მატებისას ვითარდება მისი ათვისების ხელშემწყობ ფერმენტთა დეფიციტი; შედეგი – გულის არითმია, სახსართა დეგენერაციული დაავადებები, დაღლილობა, კანის სიმშრალე...

8. იმუნურ მექანიზმთა დარღვევა

იმუნური სისტემა წლების მატებისას კარგავს დაავადების გამომწვევ ვირუსებთან, ბაქტერიებთან, სიმსივნურ უჯრედებთან გამკლავების უნარს. ციტოკინების ჭარბი წარმოქმნა იწვევს იმუნიტეტის შემობრუნებას პატრონის წინააღმდეგ და აუტოიმუნურ დაავადებებს.

9. უჯრედულ ფერმენტთა დისბალანსი

უჯრედებში განუწყვეტლივ მიდის სინქრონული, ფერმენტული რეაქციები. ასაკის მატებისას ირღვევა მისი ბალანსი, პირველ რიგში, ტვინსა და ღვიძლში ეს ხდება ნევროლოგიური დაავადებებისა და ქსოვილთა ტოქსიკური დაზიანების მიზეზი.

10. საჭმლის მომნელებელი ფერმენტების დეფიციტი

კუჭქვეშა ჯირკვალი თანდათანობით იფიტება და ვეღარ გამოიმუშავებს საკმარის ფერმენტებს, ღვიძლი კი – ნაღვლის მჟავებს. შედეგი – საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკული უკმარისობა.

11. სისხლის მიმოქცევის უკმარისობა

წლების მატებასთან ერთად ირღვევა ტვინის, თვალის, კანის კაპილართა გამტარობა. ამის გამო უარესდება მხედველობა, ჩნდება ნაოჭები, ვითარდება მიკრო და მაკროინსულტები.

12. ჟანგვითი სტრესი

თავისუფალი რადიკალები უამრავ უსიამოვნებას უქმნის ორგანიზმს ნებისმიერ ასაკში, არღვევს მრავალი პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას. მასირებულ გადმოსროლას იწვევს წამლების დოზის გადაჭარბება, დიდი ფიზიკური დატვირთვა, სხვადასხვა დაავადება, აგრეთვე ანტიოქსიდანტთა უკმარისობა კვების რაციონში.

როგორც ჩანს, ულმობელი დრო სხვადასხვა მხრიდან გვიტევს, მაგრამ დაბერების მექანიზმთა ცოდნა საშუალებას იძლევა, წინ აღვუდგეთ შეტევას.

სუსტი ადგილი ადვილად ირღვევა

ნუ იფიქრებთ, რომ ერთბაშად თორმეტივე მხრიდან შეტევის მოგერიება მოგიწევთ. სიტუაციას ყველაზე სუსტი რგოლი განსაზღვრავს. დაფიქრდით, თქვენს კონკრეტულ შემთხვევაში, იქნებ უკვე გქონდათ რაიმე დარღვევა, ანდა იქნებ მომავალ დაავადებას ნაღვლიანი ოჯახური ისტორია განსაზღვრავს?

დავუშვათ, თქვენს გვარში ხშირად ავადმყოფობდნენ ან ავადმყოფობენ ართრიტით. ნუ დაელოდებით, ვიდრე დაავადება თქვენც დაგემართებათ, რომ შემდეგ წახვიდეთ ექიმთან: პრაქტიკულად ყველა წამალი ან ნაკლებეფექტურია, ან სერიოზული გვერდითი ეფექტები აქვს. სამაგიეროდ, თანამედროვე ბიოქიმიის მიღწევები დიეტითა და ბიოდანამატებით ქმედითი პროფილაქტიკური სქემის შედგენის საშუალებას იძლევა.

წითელ ხორცზე უარის თქმა შეამცირებს ანთების გამომწვევი „ცუდი“ პროსტაგლანდინების წარმოქმნას. ცხიმოვანი მჟავების ზოგიერთი სახეობა (კერძოდ, თევზის ქონში შემავალი მჟავები) კი, ასტიმულირებს „კარგი“ პროსტაგლანდინების წარმოქმნას. ამრიგად, თუ რაციონში ხორცს ცხიმიანი თევზით შეცვლით, თქვენ უკვე ბევრს გააკეთებთ ართრიტისა და სხვა ანთებითი პროცესების თავიდან ასაცილებლად და სამკურნალოდ. ხოლო თუ მზესუმზირის ზეთს, ზეითუნის ან სელის ზეთით შეცვლით, ეს არა მხოლოდ შეგიმსუბუქებთ სახსრების ტკივილს, არამედ მნიშვნელოვნად გაგიხანგრძლივებთ აქტიურ ცხოვრებას.

ანთებითი პროცესების შესამცირებლად უნდა მიიღოთ B12, E და C ვიტამინები, ბიოფლავონოიდები, აგრეთვე სპილენძი და თუთია. ეს შეამცირებს ართრიტის რისკს.

ასევე შეიძლება შევადგინოთ გლიკოზირებასთან ბრძოლის გეგმა

ნუ დაუშვებთ სისხლში გლუკოზის დონის მკვეთრ მატებას. თუ ოჯახში ვინმეს აქვს ნახშირწყლოვანი ცვლის პრობლემები ან ჭარბი წონა, რაციონიდან ამოიღეთ ტკბილეული და თეთრი პური – ეს საკმარისი იქნება. თუ შაქარზე უარს ვერ ამბობთ, მაშინ შეზღუდეთ მისი მოხმარება და მიიღეთ ცილებთან და ცხიმებთან ერთად. ამასთან, მიაწოდეთ ორგანიზმს ქრომი, თუთია და ლიპოის მჟავა, რომელიც სისხლში შაქრის დონის ნორმალიზებას უწყობს ხელს.

უჯრედული ენერგიის დეფიციტისას კოფერმენტი Q10 დაგეხმარებათ. ამჟამად იგი აბების სახით გამოდის და მისი მიღება აკომპენსირებს ენერგიის ასაკობრივ დეფიციტს უჯრედებში.

კალციფიკაციასთან დაკავშირებით ამჟამად დამაიმედებელი სიახლეები გვაქვს. ცოტა ხნის წინ მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ K ვიტამინი წარმატებით ებრძვის ამ პროცესებს. აქამდე კი, მას მხოლოდ სისხლის შედედების რეგულატორის როლს მიაკუთვნებდნენ. აღმოჩნდა, რომ ეს ვიტამინი მონაწილეობს კალციუმის ცვლაში და თვალყურს ადევნებს ამ მინერალის ნორმალურ გადანაწილებას ორგანიზმში: მივიდა თუ არა იგი იქ, სადაც საჭიროა (ძვლებში) და ხომ არ მივიდა იქ, სადაც არ უნდა მისულიყო (სისხლძარღვთა კედლებში).

K ვიტამინის ძირითადი წყარო მწვანილია. მიირთვით იგი გამუდმებით და დიდი რაოდენობით. კალციუმი კი უნდა მიიღოთ რძითა და ყველითა და არა აბების სახით.

ცხიმოვანი მჟავების დისბალანსს და მავნე ციტოკინებს შეიძლება გავუმკლავდეთ „კარგი“ ცხიმების – მცენარეულ ზეთში შემავალი ომეგა-6-ის და თევზში, ზეითუნისა და სელის ზეთში შემავალი ომეგა-3 და ომეგა-9 ცხიმების მეშვეობით. თავისუფალ რადიკალებთან მებრძოლ ანტიოქსიდანტებზე კი მთელი ტომებია დაწერილი. აქ დაგვეხმარება A, C და E ვიტამინები, ახალი ხილ-ბოსტნეული და წითელი ღვინო ზომიერი რაოდენობით. ნუ დაივიწყებთ აქტიური ცხოვრების წესსაც.

მოკლედ, სიტუაცია უიმედო არ არის – დაბერების პროცესების წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია. განვითარებულ ქვეყნებში სიცოცხლის ხანგრძლივობა მკვეთრად მატულობს. თანაც იზრდება ადამიანთა პროდუქტიული პერიოდი: ორმოცდაათი წლისანი სიცოცხლით სავსენი არიან და ძალთა გაფურჩქვნის პერიოდში იმყოფებიან, სამოცდაათი წლისებს კი შენარჩუნებული აქვთ სექსუალური აქტიურობა და ბევრს მოგზაურობენ.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ დროის დამარცხება შესაძლებელია, მაგრამ უბრძოლველად ფარ-ხმალის დაყრასაც არ გირჩევთ. ■

სხვადასხვა

ელექტრონული ხელჯოხი

ახალი ელექტრონული სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ინფრაწითელ გამოსხივებაზე, გაზრდის უსინათლოებისათვის საჭირო ტრადიციული ხელჯოხის ეფექტურობას. საფრანგეთში შემუშავებული მოწყობილობა მაგრდება ჯოხზე და ინფორმაციას გადასცემს ვიბრაციის მეშვეობით, რაც ზრდის უსინათლოს გადაადგილების უსაფრთხოებას. ჩვეულებრივი ხელჯოხისგან განსხვავებით, სიახლე პატრონს ეხმარება ორმოებისაგან თავის დაღწევაში, ინფრაწითელი მიმღების მეშვეობით გზაზე მაღალი წინააღმდეგობების განსაზღვრაში. სიგნალების შესასწავლად უსინათლომ უნდა გაიაროს მხოლოდ 4-საათიანი მომზადება.

სიმსივნესთან ბრძოლის მეთოდიკა უმჯობესდება

სიმსივნურ დაავადებათა ქიმიოთერაპიული მკურნალობის ეფექტურობის გაზრდის ახალი მეთოდიკა შეიმუშავეს თელავივის უნივერსიტეტის ექიმმა-ონკოლოგებმა. ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტებით გაირკვა, რომ ავთვისებიანი სიმსივნის წინასწარი დამუშავება დაბალვოლტიანი ელექტრული განმუხტვებით ზრდის ქიმიურ პრეპარატთა ეფექტურობას. 2004 წლის დასაწყისში მეცნიერები გეგმავენ ახალი მეთოდიკის კლინიკური გამოცდის დაწყებას.

პიცა – სიმსივნის მტერი

პიცის სიყვარულმა შესაძლოა, სიმსივნის განვითარების რისკი შეამციროს, აცხადებენ იტალიელი მეცნიერები (მილანის ფარმაკოლოგიური ცენტრიდან). ამას მოწმობს გამოკვლევის შედეგები, რომელშიც მონაწილეობა 8 ათასმა იტალიელმა მიიღო. მათ, ვინც რეგულარულად ჭამს პიცას, 59%-ით იშვიათად ემართება საყლაპავის კიბო და 26%-ით იშვიათად – მსხვილი ნაწლავის ავთვისებიანი სიმსივნეები. მედიკოსთა აზრით, ისინი უკვე კარგა ხანია ფლობენ ფაქტებს იმის შესახებ, რომ ავთვისებიანი წარმონაქმნებისაგან ორგანიზმს იცავს ტომატის წვენი. თუმცა არავინ ელოდა, რომ პიცას ასეთი ძლიერი ეფექტი აღმოაჩნდებოდა.

ნერწყვში ახალი წამალი აღმოაჩინეს

ბრიტანელმა ექიმებმა ნერწყვში აღმოაჩინეს ქიმიური ნაერთი, რომლის საფუძველზეც უახლოეს მომავალში შეიქმნება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მძიმე დაავადებათა სამკურნალო საშუალება. ახალი წამალი აბსოლუტურად უსაფრთხო იქნება, დღემდე არსებულ სამკურნალო სქემაში შემავალი პრეპარატებისაგან – მაგალითად, სტეროიდული საშუალებებისაგან განსხვავებით, რომელსაც საკმაოდ სერიოზული გვერდითი ეფექტები აქვს. მეცნიერები ამბობენ, რომ ბოლო გამოკვლევებში მონაწილე იმ ადამიანთა მდგომარეობა, რომლებიც ახალ პრეპარატს იღებდნენ, სულ 2 კვირაში გაუმჯობესდა. აღმოჩენის ავტორები აცხადებენ, რომ შექმნილი წამალი სერიოზულ ძვრებს მოახდენს ნაწლავური დაავადებების, განსაკუთრებით კი, არასპეციფიკური წყლულოვანი კოლიტის მკურნალობაში.

არაჯანსაღი ინგლისური მოდა

ინგლისში ახალგაზრდა მშობლებს შორის სულ უფრო პოპულარული ხდება ჩვილ „ბავშვთა ენის“ შესწავლა. აქ იგულისხმება ჟესტებისა და ბგერების ენა, რომელთა მეშვეობითაც, ლაპარაკის არმცოდნე პატარა ცდილობს, გამოხატოს თავისი სურვილები. თუმცა პედიატრთა და ლინგვისტთა უმრავლესობა გვირჩევს, არ მივბაძოთ ინგლისურ მოდას. ისინი ამტკიცებენ, რომ „ბავშვთა ენით“ მეტისმეტი გატაცება მიგვიყვანს იქამდე, რომ პატარამ შესაძლოა, საერთოდ არ დაიწყოს ლაპარაკი – იგი ხომ ვეღარავისგან ისწავლის ახალ სიტყვებს. სრულფასოვანი სიტყვიერი ურთიერთობა მნიშვნელოვანი

კომპონენტია ბავშვებისათვის მეტყველების ათვისების პროცესში. გარდა ამისა, ექიმები მიიჩნევენ, რომ ნორმალური, მოსიყვარულე დედა ყოველგვარი დამატებითი ჩვევების გარეშე გებულობს, რა უნდა მის პატარას.

ზეთი გულისთვის

ხმელთაშუაზღვისპირეთის მცხოვრებთა რაციონი, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ზეითუნის ზეთს უკავია, ადამიანს გულის დაავადებებისაგან იცავს. ამაში დარწმუნდა იტალიელ სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც იკვლევდა ზეითუნის ზეთიდან გამოყოფილი იზოქრომანების კლასის ორ ნივთიერებას. აღმოჩნდა, რომ ეს ნაერთები დადებითად მოქმედებს თრომბოციტთა დაშლის პროცესზე, აგრეთვე ასტიმულირებს ანტიოქსიდანტთა დამცავ მოქმედებას. ეს გამოკვლევები ამყარებს მოსაზრებას, რომ ხმელთაშუა ზღვის დიეტა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკას წარმოადგენს. სწორედ თრომბოციტთა შეწებებაა ერთ-ერთი ფაქტორი, რომელსაც მძიმე დარღვევებამდე, კერძოდ, მიოკარდიუმის ინფარქტამდე მივყავართ. ■

ასტროლოგიური პროგნოზი

კვირის (20 — 26 ოქტომბერი)

ღრუბლიანი — 24/X-22/XI

ქალი: ამ კვირაში წარმატებები გელით. საყოველთაო აღიარება და თქვენი მისამართით საჯაროდ წარმოთქმული თბილი სიტყვები არ მოგაკლდებათ. შეიძლება ჯილდოც კი მიიღოთ. მოკლედ, თვითკმაყოფილების გრძნობა დაგეუფლებათ.

მამაკაცი: სასიყვარულო ურთიერთობებში იმპულსურ გადაწყვეტილებას თუ მიიღებთ, საქმეს სერიოზულად გაირთულებთ. ჯობს თავშეკავება გამოიჩინოთ და რჩევა თქვენს უახლოეს მეგობარს ჰკითხოთ.

მშვიდობიანი — 23/XI-21/XII

ქალი: როგორც იტყვიან ხოლმე, ხელიდან ყველაფერი გამოგდით. თითქოს ხელში ჯადოსნური ჯოხი გიჭირავთ. მართალია, წარმატების მისაღწევად დიდი ენერგიის დახარჯვა გიწევთ, მაგრამ რაც მთავარია, შედეგი სახეზეა.

მამაკაცი: ოჯახისთვის თითქოს ნაკლებად იცლით, მაგრამ იმ მოკლე დროში, რომელსაც ახლობლებთან ატარებთ, მათ გახარებასაც ასწრებთ და გაბრაზებასაც.

თხის რქა — 22/XII-20/I

ქალი: ეს კვირა ძალიან ემოციური იქნება თქვენთვის. კარგი იქნება თუ მიწისქვეშა გადასასვლელებით ისარგებლებთ. ემოციებს ნუ აჰყვებით.

მამაკაცი: საქმიანი პარტნიორის შერჩევისას კარგად დაფიქრდით. ფინანსური მდგომარეობა შემდეგი კვირიდან გაგიუმჯობესდებათ, ამიტომ ამ კვირაში ისევ ხელმომჭირნედ ცხოვრება მოგიწევთ. დაფიქრდით, ახლობლებს ბევრ შენიშვნას ხომ არ აძლევთ?

მერწყული — 21/I-19/II

ქალი: უმნიშვნელო პრობლემებზე ნერვიულობით განწყობილებას ნუ გაიფუჭებთ. ნუ აჰყვებით პროვოკაციებს და სანერვიულოც არაფერი გეჭირებათ.

მამაკაცი: ოჯახისთვის მართლაც რომ შეუცვლელი ხართ და ამაში თქვენი ახლობლები კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან. განსაკუთრებით ემოციური და მგრძნობიარე შაბათ-კვირას იქნებით. ამ დღეებში დიდი ცდუნების წინაშეც აღმოჩნდებით, რომელიც ქალის სახით მოგევლინებათ.

თევზები — 20/II-20/III

ქალი: რას იზამთ, ყველაფერი ისე როდი ხდება, როგორც ვოცნებობთ ხოლმე. თუმცა, საწუწუნოდ მაინც არა გაქვთ საქმე. ოჯახის წევრები თქვენს პრობლემებს სრული გაგებით ეკიდებიან.

მამაკაცი: სასიყვარულო ფრონტზე სიახლეები არ გელით, მაგრამ გული არ გაიტეხოთ, თქვენს ცხოვრებაში კიდევ მრავალჯერ მოვა გაზაფხული.

მერძი — 21/III-20/IV

ქალი: გქონდეთ მეგობრების იმედი. ისინი ყოველთვის თქვენ გვერდით არიან. შესაძლებელია მათგან სასიამოვნო სიურპრიზიც მიიღოთ.

მამაკაცი: რაც უფრო ნაკლებად პრეტენზიული იქნებით ცხოვრების მეგზურის მიმართ, მით უფრო კარგად აეწყობა თქვენი ურთიერთობები. მოკლედ, შეეშვით სიყვარულში იდეალის ძებნას და დააფასეთ ქალი, რომელიც გვერდით გყავთ.

ბეღური — 21/IV-21/V

ქალი: ისევ და ისევ ფულია თქვენი ყველაზე დიდი პრობლემა, მაგრამ ეს ის პრობლემაა, რომლის გადაჭრაც ამ კვირაში ყველაზე მეტად ხელგეწიფებათ, ამიტომ წინ, მედგრად და შეუპოვრად!

მამაკაცი: ოჯახის წევრებთან სრული ჰარმონია გაქვთ. თუმცა, ეს ჰარმონია თქვენი მცდელობის ნაყოფია. შთაბეჭდილება ასეთია: თითქოს საყვარელ ქალს თქვენი სიამოვნების გარდა, სხვა საფიქრალი არაფერი აქვს.

მარიხბეთი — 22/V-21/VI

ქალი: სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჩაყოფთ. ეს კარგს არაფერს მოგიტანთ. მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე და ხმა მხოლოდ მაშინ ამოიღეთ, როდესაც რაიმეს შეგეკითხებიან.

მამაკაცი: სასიყვარულო ურთიერთობებში საქმე კარგად მიდის, მაგრამ ვიღაც განგებ ცდილობს, გაეჭვიანოთ. ნუ წამოეგებით მის ანკესზე.

კირჩხიბი — 22/VI-22/VII

ქალი: ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია და პირადი ცხოვრებაც აწყობილი გაქვთ. ამ კვირაში თავგადასავლების ძიებას არ გირჩევთ.

მამაკაცი: იმ პრობლემებს მოაგვარებთ, რომელიც დიდი ხანია გაწუხებთ, მაგრამ მეგობრებს ნუ დაივიწყებთ. დასვენების დღეებში მათთან ერთად მშვენივრად გაატარებთ დროს.

ლომი — 23/VII-23/VIII

ქალი: ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი კვირა გელით, მაგრამ თქვენგან დამოუკიდებლად განვითარებულმა მოვლენებმა შეიძლება ის ძალიან მნიშვნელოვანი გახადოს. ლატარიას თუ ითამაშებთ, მოგების შანსი გაქვთ.

მამაკაცი: ბოლოს, როდის შეიძინეთ ახალი პიჯაკი ან ოდეკოლონი? შეიარეთ მაღაზიაში და ეცით თავს პატივი. ახალი ტანსაცმელი სტიმულს მოგცემთ.

ქალწული — 24/VIII-23/IX

ქალი: ამ კვირაში წამოწყებული ნებისმიერი საქმე წარმატებას მოგიტანთ. თუ ვინმესთან ურთიერთობა გასარკვევი გაქვთ, ჯობს ახლა გაარკვიოთ. თქვენი ტაქტისა და დელიკატურობის წინაშე ყველა მათი არგუმენტი უფერულდება.

მამაკაცი: დაისვენეთ — ღვინო, დუდუკი ... არა, მხოლოდ ღვინო და დუდუკი. ამ კვირაში წამოწყებული ფლირტი წარუმატებელია!

სასწორი — 24/IX-23/X

ქალი: ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც კომპეტენტური ადამიანი გაძლევთ რჩევას. იმოქმედეთ საკუთარი შეხედულებებისამებრ.

მამაკაცი: კვირის დასაწყისში საყვარელ ადამიანთან კონფლიქტი არ აგცდებათ თუ მან ტყუილში „დაგიჭირათ“. ამიტომ, გულახდილობას გირჩევთ.

ქართველი მსახიობი „12 სკამში“
ექიმ ბონას სრული სახელი
ქართული ფილმი
ბუსუსები ქსოვილის ძაღვ აირზე
7 დღე
ინგლისელი კინო-მსახიობი
იაპონური ტელეზორი
ფული ინგლისურად
მსოფლიოს 3-გზის ჩემპ ფორმულა I-ში - ლუდა
გარსი თვალში
რომის პროვინცია რუმინეთში
მთავარ ძლის წინ მშვილ ვარის ნწილი
... ალმა-შენებელი
აქციათა მფლობელ-ი
ამერიკული მუსიკალური საკრავი
იუპი-ტერის ინა-ვზური
მოსეს მცნებათა რაოდენ-ობა
საუკეთესო ლიტველი კალათ-ბურთელი
საოპერო ხმა
ბიდნი-ბარტა ონელი
მხატვრის ნაწარმოები, ნახატი
ესი და ...
თმის ბუნებრივი საღებავი
მოარ-გმული
როკენგული „ძებნილი და ...“
შეწვის ძრ-ვის ნწილ
ქართ. ბგლ ოურქოში
ანგება
მაჩოს მ-ფე ლუ ... საწვავი ხარხე
ბაპური თეატრი
ნოტი
ენტი-ნელი ენბუ-თელი
„გვადი ბიგეკ“ ... ქალელი
პაატა-შვილი
ბეოფანიანად ტა საკარ-თველოში
იტალი-ელი კომიკოსი
პარფიუმე-რიული ნაწარში
სტალინის ფიდა „ლამაზმანი“ მსახიობი

შეადგინა
რაჩაზ ალანიამ

ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ა.

„მისი უდიდებულესობა მოდა“ ქუთაისიდან



უკვე ათი წელია, რაც ქუთაისში სამოდელო სალონი „მარიონელა“ ფუნქციონირებს. დამფუძნებლები, მარინე უგულავა და ლელა ტურძელაძე ამბობენ, რომ მათ ყველაფერი ნულიდან დაიწყეს, თუმცა ამ ხნის მანძილზე ქუთაისში არაერთი ჩვენება გამართეს. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კი, თეატრალიზებული ჩვენების მოწყობა თბილისში გადაწყვიტეს. ორიოდე დღის წინ მათ ჩვენება გამართეს „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“.

ალექსი რეხვიაშვილი

პროფესიონალურად დადგმული ჩვენება რომ ჩინებული სანახაობაა, ეს მოდის სფეროსთან ოდნავ მაინც დაკავშირებულმა ნებისმიერმა ადამიანმა იცის, მაგრამ თუ შოუში უმთავრესი ადგილი საქორწინო კოსტიუმების დემონსტრირებას უკავია, ეს წარმოდგენას კიდევ უფრო თვალისმომჭრელს ხდის. ყოველგვარი საქორწინო ატრიბუტი ხომ თავად არის შოუს ელემენტების შემცველი. *„ეს ჩემი პირველი კოლექციაა, – ამბობს წამყვანი მოდელიერი, მაკა ვეკუა, – ჩვენი სამოდელო სალონის დამფუძნებლებთან ერთად ხელოვნების ინსტიტუტში ვსწავლობდი მოდელირების ფაკულტეტზე. შემდეგ სწავლა განვაგრძე გრაფიკაზე. ვმუშაობ სცენის დიზაინერად ქუთაისის ახალგაზრდულ თეატრში. საერთოდ, მიყვარს შარვლების მოდელების შექმნა. სამოდელო სალონის კოსტიუმებზე მუშაობის დროსაც, რაც არ უნდა ჩამეფიქრებინა, ბოლოს მაინც შარვალი გამომდიოდა. მარინე და ლელა კი, მეუბნებოდნენ, რომ აუცილებელი იყო, კაბებიც შემექმნა. ამ ჩვენებაზე გამოტანილი მოდელები ძვირად ღირებული ქსოვილისგანაა შეკერილი. გამოყენებულია ატლასი, ტიული, შიფონი, გობელენი, „ტაფეტა“. კოსტიუმების შექმნისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელით მუშაობას. გამოვიყენეთ ქსოვილების მძივებით მორთვის, ქარგვის სხვადასხვა ტექნოლოგიაც. ასე იქმნებოდა ეს პროექტი, შეფასებით კი, მნახველმა შეაფასოს“.*

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისელთა პირველი მასშტაბური ჩვენება სახელწოდებით – „მისი უდიდებულესობა მოდა“ მართლაც შთამბეჭდავი გამოვიდა. „აჭარა მიუზიკ-ჰოლის“ პოდიუმზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ავანგარდული და კლასიკური ელემენტებით შეჯერებული ვერცხლისფერ, ოქროსფერ და შავ კოსტიუმებში გამოწყობილი მანეკენები თბილისის სამოდელო საგენტოებიდან და ქუთაისიდან. საქორწინო, საღამოსა თუ სადღესასწაულო კაბების, ელეგანტური შარვლების მრავალფეროვანი ფორმით ჩინებულად იყო წარმოჩენილი ქალის მომხიბვლელობა და სექსუალურობა. ეს ყველაფერი კი, თვით მოდის სფეროსაგან შორს მდგომ მნახველსაც აიძულებდა, რომ შოუს ნახვისას აქცენტი კოსტიუმებზე გადაეტანა და არა მანეკენებზე. ცოტა არ იყოს მოულოდნელი აღმოჩნდა ის, რომ შოუს ფონად ცოცხალი მუსიკა გასდევდა, რასაც კარგად გაართვა თავი კომპოზიტორ ლევან შენგელიას ჯგუფმა, ჯაზის, როკის, კლასიკისა და ფოლკლორის ელემენტებით გაჯერებული ენერგიული რიტმებით. *„ჩვენების ფონად ცოცხალი მუსიკის გამოყენება ჩემი იდეა გახლდათ, – ამბობს მაკა ვეკუა, – ლევან შენგელია 12 წელი მოღვაწეობდა მაიამიში. უკვე რვა თვეა, რაც იგი ქუთაისშია და ჩვენთან თანამშრომლობს“.*

ჩვენებაზე წარმოდგენილ კოსტიუმებთან ბუნებრივად იყო შეხამებული მანეკენთა ვარცხნილობაც, რომელზეც სტილისტმა ირაკლი სარდალიშვილმა იზრუნა. „მისი უდიდებულესობა მოდის“ სასცენო მხატვრობაზე კი, არქიტექტორმა პაატა ხუნდაძემ იმუშავა.

10 წლის განმავლობაში სამოდელო სალონს, როგორც მისმა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, შექმნილი აქვს 20000 მოდელი, ხოლო „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ გამართულ ჩვენებაზე წარმოდგენილი იყო 60 ნამუშევარი. ■



გაქვთ თუ არა სხვებზე ზეგავლენის უნარი

ცხოვრების მანძილზე ალბათ ყველა მოხვედრილა სხვა ადამიანის გავლენის ქვეშ და თვითონაც მოუხდენია გავლენა სხვაზე. პოლიტიკოსები, მასწავლებლები და მსახიობები კი თავისი გავლენის ქვეშ ადამიანებს პროფესიიდან გამომდინარე აქცევენ.

თუ გსურთ გაიგოთ, გაქვთ თუ არა სხვების საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევის უნარი, უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და გაეცანით შედეგებს:

1) თქვენი აზრით, შეგეფერებათ თუ არა პოლიტიკოსის ან მასწავლებლის პროფესია?

ა) რა თქმა უნდა – 5;

ბ) დარწმუნებული არ ხართ – 3;

გ) არა – 0.

2) გაღიზიანებენ თუ არა ექსტრავაგანტურად ჩაცმული და თამამად მოსაუბრე ადამიანები?

ა) დიახ – 0;

ბ) არა – 5.

3) შეგიძლიათ თუ არა საკუთარი ინტიმური პრობლემები გაუზიაროთ სხვას?

ა) დიახ, ნებისმიერს – 5;

ბ) მხოლოდ ახლობლებს – 3;

გ) არავის – 0;

4) როგორ მოიქცევით, თუ ხალხმრავალ ადგილას ყოფნისას თქვენი მოქმედება და სიტყვები არასწორად იქნება გაგებული?

ა) მაშინვე ყველას აუხსნით თქვენი ნათქვამისა და მოქმედების არსს – 5;

ბ) მოგვიანებით ეცდებით, განუმარტოთ ყველას თქვენი საქციელი და სიტყვები – 3;

გ) არაფერს არ მოიმოქმედებთ – 0.

5) რა რეაქცია გექნებათ, როცა შეიტყობთ, რომ სხვა ადამიანები იოლად აღწევენ წარმატებას იმ სფეროში, რომელშიც თქვენ უკვე დიდი ხანია იღვწით?

ა) გაგიჩნდებათ პროტესტის გრძნობა – 5;

ბ) არ გესიამოვნებათ – 3;

გ) რეაქცია არ გექნებათ – 0.

6) გიყვართ თუ არა რთულ საქმესთან შეჭიდება?

ა) აუცილებლად, ამით სხვებს თქვენს უპირატესობას უმტკიცებთ – 5;

ბ) გააჩნია საქმის სირთულეს – მას ხელს მხოლოდ მაშინ მოჰკიდებთ, თუ მისი განხორციელება შესაძლებელია – 3;

გ) რთული საქმეები არ გიყვართ – 0.

7) გიფიქრიათ თუ არა ცხოვრებაში ოდესმე გამორჩეული საქმით თავის გამოჩენა?

ა) დიახ, ხშირად – 5;

ბ) არა, არასოდეს – 0.

8) გყავთ თუ არა მეგობრები?

ა) დიახ, მეგობრების ფართო წრე გყავთ და ახალ მეგობრებსაც ხშირად იძენთ – 5;

ბ) მეგობრების ფართო წრე გყავთ, მაგრამ ახალ მეგობრებს დიდი სიფრთხილით ირჩევთ – 3;

გ) მხოლოდ რამდენიმე და ისიც ბავშვობის დროინდელი მეგობარი გყავთ – 0.

9) ძირითადად, როგორია თქვენი დღის განრიგი?

ა) ხშირად იცვლება და ხანდახან სრულიად მოულოდნელადაც – 5;

ბ) მომავალი დღის განრიგს წინა საღამოს ადგენთ, დღის მანძილზე კი, მას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ცვლით – 3;

გ) თქვენი დღის განრიგი წინასწარ მკაცრადაა შედგენილი – 0.

10) გიყვართ თუ არა სახლში ავეჯის გადაადგილება?

ა) დიახ, ხშირად – 5;

ბ) არა – 0.

11) გიყვართ თუ არა ერთფეროვან საქმეში სიახლეების შეტანა?

ა) დიახ, რა თქმა უნდა, თანაც ხშირად – 5;

ბ) მხოლოდ ძალიან იშვიათად – 3;

გ) არასოდეს – 0;

12) შეგიძლიათ თუ არა ეკამათოთ ზედმეტად თავდაჯერებულ ადამიანს?

ა) არა, ეს საშინელებაა – 0;

ბ) გარკვეულ ზღვრამდე ალბათ კი, შემდეგ კამათს წყვეტთ – 3;

გ) თქვენს აზრს ბოლომდე გამოხატავთ – 5.

13) შეგიძლიათ თუ არა სხვების თანდასწრებით უთხრათ სამსახურში უფროსს, რომ ის ცდება?

ა) აუცილებლად – 5;

ბ) გააჩნია რა შემთხვევაში – 3;

გ) არა – 0.

დაჯამეთ ქულები

65-35 ქულა: გარშემომყოფებზე ზეგავლენა საკმაოდ კარგად გამოგდით, იმის უნარიც გაქვთ, მათ აზრი შეაცვლევინოთ, ურჩიოთ რაიმე და მართოთ კიდეც ადამიანთა გრძნობები. ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობისას თავდაჯერებული ხართ, გწამთ, რომ ადამიანი საკუთარ თავში არ უნდა ჩაიკეტოს და მხოლოდ საკუთარ თავზე არ უნდა ფიქრობდეს. თქვენი აზრით, როცა ადამიანი ცდება, ვინმემ უნდა მიუთითოს და სწორ გზაზე დააყენოს იგი. ამ როლის შესრულება კი შესანიშნავად შეგიძლიათ.

0-34 ქულა: სხვების დარწმუნებას მაშინაც კი ვერ ახერხებთ, როცა სრულიად მართალი ხართ. მიგაჩნიათ, რომ ადამიანი თვითონ უნდა მივიდეს ჭეშმარიტებამდე და მასზე გავლენის მოხდენა არ შეიძლება. საკუთარი თავის რწმენა გაკლიათ და დასახული მიზნის მიღწევა გიჭირთ, ამიტომ ხშირად ხართ განაწყენებული სხვებზე. იყავით უფრო თავისუფალი და მიეცით მეტი გასაქანი თქვენს შესაძლებლობებს.

მყვინთავმა ლოხნესის ტბის ფსკერზე ფეხით გასეირნება გადანყვიტა

მყვინთავის კოსტიუმში გამოწყობილმა ინგლისელმა ლოიდ სკოტმა ლოხნესის ტბის ფსკერზე ფეხით „გაისეირნა“ და ახალი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა. ამ უცნაური საქციელით მას საქველმოქმედო ფონდისთვის ფულის შეგროვება სურდა, რათა ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს დახმარებოდა.

26 მილის (დაახლოებით 42 კმ) გადასალახად ენთუზიასტს თითქმის 2 კვირა დასჭირდა. მყვინთავის კოსტიუმი, რომელიც 55 კგ-ს იწონიდა, სკოტს პირველად ეცვა პირდა-

პირი დანიშნულებით. ცოტა ხნით ადრე, ასეთნაირადვე გამოწყობილი, ის ლონდონში, ნიუ-იორკსა და ედინბურგში, მარათონულ რბოლაში მონაწილეობდა...

სკოტმა განაცხადა, რომ ამ უცნაური მოგზაურობისას მთავარ დაბრკოლებას ცუდი ხილვადობა უქმნიდა. „ისიც კი არ ვიცოდი, თუ რას ვაბიჯებდი ფეხს; ამას ერთვოდა ისიც, რომ ჟანგბადის მილი მუდამ რაღაცას ედებოდა და სუნთქვა მიძნელდებოდა... საერთოდ, იქ ძალიან ციოდა და თავს მარტოსულად ვგრძნობდი...“

კითხვაზე — რაიმე უცნაური არსება — მაგალითად, ურჩხულის მაგვარი ხომ არ შეუმჩნევია? — სკოტმა უპასუხა, რომ მსგავსი არაფერი უნახავს. ■

„ბიოსამედიცინო“ თეთრეული

ჰოლანდიაში ისეთი ბიუსტჰალტერი და ტრუსი გამოიგონეს, რომელსაც შეუძლია აკონტროლოს ადამიანის გულის მუშაობა, აფიქსიროს წნევა და საჭიროების შემთხვევაში თავად გამოიძახოს „სასწრაფო დახმარება“, თავისი მფლობელისთვის.

ეს უცნაური სამოსი აღჭურვილია ქსოვილში ჩამაგრებული ელექტროდებით. სპეციალური მასალისგან დამზადებული ძაფები, რომლითაც შეკერილია თეთრეული, ადამიანის ორგანიზმის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას პატარა მიკროპროცესორს გადასცემს. მიკროპროცესორი აანალიზებს შემოსულ სიგნალს და თუკი რაიმე დარღვევა შეინიშნება, მაშინვე აფიქსირებს მას. უნდა ითქვას, რომ „ბიოსამედიცინო“ თეთრეული ასხვავებს სიცოცხლისთვის მართლაც რომ სახიფათო სიტუაციას ისეთი დროებითი ცვლილებებისგან, როგორსაც, მაგალითად, სპორტით დატვირთვა იწვევს. ამასთან ერთად, ეს თეთრეული არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივისგან და საკმაოდ მოსახერხებელი სატარებელიც გახლავთ.

გამომგონებლები იმედოვნებენ, რომ მათი პროდუქცია ძალიან მალე გახდება პოპულარული და ადამიანებს გულის პრობლემებისგან იხსნის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მაღაზიის ვიტრინებზე ეს „გონიერი“ თეთრეული არცთუ ის მალე გამოჩნდება. ■

ჰესტოჰანში „მთვარის სონატას“ უსმინეთ

ინგლისელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კლიენტები ყველაზე ძვირად ღირებულ კერძებსა და სასმელებს იმ რესტორნებში უკვეთენ, სადაც კლასიკური მუსიკის ჰანგები გაისმის — იტყობინება Reuters-ი.

მკვლევარებმა 18-დღიანი ექსპერიმენტი ჩაატარეს: ზოგიერთი რესტორნიდან კლასიკური მუსიკის ხმა ისმოდა, ზოგიერთიდან — პოპმუსიკის, ზოგ რესტორანში კი მუსიკა საერთოდ არ ჟღერდა.

გამოირკვა, რომ იქ, სადაც მოცარტს, ბეთჰოვენსა და ვივალდის უსმენდნენ, კლიენტები ძვირად ღირებულ ღვინოს, საუზმეულსა თუ დესერტს გაცილებით მეტი რაოდენობით მიირთმევდნენ, ვიდრე სხვა რესტორნებში.

ფსიქოლოგების აზრით, „მთვარის სონატის“ მოსმენისას, ადამიანები გაცილებით დახვეწილები და კულტურულები ხდებიან...

მეცნიერებს, რომლებიც ასეთ სენსაციურ აღმოჩენებს აკეთებენ, უფლება აქვთ, პრეტენზია იქონიონ სპეციალურ — „შნობელის“ პრემიაზე. ■

სტინგმა მოჩვენება დაინახა

სტინგმა ინტერვიუ მისცა გაზეთ New York Pos-ს. აღმოჩნდა, რომ სტინგსა და მის მეუღლეს პარანორმალურ მოვლენასთან ჰქონიათ საქმე... წყვილს საკუთარ საძინებელ ოთახში თითქმის ერთდროულად დაუნახავს მოჩვენება — კონკრეტულად კი, ქალი ბავშვებთან ერთად. სტინგი გამოტყდა, რომ ნანახით შეძრწუნებულია. მართალია, მან ამ მოვლენას ვერანაირი ახსნა ვერ მოუძებნა, მაგრამ იმ ამბის შემდეგ მოჩვენებების არსებობა იწამა.

მიმდინარე პერიოდში, სტინგის ახალი ალბომი Sacred Love უფრო და უფრო პოულარული ხდება. ახლახან მუსიკოსმა ალმობში შეიტანა ახალი დუეტი, რომელიც — მერი ჯეი ბლაიჯთან ერთად იმღერა. მათ შეასრულეს სიმღერა Whenever I Say Your Name. სტინგი ბლაიჯთან თანამშრომლობით აღფრთოვანებული დარჩა.

სტინგის მსოფლიო ტურნე არცთუ ისე შორსაა. ■

ფოტოკუთხეები

-60 671/36

N21(55) 16/X-29/X.2003

ოჯახის მეუღლეები

სამედ

ი 70 თ.

მიოკარდიუმის ინფარქტი

ვიზიტი ფსიქიატრთან

გულძმარვა

თუკი ბრონქიტი გახანგრძლივდა

მთავარი თემა
როგორ ჩავიტაროთ სამედიცინო გამოკვლევები

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის